(221.1) 39
ს-677

[illegible]ერ სონლულაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადრეფეოდალური საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის

[illegible]
[illegible]

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯ. სონღულაშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის

(დიღმის ხეობა)

წიგნი I

К 134.961
3

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

902.7(C41)
902.7+39J(47.922)
ს677

ნაშრომი მიზნად ისახავს ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის საფუძველზე გამოავლინოს ხეობის მოსახლეობის მრავალმხრივი თავისებურებანი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ხალხის შრომითი ჩვევები, საწარმოო ტრადიციები მატერიალურ თუ სამეურნეო ყოფაში.

ნაშრომი ემყარება ახალ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც განხილულია ისტორიულ-არქეოლოგიური, ენობრივი, ბუნებისმეტყველებისა და სხვა მონაცემების შუქზე. დაწვრილებითაა დახასიათებული და აღწერილი ხეობის ბუნებრივი გარემოცვა: ოროგრაფია, ჰიდროგრაფია, ჰავა, ფლორა, ფაუნა, წიაღისეული, კომუნიკაცია, ონომასტიკა, უბანი, სოფლის შიგნით გვართა განსახლება, საცხოვრებელი ნაგებობები: სახლი, მიწური, დარბაზი, ბანიანი სახლი, სამეურნეო ნაგებობანი: ბეღელი, ორმო, ხარო, საბძელი, ბოსელი, კალო, წისქვილი, პურის ოთახი, სათონე, მარანი და სხვა.

1—6—2
152—68

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუძღვნი იროდიონ სონღულაძეს
ნათელ ხსოვნას

შესავალი

წინამდებარე მონოგრაფია „აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის" (დიღმის ხეობა) წიგნი I, ერთი ნაწილია იმ სამუშაოსი, რომლის შესრულებაც მიზნად დავისახეთ დიღმის ხეობის მოსახლეობის კომპლექსური შესწავლისას.

დიღმის ხეობის შესწავლა ჯერ კიდევ ადრე, 10—15 წლის წინათ დავიწყეთ.

საკითხთან დაკავშირებული საველე ეთნოგრაფიული მასალა მოვიპოვეთ ხეობის შიგნით განლაგებულ სოფლებში. ამასთან, დიღმის ხეობის თავისებურების გამოვლინების მიზნით მოგვიხდა რამდენიმე ხეობის შესწავლაც: ვერეს, ალგეთის, ატენისა და ბორჯომის[1].

მოპოვებული მასალის გარდა ნაშრომში გამოყენებულია ეთნოგრაფიული შრომები, აგრეთვე ზოგადი და სპეციალური ეთნოგრაფიული ლიტერატურა, ქართული წერილობითი წყაროები, ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემები და საარქივო მასალები.

მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები და წყაროებზე დაფუძნებული გამოკვლევების შედეგები მონოგრაფიაში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: დიღმის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა, ხეობის ბუნებრივი გარემოცვა, ოროგრაფია, ჰიდროგრაფია, ჰავა, ფლორა, ფაუნა, წიაღისეული, კომუნიკაცია, ჰონომასტიკა, ხეობის შიგნით განლაგებული სოფლები და ნასოფლარები, სოფლის შიგნით გვართა განსახლება, საცხოვრებელი ნაგებობანი (სახლი, მიწური, დარბაზი, ბანიანი სახლი, ოთახი, გომური), სამეურნეო ნაგებობანი (ბეღელი, ორმო, ხარო, საბძელი, ბოსელი, კალო, პურის ოთახი, სათონე, მარანი, ბაკი) და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომის პირველი ნაწილის სასტამბო მოცულობა მკაცრად იყო განსაზღვრული, რის გამოც პირველი წიგნიდან მოგვიხდა ისეთი საკითხების ამოღება და მეორე ნაწილში გადატანა,

---

[1] ზემოთ ჩამოთვლილ ხეობებში ჩატარებული მუშაობის შედეგებს ვამზადებთ გამოსაქვეყნებლად.

როგორიცაა ხეობის ტოპონიმიკა, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობები და დიღმის ხეობაში დაცული ძველი საირიგაციო ნაგებობები; ასევე საგრძნობლად შემცირდა და დაირღვა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მთლიანი სახე, ე. ი. მონოგრაფიას მოსცილდა ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა, მაგალითად: ორნამენტი, სახურავიანი სახლები და სხვ.

ამიტომ წიგნის მეორე ნაწილში შევა: დასახლება, უბანი, სასოფლო, საუბნო, საჯარო ადგილები (საყეფარა, სალაყბო, ბაზარი), ქუჩა, წყარო, ხეობის ტოპონიმიკა, თავდაცვითი ნაგებობები, საკულტო ნაგებობები, დიღმის ხეობაში დაცული ძველი საირიგაციო ნაგებობები, საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, ტრანსპორტი.

მონოგრაფიის მესამე ნაწილში განვიხილავთ შემდეგ საკითხებს: სოფლის მეურნეობა (მიწის მფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები), მემინდვრეობა: თოხის კულტურა, სახვნელი იარაღის კულტურა, მებაღეობა (მეხილეობა), მევენახეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მოდგამი, მორწყვა. მესაქონლეობა: მეცხვარეობა, მეღორეობა, მსხვილფეხა მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, ნადირობა და მეთევზეობა.

მეოთხე ნაწილში განხილული იქნება შემდეგი საკითხები: ხის დამუშავება, ქვით ხუროობა, მჭედლობა, მეთუნეობა, ფეიქრობა, მეყინულეობა, მეარყეობა, მეშეშეობა, მენახშირეობა, ქირაზე გასვლა, აღებმიცემობა, საბაზრო ურთიერთობა და მედუქნეობა.

მეხუთე ნაწილში შევა შემდეგი საკითხები: ოჯახური ურთიერთობა, ქორწინება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, ბავშვის აღზრდა, ძეობა, ხალხური მმართველობის წესები სოფლად; სულიერი კულტურა: ძველი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები (ხის კულტი, ცხოველის კულტი) ღვთაებათა პანთეონი, ზეპირსიტყვიერება და მუსიკალური ფოლკლორი, ცეკვა და გართობა-თამაშობანი (ბერიკაობა, ყეენობა, დათვაობა, ფერხული და სხვა თამაშობანი), მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, ხალხური მედიცინა და სხვა.

მონოგრაფიის VI ნაწილში აისახება: სოციალისტური მეურნეობა, ახალი ჯიშები, ახალი ტექნიკა, ირიგაცია, საკოლმეურნეო და სამეურნეო დოვლათი. გლეხობის ახალი ყოფა, სოფლის ინტელიგენციის ყოფა და კულტურა, საზოგადო მოღვაწეები, კულტურული მშენებლობა, საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები, დღეობები, თვითმოქმედი წრეები, წყალსადენი, კანალიზაცია, განათება და სხვა.

ასეთია იმ დიდი სამუშაოს წინასწარი გეგმა, რომლის პირველ ნა-

წილს წინამდებარე წიგნში წარმოვადგენთ, ხოლო დანარჩენს — მომდევ წლებში, რიგის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ დიღმის ხეობაში ჩვენი მუშაობის დროს დიდ დახმარებას გვიწევდა სოფ. დიღომში მცხოვრები მხატვარი შალვა ფირიაშვილი, რომლის ნამუშევრები ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხს ახლავს.

ასევე უნდა აღინიშნოს არქიტექტორის, პროფესორ ლონგო სუმბაძის დახმარება დიღმის ხეობაში არსებული ძველი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების აგეგმვისას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიღმის ხეობის მიმოხილვა

(ეთნოგრაფიულ-ისტორიული მასალების მიხედვით)

დიღმი და მისი ხეობის შიგნით განლაგებული სოფლები ძველად საქართველოს დედაქალაქის მცხეთის გარეუბნებში შედიოდა და წარმოადგენდა „დიდი მცხეთის" სასოფლო-სამეურნეო უბანს, ხოლო მას შემდეგ, რაც თბილისი დედაქალად იქცა, დიღომი და მისი ნაწილი კვლავინდებურად სატახტო ქალაქის, კერძოდ, სამეფო კარის მამულად ითვლებოდა, ხოლო ნაწილს ცალკეული მებატონეები და მცხეთის ეკლესია-მონასტერი ფლობდა[1].

დიღმის ხეობა თბილისს დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება, მცხეთას კი სამხრეთიდან; აღმოსავლეთით დიღმის ხეობას ესაზღვრება მტკვარი, რომელსაც მდ. დიღმურა დიდუბესთან ერთვის, ხოლო სამხრეთით ეკვრის დიდვარცლისა და ლისის მთები, დასავლეთით—მსხალ-დიდისა, სათოვლისა და დიდგორის მთები.

დიღმის ხეობის მთის კალთები ტყითაა დაფარული, ხოლო ხეობის გასწვრივ განლაგებული ბარის სოფლები გარშემორტყმულია ბაღ-ვენახებით, ბოსტნებითა და სახნავ-სათიბი მინდვრებით. ვახუშტი ბატონიშვილი დიღმის ხეობას ასე აგვიწერს: „...მის დასავლეთით მთა სხალდიდისა, კეთილი აგარაკი და შვენიერი ყოვლითა, ამის სამჯრით ჯეობა დიღმისა. გამოსდის ამისი წყალი სხალ-დიდსა და სათოვლიას მთას და დის აღმოსავლეთით. მიერთვის მტკვარს დასავლეთიდამ. არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთები.

სამჯრით არს ველი დიდი დიღმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზროხათა სიმრავლენი, ნა-

---

[1] იხ. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, 1885, გვ. 6, 22, 27, 34, 42, 52, 53, 62, 68, 69, 70, 71, 77, 103, 107, 113, 127; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, 1957, გვ. 81, 183, 176; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 195; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 98, 70; ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955, გვ. 122.

ქულბაქებს ზევით არს დევის ნამუხლი—კლდე. გაჭრილი გზად. ამას ზევით მუხად გვერდი"[2].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღმურას გზადაგზა მრავალი წვრილ-წვრილი ღელე ერთვის, რომლითაც ირწყვის ხეობაში განლაგებული ბაღ-ვენახები, დიღმის ხეობის მიდამოები მიწისქვეშა წყლებითაც უხვია, ამას მოწმობს სოფ. დიღომში ქანქანით გაყვანილი წყლის გვირაბები, რის საშუალებითაც უზრუნველყოფილი იყო ძველი დიღმის დასახლება, სასმელი წყლით, წყაროებით; ხეობის გაყოლებით დიღმის მინდვრების გასწვრივ მრავალ ალაგას დგება მიწისქვეშა გამდინარე წყლები, რითაც დაჭაობებული იყო დიღმის ხეობის გარკვეული ადგილები:

დიღმის ხეობის გასწვრივ გვხვდება რამდენიმე ტბა, რომელთაგან აღსანიშნავია მუხათგვერდის ტბა, ჭილის ტბა, შიოს ტბები, დიდვარცლის ტბა და სხვ.

დიღმის ხეობაში მრავალი წყაროა, რომლებიც გამოირჩევიან თავისი გემოთი. მაგალითად, დიღმის ხეობის ქვედა წელში წყაროების უმრავლესობა მარილიანია, ზემოთ, მთებში კი ცივი და შემრგო წყაროები გვხვდება. ასეთებია კორათხევის, ბაბაყოლების, წოდორეთის, სათიბისა და სხვა წყლები. მიუხედავად იმისა, რომ დიღმის ხეობაში წყალუხვობაა, თავისი მშრალი ჰავის გამო ეს მხარე ზაფხულის პერიოდში წყალნაკლებობას განიცდის და დიღმის ბაღ-ვენახებს გვალვის დროს უწყლობა ანადგურებს.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის კლიმატი ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება და ბუნებრივია, რომ ირიგაციის მნიშვნელობა ყველგან ერთგვარი არ არის. მელიორაციის სპეციალისტებმა აღმოსავლეთ საქართველოში გამოყვეს რამდენიმე სარწყავი ზონა[3], ამათგან ქვემო ქართლის ბარი, ელდარის, ყარაიისა და სამგორის ველები, თბილისის მიდამოები (დიღომი, სოღანლუღი) ხასიათდება მეტად ცხელი და გვალვიანი ზაფხულით, მცირეა ატმოსფერული ნალექების წლიური მაჩვენებელი (400—500 მმ) ნალექების რაოდენობა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კლებულობს. რაც უფრო ვუახლოვდებით აზერბაიჯანის ნახევრად უდაბურ ველებს, მით უფრო ცუდია ატმოსფერული ნალექების განაწილება წლის დროებზე. ყველაზე მეტი ნალექი გვიან შემოდგომაზე მოდის, ნაკლები კი ზაფხულზე, ე. ი. მაშინ, როდესაც მცენარე ყველაზე ინტენსიურად ხარჯავს წყალს. აორთქლება იმდენად დიდია,

---

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომაურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 55.

[3] И. Чхенкели, Орошение в сельском хозяйстве Грузии, Тбилиси, 1946.

რომ ტენიანობის წლიური ბალანსი უარყოფითია. თბილისში ორიენ-ლება ორჯერ მეტია ნალექებზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით სიმოტი-ვის უარყოფითი ბალანსი კიდევ უფრო იზრდება[4].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ პირობებში ირიგაცია წარმოადგენს მიწათმოქმედების საფუძველს, მის აუცილებელ პირობას. ინტენსიურ მორწყვას მოითხოვს სოფლის მეურნეობის ყოველი კულტურა როგორც ზაფხულში, ასევე გაზაფხულზე[5]. დიღმის ხეობაში მორწყვა წლის ყველა დროში აუცილებელია, რასაც მოითხოვს მებოსტნეობის ინტენსიურობა.

დიღმის ხეობის სათავეები, როგორც აღვნიშნეთ, ტყით არის დაფარული, მის კალთებზე მრავალი ჯიშის ფოთლოვანი ტყე გვხვდება: განსაკუთრებით გავრცელებულია მუხა, თეთრი და შავი რცხილა, თელა, ქორაფი, იფნი, ნეკერჩხალი. შვინდლარწა და სხვა ჯიშის ხეები. ხოლო ზევით, ბევრეთის ხეობაში წიწვიანი ტყეც გვხვდება. ქვემოთ მთის კალთები დაფარულია ბუჩქოვანი მცენარეებით — კუტირცხილათი, ძეძვით, გრაკლით, აჟმანუკით (აჟმანუკის ყვავილს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან მეფუტკრეები, რადგან მისგან ფუტკარი იღებს სურნელოვან და ნაზ წვენს) კურდღლის ცოცხათი, ჩიტავაშლათი და სხვა მცენარეებით.

დიღმის ხეობის მიდამოები მდიდარია აგრეთვე გარეული ხილით. ტყეებში მრავლად გვხვდება: შვინდი, პანტა, მაჟალო, ტყემალი, კვრინჩხი, ზღმარტლი, კუნელი, მენახირის ბალი და სხვა ხილი.

დიღმის ხეობის მინდორ-ველი დაფარულია სხვადასხვა ჯიშის ბალახ-ყვავილნარით, საიდანაც ფუტკარი გემრიელ და სურნელოვან წვენს იღებს, ამითვე იკვებება მრავალი ათასი სული პირუტყვი.

დიღმის ხეობაში გვხვდება მრავალი ჯიშის ფრინველი და ნადირი. ძველად დიღმის ტყეებში ბევრი გარეული ღორი და ირემი ყოფილა, ამას ადასტურებს ძველ საცხოვრებელ დარბაზებში ირმის რქების სიუხვე, რასაც იყენებდნენ სხვადასხვა ნივთების დასაკიდებლად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიღმის ხეობის ტყეებში ირმის არსებობას დღესაც მიუთითებენ.

დიღმის ხეობაში გვხვდება მრავალი ბუნებრივი გამოქვაბული მაგალითად, თრელეებისა და დიდვარცლის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდვარცლის გამოქვაბული სხვა სახისაა, ის წარმოადგენს მიწისქვეშა გვირაბს, რომლის სიგრძე და სიღრმე გაურკვეველია, რადგან ჯერ ეს გვირაბი შეუსწავლელია. გვირაბი რამდენიმე განშტოებით მი-

---

[4] В. И. Кавришвили, Ландшафтно-гидрологические зоны Грузинской ССР, Тбилиси, 1955, стр. 141—142.

[5] ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, 1963, გვ. 12.

ემართება მიწის სიღრმეში, რაც თბილისის სანახებისათვის დღემდის უცნობია ასეთ სახის მღვიმე. ხალხი ამ გვირაბს „მეხდაკრულ“ ალაგებს უწოდებდა. მეორე ასეთივე გვირაბი იქვე ახლოს ყოფილა, ოღონდ ამ ალის ნახვა ჩვენ ვეღარ მოვახერხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღმის ხეობა დასერილია სხვადასხვა დანიშნულების გზებითა და ბილიკებით — საურმე, სანახირო, საცალფეხო და ა. შ. ერთი მთავარი გზა დიღმის ხეობის სათავიდან ეშვება ხეობის დასწვრივ, რომელსაც სადიღომო გზა ეწოდება. ეს გზა მიემართება ზემო დიდგორაზე, ზემო დიდგორიდან კლდეკარისაკენ. ამ გზას ბოლო დრომდის არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მას „სამთო“ გზასაც უწოდებენ. ამ გზით მიემართება მთაში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის საქონელი. ძველ წერილობით წყაროებში ამ გზას „სადიღომო შარა“ ეწოდებოდა. მაგალითად, 1635 წ. წყალობის წიგნში, რომელიც მოცემულია როსტომ მეფის მიერ ირაკლი ყორღანაშვილისადმი, ნათქვამია: „...ჩვენცა ხელახლა სამკვიდროდ და საბოლაოდ დაუმკვიდრეთ და დაუმტკიცეთ. ვილოვნის (შეიძლება იყოს თელოვნის ან დოლოვნის—ჯ. ს.) ხევს მისის მონასტრითა, რასაც ის ხევი შეიტანს დიდგორზე სადიღომო შარამდისინ და სხალხარიდამე რომ დიდგორს შარა შემოივლის ქუეშეთი ბოლოს სამძღვარი სარწივის ხევი შარამდი და რასაც ის შარა შეიტანს მოქრისის სამძღვრამდისინ“[6]-აო.

დიღმის ხეობის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა წარსულში აპირობებდა და დღესაც აპირობებს მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტენსივობას, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური განათხარი მასალა, ისტორიული წყაროები და თვით ეთნოგრაფიული მასალები. აქ ჩვენ ერთდროულად ვხვდებით მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგებს, კერძოდ, მემინდვრეობას, მებოსტნეობას, მევენახეობა-მეღვინეობას, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და უჭირავს როგორც ხეობის მცხოვრებთა ყოფაში, ისე საქალაქო და სახელმწიფო საქმიანობაში.

მიწათმოქმედებასთან ერთად დიღმის ხეობაში დაწინაურებული იყო მესაქონლეობა, კერძოდ: მსხვილფეხა მესაქონლეობა, მეჯოგეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა.

ყოველივე ამის წინაპირობა იყო ის, რომ დიღმის ხეობა იყო სახელმწიფო, ანუ სამეფო და სამონასტრო მამული.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით დიღმის ხეობაში შემდეგი სოფ-

---

[6] ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955, გვ. 122.

ლები შედიოდა: „დიღომი და მისი ხევი თეთრაძე, წოდორეთი, თელ-ვანი, წინუბანი, ვეძისი, ბევრეთი“[7].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი გეოგრაფის მიერ შედგენილ რუკაში დიღმის ხეობა-ში შეტანილია სოფ. შინდისიც, რომელიც თეთრი დუქნის ძიდამოებ-ში უნდა ყოფილიყო გაშენებული, ხოლო აქვე, დიღმის ველზე XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე სოფ. ნაქულბაქევიც გვხვდებოდა, რომელიც ადრე მცხეთის გარეუბნად ითვლებოდა. მცხეთის 1392 წ. საეკლესიო სიაში ჩამოთვლილ კუთვნილ მამულთა და სოფელთა შორის დიღომი და მის ირგვლივ მდებარე სოფლებიც არის დასახელებული, რომელთაგან დღეისათვის ზოგი აღარ არსებობს და მხოლოდ ტოპონიმიკურ სახელწოდებებშიღა გვხვდება. ესენი უმთავრესად ნასოფლარებს წარმოადგენენ, ზოგიერთი მათგანი ისტორიულ წყაროებშია მოხსენიებული: „დიღომს რაც მცხეთისაა ველეხნი, მამულნი და გვარნი: ლიხს (უნდა იგულისხმებოდეს ლისი ჯ. ს.) ხუთი კომლი კაცი; სოფელი წინუბანი და სათოვლე მთა: სოფელი ქუბანი: სოფელი უპიტი, სოფელი თელოვანი, სოფელი ძაღლაანი და ფაფანი, სოფელი ნაქულბაქევი“[8].

აღსანიშნავია ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილი დიღმის ხეობის სოფლების ჩამოთვლისას სოფ. მაჩხაანს არ ასახელებს, მაშინ როდესაც მის დროს სოფელი ისევ არსებობდა, მაგალითად, 1720 წ. ოქმით, რომელიც გაცემულია ვახტანგ VI მიერ სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმებისადმი, ნათქვამია, რომ ლაშქრობის დროს საეკლესიო ხალხი შემდეგი რაოდენობით უნდა გამოსულიყო დასახელებული სოფლებიდან, მაგალითად, „ქ. თელოვანს რვა ქ. მაჩხაანს რვა. ქ. დიღომს ცხრა, ბოგონო სამი“[9]...

ჩვენი მუშაობის შედეგად დიღმის ხეობაში დამოწმდა სხვა ნასოფლარებიც—ონადირი, თრელეები, თეთრაანი ანუ თეთრაძიანი. ნენავი, ჯიხურები, კოშკის სერი, მაჩხაანი, ჯოიანი, ქობა, ნაბაჭაური, ბაჭყალა, კორათხევი, ბაბაყოლები, ნაოქიანი ნასახლარები.

დღეს დიღმის ხეობაში შემდეგი სოფლები შედის: დიღომი, ვაშლაჯვარი, ვეძისი, წოდორეთი, ძაღლაანთხევი, თელოვანი, დიდგორი

---

7 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

8 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 2, 1905, გვ. 190; სოფ. წინუბანი ამჟამად სოფ. დიღომთან არის შეერთებული და მისი არსებობა, გადმოცემის მიხედვით, უდავოდ დგინდება. ამ ადგილს ამჟამად წერწვერა ეწოდება. სოფ. ქუბანი მილიხევისა და ნაოქიანის ხევის მიჯნაზე მდებარეობს და უწინდელ საცხოვრებელ ქვაბებს წარმოადგენს; ამ ადგილს დღესაც „ქვაბები“ ეწოდება.

9 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, 1940, გვ. 183.

(კორათხევიდან და ვერის ხეობის სოფლებიდან ჩამოსახლებული ბერ-ელი მოსახლეობისაგან შედგება), ბევრეთი, ტაბარუკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობიდან ჩანს, დიღომის ხეობა განიყოფება ველად ანუ ბარად, ზეგანად და მთად. ბარად ითვლება შემდეგი ადგილები და სოფლები: ონადირი (ნასოფლარი), ვაშლაჯვარი, თრელეები (ნასოფლარი), შინდისი (ნასოფლარი), ნაქულბაქევი (ნასოფლარი), და დიღმის მინდორი, ხოლო ზეგანად — წინუბანი, დიღომი, ქვაბთა (ნასოფლარი), თეთრაძიანი ანუ თეთრაანი (ნასოფლარი), ნენავი (ნასოფლარი), ვეძისი, ჯიხურები (ნასოფლარი) და წოდორეთი. მთის სოფლებად ძაღლაანთხევი, მაჩხაანი, (ნასოფლარი), ტაბარუკი, ბევრეთი, კორათხევი, ქობა (ნასოფლარი), დიდგორი, ჯოიანი (ნასოფლარი), ნაბაჭური (ნასოფლარი), თელოვანი და ბაჭყალა (ნასოფლარი).

ძველთაგანვე, ორ დიდ ქალაქთან მჭიდრო კავშირის გამო დიღმის ხეობის სოფლების მეურნეობა დაწინაურებულა, რასაც მოწმობს მრავალი მიწისზედა მატერიალური ძეგლი და არქეოლოგიური განათხარი მასალა[10].

ჯერ კიდევ მეხუთე არქეოლოგიური კონგრესის მოსამზადებელ პერიოდში, 1881 წელს, განსაკუთრებული ინტერესის გამო ჩატარდა არქეოლოგიური გათხრა სოფ. ვაშლაჯვართან და ნასოფლარ თრელებთან, რის შედეგადაც გაირკვა, რომ მოსახლეობას ამ ადგილებში ენეოლითის ხანაში უცხოვრია. ამ ხეობის მოსახლეობის ისტორიის უწყვეტელობაზე აშკარად მიუთითებს ის ძეგლები, რომლებიც უკანასკნელ ხანებშია აღმოჩენილი, დიღომსა და მის მიდამოებში, რომლებიც ბრინჯაოს ხანაა და მომდევნო ეპოქებს განეკუთვნებიან[11].

1924 წლის 3 სექტემბერს დიღმელმა გლეხმა ვანო სისაურმა შემთხვევით აღმოაჩინა ერთი ძველი სამარხი დიდგორწინ, „სქელ ჯაგებში", მიცვალებული აკლდამაში არ იყო დასვენებული. თავდაპირველად სისაურს ბრინჯაოს სამაჯური უპოვნია. ბრჭყვიალა ბრინჯაო მას ბაჯაღლო ოქრო ჰგონებია და მუშაობასაც უფრო გულმოდგინედ შესდგომია, მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილები ამოუყრია, მინის, ბრინჯაოს სამკაულები ამოუკრეფია და შიგ სამარეში ორი ვერცხლის ფულიც უპოვნია: მათ შორის 1. ოქტავიან ავგუსტუსის ვერცხლის დინარი (ძვ. წ. 44 — 14 წ.), 2. ვერცხლის დრახმა პართიის მეფის გოტარზის — (41 — 51 წ.).

ამას გარდა, აღმოჩნდა მინის მძივები, სხვადასხვა მინერალებისა-

---

10 იხ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ფონდები.

11 იქვე.

გან გაკეთებული მძივები და ლითონის სამკაულები (იხ. საქართველოს მუზეუმის კოლექცია № 31 — 24; 1 — 64).

ორივე ეს ფული და მასთან აღმოჩენილი ნივთებიც ეკუთვნის ქართველოს ისტორიის ფრიად მღელვარე ხანას, იმ პერიოდს, როდესაც სამეფო მოქცეული იყო რომის იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში, მაგრამ იმავე დროს მას მჭიდრო ეკონომიურ-კულტურული კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით პართიასთან, სადაც მეფობდნენ იბერიის სამეფო დინასტიის მონათესავე არშაკიდები. ჩვენში არშაკუნიანებად ცნობილნი. აღმოჩენილი ფულები იმის უტყუარი საბუთია, თუ როგორი ეკონომიური ურთიერთობა ჰქონია ძველ იბერიას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

ამ ფულების მიხედვით ჩვენ საშუალება გვეძლევა დავათარიღოთ დიღომში აღმოჩენილი სამარხისა და ნივთების ხნოვანება, უეჭველია. რომ ეს სამარხი ეკუთვნის პირველ საუკუნეს ქ. შემდეგ ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 45 წ. ქ. შ.[12] (იხ. საქართველოს სახ. მუზ. კოლექცია № 20—32/144, № 20—32/14), ხოლო დიღმის ხეობის სათავეში სოფ. ლელობთან „ნაქალაქარის" გათხრებმა ცხადყო, რომ ძველ ფეოდალურ საქართველოში მაღალ დონეზე მდგარა საქალაქო ცხოვრება, სადაც განვითარებული ყოფილა აღებმიცემობა, ვაჭრობა, ქალაქი რომელიც „ნაქალაქარის" სახელწოდებით არის ცნობილი; დიღმის, ვერისა, ხეკორძულასა და ნიჩბისის ხეობის სოფლებისათვის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა.

საინტერესო არქეოლოგიური მასალები მოგვეპოვება დიღმის სანახებიდან, კერძოდ. „ვაშლაჯვარიდან", „თეთრ დუქნიდან" და „თრელლებიდან".

1959 წ. თეთრი დუქნის ხიდთან, ახალი ხიდის მშენებლობის დროს, დიღმის წყლის მარჯვენა ნაპირზე შემთხვევით მიწის გადაღების დროს, აღმოჩნდა სამი კულტურული ფენა, პირველ ფენაში, აღმოჩნდა ენეოლითური ხანის რამდენიმე ნამოსახლარი, სადაც მრავლად იყო კაჟის იარაღები, რომლებიც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. აქედან ჩანს, რომ ენეოლითელი ადამიანი, რომელიც მონადირეობასთან ერთად მეთევზეობასაც ეწეოდა, მდინარის პირს ირჩევდა საცხოვრებელ ადგილად.

აქვე, მეორე ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის სამარხები, სადაც ნაპოვნია კერამიკულ ჭურჭელთან ერთად მეომრის იარაღიც: ბოლოკვეთილი მახვილი, შუბის პირები და ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთე-

---

12 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი არქეოლოგიური ნივთები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტომი VI, 1931.

ბი; ამავე ფენაში ნაპოვნია ქალის სამკაულები — ბრინჯაოს სამაჯური, ქინძისთავები, სარტყლის ბალთები და სხვადასხვა მინერალის მძივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ფენაში კი აღმოჩნდა ანტიკური ხანის ნივთები, კერამიკული ჭურჭელი, ოქროს ბეჭდები და ოქროს საყურეები. მაგალითად, საქ. მუზეუმში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ „ვაშლაჯვარიდან" შემდეგი კოლექციები შემოსულა: ინვ. № 22—59: 1—10— ოქროს გემიანი ბეჭედი (ინვ. № 958); სამი მონეტა (ინვ. № 10080. 10081, 10082), აღმოუჩენიათ ორმოსამარხში, რომელიც მუზეუმში მოიტანა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ლევან ნიკოლოზის ძე სისაურმა, ხოლო კოლექციების მეორე ნაწილი (ინვ. № 22—59 11—15) აღმოუჩენიათ ქვაყუთში და მუზეუმში წარმოადგინა ადგილობრივმა მცხოვრებმა მიხეილ ილიას ძე წიკლაურმა.

ვაშლაჯვრიდან, მუზეუმის ფონდებში შემოტანილია გვიანანტიკური პერიოდის შემდეგი ნივთები: ქამრის აბზინდა ვერცხლის, ინვ. № 3—22/59—1; აბზინდა ქამრის, ბრინჯაოსი № 22—59/2; ქამრის შესაკრავი ვერცხლის, № 22—59/5; ფირფიტა ვერცხლის № 22 — 59/6; ვერცხლის ბეჭდის ნამტვრევები № 22—59/7; მძივები და მძივსაკიდები № 22—59/8; ნივთი ქალკედონისა რძისფერი ინვ. № 22—59/9; მახვილი რკინისა № 22—59/10; ბეჭედი ოქროსი (958 გლ. კაბინეტი); ბეჭედი ოქროსი № 22—59/11; ნივთი ოქროსი № 22—59/12, იგი საყურის ნაწილი უნდა იყოს. გულის ფორმის ან ნუშის მსგავსი ნივთი ოქროსი (№ 22—59/13), საყურის ნაწილი უნდა იყოს, ოქროს საყურის ნაწილები სამი ცალი № 22—59/14[13].

თეთრი დუქნის წინ „თეთრდუქნის ბაღის" თავში დიღმის წყლის მარცხენა ნაპირზე, იმავე გზის მშენებლობის დროს, მუშები წააწყდნენ კერამიკულ და მინის ჭურჭელთან ერთად ბრინჯაოს ცულებს, ბრინჯაოს მახვილებს და შუბის პირებს, რომელიც თარიღდება ძვ. წ. XIII—XII სს.

თეთრ დუქანთან ახლოს, დიღმის მასივის მშენებლობაზე, რომელიც ცნობილია ტოპონიმიკაში თრელეების, ნინაურებისა და ქორქილების სახელწოდებით, უზარმაზარი ტერიტორია წარმოადგენს კულტურულ ფენას, საიდანაც ამოდის როგორც კერამიკული, ისე ბრინჯაოსი და სხვადასხვა მინერალებით ნაკეთი ნივთები.

აღსანიშნავია, რომ თვით თრელეების თავზე, სადაც სამხედრო

---

13 დიღმის სანახებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს მეცნიერულად ამუშავებს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. ქორიძე. ამიტომ ჩვენ გამოკვლევაში მხოლოდ ვასახელებთ იმ ადგილებსა და კოლექციებს, რომლებიც საქართველოს სახელ. მუზეუმის ფონდებში მოხვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა გადის, ამოდის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც ნასოფლარის კვალს სტოვებენ, სოფელი გაშენებული უნდა ყოფილიყო „თრელი გორეების“ ფერდში, რომლის თავზეც ვხვდებით „გამოქვაბულებს. მკვლევარ ეროდიონ სონღულაშვილის გადმოცემით ამ გამოქვაბულებში ხშირად უნახავს ობსიდიანის მშვილდის წვერები. იქვე გორის ძირას, მდებარე ბაღებში ჩვენ შეგვხვდა ნაცეცხლარი ადგილი, სადაც ფლატოზე მოჩანს ქვევრები, რომლებიც მზის მოქმედებით უკვე იშლება. ქვევრებთან ახლოს ადგილობრივმა მებაღემ ა. ბროლაძემ იპოვნა რიყის ქვის სამი სალესი, რომელთაგანაც ორი სუფთადაა დამუშავებული; თავები გახვრეტილია თასმის გასაყრელად და საკიდლად, ხოლო მესამე სალესის ტანი დამუშავებულია, ოღონდ სალესის თავის გახვრეტა ბოლომდის აღარ დაუსრულებიათ. ა. ბროლაძემ გადმოგვცა აგრეთვე ლამაზი თიხის ჭურჭელი, რომელიც ანტიკური ხანით თარიღდება იქვე „თრელეებისა“ და „ნინაურების“ ყოფილ ბაღებში, სადაც დიღმის მასივი შენდება მიწის გათხრების დროს, მშენებლები პოულობდნენ მრავალ კერამიკულ ჭურჭელსა და ბრინჯაოს ნივთებს, რომელთა უმრავლესობა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ამავე ადგილზე „ნინაურებიდან“ დიღმელმა მძღოლმა შ. ხელაშვილმა, რომელიც მუშაობდა დიღმის მასივის მშენებლობაზე, იპოვნა კერამიკის, ბრინჯაოსა და სხვადასხვა მინერალის ნივთები, რომლის ნაწილი გადმომცა 1960 წ. 10 ივლისს. შ. ხელაშვილს კერამიკული ჭურჭლის მთლიანად წამოღება ვერ მოუხერხებია. ამ ნივთების ერთი ნაწილი, რომელიც მუზეუმის ფონდებში ინახება, შემდეგია: ბრინჯაოს მახვილი, ბოლოზე გადატეხილი, ტარი მიწის ამოღებისას დაკარგულა, ტანი ლამაზი წრიული და წყვეტილი ფხური ორნამენტითაა შემკული, ხოლო პირის ორივე მხარეს, მოცემულია თავგადაწეული ირემი, მორბენალ პოზაში, რომლის შუაში მახვილს ჩაყვება ღარები. მახვილის ტანი ორ ნაწილად არის გადატეხილი, პირი დაზიანებულია. ამავე სამარხიდან ამოღებულია მრგვალი ბრინჯაოს „საკინძი“, რომლის შიდა ნაწილი მოტეხილია (სურ. 1) სხვა თიხის ჭურჭლის წამოღება მძღოლს შ. ხელაშვილს საჭიროდ არ უცვნია. ამავე სამარხის გვერდით, აღმოჩნდა მეორე სამარხი, რომლის ინვენტარი შედგება შემდეგი ნივთებისაგან: ბრინჯაოს წარბის ამოსაქნელი „ჩქიფი“, დაზიანებული ქინძისთავი, სამაჯური, მრგვალი ფორმის წყვეტილი ხაზებით მოხატული, დაზიანებული—გადატეხილი; სხვადასხვა მეტალისაგან გაკეთებული ყელსაბამი გულის მოყვანილობის, სამი ცალი; ექვსი მრგვალი მძივი ამავე მეტალის თეთრად (რძისფრად) შეღებილი. ქინძისთავის თავი, ადამიანის თავის გამოსახულებით „ეგვიპტური პასტისაგან“ გაკეთებული. მძივები სარდიონისა (სურ. 2).

ამავე ადგილებში „ნინაურებსა“ და „თრელეებში“ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სამუშაოების დროს, აღმოაჩინეს ადრეული და განვითარებული რკინის ხანის ძეგლები: ერთ-ერთ სამარხში შებს ენახათ ბოლოკვეთილი მახვილი ბრინჯაოსი (ინვ. № 6—60/16).



სურ. 1.

ბრინჯაოს მახვილის ფრაგმენტები (ინვ. № 6—60/17), თიხის ჭურჭლის ნამტვრევები (ინვ. № 6—60/18). ეს კოლექციები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიტანა მშენებლობის მუშამ — კარაკლოევმა.

№ 2 სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი ინვ. № 6—60/10; ბრინჯაოს შუბისპირი (ინვ. № 6—60/20); ბრინჯაოს სამაჯური (ინვ. № 6—60/27); ორი ცალი, მსხვილი მავთულის ბრინჯაოს რგოლი (ინვ. № 6—60/22); ბრინჯაოს საკინძი (ინვ. № 6—60/23); ბრინჯაოს ფირფიტიანი ნივთის ფრაგმენტები (ინვ. № 6—60/24), ბრინჯაოს ქამრის ნატეხები (ინვ. № 6—60/25); ბრინჯაოს ღილები (ინვ. № 6—60/26), თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. № 6—60/27).

სამარხი № 3. აღმოჩნდა თიხის დოქი (ინვ. № 6—60/26); თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. № 6—60/27); თიხის დოქი (ინვ. № 6—60/28); თიხის კოჭობი (ინვ. № 6—60/29); თიხის ჭურჭელი (ინვ. № 6—60/30); ბრინჯაოს საკინძი (ინვ. № 6—10/31).

სამარხი № 4. აღმოჩნდა თიხის დოქები (ინვ. № 6—60/32); სასმისი (ინვ. №6—60/33); ბრინჯაოს სამკაულები (ინვ. № 6—60/34), № 6—60/35, № 6—60/36); ბრინჯაოს ბალთები (ინვ. № 6—60/37), შუბის პირი ბრინჯაოსი, ნატეხი (ინვ. № 6—60/38).

ს ა მ ა რ ხ ი № 5. აღმოჩნდა თიხის კოჭობი (ინვ. № 6—60/43); თიხის სასმისი (ინვ. № 6—60/46); ბრინჯაოს მახათი წვრილი ფეხი ლისა (ინვ. № 6—60/45); ბრინჯაოს მავთულის საკინძი (ინვ. № 6—60/48); ბრინჯაოს წვრილი მავთულის ბეჭდები (ინვ. № 6—60/49); სარდიონისა და პასტის მძივები (ინვ. № 6—60/50).



სურ. 2

ს ა მ ა რ ხ ი № 6. აღმოჩნდა 1,5 მეტრის სიმაღლეზე, თიხის ჭურჭელი (ინვ. №6—60/51); თიხის ჭურჭლის ქვემო ნაწილი (ინვ. № 6—60/52); რკინის მახვილი (ინვ. № 6—60/53); ბრინჯაოს ქამარი (ინვ. № 6—60/54).

ს ა მ ა რ ხ ი № 7. აღმოჩნდა თიხის სასმისი (ინვ. № 6—60/56); რკინის მახვილი (ინვ. 6—60/57); ბრინჯაოს ფიბულა (ინვ. № 6—60/58); ბრინჯაოს სამაჯური (ინვ. № 6—60/59).

ს ა მ ა რ ხ ი № 8. აღმოჩნდა თიხის ლანგარი (ინვ. № 6—60/61); თიხის კოჭობი (ინვ. № 6—60/62); თიხის სასმისი (ინვ. № 6—60/63); თიხის სასმისის ფრაგმენტი (ინვ. №6—60/64); ბრინჯაოს საკინძი (ინვ. № 6—60/65), საკინძი ბრინჯაოსი მავთულისა (ინვ. № 6—60/66); ბრინჯაოს მახათი (ინვ. № 6—60/67); ბრინჯაოს წვრილი სამაჯური მავთულისა (ინვ. № 6—60/68); ბრინჯაოს სამაჯური (ინვ. № 6—60/69); ბრინჯაოს სამაჯური (ინვ. № 6—60/70); მძივები სარდიონისა და პასტის (ინვ. № 6—60/71); დოქი თიხისა (ინვ. № 6—60/72); თიხის დოქი (ინვ. № 6—60/73); თიხის დოქი (ინვ. № 6—60/74); თიხის დოქი (ინვ.

№ 6—60/75); თიხის კოჭობი (ინვ. № 6—60/76); თიხის კოჭობი (ინვ. № 6—60/77); თიხის სასმისი (ინვ. № 6—60/78); თიხის ჭურჭელი (ინვ. № 6—60/79), ლანგრის ფრაგმენტები (ინვ. № 6—60/80); თიხის ჭურ-ჭლის კოჭობის ნატეხი (ინვ. № 60—60/81); თიხის ჭურჭლის სამაჯ-სების ფრაგმენტები (ინვ. № 6—60/81); ფიბულა ბრინჯაოსი (ინვ. № 6—60/83); ბრინჯაოს მსხვილი მავთულის სამაჯური (ინვ. № 6—60/85); ბრინჯაოს წვრილი მავთულის ბეჭდები (ინვ. № 6—60/86); მახათი ბრინჯაოსი (ინვ. № 6—60/87).

აქვე თრელი გორების თავზე დიღმის გზის მარცხენა მხარეს, ამოდის ქვაყუთები, რომლის გათხრაც საინტერესო მასალას მისცემდა ჩვენს მკვლევრებს. დანარჩენი არქეოლოგიური ნივთები აღმოჩენილია დიღმის ხეობის სხვა სოფლებში, კერძოდ 1935—36 წწ. დიღმის ციხის დანგრევის დროს, ციხიდან ამოიღეს ერთი სამარხი, მთლიანი ქვისაგან დამუშავებული სახურავით, რომელიც მნახველს იზიდავს სისადავითა და სილამაზით. ამავე სარკოფაგში დასაფლავებული იყო ორი ადამიანი, რომელთა ინვენტარი შედგებოდა თიხის სხვადასხვა ჭურჭლისაგან და ოქროს ბეჭდებისა და სხვადასხვა სამკაულებისაგან, რომლებიც დაკარგულია.

ამავე ადგილებში „ციხისუბანში" ხშირად პოულობენ სამარხებს, მიწის სამუშაოების დროს, მთხრობელთა გადმოცემით შემთხვევით გათხრილ სამარხებში ინვენტარი არ გვხვდება.

1951 წ. ზაფხულში დიღომში სასახლესთან მშენებლობის დროს შემთხვევით გამოჩნდა ქვაყუთები, რომლებიც გათხარეს არქეოლოგებმა: ა. აფაქიძემ, მ. ლორთქიფანიძემ და ტ. ჩუბინიშვილმა, სადაც იპოვნეს ქალის სამკაულები, ხის მშვილდის წვერები და კერამიკული ჭურჭელი. ყველა ეს ნივთი მიეკუთვნება ანტიკურ ხანას (იხ. საქართველოს სახელ. მუზეუმის კოლექცია № 11—51/1—23). ნაოქიანის ხევის, მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მრავალ ადგილას ამოდის არქეოლოგიური ნივთები, კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის იარაღები, აქვე გლეხები მიწიდან იღებენ ღვინის ქვევრებსაც.

იქვე, მახლობლად სორსორას სერზე და მინდორში, ჯერ კიდევ მეფის დროს, უცხოელებს უწარმოებიათ გათხრა, რასაც მოწმობს დღესაც დარჩენილი მრავალი გახსნილი სამარხი. ამ ადგილებში გვხვდება ორმოსამარხები, ქვაყუთები და ქვევრსამარხები. ამოდის როგორც ბრინჯაოს, ისე ანტიკური ხანის ნივთები, განსაკუთრებით გამოირჩევა ორნამენტიანი კერამიკული ჭურჭელი, სადაც მრავლად გვხვდება შავი კერამიკული ჭურჭელი. მთხრობელთა გადმოცემით ხშირად პოულობენ ბრინჯაოს ნივთებს და სხვადასხვა ხასიათის მძივებს.

აქვე სორსორის მთის თავში, სადაც სოფ. თელოვანში შესასვლელი

გზაა, ომის დროს, დაახლოებით 1943 წ. კალოს კეთების დროს, აღმოჩნდა მრავალი კერამიკული ჭურჭელი (ქილები), რაშიც დანახშირებული ხორბალი ეყარა, აქვე აღმოჩნდა ნაცეცხლარი, შეფერფლილი სხვა ზომის ორმო და ერთი დიდი მრგვალი ქვა, რომელსაც ... ჭდეები აქვს ამოკვეთილი, ქვა ერთი მხრივ, განსაკუთრებით ლამაზადაა დამუშავებული და მოგვაგონებს ურმის თვალს, ან მზის დისკოს.

იქვე თელოვნის სამხრეთით, ტყის პირას, ადგილ ნატუსებში. მიწის დამუშავების დროს, ამოდის მრავალი ქვაყუთი, აქ პოულობენ მძივებს, ბრინჯაოს ნივთებსა და კერამიკულ ჭურჭელს. აქვე ხოდაბუნებში და ნაბაჭურის მიწებში ამოდის ლამაზი კრამიტი, სხვადასხვა ნივთი როგორც კერამიკული, ისე ბრინჯაოსი.

თელოვნის ჩრდილოეთით და კარსნისხევის სამხრეთის კალთების თავზე. ადგილ ბაჭყალაზე მრავლადაა მიმობნეული ქვაყუთები და სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები. 1952 წ. აქ, მწყემსებმა იპოვეს სართულებიანი კერამიკის ჭურჭელი, რომელიც ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ღვინის სასმის მარანს ემსგავსება. ეს ჭურჭელი ანტიკურ ხანას მიეკუთვნება, ნივთი ჩავაბარეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურ კაბინეტს.

* * *

პირველ წერილობით წყაროს, დილმისა და მისი ხეობის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ და იგი ფარნაოზის ლეგენდასთანაა დაკავშირებული. ლეონტი მროველი აღწერს რა, ალექსანდრე მაკედონელისდროინდელ საქართველოს (III ს. ჩვენს ერამდე), და იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, გადმოგვცემს: „ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქჳან მაკედონი... ამან ალექსანდრე დაიპყრა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლეთით, და შევიდა სამჴრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად“[14].

ძვ. წ. IV ს. დასასრულს მსოფლიოში დიდი ამბები დატრიალდა, სპარსეთის სამეფოს შეესია ბერძენ-მაკედონელთა დიდი არმია, ალექსანდრე მაკედონელის სარდლობით. ამ არმიის დარტყმით სპარსეთის სამეფო სწრაფად დაეცა, მის ნანგრევებზე აღმოცენებული ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაც, ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ 323 წ.), ძალე დაიშალა. დაიწყო ბრძოლა მის სარდლებს შორის, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ბოლოს აზიაში ფეხი მოიკიდა მაკედონელის ერთ-ერთმა სარდალმა სელევკმა, რო-

---

14 ქართლის ცხოვრება. ტ. I. 1955, გვ. 17.

მელიც გახდა ახალი სამეფოს დამაარსებელი, და ცნობილია სელევკიდების სამეფოს სახელწოდებით[15].

როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო „ყოველი ქართლი“, როგორც ამას ქართლის ცხოვრების ავტორი გადმოგვცემს, ქართველად დასვა სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ერისმთავარი აზონი, მისცა ჯარი „ასი ათასი კაცი ქუეყანით ჰრომით რომელსა ჰქჳან ფროტათოს, ესე ფოტათოსელნი იყენეს კაცნი ძლიერნი და მჯნენი და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა. და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონს პატრიკსა, და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ, და მის თანა სპანი იგი. მპყრობელად ქართლისა“[16]. ხოლო შემდეგ აზონმა ძალაუფლების განმტკიცების მიზნით „ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღჳნა ზღუდენი და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი. ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითაგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა“[17], ასევე დაიპყრო ეგრისიც და მოხარკედ გაიხადა ოსნი, ლეკანი და ხაზარნი[18].

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ აზონი მორჩილებდა „ბიზანტიოსს მეფესა საბერძნეთისასა“, აზონის მმართველობა ასეა დახატული ლეონტი მროველის მიერ: „იყო კაცი ძნელი და მესისხლე და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი“ და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესერთ ქართველთა ზედა, და ვინცავინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“[19]. დაუნდობელი აზონი არც მის დასაყრდენ ძალას ინდობდა „და ესე აზონ მათ ჰრომთაცა ზედა იყო მესისხლე და მოესრნეს მრავალნი მათგანნი“[20]. დასჭენს ქართველი ისტორიკოსი.

ასეთი შევიწროება და სისასტიკე როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე აზონის რაზმებში ფარულ უკმაყოფილებას იწვევდა, რითაც ისარგებლა მცხეთის მამასახლისის ძმისწულმა ფარნაოზმა. „...ესე ფარანვაზ იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსნი ასპანელი, და იყო იგი ძმისწული სამარისი, რომელი მოსვლასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახ-

---

15 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, 1955, გვ. 138.

16 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 18.

17 ი ქ ვ ე, გვ. 19.

18 ი ქ ვ ე, გვ. 19.

19 ი ქ ვ ე, გვ. 20.

20 ი ქ ვ ე, გვ. 20.

ლისი ყოფილიყო“. ხოლო—„ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნაოზისი“[21]. ალექსანდრეს მიერ დახოცილები იყვნენ, ხოლო სამი წლის ფარნაოზი წაეყვანა დედას და მთებში შეხიზნულა, სადაც გაზრდილა ფარნაოზი. დავაქკაცებული იგი ოჯახით მცხეთას ბრუნდებოდა ... სა თჳსსა“[22].

საინტერესო წყაროს მიხედვით „ფარნაოზ იყო კაცი გონიერი, მჴედარი შემმართებელი და მონადირე ჴელოვანი. და იმალვიდა იგი სიკეთესა თჳსსა აზონის შიშისაგან. ხოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა, და შეიყუარა იგი აზონმან მონადირეობისათჳს. ეტყოდრებოდა ფარნავაზს დედა მისი: შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს და ნურარას იჩინებ თავსა შენისა სიკეთესა, ანუ უკუე მოგკლან შენ“[23]. მუდამ შიშსა და ძრწოლაში მყოფმა ფარნაოზის ოჯახმა ბადაწყვიტა აზონისაგან გაცილება, სამშობლოს დატოვება და გადახვეწა დედის ძმასთან „ასპანს“. თუმცა როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს „ჭირ უჩნდა ფარნავაზს დატევება საყოფელსა მამათა მისთასა. არამედ შიშისაგან დედისა დაამტკიცა წარსვლა“[24].

შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ერთ დღეს ფარნაოზი სანადიროდ გავიდა მცხეთიდან მარტო, რომელმაც: „დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტყორცნა ისარი და ჰკრა ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა; და დღე იგი, მწუხრი, გარდაჴდა, და დაჴდა ირემსა მისთანა, რათამცა დაყო მუნ ღამე და დილიულმცა წარვიდა.

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომელისა კარი აღმოქმნულ იყო ქჳთა ძუელად, და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღვევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წჳმა მძაფრი, ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღვა კარი ქუაბისა მის, რითამცა მუნ შიგ დაიმშრალა წჳმისა მისგან, და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ-შინა განძი მოუწდომელი ოქრო და ვერცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა მიუწდომელი“[25].

მაშინ ფარნაოზმა „დაჰკრძალა კარი ქუაბისა ეგრეთვე“ და ოჯახის შესატყობინებლად მცხეთას დაბრუნდა. იმავე ღამეს დედისა და ორი დის თანხლებით უკან დაბრუნდნენ განძის გადმოსატანად: „...მასვე ღამესა წარმოვიდეს სამნივე იგი საჴედრებითა და ჭურჭლებითა და

---

21 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 20.
22 იქვე, გვ. 20.
23 იქვე, გვ. 21.
24 იქვე, გვ. 21.
25 იქვე, გვ. 22.

იწყეს გამოკრეფად განძისა მის და დაფლვად სიმარჯუესა თჳსსა, ხოლო ვითარ განთენდებოდის, კუალად ეგრეთვე აღმოქმნიან ... ბისა და მის ესრეთ გამოკრიბეს განძი იგი ხუთ ღამე და ... სიმარჯვესა მათსა"[26].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ მოტანილი საისტორიო გადმოცემიდან ჩანს, ფარნაოზი დიღმის მინდორზე გამოსულა სანადიროდ და იქიდან დასდევნებია ირმებს, თბილისის მიმართულებით. დიღმის მიდამოები მდიდარია გამოქვაბულებით, კერძოდ: მილიხევის, თრელიგორების, ქვაბებისთავის, ონადირის, მაჩხაანისა და სხვა გამოქვაბულებით. თუ ფარნაოზმა „დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა და ილტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა"[27]. ირმები, მაშინ სამხრეთით გაქცეულან, როგორც ამას ქართლის ცხოვრება გადმოგვცემს ფარნაოზი უეჭველად გაივლიდა თრელიგორებს, ქვაბებისთავს და ონადირს, ამ დასახელებულ ადგილს ფარნაოზი გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან გეოგრაფიულად ეს ადგილები თრელეებისაკენ ვიწროვდება, მტკვრისა და ლისის მთების მეშვეობით, ხოლო რაც შეეხება თბილისის უახლოეს მისადგომ მხარეს, არც ერთი გამოქვაბული არ არის ცნობილი. გარდა თრელისა და ონადირის გამოქვაბულისა. საინტერესოა ისიც, რომ განსვენებულმა მკვლევარმა, თედო სახოკიამ პირად საუბარში გამოთქვა აზრი, რომ სიტყვა „ონადირი" — „ონადისი" სანადიროდ განკუთვნილ ადგილს ნიშნავს მეგრულშიო. ასევე დიღმის ხეობის მოსახლეობაშიაც ონადირი სანადიროდ განკუთვნილ ადგილად არის ცნობილი, მთხრობელთა გადმოცემით: „ძველად ონადირის ტყეში ბევრი ნადირი და ფრინველი ყოფილა, ჩემ დროსაც იყო, ხოხობი და კაკაბი, გლეხები ამ ადგილას ვერ ინადირებდნენ. ონადირის წმინდა გიორგი დაამიზეზებდა, ბატონები ნადირობდნენ, ბაგრატიონები იყვნენ, წინათ ასეთი მაგარი ტყე იყო ონადირში რომ, კაცი მაღლა რომ შაიხედავდა ცას ვერ დაინახავდა" (სოფ. დიღომი, მთხრობელი ილა კოლოტაური, 1954 წ.) ასეთ ფაქტს, სხვა მთხრობლებიც გვიდასტურებდნენ.

ამას გარდა, თუ ფარნაოზმა განძი არა ონადირში, არამედ თბილისში იპოვა, მაშინ იგი იმავე ღამეს ვერ მოახერხებდა სიშორის გამო განძის გადაზიდვას, მაშინ როცა ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ „...დაპკრძალა კარი ქუაბისა ეგრეთვე, და მსწრაფლ წარმოვიდა და უთხრა დედასა თჳსსა და ორთა დათა მისთა. და მასვე ღამესა წარმოვიდეს სამნივე იგი საჴედრებითა და ჴურჴლებითა, და იწ-

---

26 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 22.

27 იქვე, გვ. 22.

ყეს გამოკრებად განძისა მის და დაფლვად სიმარჯუესა თჳსსა. ხოლო ვითარ განთენდებოდის, კუალად ეგრეთვე აღმოქმნიან [illegible] მის"[28]. ამ შემთხვევისათვის უფრო დამაჯერებელი [illegible] მია „ონადირი" ან „თრელები" ვიდრე თბილისის რომელიმე მხარე: როგორც ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ, ფარნაოზი იმავე ღამეს დაბრუნებულა მცხეთაში. მოუმზადებია ოჯახის წევრები და სახედრებით უკან გამობრუნებულა განძის გადასატანად, თბილისის მიმდგომ მხარეს რომ ყოფილიყო განძი გამოქვაბულში სახედრებით მისვლას და უკან მცხეთაში დაბრუნებას, დიდი დრო დასჭირდებოდა და ვერც მოასწრებდნენ, რათა განძი დაეფლათ „სიმარჯვესა თჳსსა. ...ვითარ გათენდებოდეს"[29]. ამიტომ ვფიქრობთ ზემოთ მოყვანილი გამოქვაბული დიღმის „ონადირის" ან „თრელეებისა" უნდა ყოფილიყო.

როცა ფარნაოზმა დაიგულა განძი „სიმარჯუესა ალაგსა, მაშინ გაგზავნა მონა თჳსი ქუჯის თანა" (ეგრისის ერისმთავართან) „და რქუა: მე, ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის —ძისა და ძმისწული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხუასტაგი დიდიძალი, აწ ინებო, რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენთანა, და ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიჴმაროთ ჩუენ ხვასტაგი იგი ორთავე. გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერისთავსა და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი"[30].

ფარნაოზის მოციქულს ქუჯი სიხარულით შეხვდა, ფარნაოზი თავისი ოჯახით ფარულად გადავიდა ეგრისში, თან წაიღო განძის ნაწილი და იქიდან ხელმძღვანელობდა აჯანყებისა და აზონის განდევნის ორგანიზაციის გეგმას. „მაშინ შეირთნეს და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა. ხოლო მათ განიხარეს. რამეთუ არა სთნდა ხარკისა მიცემა აზონისა, და გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი და განიმრავლნეს სპანი. ეგრისით შეკრბეს ურიცხუნი სპანი და მომართეს აზონს. ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თჳსთა და შემოიკრიბნა.

მაშინ ათასნი მჴედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს, ხოლო სპანი რომელ დარჩეს აზონს, ვერღარა მიენდო მათ, რამეთუ ყოველთა ზედა ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა"[31].

ფარნაოზმა აზონი მცხეთიდან განდევნა, ხოლო თვითონ „დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი. და მასვე წელიწადსა შინა და-

---

28 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 22.

29 იქვე, გვ. 21.

30 იქვე, გვ. 22.

31 იქვე, გვ. 23.

იპყრა ყოველი ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა... ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით, განძლიერდა ფარნავაზ. მართა ფარნავაზს. ხოლო ფარნავაზს განემრავლენეს მჴედრნი ქართლისანი, მოუწოდა მათ და უჴმო ქუჴის და ოვსთა და შეკრბეს ესე ყოველნი, და მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით. და ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ და მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჴთა ქალაქი, რომელ არს ჰური, და ეწყვნეს მუნ, და იქმნა ბრძოლა დიდიძალი, და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხჳ. ხოლო იძლივნეს ბერძენი ფარნავაზისგან. ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ. და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე ქმნნეს.

და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკლეცით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი და წარვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა. ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ხუასტაგი აზონისცა. და იქმნა სიმდიდრე გარდარეული"[32].

ფარნაოზმა გამარჯვების შემდეგ მოლაპარაკება გამართა სელევკიდების სამეფოსთან, სადაც ამ დროს სამეფოს დამაარსებელი სელევკის შვილი ანტიოქოს I მეფობდა, ანტიოქოსმა იცნო ფარნავაზის სამეფო და მასთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა[33] რის შესახებაც ქართლის ცხოვრებაში შემდეგს ვკითხულობთ: „ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დიდძალი, და აღუთქვა მას მსახურობა, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა, ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი, და უწოდა შვილად თჳსად, და წარმოსცა გჳრგჳნი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს"[34].

ზემოთ მოყვანილი ცნობების მიხედვით „ფარნავაზის აჯანყება და მისი გამეფება ქართლში (იბერიაში) ანტიოქოს I მეფობის დროს მომხდარა. ესე იგი ძვ. წ. ა. III ს-ის 70-იანი წლები უნდა იყოს. ანტიოქოს I მეფობის დასაწყისი"[35].

ამრიგად, როგორც ქართული საისტორიო წყაროები მეტყველებენ:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა

---

[32] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 23.

[33] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[34] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 23.

[35] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

სხვა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შეკმნა ერთ-ნობრობა ქართული"[36].

ასეთია ის წერილობითი ცნობა, რომელსაც ქართული ეროვნული ტრადიცია საქართველოს გაერთიანებისა და ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ეხება, სადაც დიღომსაც საინტერესო და საყურადღებო ადგილი აქვს მიჩნეული, ფარნაოზის დიღმის მინდორზე ნადირობით და გამოქვაბულებში ნაპოვნი განძის მეშვეობით.

დიღომი და მისი მიდამოები არაერთხელ მორწყულა შემოსეული მტრის სისხლით, რადგან დიღომი და მისი ხეობა იყო საქართველოს დედაქალაქ მცხეთაზე მისასვლელი გზა. საქართველოს მესვეურებს ეს კარგად ესმოდათ და წინასწარ ამაგრებდნენ დიღმის მიდამოებს, სადაც არაერთი გადამწყვეტი ბრძოლა მომხდარა. ასე მაგ., ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს გაუმაგრებია დიღომი სპარსელების წინააღმდეგ და მთელი თავისი ძალები დიღმის მიდამოებში დაუბანაკებია: „...ვახტანგ განაძლიერა ციხე ქალაქისნი, და ურჩეულესი მებრძოლი ერისა მისისა ვითარ ასიათასი მჯედარი და ასიათასი ქუეითი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე, და სპარსთა დაიბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩაღმართ"[37].

არაბების ბატონობის ხანაში, მიუხედავად იმისა, რომ დიღმის ხეობა ბოლომდის თბილისის საამიროს მფლობელობაში შედიოდა, აქ არ შეწყვეტილა ქრისტიანული საკულტო ნაგებობათა მშენებლობა, რაც თავისთავად ერთხელ კიდევ მეტყველებს ამ ნაწილში კულტურული კერის ჩაუქრობლობას. ასეთებია მაჩხაანის წმინდა გიორგი IX ს-ის[38] და დიღმის წმინდა გიორგი X ს-ის დამლევისა, რომელთა წარწერები საისტორიო ღირებულებას წარმოადგენს.

წერილობითი წყაროები დიღმის შესახებ გვხვდება საქართველოს გაერთიანების ხანაშიც. მაგ., ამირა ჯაფარის (1046 წ.) გარდაცვალების შემდეგ, თბილისელმა ბერებმა ბაგრატ მეფე თბილისში მოიწვიეს, რომელიც იმ დროს აფხაზეთში იყო:—„იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო: მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად. და მოვიდეს ტფილელნი ბერნი, რამეთუ მის ჟამისა პირველ მომკუდარიყო ტფილელი ამირა ჯაფარ. უქადეს ქალაქი და უჴმეს სასწრაფოდ წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო

---

36 ქართლის ცხოვრება, ტ. I გვ. 26.

37 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 179.

38 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1952, ტ. XIII, № 7, გვ. 442.

39 ბ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, დიღომი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII—B, 1953, გვ. 81.

აფხაზეთისა ლაშქრითა. ამოიარა და მოვიდა ქუთაისს და მოიყვანა ქუ-
თაისისა სამოქალაქოსა ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი
ანნი მოიყვანნა ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკავანნი და
ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს, და მოვიდეს სხუანი მჴმობელ-
ნი ბერნი ტფილელნი"[40]. თბილისისაკენ მომავალ ბაგრატ მეფეს თბი-
ლისელი დიდებულნი დიღმის მინდორზე მიეგებნენ დიდი ზეიმითა და
დღესასწაულით; „წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერ-
ნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა ველსა, და ყოველი ერი ქუე-
ითი დაკაზმული უმედეულსა, და დედათა და მამათა სიმრავლე იყო მო-
ედანს, და იყო ჴმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომ-
ლისა ჴმითა იძვროდა ქუეყანა; და იყო სიხარული ორკერძოვე განსა-
კჴრეველი. შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი ასხმიდეს დრამასა და
დრაჰკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამი-
როსა დაბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად, აღიხუნა კოშკნი კარ-
თანი თავის კაცითა, და აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და ორნივე
კოშკნი წყალყინისანი და თაბორი „და დაადგინნა შიგან ლაშქარნი
ოჴსნი და ერისთავნი"[41].

დიღმის ხეობა ბევრჯერ ქცეულა მტრის სათარეშო ასპარეზად. დიდთურქობის დროს დიღომი მტრის ურდოების სადგომად გადაქ-ცეულა, საიდანაც ისინი თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ მეზობელ მხარეებს. თურქთა თარეშს ბოლო მოუღო დავით აღმაშენებელმა. და-ვით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისა-თა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, გაძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი, და არღარა მისცა, სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ველარ დაიზამ-თრებდეს ქართლსა. რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწევხაა თა-ნა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დიღომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური"[42].

ამავე ხანებში დიღმის ხეობის სათავეებში მოხდა დიდი ბრძოლა, რომელიც საქართველოს ისტორიაში „დიდგორის ომის" სახელითაა ცნობილი. დიღმის ხეობის მიდამოებში ორი დიდგორია, ერთი—„ქვე-მო და მეორე—„ზემო". ქვემო დიდგორი დიღმის თავზეა, ხოლო ზე-მო დიდგორი დიღმის ხეობის თავში. ზემო დიდგორის მთიდან იღებს სათავეს რამდენიმე ხეობა, მაგალითად, კავთურას, ნიჩბისის, ვერის ხეობები, ხოლო ხეკორძულა და დიღმის ხეობა დაკავშირებულია დიდ-გორის მთის კალთებით. ყველა ამ ხეობის გზა თავს იყრის ზემო დიდ-

---

40 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 299.
41 იქვე, გვ. 299.
42 იქვე, გვ. 326.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორზე, საიდანაც მერე ერთი მთავარი გზა კლდეკარისაკენ მიემართებოდა. დიდგორიდან დიღმის ხეობისაკენ მომავალ გზას „ადიღმელი" ეწოდებოდა.

საქართველოს ისტორიაში ცნობილი დიდგორის ომი მოხდა ზემო დიდგორზე, თუმცა მრავალი თქმულება ქვემო დიდგორსაც ასახელებს, რაც სხვა ბრძოლების ეპიზოდებს უნდა ეხებოდეს.

თვითონ დიდგორი ყვავილნარით აყვავებული, უტყეო მთაა, რომლის კალთები ტყით არის გარემოცული. ეს ულამაზესი და „ჰაეროვანი" ადგილი ძველიდანვე ყურადღების ცენტრში ყოფილა, როგორც სააგარაკო და კეთილი ადგილი (წყლით, ჰაერით, ნადირით, ფრინველითა და საძოვრებით). ლიტერატურული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ დიდგორი, მეფეთა საზაფხულო სადგომად ყოფილა განკუთვნილი. ამას მოწმობს ქართლის ცხოვრების ცნობაც. მაგ., როცა ბაგრატ მეფე გაზაფხულით გადმოვიდა დასავლეთ საქართველოდან: „...ქართლად და ჩადგა დიდგორთა, რამეთუ საზაფხულო მეფეთა სადგომი არს ადგილი იგი. ხოლო ფადლონ არად შერაცხა დიდგორთა დგომა მეფისა. წარმოემართა ლაშქარითა, ოცდაცამეტი ათასითა კაცითა. მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ველსა ისნისასა. ხოლო მუნ დაუტევნა კარავანი და აღმოვლო ღამე ყოველ მუხრანისა, და არბივნა ქართლისა ნაპირნი"[43]. დიდგორის, საზაფხულო სააგარაკო ადგილად და მეფეთა სადგომად გამოყენების შესახებ ცნობებს ვკითხულობთ ისტორიულ დოკუმენტებსა და წერილობით წყაროებში. მაგალითად, ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით დიღმელებს ევალებოდათ მეფის დიდგორზე დგომის დროს ბარგის ზიდვა და ცხენის თხოვება[44], რაც იმას მოწმობს, რომ დიდგორს ბოლო ხანამდე ტრადიციით შეენარჩუნებია სააგარაკო მნიშვნელობა. გარდა ბარგის ზიდვისა. ხეობის გარშემო მდებარე სოფლებს მეფისათვის „დიდგორზე დგომის" დროს სამასპინძლო ძღვენი უნდა მიერთმიათ. მაგალითად, როსტომ მეფის მიერ 1634 წ. მერაბ ყორღანიშვილისადმი მოცემულს სითარხნის წიგნში ნათქვამია, რომ: „მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ნაოხარის ნასოფლარის ზემოშავთ, თარხნობის წყალობას გუიაჯენით... თარხნობისა წიგნი გიბოძეთ ასრე და ამა პირსა ზედან. რომე რაზდენიც ერთიცა გლეხი ზემოშავთ მერაბ კორღანიშვილმან დასახლოს არასფერისთანა საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს რა: არა კოდის პური, არა საბალახე, არა საჯინიბო, არა საბაზიერო ქათამი, არა საური, არა მკა და თიბვა, არა ციხისა და ქალაქის მუშაობა და შეშის

---

43 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 310.

44 ვახტანგ VI, დასტურლამალი, გვ. 23.

ზიდვა თუ-ინიერ ერთის ლაშქარ ნადირობისა და წელიწადში ერთელ დიდგორზე სამასპინძლოს მორთმევისაგან კიდე, რისაც შემ[illegible] იქნებოდნენ იმ წესით სამასპინძლო უნდა რომე მოგუართ[illegible] მეტი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არ ეთხოვებოდეს რა ზემოშავთ მსახლობთ გლეხსა"[45].

ზემო დიდგორის მთა საქართველოს ისტორიაში არა მარტო მეფეთა საზაფხულო საგარაკო მნიშვნელობის მქონე მხარედ იყო ცნობილი, არამედ იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცნობილია „დიდგორის ომის" სახელითაც, რომელიც მოხდა 1121 წ., რის შედეგადაც თურქების აღვირახსნილ ნავარდს ბოლო მოეღო. დამარცხებული მაჰმადიანნი იძულებულნი შეიქნენ ახალი გამოსავალი ეძებნათ და ამ მიზნით მიდიან საჩივლელად „სულტანთან", რომელმაც იღო საჩივარი მათი და სხვადასხვა მაჰმადიანური ქვეყნების გაერთიანებული ლაშქარი საქართველოსაკენ გამოისტუმრა. ამის შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი შემდეგს იუწყება: „ამათ ესევითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კულად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ჴელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომელთა აღძრნეს წყალობად თჳსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა.

მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თჳსი მალიქი და ყოველი ძალი მისი, და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი, კაცი დაჰმანი და მრავალღონე. და უბრძანა თურქმანობასა სადღაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მჴედრობად შემძლებელსა, ამათ თანა ათბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა"[46].

ამრიგად, როგორც ირკვევა, თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლებმა დახმარება, პირველ რიგში, სთხოვეს სულთანს, ერაყის სელჩუკიანთა იმდროინდელ გამგებელს, მაჰმუდ მოჰამედის ძეს (1117—1131 წწ.); ეს იყო მაჰმადიანთა ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი. ყურადსაღებია აგრეთვე დავითის ისტორიკოსისა და მათე ურჰაელის ცნობები, რომელთა მიხედვით თბილისელთა წარმომადგენლები არ დაკმაყოფილებულან მარტოოდენ სულთან-

---

45 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ი ს გამოცემა, 1955, გვ. 114.

46 ქართლის ცხოვრება, ტ. I გვ. 340.

თან მისვლით და სხვა მაჰმადიან მფლობელებთან „ყოველ სპარსეთსა“ თუ არაბთა ოლქებში“ თვით, უშუალოდ გაუმართავთ მოლაპარაკებანი.

მათე ურჰაელის ცნობით, ილღაზმა „ბრძანა შეკრებილ ... სი ჯარების სიმრავლე, ყოველი ტომი თურქმანთა, ბერძენთა ქვეყნიდან ვიდრე აღმოსავლეთისაკენ ყოველი კარმიანი და ქმნა რიცხვი თავისი ჯარისა ასორმოცდაათი ათასი“. ასე რომ, მარტო ილღაზს, მათეს ცნობით, 150 000 მოლაშქრე გამოუყვანია, მის მიერ მოწოდებულ „არაბთა მეფეს“ დუბეისს ათი ათასი და მოკავშირენი 160 000-იანი ლაშქრით განძაში დაბანაკებულან. ამავე ისტორიკოსის ცნობით, განძაშივე „მოვიდა სულთანი მელიქი (ე. ი. თოღრული მოჰამედის ძე) ოთხასი ათასი მხედრით, გულადი კაცებით. ისინი დაიძრნენ საშინელი სიმრავლით და შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქალაქ თბილისის მხარეს“. როგორც მათე ურჰაელის ცნობიდან ჩანს, მაჰმადიან მფლობელთა გაერთიანებული ლაშქრის რიცხვს 560 000-ისათვის მიუღწევია[48].

ასეთსავე დიდ რიცხვს ასახელებს ანტიოქიის სამთავროს კანცლერის გოტიეს მონაცემები. მისი ცნობით „...ალეპოდან წამოსულმა ილღაზიმ შეკრიბა თურქმენებისა და არაბების ურიცხვი ჯარი, როდესაც მან ნახა შეკრებილთა სიმრავლე, უაღრესი ამპარტავნობით თავგასულმა გადაწყვიტა, ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად მოეწყო ლაშქრობა დავით მეფის წინააღმდეგ... სულთანი და თვით ილღაზი ექვსასი ათასი მეომრით სალაშქროდ შევიდნენ მეფის ქვეყანაში“. ე. ი. მათე ურჰაელისა და გოტიეს ცნობა თითქმის ერთი და იგივეა, მათე 560 000 კაცს ასახელებს, გოტიე კი—600 000[49].

მტრის ლაშქრის თავმოყრა დიდგორის სანახებში 1121 წლის აგვისტოს ათ რიცხვამდე უნდა მომხდარიყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მართალია 12 აგვისტოს ასახელებს მტრის მოსვლის თარიღად, მაგრამ, როგორც მკვლევრები ასკვნიან. ეს თარიღი ბრძოლისა უნდა იყოს და არა გაერთიანებული მაჰმადიანური სამყაროს ლაშქრის შემოსვლისა საქართველოს ტერიტორიაზე[50].

დავით აღმაშენებელი მტრის კოალიციას მზად დახვდა... გოტიეს სიტყვით „მეფე დავით ოთხმოცი ათასი მეომრით... იდგა ერთ ხეობაში ორს მთას შორის მდებარე დაბურულ ტყეში“, ხოლო სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი არა მარტო ლაშქრის რაოდენობას, თვით მისი შემადგენლობის შესახებაც გვაძლევს საინტერესო ცნობებს. და-

---

47 შ. მ ე ს ხ ი ა, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 51.

48 ი ქ ვ ე, გვ. 59.

49 ი ქ ვ ე, გვ. 59.

50 ი ქ ვ ე, გვ. 61.

ვით მეფე ბრძოლის ველზე „მოვიდა თურქთა ჯარების წინააღმდეგ რომოცი ათასი ძლიერი და გულადი კაცით და გამოცდილი მეომრით. მას ჰყავდა სხვა ჯარებიც ყივჩაღთა მეფისაგან, თხუთმეტიათასი ულადი და რჩეული, ხოლო ალანთა ტომისაგან ხუთასი კაცი ალანთა ასი". ასე რომ, დავით აღმაშენებლის ლაშქრის რაოდენობა, ამ ცნობის მიხედვით, 56 000-იც კი არ ყოფილა[51].

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით მაჰმადიანთა მხედრობის წინააღმდეგ: „მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებელად, — ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედმიწევნით ყოველსავე"[52].

საინტერესო ცნობას გვაწვდის გოტიე, რომლის მოწმობით დავით აღმაშენებელს ბრძოლის წინ მოწოდების სიტყვით მიუმართავს თავისი ლაშქრისათვის: „ეჰა, მეომარნო ქრისტიანნო: თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შეუტიოთ"[53].

ცნობის მიხედვით, დავითის ლაშქარი დაბანაკებულია ხეობაში, რომლის ვიწრო შესასვლელიც ხეთა ხორგებით შეუკრავთ, ამით მეფეს თავისი ლაშქრისათვის უკანდახევის ეს ერთადერთი შესაძლებლობაც მოუსპია... ასეთი ღონისძიების შემდეგ მებრძოლებს ან უნდა გაემარჯვათ, ანდა მტრისადმი ზურგშეუქცეველი სიკვდილით დაემტკიცებინათ თავიანთი თავდადება ღვთისა და მეფისათვის[54]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით „პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ჴელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზე-

---

51 შ. მ ე ს ხ ი ა, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 62.

52 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 341.

53 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

54 ი ქ ვ ე, გვ. 66.

გარდმო ფარვიდა მას, და წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳსითა ეხსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელთაჲ: იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და [illegible] დეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯჳთ და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომელითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა"[54ა].

ამ ბრძოლის ამბებს სხვა ისტორიკოსებიც აღწერენ (ალ-ფარიკი, იბნ-ალ-ასარი). თუ არაბი ისტორიკოსის იბნ-ალ-ასარის ცნობას დავუჯერებთ: „ბრძოლა ტფილისის მახლობლად მომხდარა. ორივე მოპირდაპირე მხედრობა რომ საომრად გამწკრივდა, ქართველთა მხრივ 200 ყივჩაღი წამოვიდა თურმე და მაჰმადიანთა რაზმისაკენ გაემართა. მაჰმადიანთ ეგონათ ყივჩაღი ალბათ შეწყალებისა დანდობის სათხოვნელად მოდიანო, მაგრამ ისინი უეცრად მაჰმადიანთა ჯარში შეიჭრნენ და ხოცვა დაუწყეს"[55]. ამ სამხედრო ტაქტიკის წყალობით გამარჯვებულმა ქართველმა მხედრობამ 10 ფარსახის მანძილზე უკან სდია თავზარდაცემულ მტერს, ამ დროს მაჰმადიანთა უმეტესი ნაწილი დაიღუპა, 4000 კაცი კი ქართველებს ტყვედ ჩაუვარდა[56].

ზემო დიდგორის ბრძოლის აღმწერ ისტორიკოსებს მოეპოვებათ ცნობები თურქსელჩუკიანთა ლაშქრის ზარალის საერთო რაოდენობის შესახებაც. მაგალითად, გოტიეს ცნობით ამ ბრძოლაში „საქართველოს მეფის მახვილით მოისპო ოთხასი ათასი კაცი". ასეთსავე ცნობას იძლევა მათე ურჰაელიც. მისი სიტყვით... იქმნა რიცხვი თურქთა ამოწყვეტილი ჯარისა ორმოცი ბევრი (400 000), ხოლო შეიპყრეს ოცდაათი ათასი კაცი". საერთოდ კი, მათეს ცნობით, მტრის ყოველი ათასი მოლაშქრიდან ასიც კი არ დარჩენილა ცოცხალი[57].

საქართველოს ლაშქარმა მრავალრიცხოვან ტყვეებთან ერთად დიდიძალი ალაფიც (ნადავლი) იგდო ხელთ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით: „სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარავებითა სრაფარდაგებითა, სხჳთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თჳთოსახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთა, საბანელთა და სამზარეულო-

---

54ა ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 341.

55 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 203.

56 ი ქ ვ ე, გვ. 203.

57 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

თათა, რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად! და რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ, და სხუათა გოლიათთათჳს რადღა რამცა გჳნდოდა თქმად"[58]. ... ალაფის ხელში ჩაგდებას სხვა ისტორიკოსებიც აღნიშნავენ. ... ჰაელის სიტყვით, მტრის უპატრონო „ცხენებისა და დაყრილ იარაღსაჭურველისაგან დაიფარა ყოველნი პირნი ველთანი"[59].

ზემო დიდგორზე თურქ სელჩუკებზე გადამწყვეტ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიური განვითარების თვალსაზრისითაც. იგი მოასწავებდა პროგრესული, ინტენსიური მეურნეობის გამარჯვებას პრიმიტიულ-ექსტენსიურ მეურნეობაზე. თურქებისა და მათი ჯოგების განდევნამ, ბრძოლის ასპარეზის საქართველოს საზღვრებს იქით გატანამ ქართველი გლეხი დაუბრუნა თავის მამაპაპეულ მიწა-წყალს და მას დოვლათის მშვიდად წარმოების შესაძლებლობა შეუქმნა. კიდევ უფრო დაწინაურდა და გაფართოვდა ხელოსნობა და ვაჭრობა, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება[60].

1121 წ. 12 აგვისტოს ზემო დიდგორის ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებისათვის: „მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრის დამარცხებამ დაამტკიცა, რამდენად გამრავლდა და გაძლიერდა საქართველო: რაკი თურქები ასე ბრწყინვალედ ძლეულ იქმნენ, მტრები წინანდებურად საქართველოს აბუჩად აგდებას ვეღარ გაბედავდნენ"[61].

საქართველოს ისტორიაში დიღმის ხეობას მომდევნო საუკუნეებშიც იხსენიებენ. კერძოდ, ქართლის გმირი მეფე სვიმონი მრავალი წლის განმავლობაში მდგარა დიღომში და იქიდან იბრძოდა თბილისის განთავისუფლებისათვის, ჯერ სპარსელების, მერე თურქების წინააღმდეგ. ეს ბრძოლები საქართველოს ისტორიულ წყაროებში დიღმის ომებადაა წოდებული. მეფე სვიმონის დიღომს დგომა არა მარტო სტრატეგიული მნიშვნელობით იყო გამიზნული, არამედ სვიმონის დგომით თბილისს ეცლებოდა ხელიდან ერთი დიდი ნედლეულის მიმწოდებელი ბაზა, რაც ერთობ გარკვეულ სიძნელეებს შეუქმნიდა დამპყრობელთ.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, ციხედიდთან ქართველთა დამარცხების ჟამს 1560—1561 წ. სვიმონ მეფეს თავისი უმცროსი ძმა დავითი შემოსწყრა და შაჰ-თამაზს ეახლა კარზე. ქართლის ცხოვრების ავტორი ამ ამბავს ასე გვაუწყებს: „...უმრწესი ძმა მეფისა სვიმონისი,

---

58 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 342.

59 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

60 ი ქ ვ ე, გვ. 93.

61 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

სახელით დავით, და შემოსწყრა ძმასა თჳსსა. მეფესა სვიმონს და წარ-
ვიდა შაჰ-თამაზ ყაენის კარსა, ყაენი ყაზმინს იყო და, რა დავითის მოსცა-
ლა ჭელმწიფეს მოაჯსენეს, დიდად იამა, და სრულ [illegible]
კარზედ იყო, წინ მიაგება და უფროსი ერთი ბარათიანნ[illegible]
და მისის ძმის მეფის სვიმონისაგან შემომწყრალი იყო. ამისათჳს უფ-
რო დიდად პატივცეს და შვილობის რაყამი უბოძეს, და მეჯლიშშიგან
ყაენმან თჳსსა სიახლოვეს დაისუა, და ვითაც ჭელმწიფესა ქუეშ
ძოუფინეს და დორი დაუდვეს, და ზედ დასუეს და მისი თავადები
მეჯლიშში დასხეს და ალაგ-ალაგ შუაში ჩაუსხდნენ"[62]. ამ პატივით
თავბრუდახვეულნი დავით ბატონიშვილი და მისი ამალა გმობენ ქრის-
ტიანობას და მაჰმადიანურ სარწმუნეობას ღებულობენ. გამაჰმადიანე-
ბულ დავით ბატონიშვილს უწოდეს დაუთ-ხანი, რომელსაც მისცეს სა-
ჭელმწიფო იარაღი, მისვე თანმხლებ პირებს მისცეს ცხენები, იარაღი
და სხვა საჩუქრები, სულ ცხრაათასის თუმნისა იყო ყველა ეს საჩუქა-
რი, რაც ყაენმა ქართველებს უბოძა. ამასთან ერთად დავითს „ქალაქი-
სა და სომხით-საბარათიანოს მეფობა მიცეს, და რაყამში შვილობით
ჩაწერეს და მესტუმრე თან გაატანეს, დიდის პატივითა და მორჭმით გა-
მოისტუმრეს, და წელიწადში თჳთოს ნაპირის ხანს მეფის დავითის
მცველად თავისის ლაშქრით მოუყენებდნენ ქალაქის ციხეში"[63]. ზე-
მოთ მოტანილი ამბის შემდეგ რასაკვირველია, შაჰ-თამაზს რომ ასეთი
ზეიმით მიეღო დავით ბატონიშვილი, მაშინ როდესაც ქართლის მე-
ფის ლუარსაბის წინააღმდეგ იძულებული იყო ხუთჯერ გაელაშქრა სა-
ქართველოში, ოცი წლის განმავლობაში იბრძოდა მის დასამორჩილებ-
ლად, ახლა მამის მაგიერ სვიმონმა იკისრა სპარსთა ბატონობის სა-
წინააღმდეგო ბრძოლა და ირანის მბრძანებელი ვერას გახდა, ვერც
ერთ მათგანს ქედი ვერ მოახრევინა და ყმობის უღელი ვერ დაადგა.
ახლა თვით ლუარსაბ მეფისავე შვილი და სვიმონ მეფის ძმა ნებაყოფ-
ლობით ძმაზე საჩივლელად მასთან მიდიოდა და სპარსეთის ბატონო-
ბის საქართველოში დასამყარებლად ამაზე უკეთესს და მარჯვე შემ-
თხვევას როდის მოესწრებოდა"[64].

შაჰ-თამაზმა ბატონიშვილი დავითი ანუ დაუთ-ხანი დიდი პატი-
ვით გამოისტუმრა საქართველოში, რომელიც თბილისისა და სომხით-
საბარათიანოს მეფედ დაამტკიცა, მაგრამ მოღალატე მეფეს ხალხი
მხარს არ დაუჭერდა და ამისათვის შაჰ-თამაზმა მის დასაცავად ყო-
ველწლიურად „თჳთოს ნაპირის ხანს მეფის დავითის მცველად თავისის

---

62 ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 512.

63 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 512.

64 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, 1948, გვ. 264.

ლაშქარით მოუყენებდნენ ქალაქის ციხეში"[65]. ამრიგად, დაუთ-ხანის სპარსთა წყალობით გამეფება არც სვიმონ მეფეს, არც სხვას ვისმეს უცვნია საქართველოში; პირიქით, ქართლის მმართველმა წრეებმა ბევრი მეტი გამბედაობით გააჩაღეს ბრძოლა თბილისის მტრის ხელთაგან გამოსაგლეჯად[66]. მაგალითად, „მეფემან სვიმონ ლაშქარი შეყარა საქართველოს ცხენოსან-ქვეითნი, და წარვიდა ბრძოლად დაუთ-ხანისა, ქრისტეს აქეთ ჩ-ფჲ, მოვიდა და დადგა დიღვამს, სცნა რა ესე დაუთ-ხან ქალაქზე წამოსვლა სვიმონისი. იმანაც სომხით ბარათიანნი, თათარნი და მოქალაქენი შემოიყარა, და ძმას საომრად მიეგება, ნახა რომე მეფის სვიმონის ლაშქარი ბევრი იყო. შეება დიღომს, იქმნა ბრძოლა ძლიერი. და მოსრნეს სპანი მეფისა სვიმონისნი მცირედნი რამე. ხოლო დაუთხანისა მოსწყდეს ორი ათასნი, სძლიეს სპათა სვიმონისათა, და წარიქცეს დაუთხან, და მეოტი ისევ ქალაქში შემოვიდა, მაგრამ ყარამანალუს ხალიფა რომე ყიზილბაშის სარდალი იყო, ჭკუანაკლები და ამაყი კაცი იყო, მეფეს დავითს არ დაუჯერა, და სამარტოოდ სახელს ეძებდა, მეფეს სვიმონს შეება, და ძალმიცემით და თავგამოდებით ძალზედ იბრძოდა, და ბევრი ნავნებიცა ქმნა, მაგრამ თვითონაც მოკლეს და ჯარიც ამოუწყვიტეს"[67].

დავით მეფემ ეს ამბავი, შაჰ-თამაზს მიწერა, აუწყა მდგომარეობა და ლაშქარი სთხოვა. ყაენმა თხოვნა შეუსრულა „და ჰასან-ბეგ ყარამანლუ სარდლად უჩნიეს, და დიდის ლაშქარით მეფეს დავითს მოაშველეს; დავით მეფემანც თავისი ლაშქარი შეიყარა და მეფეს სვიმონზე გაილაშქრა"[68].

წერილობითი წყაროების მიხედვით სვიმონ მეფე კვლავ დიღომს მდგარა, როდესაც მესამედ შებრძოლებია დავით ბატონიშვილი სვიმონ ქართლის მეფეს. 1567 წ. ქრონიკაში ამ ბრძოლის შესახებ შემდეგია აღნიშნული „ქ⸗ს: სნე: სვიმონ ქართლის მეფე და დაუთხან შეიბნეს: და მეფეს გაემარჯვნა დიღომს"[69].

ახალ ქართლის ცხოვრებაში ეს ამბავი ასეა აღწერილი, „მეფე სვიმონ დიღომს იდგა, და შეიბნენ, ქრონიკონსა ს⸗ნე" (1567 წ.) „იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრნეს სპანი მეფისა სვიმონისნი მცირედნი რამე, ხოლო დაუთხანისა მოსწყვდნეს ორი წილი და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა სვიმონს და წარიქცეს დაუთხან მეოტი, და შევიდეს ციხესა ტფილისისასა მხოლოდ, და სპანი მისნი რომელნიმე მოსრნეს

---

65 ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 512.

66 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

67 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 513.

68 ი ქ ვ ე, გვ. 513.

69 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, გვ. 408.

და რომელნიმე დაიპყრეს. მაშინ მოადგა მეფე სვიმონ ციხესა ტფილისისასა, და ეგონა მოქალაქენი მომივლენო... ყაენის შიშით მოქალაქენი არ მოუვიდნენ და ცოლშვილი იმათაც ციხეში შეასხეს. და ციხიდან შექმნეს ბრძოლა და თოფთა და ზარბაზანთა სროლა, და აღარც ბარათიანნი მოვიდნენ, და ციხიდაღამეც კაცნი დაუჭოცნეს; და იდგნენ ჟამსა რაოდენსამე, და შეაწუხნეს ფრიად"[70].

შეწუხებულ დაუთხანს კვლავ მოსდის მაშველი ჯარი, უსეინბეგის სარდლობით, რომელიც შაჰ-თამაზის ამირსპასალარი იყო. 1568 წ. კვლავ მოხდა დიდი ბრძოლა სვიმონ მეფესა და დაუთხანს შორის „ქრონიკონსა სნვ: ეწყვნეს მეფე სვიმონ და დაუთხან ურთიერთას. შეიქმნა ბრძოლა ძლიერი მაშინ განლომნეს მეფე სვიმონ და სპანი ქართველთანი, და მოსცა ღმერთმან ძლევა მეფესა და ქართველთა. კუალად წარიქცეს დაუთხან, და ყიზილბაშნი მრავალნი ამოსწყვდნენს და უმრავლესნი დაიპყრნეს და დევნა უყვეს, მაშინ ლტოლვილნი შეიხუეწნეს ციხესა შინა ტფილისისასა, და მივიდა მეფე სვიმონ, და აღგა ციხესა მას ჟამ რაოდენმე და ვერა აიღეს: და წარვიდა გამარჯვებული და აღვსილი საშოვრითა მრავლითა"[71]. დაუთხანმა კვლავ თხოვნით მიმართა შაჰ-თამაზს და დახმარება სთხოვა. შაჰ-თამაზმა დახმარების გაწევა დაავალა შამხალს, სულთანსა მაქისასა ყარაბაღელთა და „გარემო ყოველთა ყიზილბაშთა, რათა შემწე ეყონ დაუთხანსა"[72].

საქართველოსაკენ გაერთიანებული ურიცხვი ჯარი დაიძრა და მოადგა საზღვარს: „...მაშინ წარვიდა ყორღანიშვილი კახაბერი და წინა მიეგება მათ განჯას, რამე თუ ფრიად ეშიშოდეს ყიზილბაშთა მოსვლად საქართველოსა შინა, ხოლო ამან ყორღანიშვილმან იტვირთა სისხლი მათი და წინამძღუარ ექმნა მათ, რამე თუ ვერ ძალ-ედვათ თჳნიერ ჩისსა შემოსვლა საქართველოსა შინა"[73].

მეფე სვიმონმა სწრაფად შეყარა ჯარი და ფარცხისში მივიდა „რამე თუ მუნ მდგომარე იყვნეს ყიზილბაშნი, და იყვნეს ათგზის უმრავლის ქართველთა. მაშინ მიეტევნეს ქართველნი გულითა სრულითა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და მიდრიკნეს ყიზილბაშნი პირველსავე კუეთებასა ზედა და განმჯნდეს სპანი ქართველთანი მათ ზედა, სრვიდეს და იპყრობდეს[74].

მიუხედავათ ქართველთა წარმატებისა, სვიმონ მეფეს ატყვევებენ ყორღანაშვილის ღალატით და 1568 წ. შაჰ-თამაზს მიგვარეს დიდი პა-

---

70 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 513.

71 იქვე, გვ. 518.

72 იქვე, გვ. 513.

73 იქვე, გვ. 514.

74 იქვე.

ტივით. „სპარსეთის ბრძანებელმა თავის დაუძინებელი გულადი მო-
წინააღმდეგის მიმართ სულგრძელობა გამოიჩინა და დიდი პატივი სცა.
...დიდმა პატივისცემამ ვერ მოალბო რა რაინდი მეფის ამაში გამოცდილ-
ვერც უხვი საბოძვრითა და საჩუქრებით დაიყოლია იგი თავის ხელა-
ზე ...როცა ვერც იძულებით გაამაჰმადიანეს, განრისხებულმა შაჰმა
სვიმონ მეფე ალამუტის ციხეში გაგზავნა[75].

შაჰ-თამაზის ტყვეობაში გამომწყვდეული დიდი მებრძოლი მეფის
გამოსვლა მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ მოხერხდა, შაჰ-თამაზის სიკვ-
დილის შემდეგ ტახტზე ადის მისი შვილი შაჰ-ისმაილი, რომელიც ათა-
ვისუფლებს სვიმონ მეფეს ალამუტის ციხიდან და სამშობლოში გზავ-
ნის. სვიმონი საქართველოში 1578 წ. ბრუნდება, ამ დროისათვის
ქართლში თურქობას მოუკიდნია ფეხი. ენერგიული მებრძოლი სულის
მქონე მეფე სვიმონი, მათ განდევნას იწყებს, ზედიზედ ათავისუფ-
ლებს თავის სამეფოს მხარეებს: „აიღო გორის ციხე, დაიპყრო ქართ-
ლი, სომხითი და ლორი"[76]. რის შემდეგაც მეფე დიღმიდან იბრძვის
თბილისისათვის, რომელიც უკვე თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი.
საისტორიო წყაროების მიხედვით შემდეგ ცნობებს ვკითხულობთ:
„მაშინ ტფილისი და ციხე ტფილისისა ეპყრათ ურუმთა, და მეფე სვი-
მონ იდგა დიღომს დედოფლითურთ, ხოლო კახი ბატონი ფრიად მო-
შიში იყო მეფისა სვიმონის მიერ. „ნუ უკუე ძჳრი იჴსენოს ამოწყუე-
დისათჳს ცოლის ძმებისა და თჳსისა": ოდეს დაჴოცა ალექსანდრე ძმა-
ნი თჳსნი, იგინი იყვნენ ცოლისძმები მეფისა სვიმონისა. ამისთჳსცა
მიესმა ალექსანდრეს მცირითა კაცითა ყოფნა მისი დიღომს, შემოი-
ყარა კახნი და წარმოემართა ღამით, და დაესხა უგრძნობლად მეფესა
სვიმონს"[77].

ალექსანდრე კახთა მეფემ დაიტაცა მეფე სვიმონის ქონება, დაარბია
დიღომი და ბევრი უმსგავსო საქციელი ჩაიდინა ღა უკან გაბრუნდა,
მეფე სვიმონ კი ამ მოღალატურ თავდასხმას გადაურჩა: „ხოლო
მეფემან სვიმონ თჳთ მხოლომან კნინღა განარინა თავი თჳსი სიკუდი-
ლსა. მაშინ შეესია და იავარ-ჰყო საჭურჭლე და ბარგი მისი, და სირ-
ცხვილითა საფარველი დედოფლისა, დისა თჳსისა, თჳთ მანვე ალექ-
სანდრე აიცვა წუერსა ზედა შუბისა თჳსისასა. და ქმნა მრავალი უკად-
რისი საქმე, და წარმოვიდა. მივიდა და დადგა მარტყოფს ადგილსა,
რომელსა ჰქჳან ჭოტორი"[78].

სვიმონ მეფემ შეკრიბა ჯარი და გაემართა ალექსანდრეს წინააღ-

---

75 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.
76 იქვე.
77 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 527.
78 იქვე, გვ. 527.

მდეგ, რომელმაც წინასწარ კაცი მიუგზავნა და თან შეუთვალა: „ვინა-ითგან შენ იკადრე ეგევითარი ბოროტი, რომელი არა არს წესი მეფეთა, და მუხთლად დამესხი შეუგრად მძინარესა, და აწ უწყოდე, რამეთუ წარმოსრულ ვარ შენ ზედა ბრძოლად. და უკეთუ ხარ კაცი გამოცდილი მამაცობასა შინა, დამხუდი, რამეთუ უმჯობეს არს ომი გამოცხადებული უფრო ღალატად ნაქმარსა“[79].

მეფე სვიმონი და კახთა მეფე ალექსანდრე შეიბნენ და ფიცხელ ომში სვიმონ მეფემ სძლია ალექსანდრეს, რომელმაც თავს გაქცევით უშველა, ხოლო კახელი დიდებულები მეფეს ტყვედ ჩაუვარდნენ. „წარმოვიდა მეფე სვიმონ გამარჯვებული, და წარმოასხეს პყრობილნი კახნი დარბაისელნი, და დააფიცეს მცხეთას სუეტსა ცხოველსა ზედა, ესრეთ დააფიცეს კახნი, ვითარმედ: „ღმერთმან სამართლის მომქმედმან კახს კაცს ნურაოდეს გაუმარჯოსო ქართველს კაცს ზედაო, არცა დიდთა და არცა მცირედთაო“. და ოდეს ესრეთ დააფიცეს მაშინ მიანიჭა ყოველთავე კახთა წყალობა და ხალათები. და ესრეთ განუტევა იგინი მშჯდობით და არღარა ემტერებოდა მიერითგან, და უკუეთუძცა ენება მეფესა სვიმონს, მაშინ დაიპყრობდა სრულიად კახეთსა და ალექსანდრესაცა“[80]. ეს ბრძოლა მოხდა 1582 წელს.

ამავე წელს ქართლს შემოესია ხონთქარის სარდალი მაჰმად ფაშა, ჩამოიარა ზემო ქართლი და აიღო გორის ციხე, შიგ თავის მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. თვითონ კი თბილისისაკენ დაიძრა, გზად მუხრანს დაიბანაკა, აქ კი სვიმონ მეფე დაუხვდა „...მაშინ იქმნა ბრძოლა ძლიერი, და ეკუეთნეს სპანი ქართველთანი ძლიერად და შეიბრალა ღმერთმან და მიეცა ძლევა ქართველთა, და გაემარჯუა მეფესა სვიმონს. ამოსწყვდნეს მრავალნი სპანი ოსმალთანი, და შეიპყრნეს ურიცხუნი; კნინღა განერა თჳთ ფაშა, და ივლტოდა მცირედითა კაცითა, და შეიხუეწა ციხესა ტფილისისასა, ქრისტეს აქეთ ჩ~ფპბ“[81] (1582 წ.).

მუხრანის ბრძოლის შემდეგ მეფე სვიმონი დიღომს დაბრუნდა, რათა თბილისი ურუმთათვის გამოეგლიჯა, რისთვისაც მთელი ქართლის თავადები „ჯალაბიანად“ დიღომში მიიწვია. ამ ამბავს ახალი ქართლის ცხოვრების ავტორი ასე აგვიწერს: „ხოლო მეფე სვიმონ მოვიდა დიღომს და მოიწვია მუნ ყოველნი თავადნი ქართლისანი ჯალაბიანად და შემოკრიბა ყოველნივე დარბაისლის ცოლნი დედოფლისათანა. და აღიყარნეს დიღომიდამე, განვიდეს ტბასა ლილოსასა, და დადგნენ მუნ მას ზედა, რომელ არს გორა მაღალი, რამე თუ მუნ ახლდეს ყოველ-

---

79 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 527.

80 იქვე.

81 ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 527.

ნივე დიდებულნი და მცირენი სპანი ქართველთანი, თჳთ დედოფალი და ჯალაბნი თავადთანი.

ხოლო გამოვიდა ტფილისის ციხიდამე მროწეულნი ზურგ-ამოსულნი შინ გაუძახა მეფემან სვიმონ მცირედნი სპანი თჳსნი, და წარმოიღეს მროწეული იგი, ხოლო კაცნი იგი ივლტოდეს, და გამოვიდეს ციხიდამ მრავალნი სპანი ოსმალთანი, და მოსწყჳდნეს მრავალნი მათგანნი, და უმრავლესნი შეიპყრნეს, და უჭვრეტდეს თჳთ დედოფალი და დარბაისელთა ჯალაბნი თუალითა, და მისდევდეს ოტებულთა ოსმალთა სპანი ქართველთანი, და ვიდრე ციხისა კარამდე სვრიდეს და იპყრობდეს და ესრეთ გამარჯვებულნი გამობრუნდეს. და მოვიდა მეფე სვიმონ სიხარულითა და ნაშოვრითა დედოფალსა თანა, და იყო შუება და განცხრომა ზოგად ყოველთა შორის"[82].

ქართლის ცხოვრების მიხედვით, როგორც უკვე ზემოთ შევნიშნეთ, სვიმონ მეფეს თბილისის განთავისუფლების მიზნით რეზიდენცია დიღომში გადმოუტანია. ეს უკანასკნელი ნაბიჯი გადადგმული იყო სტრატეგიული თვალსაზრისით, რომელიც გაპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზით. პირველი იყო ის, რომ სატახტო ქალაქის დაპყრობის შემდეგ სამეფო სახლი მკვიდრდება სახელმწიფო სოფელში, რომელიც მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიურად ძლიერი იყო, მეორე გარემოება იყო ის, რომ სვიმონ მეფის დიღომში დგომით დამპყრობლები შიშსა და ძრწოლაში იქმნებოდნენ, არ ექნებოდათ საშუალება ქართლის სოფლების რბევისა და ბატონობისა. ამავე დროს სვიმონ მეფის მოლოდინში მტერი თავდაცვაზე გადავიდოდა. მესამე გარემოება, ალბათ, ითვალისწინებდა იმასაც, რომ დიღომში მეფის დგომით, მტერს ხელიდან ეცლებოდა ნედლეული ბაზის ერთ-ერთი ძლიერი კერა, რითაც ერთობ სიძნელეს შეუქმნიდა დამპყრობლებს.

დიღომი მომდევნო საუკუნეებშიც სახელმწიფოს საყურადღებო ცენტრი ყოფილა, მაგალითად, გიულდენშტედტის ცნობით დიღომში უნახიათ ქართლის სხვა თავადებთან ერთად იმერეთის მეფის, სოლომონის ძმა არჩილი, რომელიც რუსეთის რწმუნებულ კაპიტან ლვოვთან ერთად მოსულა[83].

დიღმის ხეობისა და თვითონ სოფ. დიღმის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვახტანგ VI დასტურლამალი, საიდანაც ჩანს დიღმის მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე.

მაგალითად, დასტურლამალის მიხედვით, დიღომს ევალებოდა სა-

---

82 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 528.

83 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962, გვ. 85.

ძეფო აჯილლის შესანახად ქერი „კოდი-ჲ“[84] (60). ხოლო ხვნისა და სამეხრეოს გარიგების განკუთვნილ თავში დიღმელებს ეკისრებოდათ „ხუნა რომ აქესთ, ნაგებში ჯნან, იმათვე მოიმუშაონ. ამას ... სამეჯრეო, გორს, ერთი კავთის-ჯევს, ერთი ორსავ სამეფოა ლიღოზე, ორი დურნუკს, ორი ეკლესიას, ერთი ავლაბარში, ერთი ქვემო ბოლნისს: ეს დიღმელთ გარდაიას შეიქმნა ცხრა, ამათი ჯასადარი მისის წესით და რიგით მოიქცნენ, ნურას წაახდნენ: მოხელენი მისს დროს მისს მუშას და წესს გაურიგებდნენ, რაც ღუთით მოვიდეს ენკენისთჳს გასულამდის. ჩვენის კარის მოჯელეთ ანგარიში მისცემდენ.

ამ გუთნების მოხელებმა ეს ქნან: თუ ავად ჯარი გახდეს, რომე აღარ დარჩებოდეს, მამასახლისს სოფლის კაცთ აჩვენოს თუ ქარხანაში ვეღარ ჩამოაწევდეს, დაკლან და ტყავი რუმბათ გახადონ, ჯორცი მეხრემ თავთავისთვის შეინახოს და გუთანზედ დახარჯონ. თუ ქარხანაში დახარჯონ, თუ დარჩებოდეს თრიალეთზე გაგზავნონ, გაასუქონ და მისს დროს ტყავი რუმბათ გახადონ და ჯორცი შაშხათ მოიხმარონ“[85]. როგორც ზემოთ მოყვახილ მუხლიდან ჩანს, სამეფო გუთნეულის მოხელეებად სხვებთან ერთად დიღმელებიც მოსჩანან, რომლებსაც ებარათ სამეფო მუშა საქონელი.

აქვე „გზების შენახჳსათჳს“ დადგენილ თავში დიღმის ხეობის მოსახლეობას ევალებოდათ შემდეგი გზების შენახვა და დაცვა; ...მუხათ გვერდელთ, ნაქულბაქეველთ და დიღმელთ — ვიწროები, მუხაი-გვერდის გზა: გაბაანთა და თურქისტანიანთა სათოვლისა და ნახშირგორის გზა[86]“. გზებისა და სოფლის შენახვის ტრადიციამ დიღმის ხეობის სოფლებში XX ს-ის დასაწყისამდე მოაღწია.

დასტურლამალის შემდეგ თავში, რომელიც „ზაფხულის თავლის ქეშიკისთჳსა“ დადგენილი დიღმის ხეობის სოფლებს სამეფო თავლისათვის უნდა ექეშიკნათ გარკვეულ დროდის კერძოდ,: „უნდა უქეშიკონ ბატონის თავილას დიღომმა დღე ოცი, ვეძისმა ღამე ათი“[87].

დიღმის საბატონოს გამოღებისათჳს“ განკუთვნილ თავში დადგენილია ყველა ის ვალდებულება, რაც დიღმის მოსახლეობას ევალებოდა სამეფო სახლის წინაშე: „დიღმის გამოსაღები საბატონო არის: სახასო გლეხი კომლი რგ: (103). ამათ აძეს მალი თავზედ შაური ოცდა ორი. ამისაგან ხუთი აბაზი ბატონისა არის, შაურნახევარი მოურავის და მემალისა, ნახევარ შაური სახლთ-ხუცესისა და მდივნებისა. ღალა

---

84 ვახტანგ VI, დასტურლამალი, პეტრე უმიკაშვილის რედაქციით, 1886, გვ. 6.

85 იქვე, გვ. 22.

86 იქვე, გვ. 22.

87 იქვე, გვ. 34.

სარწყავზედ ხუთზედ ერთი ბატონს; ურწყავზედ შვიდზედ ერთი. კულუხი შეწერით არის, მამულზედ ჰკიდია, დიდს დიდობით ფხ ცოტას ცოტაობით შეაწერენ, საშობაო ცხუარი იშ (18): სააღდგომო ცხუარი იშ (18). ბატონის ზურის მუშაობა ყოვლის-ფრით იმათ უნდა ეიმუშაონ. ყარაიაზედ პირველზედ კონის ჩადგმა, რამდენიც გუთანი გამოვა, სამს დღეს ყარაიაზედ ჭუნა, მისი მომკა, შეტანა და გალეწუა; ბატონის აყრაზედ ცხენისა და ურმის თხოება, ბატონის წიგნით სტუმრისა და მდგმურის დაყენება; ბატონის მობრძანებაზედ სამასპინძლო: საბაზიერო ქათამი, კომლზე თჳთო ქათმის ბარება, თავილის ქეშიკობა, კოჟორზედ მეჯინიბის ბატკანი, სამართლით საბალახე ცხჳრისა და ღორის პირისთავი, შიწლიგი ორასზედ ერთი ცხუარი, წიგნიცა აქუსთ. ნახირის თავი. ქალაქს სასახლის მუშაობა. მცხეთას მისულაზედ სამსახური. ქვის ზიდვა, ყარაიის ჯელგა, ბარგის ჩატანა, საური იდ (14) შაური; ბოგანოს საური ორი შაური; მსახური და თარხანი ვინც არის, მალისა, ღალისა და კულუხის მეტი სითარხნე არა აქუს: სხუას ყველას აქნევინებენ მეზობლები, დიღომს აბარია ქათამი რნ: (150). ამისი ნაშენი იქნება წელიწადში უნ (450): დიღმის მოურავის სარგო კომლზედ სატარუღო შაური ნახევარი გ: (3). მებალახეობა. ჭევის-თაობა, თავის-გასამტეხლო ჭარი ერთი. გასამყრელო ჭარი ერთი. რიგის პური მართებულად, ვისაც ბევრი ცხოური ჰყავს ბატკანი, ვისაც ცოტა ჰყავს თიკანი: კიდევ ვისაც ნაკლები ჰყავს, იმაზედ შაური, მალზედ თავზედ ნახევარი შაური. დიღმის ხასადარისა მალზედა თავზედ შაური ა: (1), მოყალნეზე კოკა—ა: (1). მალის ძღვენი, ზურის ათისთავში, ღალის ათისთავში; დიღმის მამასახლისს კომლზე კოკა ტკბილი ა: (1). მოყალნემ რომ ქორწილი ქნას—ხუთი შაური: დიღმის ნაცულისა. დიღმის ზვრის მუშას პური კოდი იდ (14); ღვინო კოკა კ (20); მეზურნეებს პური კოდი იდ; (204); საბურთალოს ზურეებს პური კოდი ლვ; (36), სხუა ჯერ არ დაკლებულა"[88]. აქვე დაკანონებული იყო სახლთხუცესის სარგოც, „დიღმის მალზედ თავზედ სამფულ-ნახევარი" კოდის პურებისა, ყველგან თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრეთვე საბალახეებისა, აგრეთვე პირისთავებიდამ, აგრეთვე ნახირის თავებიდამ, აგრეთვე ზურების კულუხისა, აგრეთვე სახასოს პურებიდამ და ღალისა სადიასახლისოს ერბოს გარდა"[89]. ღიღომს ევალებოდა კიდევ გამოეღო ძმარი „კოკა ი:"[90] (10) ხოლო ხელმწიფის ტყვის

---

88 ვახტანგ VI, გვ. 27.
89 იქვე, გვ. 76.
90 იქვე, გვ. 103.

ხარჯისათვის განკუთვნილ თავში დიღომს უნდა გამოეღო" [illegible] (76). მინალთუნი 3: (6)"[91].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით ირკვევა, [illegible] ცხოვრობდნენ აგრეთვე სადედოფლო ყმები, რომელთა შესახებ დასტურლამალ სადედოფლოში შემდეგს ვკითხულობთ: „მოყალნეს სძეს ღალა, მეფისათვის რომ ხუთზედ იღებენ, სადედოფლოს ექვზედ ავიღებთ: კულუხი შეწერით, ჩვენმა უფრო შეღავათით შეაწერონ: სამზარეულოს შეშა მიუტანონ. სხუა ნურა ეთხოვებათ რა, ასე გვიბრძანებია და გვითარხნებია. საშობაოდ და სააღდგომოდ ნურასა ჰსთხოვთ ძღუენის მეტსა: პირის თავი და ნახირის თავიც გვიპატივებია, ამიტომ რომ მუდამ იმსახურებიან; მუხათგვერდის ყარაულობის და გზის შენახვისა თჳთონ იციან და როსტიაშვილები— ამისიც თარხანნი არიან და სამასპინძლოსიცა და ვერც ურემს შეუბამთ. საყდარი რომ აქუსთ თავიანთი იმას გალავანი შემოავლონ"[92].

დასტურლამალში ვეცნობით დიღმელი სადედოფლო ყმების გვარებსაც, მაგალითად,: „დიღომში რაც სადედოფლო გლეხი არის დიღმიდან მეჯინიბედ მარიამულები არიან, მზარეულად მამუჩაშვილი სულხანა, გიორგი და ბერი. მესაკლავედ დათუნა მამუჩაშვილი, ლელიასშვილი მოყალნე. ახლა კი გაათარხნა ბატონმა, თედიასშვილი მოყალნე. როსტიასშვილი, ბერას გარდა მოყალნე. გენებაშვილი ბერუა მოყალნე, ბერუა მზარეულად ბრძანა სახლთუხუცესმა... დათუნას რომ ორი ძროხა მიეცემა, ბერუას — ერთი მიეცეს, საულხანს თავისი აქუს.

მზევანი ხოლუა და მისი ბიძაშვილები ოთარა და კიკოლა მოყალნე. ეს მსახურები ღალისა და კულუხის თარხნები არიან. სხუა რიგად სეფეს მეზობლებს ვერ დააკლდებიან"[93].

ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით ირკვევა, რომ სასახლის კარზე იმყოფებოდა დიღმელთა დიდი ნაწილი, რომელთაც „მსახურები" ეწოდებოდათ. მაგალითად, იასაულებისათვის განკუთვნილ თავში ირკვევა დიღმელთა შემდეგი გვარები: მარიამული რამაზა, მარიამული გრიგოლაშვილი, მარიამული ბერი, მარიამული ბერუა[94]. ხოლო „მესაკლავეთათჳს" დადგენილ თავში დასახელებულია შემდეგი: „გილაური რამაზა, ტატია, მეცხუარე გიორგი"[95]. „მეჯინიბეთათჳს" დასახელებულ თავში შემდეგნი მოიხსენიებიან: „დიღმელი პაპუა, იქივ, ჯანავარასშვილი, იქივ ნიჭელასშვილი რამაზა, იქივ მუსაშვილი, იქივ ჭიზა-

---

91 ვახტანგ VI, გვ. 107.
92 იქვე, გვ. 127.
93 იქვე, გვ. 127.
94 იქვე, გვ. 42.
95 იქვე, გვ. 52.

ნასშვილი ბასილა. იქივ სარქისა"[96]. ხოლო მერიქიფეთათვის განკუთვნილ თავში სოზიაშვილი იესე, და შიო-ა[97] დასახელებული, მეორეებად ყოფილან დიღმელი კაკანაშვილი, დიღმელი თეთრაძე, დიღმელი ხეჩუასშვილი"[98]. საზანდურებად შემდეგნი არიან დასახელებულნი: შოშიტაშვილი ბერუა, ხიზანაშვილი ივანე, გილაური ასლამაზ[97], ხოლო „საფარეში მოხელეთათვის" ნათქვამ თავში „დიღმელი გეგელაშვილია"[100] დასახელებული. ასევე ხაბაზებად ყოფილან დიღმელი გიგოლაშვილი გიორგი და მარიამული დათუნა[101]. სამზარეულო მოხელები ყოფილან: „მზარეული დიღმელი ბერუა, მარიამული პაპუა თეთრაძე შავერდა, ჭედლისშვილი, მარიამული გოგია; მარიამული ლომკაცი[102], ხოლო საღვინის მოხელეთათვის დასახელებულია დიღმელი სოზიაშვილი შიუა[103]. „სატიკის პირისათვის ნაჩვენებ თავში დიღმელი ჩაჩაშვილი რამაზა[104], დასახელებული, „საუშტროსათვის" მითითებულ თავში მარიამული ბერუა დიღმელი გოდერძია[105] ნაჩვენები.

მეფე ვახტანგ VI დასტურლამალისა და ისტორიული საბუთების მიხედვით შეგვიძლია დაახლოებით დავადგინოთ XVIII საუკუნის დასაწყისის დიღმის მოსახლეობის კომლთა რაოდენობა. მაგალითად, დასტურლამალში, იქ სადაც დიღმის საბატონოს გამოსაღებისათვის განკუთვნილი თავია, მითითებულია ისიც რომ „სახასო გლეხი კომლი რგ.", ე. ი. 103 კომლი ყოფილა. სახასო გლეხებს გარდა, დიღომში ცხოვრობდნენ სამეფო ბოგანოებიც, ამას გარდა აქვე ცხოვრობდნენ ეკლესია-მონასტრის ყმებიცა და საბატონო ყმებიც, რომელთა რაოდენობა გაურკვეველია, თუმცა ამავე ხანის, დაახლოებით 1720 წელს შედგენილ სვეტიცხოველისა და კათალიკოზის ყმების ნუსხაში ვახტანგ VI ოქმში შემდეგს ვკითხულობთ: „ქ. ბატონი კათალიკოზისა საბარათაშვილოში:

ქ. არმაზს სამი, ბოგანო ერთი.

ქ. მუხათგვერდს, ცხრა, ბოგანო ერთი.

ქ. კარსანს თერთმეტი.

ქ. თელოვანს რვა.

---

96 ვახტანგ VI, გვ. 52.

97 იქვე, გვ. 53.

98 იქვე, გვ. 62.

99 იქვე, გვ. 68.

100 იქვე, გვ. 68.

101 იქვე, გვ. 69.

102 იქვე, გვ. 70.

103 იქვე, გვ. 71.

104 იქვე, გვ. 70.

105 იქვე, გვ. 71.

ქ. მაჩხაანში რვა.

ქ. დიღომს ცხრა, ბოგანო სამი"[106].

ამრიგად, თუ სახასო გლეხებს, რომლებიც 103 კომლი ყოფილან, მივუმატებთ ბოგანოებსა და საბატონო ყმებს, აგრეთვე ეკლესია-მონასტრის ყმებს, მაშინ სავარაუდოა, რომ 1720—1730 წწ. დიღმის მოსახლეობა დაახლოებით 150 კომლს მაინც შეადგენდა.

საინტერესოა, რომ XVIII ს-ის ბოლოს დიღმის მოსახლეობა შემცირებულა. მაგალითად, თბილისის მიდამოების სოფლების 1781 წ. აღწერის დავთარში სხვა სოფლებთან ერთად დიღომიცაა შეტანილი, სადაც შემდეგი გვარებია აღნუსხული:

„დიღომს მემკვიდრე:

Oქ. დიღომს აზატი თეთრაძე მამასახლისი გაბრიელი.

Oქ. აქავ აზატი ლასურაშვილი მღვდელი აბრამ და მისი ძმა დემეტრე კომლი ა, თავი ბ.

Oქ. აქავ აზატი ქეშთელაშვილი მღვდელი პავლე კომლი ა, თავი ა.

Oქ. აქავ აზატი მანველაშვილი ფარეში რამაზა და ზაზა კომლი ა, თავი ბ.

Oქ. აქავ აზატი თოფჩი ხეჩუმაშვილი დავითა, ამისი ძმა ოსეფა, „—„

Oქ. აქავ აზატი მარიამულთ თანდილა კომლი ა, თავი ა[107].

Oქ. აქავ აზატი ხოსიტაშვილი პატარკაცი, ამისი სიძე ივანე კომლი ა, თავი ბ.

Oქ. აქავ აზატი გილაური პეტრე და ნინია იასაული „——„

Oქ. აქავ ქეშთელაშვილი ივანე აზატი კომლი ა, თავი ა

Oქ. აქავ აზატი გეგელაშვილი ფარეში სოლომონ „——„

Oქ. აქავ აზატი გენებაშვილი მზარეული დავითა „——„

Oქ. აქ,ვ აზატი გენებაშვილი ფარეში გლახა „——„

Oქ. აქავ აზატი თეთრაძე დავითა მამასახლისის შვილი სოსება კომლი ა, თავი ა.

Oქ. აქავ ხატისაშვილი გიორგი შეუძლებელი კომლი აზატი ა.

Oქ. აქავ აზატი ნაგზირალი ზაალა კომლი შეუძლებელი ა.

Oქ. აქავ აზატი ბატონის მეცხვარე სარუხანაშვილი აბრამა კომლი ა, თავი ა.

Oქ. აქავ მოყალნე ჟამუტაშვილი გარსევან კომლი ა, თავი ა.

Oქ. აქავ მოყალნე ჟამუტაშვილი დავითა „———„

Oქ. აქავ მოყალნე შოშიტაშვილი ივანე „———„

Oქ. აქავ მოყალნე ბეჟიტაშვილი ქიტესა „——„ მისირს არის.

---

106 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, 1950, გვ. 183.

107 წერია: ქ. აქავ აზატი გულიაშვილი იესე კომლი შეუძლებელი ამოწყვეტილა, მაგრამ გადახაზულია და ამის მაგიერ მარცხენა კიდეზე ეს სტრიქონია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Oქ. აქავ მოყალნე ხეჩუმაშვილი გოგია „———"
Oქ. აქავ მოყალნე გეგელიშვილი ვანე „———"
Oქ. აქავ მოყალნე თეთრაძე გოგია „———"
Oქ. აქავ მოყალნე მამადალაშვილი გლახა „———"
Oქ. აქავ მოყალნე მარიამულთ აბრამა „———"
Oქ. აქავ მოყალნე ლასურაშვილი ზურაბა „———"
Oქ. აქავ მოყალნე ლასურაშვილი იოსებ „———"
Oქ. აქავ მოყალნე ბელაშვილი ივანე „———"
Oქ. აქავ მოყალნე როსტიაშვილი კავთელა „———"
Oქ. აქავ მოყალნე მჭედლიშვილი ივანე „———"
Oქ. აქავ მოყალნე გიგუაშვილი გარსევან შეუძლებელი კომლი ა.
Oქ. აქავ მოყალნე თეთრაძე თეთრა და მისი ბიძაშვილი ბერუა კომლი ა, თავი ბ.
Oქ. აქავ დიღომს მოყალნე ხელას ბიჭი ივანე კომლი ა, თავი ა.
Oქ. აქავ მოყალნე თეთრაძე გოგია „———"
Oქ. აქავ მოყალნე ჯანიაშვილი ნატყვევარი გოგია „———"
Oქ. აქავ მოყალნე გენებაშვილი გოგია „———"
Oქ. აქავ მოყალნე ღვინიაშ[illegible]ილი ბეჟანი „———"
Oქ. აქავ მოყალნე კოტორაშვილი თანდილა „———"
Oქ. აქავ მოყალნე ნიჭელაშვილი ბასილა და გოგია კომლი ა, თავი ბ.
Oქ. აქავ მოყალნე მამუჩაშვილი გიორგი, ამისი შვილი ბერუა და ქიტესა კომლი ა, თავი ბ.
Oქ. აქავ მოყალნე (sic).
ქ. აქავ მოყალნე კოტორაშვილი აბრამა შეუძლებელი კომლი ა.
ქ. აქავ მოყალნე ნიჭელაშვილი ბასილა შეუძლებელი „———"
Oქ. აქავ მოყალნე როსტიაშვილი ზაალა და სოსება კომლი ა, თავი ბ.
Oქ. აქავ მოყალნე მამუჩაშვილი ეესე კომლი ა, თავი ა.
Oქ. აქავ მოყალნე ნიჭელაშვილი მიქელა „———"
O. აქავ მოყალნე კოტორაშვილი თავითა და გოგია თავი ბ.[108]
ეს ბატონის ბრძანებით ამოუშვით, ქალაქის დავთარში დავწერეთ, ბატონის ოქმი აქვს.
Oქ. აქავ მოყალნე საერისთოდამ მოყვანილი თეთრა და მისი ძმა ტეტია კომლი ა, თავი ბ.
ქ. აქავ ამლბარიშვილის (sic) ობოლი ნინია.
ქ. აქავ ბაზიერიშვილის ობოლი სესია.
ქ. აქავ ხოლუაშვილის ობლები თევდორე, შერმაზან და გრიგოლა.

Oქ. აქავ კათალიკოზის ყმა ზანდარაშვილი დავითა კომლი ა, თავი ა.
Oქ. აქავ ამისივ ყმა ზანდარაშვილი აბრამა „———"

---

108 ეს სტრიქონი მთლად გადახაზულია.

Oქ. აქავ ამისივე ყმა კენჭიაშვილი გოგია და პავლე თავი ბ.
ქ. აქავ ამისივე ყმა ქობელაშვილი ივანე შეუძლებელი კომლი ა.
Oქ. აქავ ამისივე ყმა ფირიაშვილი დავითა კომლი ა, თავი
Oქ. აქავ ფირიაშვილი პაპა, „——"
Oქ. აქავ ქობელი შიოშვილი თევდორე, „——"
Oქ. აქავ ფირიაშვილი ნონია „——"
Oქ. აქავ ფირიაშვილი ოსეფა „———"

Oქ. აქავ მუხრანის ბატონის ყმა კოლოტაური იესე, „——"
ქ. (sic).
Oქ. აქავ ხიზანი ივანე ბოგველის ყმა სონღულიძე გოგია,
ამისი ძმა ზურაბა „—" თავი „ბ.
(ფარდი) . . . . . .
Oქ. აქავ დიღომს ხიზანი ბოგველის ყმა მირუაშვილი ნასყიდა, ამისი
ძმა ბერუა კომლი ა, თავი ბ.
Oქ. აქავ ამისივე ყმა მეწისქვილე გიორგი კომლი ა, თავი ა.
Oქ. აქავ ამისივ ყმა მირექაშვილი ზურაბა „——"
Oქ. აქავ ამისივ ყმა როინა.
Oქ. აქავ ამისივე ყმა ნატყვევარი ფანიოზ და კიკოლა კომლი ა,
თავი ბ[109].

რა მდგომარეობა იყო მოსახლეობის თვალსაზრისით ან ვის სამფლობელოს წარმოადგენდა ხეობის შიგნით განლაგებული სოფლები? დიღმის ხეობის სოფლების ნაწილს მცხეთის სვეტიცხოველი ფლობდა, ნაწილს კი სხვადასხვა მებატონე. საბატონო სოფლებში მოსახლეობა ხშირად ცვალებადი ჩანს, რასაც აპირობებდა სხვადასხვა მებატონის პატრონობა. ხშირად ყმები და სოფელი იყიდებოდა, რის გამოც საბატონო ყმებს უხდებოდათ სხვა ადგილას დასახლება. ამის გამო დიღმის ხეობის ზოგიერთ სოფელში ძირძველი მოსახლეობა არ მოჩანს, ხოლო რაც შეეხება დიღომს, რომელიც სამეფო და საკათალიკოსო მოსახლეობისაგან შესდგებოდა, ძირადძველი მოსახლეობაა დამკვიდრებული. ამას ადასტურებს XVIII ს-ის ერთი წყარო — როდესაც დარეჯან დედოფალმა 1748 წ. იესე ბარათაშვილს დიღომში უბოძა სამეფო და სადედოფლო ყმები: თედიაშვილი, მარიამული, როსტიაშვილი, მამუჩაშვილი და გენებაშვილი, რის გამოც იესე ანდერძში აღნიშნავს თუ რამდენად საფრთხილოა სამეფო ყმაზე გაბატონება: „ჯერ

---

109 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები I, 1967, გვ. 161, 162, 163.

მოურავობით მინდა შეუვიდე, რომ გლეხი კაცი დავამშვიდო არ აჯანყდნენ, მერმე ჯელთდაგრჩებათ. სიგელში ყველა კარგად სწერია"[110]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. დიღომი და მისი ხეობის ნაწილი, როგორც ზემოთ ვიხილეთ, წარმოადგენდა სამეფო მამულს, ხოლო როცა მეფე ერეკლემ თავისი შვილი მუხრანელ ბაგრატიონებზე გაათხოვა დიღმის ყმა — მამულის ნაწილი, მზითვად გაატანა, რის შემდეგაც დიღომში სახელმწიფო ყმათა შორის, საბატონო ყმებიც გამოჩნდნენ.

ახლა განვიხილოთ დიღმის ხეობის სოფლები, მათი შრომა-საქმიანობა, მოსახლეობის შემადგენლობა და დასახლება.

დიღმის ხეობის სოფლები და მოსახლეობა

სოფ. ბ ე ვ რ ე თ ი გაშენებულია დიღმის ხეობის სათავეში, პატარა მთის სოფელია, რომელიც საბატონო სოფლად ითვლებოდა; ბევრეთი დიღმის წყლის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული, სამხრეთით მსხალდიდის მთა ესაზღვრება, აღმოსავლეთით სათოვლე მთა, ანუ ნათლისმცემლის მთა. დასავლეთით აკრავს ზემო დიდგორის ტყიანი კალთები. ჩრდილოეთით ეშვება დიღმის წყალი. ბევრეთიდან მსხალდიდს მთაზე გადადის გზა, რომელიც ვერის ხეობის სოფლებს აკავშირებს დიღმის ხეობასთან და აქედან მცხეთის მიდამოებს. სოფელი ლამაზია და საგარაკო ადგილად ითვლება. აქ გვხვდება ფოთლოვან ტყეებთან ერთად წიწვიანი ტყეებიც. მოსახლეობა მისდევდა მემინდვრეობას და მესაქონლეობას, ამჟამად მებაღეობასაც მოჰკიდეს ხელი.

დიღმის ხეობის საეკლესიო აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით სოფ. ბევრეთში XIX ს-ის ნახევრისათვის გვხვდება შემდეგი საბატონო და სახაზინო ყმათა გვარები და მათი ოჯახის შემადგენლობა: გვრიტიშვილი სიმონ პაპას ძე, 5 სული; გოგოლაშვილი ანდრია გიორგის ძე, 13 სული; გოგიშვილი შიო ზურაბის ძე, 12 სული; გოგიშვილი ღვთისვარ ზურაბის ძე, 4 სული; გოგიშვილი ზაქარია ბესარიონის ძე, 5 სული; თვაური იოანე პეტრეს ძე, 12 სული; თვაური იაკობ პეტრეს ძე, 13 სული; თვაური ალექსანდრე ზაქარიას ძე, 4 სული; თვაური ესტატე სიმონის ძე, 9 სული; თვაური დავითი პეტრეს ძე, 16 სული; თვაური ეფრემის ქვრივი ნინა ტეტეს ასული, 4 სული; ატრაშვილი ზაქარიას ქვრივი ნინა ანდრიას ასული, 4 სული; უთურაული გიორგი ხთისოს ძე, 15 სული; საბატონო ყმა წითურაული ივანე თევდორეს ძე, 10 სული; ცხადაძე სვიმონ ფრიდონის ძე, 3 სული; გულაშვილი სეხნია მახარობლის ძე, 13 სული; საბატონო ყმა, ხუბულაშვილი აბრამ გაბრიელის ძე, 4 სული; შუღლი-

---

110 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950, გვ. 100.

შვილი ზაქარია იოსების ძე, 5 სული; შუღლიშვილი იოსებ სეხნიას ძე, 8 სული; შუღლიშვილი ტარიელ სეხნიას ძე, 7 სული; წითურიშვილი მოსე ლუარსაბის ძე, 9 სული; წითურიშვილი გრიგოლ ზაქარიას ძე, 13 სული[1].

ზემოთ მოყვანილი აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით XIX ს-ის 50-იან წლებში ბევრეთის მოსახლეობა მართმადიდებელი სარწმუნოების მიმდევარი 22 კომლისა და 188 სულისაგან შედგებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამავე სოფელში სხვა სარწმუნოების და ეროვნების ხალხსაც ეცხოვრათ.

სოფ. ტ ა ბ ა რ უ კ ი, მთის სოფელია, გაშენებულია დიღმის ხეობის სათავეში, სოფელს გარშემო ტყე არტყია, სამხრეთით დიღმის წყალი ჩამოუდის, დასავლეთიდან სოფელში მოემართება „სადიღმო გზა" ზემო დიდგორიდან, „ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფლის ბოლოს, სადიღმო გზიდან გამოეყოფა გზა, რომელიც ლელობისაკენ და ხეკორძულას ხეობაში ეშვება. სოფელი გაშენებულია მაღლობზე, რომელსაც ორი მხრიდან ხევები ჩამოუდის და აღმოსავლეთის მხრიდან ერთმანეთს ერთვიან. სოფელი საკმაოდ ადგილად ითვლება, აქვს ლამაზი და წარმტაცი ბუნება, მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და მეფუტკრეობას. აქ XIX საუკუნეში ნახშირსაც წვავდნენ.

ადრინდელი მოსახლეობა სოფელ ტაბარუკში აღარ ჩანს. უკანასკნელი მკვიდრი, რომელიც XIX ს-ში ჩამოსახლებულა სოფ. დიღომში, ტაბარუკაშვილის გვარით იყო ცნობილი. უკანასკნელი გვარის შთამომავალი დაიღუპა 1907 წ. 20 მაისს. დიდგორობის დღესასწაულის დროს ქვემო დიდგორზე ყაზახებმა სროლა აუტეხეს ახალგაზრდობის ერთ-ერთ ჯგუფს, სადაც რევოლუციონერები ეგულებოდათ და მრავალი მათგანი დაიღუპა.

სოფ. ტაბარუკში საეკლესიო „აღსარების მთქმელთა" დავთრის მიხედვით XIX ს-ის ნახევრიდან შემდეგი გვარები გვხვდება: წიკლაური იოანე წიწილას ძე, 13 სული, წიკლაური ზაქარია ზურაბის ძე 7 სული, წიკლაური ვასილი ივანეს ძე, 10 სული, წიკლაური ნინია წინწილას ძე 8 სული, წიკლაური გრიგოლი პაპიას ძე, 11 სული, წიკლაური გრიგოლი ივანეს ძე, 5 სული, მათიაშვილი ბერა, როინ გიორგის ძე. 5 სული[2].

მთელი სოფლის შემადგენლობა XIX ს-ის ნახევრისათვის 8 კომლისა და 59 სულისაგან შედგებოდა; თუ არ ჩავთვლით ერთ კომლ გერმანელ კოლონისტს, რომელიც ამ სოფელში ცხოვრობდა.

---

1 დავთარი ინახება ჩემ მიერ მოპოვებულ მასალებში.

2 აღნიშნული დავთარი ინახება ჩემს მასალებში.

ყველა ეს გვარი ჩამოსახლებულია გუდამაყრის ხეობიდან, რომლებიც ადმდეგშიაც არ ივიწყებდნენ მამა-პაპათა სალოცავებსა და ხშირადაც აკითხავდნენ თავდაპირველ ადგილს. ამჟამად ბევრი ... ტაბარუკის მოსახლეობის ხაწილი გადასახლდა სამგორში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. მაჩხაანი (ნასოფლარი). გაშენებული ყოფილა დიღმის ხეობის მარცხენა ნაპირზე, მაღალ ფერდობზე; ნასოფლარის ადგილას ძველი, IX საუკუნის ეკლესიისა და კლდეში გამოკვეთილი სამალავი ქვაბების ნაშთიღაა დარჩენილი. ნასოფლარის ტერიტორია ტყეს დაუფარავს, ძირს დიღმის წყლის ნაპირას მოჩანს ბაღ-ვენახის ნაშთები, გვხვდება გაველურებული ვაზი, რაც იმას მოწმობს რომ აქაურ მკვიდრთ ვენახიც ჰქონია გაშენებული.

სოფ. მაჩხაანი მთიან ადგილად ითვლება, გარშემო იგი ტყითაა დაფარული, ადგილ-ადგილ ჩანს ძველი სახნავ-სათესები, რომელიც ამჟამად გატყევებულია.

სოფ. მაჩხაანი ძველი ისტორიული საბუთების მიხედვით მცხეთის მონასტერს ეკუთვნოდა. მაგალითად, 1720 წ. სვეტიცხოვლისა და კათალიკოზის ყმების ნუსხაში, რომელიც ვახტანგ VI ოქმს წარმოადგენს, დასახელებულია სოფელი მაჩხაანი, რომელსაც რვა კაცის გამოყვანა ევალებოდა სალაშქროდ. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1720 წლისათვის სოფელი ისევ არსებობდა[3].

სოფ. ძაღლაანთხევი მდებარეობს დიღმის ხეობის მარცხენა ნაპირზე, ნასოფლარ მაჩხაანის მეზობლად. დღევანდელ ძაღლაანთხევის ტერიტორიასთან შედარებით ძველი ნასოფლარი უფრო 'მიგნით, ხევის პირას, ყოფილა გაშენებული, რომლის ნასოფლარის კვალია დარჩენილი. ძაღლაანთხევი ტყით გარემოცული სოფელია, მისდევენ მესაქონლეობასა და მემინდვრეობას. სოფელი ისტორიული წყაროების მიხედვით მცხეთის მონასტერს ეკუთვნოდა და საეკლესიო ყმები ცხოვრობდნენ. მაგალითად, 1332 წ. მცხეთის საეკლესიო გუჯარში ჩანს, რომ მისი შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს, ხოლო 1559 წ. სვიმონ მეფე აახლებს სიგელს, სადაც „ძაღლის ხევი" უკვე ნასოფლარი მოსჩანს[4].

ამჟამად სოფ. ძაღლაანთხევში სახლობენ 1924 წ. დასახლებული თათრები, რომელნიც ძირითადად მესაქონლეობ ს მისდევენ.

სოფ. წოდორეთი. დიღმის ხეობის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულია სოფ. წოდორეთი, რომელიც სააგარაკო ადგილად ითვლება, მოსახლეობა საბატონო ყმებისაგან შედგებოდა, რომელთა ძირითადი შეურნეობა მემინდვრეობა და მევენახეობა-მებაღეობა იყო. ძველი

---

3 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები I, 1950, გვ. 183.

4 თ. ყორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 195; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, 1964, გვ. 255.

სოფელი წოდორეთი დასახლებული იყო ელიას მთის ძირას, ოსურთ-ხევის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი დასახლების ჩრდილო-დასავლეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. წოდორეთზე მრავალი ისტორიული დოკუმენტი არსებობს. საიდანაც ჩანს ძველი სოფლის მკვიდრთა შრომა-საქმიანობა და ვინაობა, მაგრამ როგორც საბატონო სოფელს, ხშირად უხდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა და აყრა (რადგან ხშირად პატრონი ეცვლებოდათ გაყიდვის ან უშვილოდ ამოვარდნის შემთხვევაში), მაგალითად, 1681 წ. 20 ივლისს წოდორეთის მამულების ნასყიდობის წყალობის წიგნში, რომელიც მიცემულია გიორგი XI მიერ თუმანიშვილებისადმი, ნათქვამია: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩუენ, ღუთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ჴელმწიფემ ნ პატრონმან გიორგიმ, თანა მეცხედრემან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თამარ, პირშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ბაგრატ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალე და გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა, ერთგულსა და მრავალფერად ნამსახურსა ყმათა თუმანიშვილს მდივანს ზურაბს, მდივანს სულხანს, ყალანდარსა, ლიპარიტს, შვილთა თქვენთა გივის, დავითს, შიოშს და მანუჩარს: — ასე და ამა პირსა ზედან, რომე სულხანიშვილები ქრისტესიასშვილი ბასილი, მახარობელის შვილი ჟოჟონა, ბასილა, ხოსიტა და ბერიაშვილი გუგუნა, ესენი წოდორელნი ჯავახიანთ ყმანი ყოფილან, როცა ამათი ბატონი ჯავახიშვილი ამოვარდნილა და უძეოდ გარდავლენილა, იქიდამ ესენი როსტომ მეფეს აუყრია და ავლაბარში დაუსახლებია და სახასოდ დაუჭერია, ვითაც სულხანიანთ აქედამ წოდორეთს თავიანთი მამული ველარ ეჭამათ, დასჭირებოდათ და თავიანთი წოდორული სამკვიდრო და ნასყიდი, უსყიდი მამული სრულებით მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წისქვილითა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, კალო-საბძლითა და რასაც წოდორეთ მამულის მქონებელი ყოფილიყვნენ, სრულებით თქვენთვის მოეყიდათ და რითაც თავიანთი გული შესჯერდებოდა, ფასი აუღიათ და ნასყიდობის წიგნიც მიეცათ მოხუედით ამავე მამულის წყალობის წიგნს დაგუეაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი. რა რიგითაც იმათ მოგყიდა და ნასყიდობის წიგნი მოეცათ, იმავე სამძღვრით და წესით ჩვენც წყალობა გიყავით და ამავე სიგელით გიბოძეთ ყოვლის კაცის უცილებლად. ქონდეთ და გიბედნიეროს ღმერთმან და არასოდეს არ მოგეშალოს არცა ჩუენგან დ არცა შემდგომთა მეფე დედოფალთაგან“[5]. ამავე თუმანიშვილებს, ნასყიდობის წიგნს აძლევენ წოდორეთელი გლეხები, 1683 წ., ხოლო ნაზარალიხა-

---

5 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, II, 1953, გვ. 13; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910, გვ. 565.

ნი, ანუ ერეკლე I ამტკიცებს 1699 წ. რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: „...მიზეზ შემოუღებელი, ყოვლისა ხლათისა და იალათისაგან გამოსული და გამოკრებული ნასყიდობისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ სულხანიშვილმა ქრისტესიას შვილმან ბასილმან, ბაბარობლიშვილმა ჟოჟონამან, მამუკაშვილმან დათუნამან, პაპუნამან მღვდელმან სვიმონ. ჩემმა ძმამ მაზიტამა, ბასილმანნ, ხოსიტამან, ბერიაშვილმან, თქვენ თუმანიშვილს მდივანს, შვილთა თქვენთა, გივისა, დავითს შიოშს და მანუჩარს, ასრე რომე უძეოსა და უშვილოს ჯავახიშვილის ზაქარიას ყმანი ვიყვენით და წოდორეთს ვესახლენით, ის მოკვდა და თავის კერძობით უშვილოდ გარდავლინდა და ჩვენ როსტომ მეფემ სახასოდ დაგვიჭირა, იქიდამ ავიყარენით და ავლაბარში დავსახლდით, აქედამ ვსჭამდით ჩვენს მამულს, დაგვსჭირდა და რაც ჩვენი მამული იყო სამკვიდრო მამათა და პაპათ დარჩომილი, ის და რაც ნასყიდი წოდორეთ მამული სახლკარი, ჭურმარანი, კალო, საბძელი, საბოსტნე, წყალი, წისქვილი, ველი, ვენახი, შენი და უშენებელი, საჯნავ-სათესი, მთა-ბარი, შესავალ-გასავალი, წოდორეთს რისაც მქონებელი ვიყვენით, სამკვიდროსი თუ ნასყიდისა, სრულიად თქვენთვის მოგვიყიდია. ამის გარდა ის რაც ჩვენი ლის ნასყიდი იყო, ისიებიც ყველა უკლებლად მოგყიდეთ. ვეღარა ჩვენი ნათესავი და სახლის კაცი ვერ წამოგედავოს და არც გეცილებოდეს გასაყიდვად, გასაცემად, გასაზითავად, ყოველად გეჯელყოფდეს, რომელიც ჩვენი ნასყიდი იყო თუ სამკვიდრო ყველა უკლებლად მოგვიყიდია და აგვიღია თქვენგან ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგიჯერდათ... არიან ამისინი დამხდომნი და მოწამენი... ლისელნი, ვეძელნი და დიღმელნი....“[6].

ხშირად მებატონე თავის ყმებს სხვა მებატონეზე ყიდდა. ახალი პატრონი ყმას ხშირად ძველ სამკვიდრო ადგილიდან ყრიდა და მისთვის სასურველ ადგილზე ასახლებდა, რაც არ გვხვდება სამეფო სოფლებში. ხშირია შემთხვევა, როცა ხსენებული სოფ. წოდორეთი და მისი მოსახლეობა ერთი მებატონიდან მეორის ხელში გადადიოდა. მაგალითად, 1717 წ. 12 დეკემბრის, ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, რომელიც მიცემულია როინ ჯავახიშვილის მიერ გივი თუმანიშვილისადმი, ნათქვამია, რომ: „...სამკვიდრო და საბოლოო ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ჯავახის-შვილმან როინ. შვილმა ჩვენმა ქაიხოსრომ თქუენ თუმანიშვილს მდივანს გივის, შვილსა თქუენსა დავითსა და ზურაბს... ასე რომე დაგვჭირდა და ჩვენის ნება წადილით მოგყიდეთ წოდორეთს ჩვენი სამკვიდრო ყმა მარკოზიშვილი ბასილა და ესტატე თავისის მიწითა, წყლითა, სახლითა,

---

[6] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 98, 99.

კარითა, სახნავითა, უხნავითა, ნასყიდითა, უსყიდითა, შესავლითა, გასავლითა, ყოვლის თავის ქონებითა, წყლითა, ვენახითა, მთითა ბარითა: ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა, ჩვენი თქვენზე აღარა დარჩარა. გქონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმა, ეგრეთ ეგრეთ გორც სხვას ალალის მონასყიდეს, რაგვარადაც გინდოდეს. გეხელყოდეს არავინ იყოს ამის მოცილე და მოდავე...“[7].

ერთ-ერთ ნასყიდობის სიგელში წოდორელი მოსახლეობის მეურნეობასთან ერთად სამეურნეო ნაგებობებიც მოჩანს. მაგალითად, 1672 წ. მაისის 1-ს მამულისა და სასახლის ნასყიდობის წიგნში მიცემული სვიმონ სულხანიშვილის მიერ ზურაბ ჯავახიშვილისადმი, ნათქვამია, რომ: „ქ. სახელითა... ესე: ...ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ სულხანიშვილმან სვიმონ, ბასილამ, ძმამან ჩვენმან მაზიტმან, შვილმან ჩვენმან ქრისტესიამ, ხოსიტამა, სულხანამან, აბრამამან, რამაზამან, და მომავალთა სახლისა ჩვენისთა ყოველთავე თქვენ, ჩვენსა ნაბატონარსა ჯავახიშვილსა ზურაბს, ჯავახს, მანგლელს გაბრიელს და შერმაზანს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, ასე რომე მოგყიდეთ წოდორეთს ჩვენ ორთ ძმათ კერძო სასახლე, მარანი, საბძელი, კალო, საბოსტნე, სასაფლაო, ხუდაბური სავენაკე აქეთ ნასყიდას სამძღვრამდის, იქით ჟამორასშვილის სამძღვრამდის, საქორია მგელიასეული ორი დღის მიწა მისის სასარითა, საკირის მიწა ერთი დღისა მისის სასარითა, ბერსა ორი დღის მიწა მისის სასარითა, სოფლის თავს ერთის დღის ნაფუძარი, საყდართან ორი დღის მიწა. ზედ აკრავს სამისდღის მისის სასარითა, მისავე ახლოვე, ამის დღის ახო მისის სასარითა, გარშემოთა მთითა, ბარითა, და სათიბითავ, ლისურში კოდაზე მიჭელაშვილისეული ორი დღის მიწა. არიან ამის მოწამენი და დამხდომნი იქავ წოდორელნი, მარკოზაშვილი სეხნია, მგელიტაშვილი მღრთისია, მირიანაშვილი გოგია, მეტეხელი, მჭედელი ლაზარე. ბეჟანიშვილი ოთია, გლურჯისძისშვილი ბერუკა, აწე, ვინცა კაცმანან დიდმან ანუ მცირემან თქვენ ეს ნასყიდობა მოგიშალოს, ისიმც შეიშლების...“[8]. ზემოთ განხილულ საბუთში საინტერესოა აგრეთვე წოდორეთში მოსახლე გვარებიც.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სიგელ-გუჯრებში, წოდორეთის მებატონეებად სხვადასხვა გვარები გვხვდება მაგალითად, საკაძეები[9], თუმანიშვილები[10], ყორღანიშვილები[11], ძირითადად სო-

---

7 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, 1920, გვ. 176.

8 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, 1940, გვ. 8.

9 ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955, გვ. 122.

10 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176, 182.

11 ვ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

ფელი მაინც ჯავახიშვილების სამემკვიდრეო მამულად ითვლებოდა, რასაც მოწმობს არა ერთი და ორი ისტორიული სიგელ-გუჯარი, მაგალითად, როსტომ მეფის მიერ მიცემული სიგელი პაატა ჯავახიშვილისა 1651 წ., სადაც ნათქვამია: „ქ... ჩვენ მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან, ბატონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან, პატრონმან, დედოფალთ-დედოფალმან მარიამ, პირშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ლუარსაბ ესე მტკიცე და უცვალებელი სამკვიდრო და საბოლოო წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და წესისებრივ მრავალფერად თავ-დადებითა ნამსახურსა ყმასა ჯავახიშვილის, ფარეშთ უხუცეს პატარა, ძმასა თქუენსა ქაიხოსროს, შვილთა ზურაბს. ჯავახსა, გაბრიელს, შვილთა და მომავალთა სახლის თქუენისათა ყოველთავე მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და თქუენის სამკუიდროს წოდორეთის წყალობას გუიაჯენით ჩუენცა ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ წოდორეთს თქუენი საკერძო სამკვიდრო მამული, არდაზდიანდიშვილის მისყიდულითა, რისაც მქონებელნი ყოფილიყუნეთ, ყოვლითურთ, მკერვალი და გულთაშვილიც თქვენი მკვიდრი იყო, მაგრამ ამ ჭელად ვერ გიბოძეთ, და ამას გარდაისად გასყიდული და გაუსყიდელი მთითა, ბარითა, წყლითა წასქვილითა, ველითა, და ვენახითა, შენითა და ოჭერითა, შესავლითა და გამოსავლითა, საჭმარითა და უჭმარითა, საძებრითა და უძებრითა. ყოვლითურ, რაც თქვენის ნათესავისაგან გამოგეყოს უკლებლივ და უცილებრად თქუენთუის და თქუენთა შვილთათუის გვიბოძებია სამკვიდროდ და საბოლოოდ, ვითაც თქუენივ მემკვიდრე იყო ამად დაგიმკვიდრეთ და ყოველის კაცის უცილებრად გიბოძეთ, გქონდეს და გიბედნიეროს და აწ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არასოდეს მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხვათა მეფეთა და დედოფალთაგან“[12].

სოფ. წოდორეთის მცხოვრებლებსა და მათ მებატონეებზე საინტერესო ცნობებს ვხვდებით XVIII ს-ის სტატისტიკურ აღწერილობაში, რომელიც ვახტანგ VI ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილსა და გივი თუმანიშვილს ქვემო ქართლი აღუწერიათ. სხვა სოფლებს შორის დიღმის ხეობის სოფლებიდან სოფლები წოდორეთი, ბევრეთი და ვეძისია შეტანილი, საიდანაც მოსჩანს მებატონეთა და ყმა გლეხთა ვინაობა.

„მ დ ი ვ ა ნ ი გ ი ვ ი ს ა — წოდორეთს — პაატაშვილი იესე, ხუ-

---

[12] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1905, გვ. 70.

ცესი შიო[13]. მაზიტაშვილი ნოდარა, ბოგანო პეტრია, ბოგანო შოშია, ბოლაშქრე, ბოგანო პაპუა მოლაშქრე ქ. როინის მოსყიდული ესტატე[14].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანუჩარისა წოდორეთს გელიტაშვილი თამაზა, გულაშვილი ბერუა, მამულაშვილი, მეჯორე ბერუა[15].

ქიშვარისა წოდორეთს ქ. გულაშვილი ვარამა, **მდივან ბირთველის წოდორეთს** ქონიაშვილი გულა, ბოგანო შავერდა, ბოგანო თამაზა. ბოგანო ვარდუა[16].

მდივანის ოთარისა — ჟამურაშვილი ქიტესა მარკოზაშვილი აბრამ.

ბოგანო ანანიშვილი, ბოგანო გიორგი[17].

XIX ს-ის ნახევრისათვის წოდორეთის მკვიდრი მცხოვრებლებიდან რამდენიმე კომლი ჩანს. მაგალითად, აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით ამ სოფლის მცხოვრებლებში გვხვდებიან სახაზინო და საბატონო ყმები: ჩაფიძე ივანე დავითის ძე 6 სული, სახაზინო ყმა, გნოლიძე გიორგი სოლომონის ძე 4 სული, საბატონო ყმა. გოდერძიშვილი დავითი გოდერძის ძე 7 სული, სახაზინო ყმა. ჭილურტელი ივანე გიორგის ძე 3 სული, საბატონო ყმა. შემდეგი წლებისათვის შაგ., XIX ს-ის მიწურულისათვის, წოდორეთში მრავალი ახალი ჩამოსახლებული ხალხი დასახლებულა. XX ს-ის 30-იან წლებში თათრებიც დასახლებულან, რომელთა ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა შეადგენდა.

სოფ. წოდორეთის მამულების დიდი ნაწილი XIX ს-ისათვის, სარაჯიშვილების მფლობელობაში გადადის, რომლებმაც ბოლო დროს, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირეს, საზოგადოებამ კი სარაჯიშვილების ანდერძის თანახმად მამული დიღმელ გლეხებს მიჰყიდა.

სოფ. კორათხევი — დიღმის ხეობის მარცხენა ნაპირზე სოფ. კორათხევია გაშენებული. სოფ. განლაგებულია მაღლა, მთის კალთებზე, საიდანაც ეშვება პატარა ხეობა, რომელსაც „კორათხევის ხევი" ეწოდება. ამ პატარა ხეობაში ძველად ეტყობა დიდი სამონასტრო საქმიანობა უნდა ყოფილიყო გაშლილი, რასაც მოწმობს სოფლის სამხრეთ დასავლეთით დიდი ნაგებობების კვალი, რომელიც ტყითაა დაფარული. სოფელს გარშემო ტყიანი მთები არტყია, ითვ-

---

13 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სტატისტიკური აღწერილობა მეთვრამეტე საუკუნეში, 1907, გვ. 43.

14 იქვე, გვ. 44.

15 იქვე, გვ. 44.

16 იქვე, გვ. 44.

17 იქვე, გვ. 44.


ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲑᲘ

ლება კარგ სააგარაკო ადგილად, მაგრამ უგზოობის გამო გამოუყენებელია ეს მხარე, სოფელში გამოდის საუცხოვო შემრგო ყინულის ნაკადური წყარო, რომლის ბადალი, გარშემო მთებში, მეორე არ მოიძებნება.

სოფ. კორათხევის მეურნეობის ძირითად დარგად ითვლებოდა, მესაქონლეობა, მემინდვრეობა, ცოტაოდენი მეფუტკრეობა და მენახშირეობა, რასაც ხელს უწყობდა სოფლის გარშემო მდებარე მდიდარი ტყეები, როგორც ირკვევა კორათხევის გარშემო მდებარე ტყეველი, ძველთაგანვე სამეფო მამულად ითვლებოდა, ხოლო შემდეგ მუხრანელ ბაგრატიონების მფლობელობაში გადადის. თელავნის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიის მიხედვით XIX ს-ის ნახევარში კორათხევში შემდეგი გვარები სახლობდნენ: ბექაური პეტრე გივიას ძე 6 სულისაგან შემდგარი ოჯახი; მათიაშვილი ივანე — გიორგის ძე 15 სული, მელიქიშვილი გიორგი გლახას ძე 5 სული, მელიქიშვილი გიორგი გლახას ძე 4 სული, წიკლაური თედორე თანდილას ძე 7 სული, მათიაშვილი ბესარიონ გიორგის ძე 5 სული.

სოფ. ქ ო ბ ა (ნასოფლარი) მდებარეობს დიღმის ხეობის მარცხენა ნაპირზე, კორათხევის გზის პირას. ტყეში ქობისხევის მარჯვენა ნაპირზე, მოსჩანს ნასოფლარი და პატარა ერთნავიანი ეკლესია, რომელიც ხვთისმშობლის სახელს ატარებს. ამ სოფელში უცხოვრიათ ადრე სვეტიცხოვლის ყმებს, დიღმელ ქობელაშვილებსა და შიოშვილებს, რომლებიც ბოლო დროსაც აკითხავდნენ თავიანთ ნასოფლარსა და ხატს.

ქობის მცხოვრებთა ერთ-ერთ ძირითად სამეურნეო საქმიანობას (გადმოცემის მიხედვით) წარმოადგენდა მესაქონლეობა. მესაქონლეობიდან განსაკუთრებით მეღორეობას მისდევდნენ, რასაც ხელს უწყობდა გარშემო მდებარე ტყეები, მესაქონლეობის კვალი დღესაც ემჩნევათ სოფ. ქობის შთამომავალთ, რომლებიც განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებდენ საქონლის მიმართ.

სოფ. ჯ ი ხ უ რ ე ბ ი (ნასოფლარი) მდებარეობდა დიღმის ხეობის მარჯვენა ნაპირზე, ვეძისის ზემოდან, იქ სადაც დღეს ბაღ-ვენახებია გაშენებული.

სოფ. ვ ე ძ ი ს ი დიღმის ხეობის, მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე იყო გაშენებული. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით სოფელი ვეძისი საბატონო სოფლად ითვლებოდა, გარკვეული ტერიტორია საძეფო ვენახებისაგან შედგებოდა. აქაური მებატონეები XVII ს-ში გვხვდებიან: თუმანიშვილები, სოლოღაშვილები, ციციშვილები, აზნაუ-

რები ხარშილაძეები[18], მაგალითად, 1636 წ. ერთი დოკუმენტის მიხედვით, მარიამ დედოფალმა განუახლა სოლოღაშვილისა და ზურაბის წილი მამულის წყალობა (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Sd—742), ხოლო მეორე 1673 წ. ნასყიდობის სიგელში. ვეძელნი მოწმენი არიან ბასილა სულხანიშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Ad—2246[19]. ხოლო მეცხრამეტე საუკუნისათვის ბაგრატიონები, სარაჯიშვილები და შიოევები. ამ შიოევის ანუ როგორც ადგილობრივი მკვიდრნი უწოდებენ, შიოთაღაშვილის ამბავი აღწერილი აქვს აქვსენტი ცაგარელს თავის პიესაში „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, ამ სოფელში მომხდარი ამბავი ა. ცაგარელმა პიესის სიუჟეტად გამოიყენა, ხოლო ხალხმა იგი გალექსა, რომელიც სხვადასხვა ვარიანტებად მოიპოვება. ერთი ვარიანტი გამოვაქვეყნეთ ხალხური სიტყვიერების მასალებში[20]. ვეძისის ძირითად მეურნეობას წარმოადგენდა მემინდვრეობა და მესაქონლეობა, მისდევდნენ მევენახეობა-მებაღეობასაც.

ვეძისის მოსახლეობის შესახებ საინტერესო ცნობას ვკითხულობთ XVIII ს-ის სტატისტიკურ მონაცემებში, საიდანაც ირკვევა ვეძისელი მებატონეები და მათი ყმების შემადგენლობა. „ქ. **მერაბიშვილის მანუჩარის, ვეძის,** ვაშაყმაშვილი ქრისტესია— კ—ი ა, თავი ბ“[21].

„ქ. ციციშვილის ყაიასი და ლუარსაბისა ვეძისი. დათუნაშვილი გიორგი კ—ი ა, თავი ბ“. ციციშვილის იესესი ვეძის, ვაშაყმაშვილი ზაალ. კ—ი ა, თავი ბ“[22]. „ქ. მდივნისგივისა ვეძის, ვაშაყმაშვილი ბერუა“[23].

ქ. ნოდარიშვილის ციციშვილის ზაზასი ვეძისა:

მჭედელი ივანე კ — ი ა თავი ა
ხუციშვილი პაპალა კ—ი ა თავი ბ
მირზაშვილი იესე კ — ი ა თავი ბ
ხუციშვილი რამაზა კ — ი ა თავი ა
აბნიაშვილი იესეშვილი კ — ი ა თავი ბ

---

18 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წიგნი I, II, 1915, იხ. ვეძისი.

19 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი 1, 1964, გვ. 90.

20 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, I, 1955, გვ. 125.

21 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სტატისტიკური აღწერილობა, მეთვრამეტე საუკუნეში, 1907, გვ. 35.

22 იქვე, გვ. 35.

23 იქვე, გვ. 43.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. აქავ ღთისავარიშვილისა კ — ი ა თავი ა
ნავაქაშვილი ბაინდურა კ—ი ა თავი ბ
მამის იმედი თევდორა კ—ი თავი ბ
მეხრიშვილი გიორგი კ — ი თავი ა[24]
ციციშვილის ბადურიშვილის ზაალისა ვეძისს,
ზაქუტაშვილი გულისადები კ — ი ა თავი ბ
ხუციშვილი ხუდინიძე კ — ი ა თავი ა
ზაქუტაშვილი ბერუა კ—ი ა თავი ბ"[25].

ქ. ვეძის ქაიხოსროს ყმა:
ამირაშვილი ასრათა . . .
ამირაშვილი ვართანა . . .
გზირიშვილი ასლამაზა . . .
სააკაშვილი ნასყიდა . . .
გოჩაშვილი იოანა . . .
ბაბლოშაშვილი ბერუა . . .
ნირზაშვილი ბეჟანა . . .
როსტიაშვილი ბერუა . . .
შერაშაშვილი მარქარა . . .
ნუგზარიშვილი ალუა . . .
ამირაშვილი პაპუა . . .
ბერუაშვილი გოგია . . .
შერმაზანა . . .
ბოგანო გასპარა . . .
ბოგანო ბალუაშვილი . . .
ბოგანო ამირბეგა . . .
ბოგანო პაპუა . . .

ქ. აქვე აზნაურიშვილი ზავარა და
ამისი ყმა გარსევანიშვილი პაპუნა კ—ი თავი ა:
ქ. ხარშილაძე ბეჟანი აზნაურიშვილი,
ამისი ყმა ჩაქუაშვილი პაპა კ — ი ა თავი ა
სურათაშვილი ფასუა . . . კ-ი ა თავი ა
ქ. უყმო არღუთაშვილი ბერუა
ქ. უყმო მანუჩარა[26].

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური ცნობიდან ირკვევა

---

24 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სტატისტიკური აღწერილობა მეთვრამეტე საუკუნეში, 1964, გვ. 28.

25 იქვე, გვ. 31.

26 იქვე, გვ. 145, 146.

XVIII ს. დასაწყისისათვის ვეძისში მრავალ თავადსა და აზნაურს უცხოვრია და კარგად მოზრდილი სოფელიც ყოფილა. დაახლოებით, ზემოთ მოყვანილი დოკუმენტის მიხედვით ვეძისში ამ დროს უცხოვრია 49 კომლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღმის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით XIX ს-ის 20-იანი წლებისათვის სოფ. ვეძისში შემდგარი საბატონო და სახელმწიფო ყმა გლეხების გვარები ცხოვრობდნენ: სახელიშვილი ბერუა დიმიტრის ძე საბატონო ყმა, 29 სულისაგან შედგებოდა მისი ოჯახი. წამალაშვილი გიორგი 8 სული, სახელმწიფო ყმა, ჩიტიშვილი პეტრე გიორგის ძე 8 სული, სახელმწიფო ანუ სახაზინო ყმა, მასულაშვილი იოსები გიორგის ძე 6 სული, სახაზინო ყმა ბუკუჩავა სვიმონ ივანეს ძე 7 სული, საბატონო ყმა: თურქიაშვილი ივანე იოსების ძე 6 სული, საბატონო ყმა, პაპავა[27] ნიკოლოზ დავითის ძე 9 სული, საბატონო ყმა. პაპავა მიხეილ სვიმონის ძე 6 სული, საბატონო ყმა. პაპავა კონსტანტინე ისაკის ძე 5 სული, საბატონო ყმა. ხარჩილავა ივანე ივანეს ძე 13 სული[28], ლაცაბიძე იოსებ გიორგის ძე 11 სული, საბატონო ყმა. მტრედაძე ელიოზ ივანეს ძე 5 სული, სახაზინო ყმა. ერგებლიძე პავლე გიორგის ძე, სამი სული, სახაზინო ყმა, ტარიელაშვილი ესტატე პაპუას ძე ორი სული, სახაზინო ყმა, „ბერისშვილი დიმიტრი სულხანიშვილი[29]. დიმიტრი ბერის ძე 12 სული სარაჯიშვილების ყმანი“, გელათიძე გიორგი ხარატიონ მღვდლის ძე 6 სული, სახელმწიფო. ბენდიაშვილი ივანე იოვანეს ძე 8 სული, აბუთიძე ნიკოლოზ მამუკას ძე 2 სული, საბატონო ყმა. კოხრელიძე ნიკოლოზ მხიარულას ძე 4 სული, საბატონო ყმა, მებაღე. ბერიძე ბეჟან სეხნიას ძე, საბატონო ყმა, მებაღე.

საინტერესოა ისიც რომ, ვეძისში მცხოვრები ბევრი გვარი ამ დავთარში არ ჩანს, მაგალითად, მურადაშვილები, ყოჩიაშვილები, შიოთაღაშვილები და სხვ.

დიღმის წმინდა გიორგის აღსარების მთქმელთა სიის მიხედვით ვეძისში XIX ს-ის 30-იან წლებში უცხოვრიათ 22 კომლ ყმა გლეხს 118 სულის შემადგენლობით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ XX ს-ის მეორე ათეულში

---

27 პაპავები ძველი ისტორიული საბუთების მიხედვით, პაპაშვილებად იწოდებიან ამ ხეობაში, ახლა კი პაპავაძეებად.

28 ძველი საბუთების მიხედვით ხარჩილავები ამ სოფელში აზნაურ ხარჩილაძეებად მოსჩანან.

29 აღსანიშნავია რომ, სულხანიშვილები, დიღმის ხეობაში, წოდორეთ ვეძისში XV—XVIII საუკუნეებში მოსჩანან, რომლებიც XIX საუკუნის 20-იან წლებში გვარს იცვლიან და ბერიშვილებად ეწერებიან (იხ. დიღმის წმ. გიორგის აღსარების მთქმელთა დავთარი ინახება ჩემს მასალებში).

სოფ. ვეძისი იყრება ძველ ადგილსამყოფელიდან და სახლდება საბურთალოს მისადგომებთან, რომელსაც დღეს ვეძისელებს უწოდებენ. ვეძისში დარჩა ერთი კომლი ძველი მკვიდრი მურალაშვილი. ... წასულების ადგილას დამკვიდრნენ თათრები.

სოფ. თ ე თ რ ა ა ნ ი ა ნ უ თ ე თ რ ა ძ ე (ნასოფლარი) — ვახუშტი ბატონიშვილი დიღმის ხეობაში ასახელებს სოფ. თეთრაძეს[30], რომელიც ტოპონიმიკურ სახელწოდებაში თეთრაანად მოიხსენიება. თეთრაანი მდებარეობს დიღმის ხეობის მარცხენა ნაპირზე. დიღმის სარწყავი არხის სათავეში ძველად ამ ადგილას დიდი წყლისსაცავი კაშხალი ყოფილა აგებული, რასაც მოწმობს დიდი დუღაბის კედლის ნაშთი[31]. აქვე გვხვდება ნასახლარები, ძველი ეკლესიის ნაშთი და სოფლის შესავალში გზის პირას კოშკის კვალი.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ამ სოფელში უცხოვრიათ თეთრაშვილებსა და თოფჩიშვილებს, რასაც მოწმობს, ბოლო დრომდის შემონახული მათი ადგილ-მამულებიც. ეს გვარები მაგ., თეთრაძეები ისტორიული დოკუმენტების მიხედვით XV ს-ში უკვე ადგილობრივ მკვიდრებად გვხვდებიან, თოფჩიშვილები კი XVII—XVIII ს-ში. ამ გვარების შესახებ იხ. ქვემოთ.

სოფ. დ ი დ გ ო რ ი მდებარეობდა ქვემო დიდგორის მთის ძირას, რომელიც მოსალოცავის სახელით გვხვდება. ძველად ყოფილა დიდი დასახლება, რასაც მოწმობს ძველ საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები.

ამჟამად ამ ადგილას გაშენდა ახალი სოფელი დიდგორის სახელწოდებით, აქ დასახლდნენ კორათხევიდან და გარშემო მდებარე სოფლებიდან, ეს გვარებია: წიკლაურები, მათიაშვილები, ბექაურები, კაველიძეები და სხვ.

სოფელი ლამაზ და ჰაეროვან ალაგასაა გაშენებული, სოფლის წინ განთქმული დიდგორის მინდორია გადაჭიმული, ხოლო უკან ლამაზი ტყიანი მთები აქვს შემორტყმული.

სოფ. ჯ ო ი ა ნ ი (ნასოფლარი) მდებარეობდა დიდგორის ჩრდილოეთით. ნაოქიანის ხევის, ორივე ნაპირზე გაშენებული ყოფილა სოფელი ჯოიანი, რომელთა ნასახლართა კვალი დღესაც კარგად ეტყობა, აქვე ამ ხევის პირას გაშენებული ყოფილა ბაღ-ვენახები, რასაც მოწმობს ხეხილისა და ვაზის ნაშთები აქაურ ტოპონიმიკაში ეს ადგილი ვაზიანის სახელითაა ცნობილი, აქვეა ჯოიანის ეკლესია, რომელიც წმინდა გიორგის სახელითაა ცნობილი, თარიღდება XI—XII სს. გადმოცემით ჯოიანში უცხოვრიათ დიღმელ კოტორაშვილებს.

---

30 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფო საქართველოსა, გვ. 197.

31 იხილე ქვემოთ ძველი საირიგაციო ნაგებობები.

სოფ. თ ე ლ ო ვ ა ნ ი. სოფელს ლამაზი მდებარეობა და ბუნება აქვს, ჰავა გრილია, სააგარაკო სოფლად ითვლება, სოფელს გარმემო ტყე აკრავს, წინ ლამაზი სახნავ-სათესი მინდვრებია გადაჭიმული. სოფელი ძველიდანვე მცხეთის სვეტიცხოველს ეკუთვნოდა და ეკლესიის ყმები ცხოვრობდნენ[32]. ადგილობრივი მკვიდრნი მისდევდნენ ხვნა-თესვას და მესაქონლეობას. სოფ. თელოვანი ძველ ისტორიულ საბუთებში ხშირად გვხვდება. მაგ., 1392 წ. მცხეთის საეკლესიო სიაში ჩამოთვლილია ყველა ის მამული და სოფელი, რომელიც მცხეთის ეკლესიას ეკუთვნოდა და მათ შორის სოფელი თელოვანიც არის დასახელებული[33], ხოლო 1488 წ. მცხეთის სიგელში, სადაც მეფე კონსტანტინე და მისი შვილი დავითი, „საკანონოდ" მცხეთას შეწირულობას უძღვნიან, იმის გამო, „რომ „უხვედრი" ბარათაშვილის ქალი შეურთავს. მოხსენიებულია მცხეთის მამული თელოვანი, სადაც ნათქვამია, რომ „მცხეთის მამულსა და სახლსა მალი არაოდეს ეთხოვებოდეს და ცხურისა საბალახისაო"[34]... 1720 წ. ერთ ოქმში, რომელიც გაცემულია ვახტანგ VI მიერ სვეტიცხოველისა და კათალიკოზის ყმების შესახებ თელოვანიც არის მოხსენიებული სადაც 8 კომლი სწერია, რომლებზედაც ლაშქრობის დროს, შემდეგი დებულება იყო დადგენილი. „ქ. რაც ამაში კომში სწერია, სულყველამ თოფი უნდა იშოვნოს, ბოგანომ ფარ-ჯმალი და საფთე მშვილდი წამოიღოს, რაც სახლში საბატიოს კაციშვილი და აზნაურიშვილია—ვერ დაგვაკლდება, ვისაც შეეძლოს თოფიც იქონიოს და შუბიც. ვისაც არა თოფი წამოიღოს, ორი თვის ნუზლის ფიქრი ქნან, რახან შევატყობინოთ, ამ რიგად ქალაქს შემოგვეყარნენ. მეკომლე ორი წილი ცხენოსანი. მესამედი ქვეითი. ბოგანოც ქვეითი (ვახტანგ)"[35].

სოფ. თელოვანი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ საბუთებშიაც მოიპოვება. მაგალითად, 1398 წ. საბუთით, ალექსანდრე მეფემ სოფლის შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს (იხ. Hd—8712). ასევე 1559 წ. სიმონ მეფემ სვეტიცხოველს განუახლა თელოვნის შეწირულება (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Ad—1572). 1665 წ. ერთი სიგელის მიხედვით — სოფ. თელოვანში მცხოვრები ხუცესი ნიკოლოზ ქიქნაძე ცივი ციციშვილმა უბოძა პაპუა მაღალა-

---

32 სოფ. თელოვანი გარკვეულ ხანებში საბატონო მოსჩანს, მაგალითად, 1696 წლის ერთ სიგელში მოწმედ აღნიშნულია თელოვნის ბატონი გაბრიელაშვილი (იხ. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I, 1964, გვ. 91, 105.

33 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 195.

34 ი ქ ვ ე, გვ. 306.

35 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები 1, 1940, გვ. 185.

შვილს (იხ. ფონდი Qd—7010), ხოლო XVII ს-ის სიგელის მიხედვით თელოვნელები მოწმენი იყვნენ თელოვანში მდებარე მიწის ნაყიდობის წიგნისა (იხ. ფონდი Hd—1486—S). XVII ს-ის ეთნოგრაფიული თელოვანს ეწერა 9 სახასო მოლაშქრე[36], რაც საყურადღებო ცხობას შეიცავს, იმის შესახებ, რომ თელოვანში სამეფო ყმებსაც უცხოვრიათ.

როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს სოფ. თელოვანი მცხეთის საეკლესიო მამულად ითვლებოდა, აქვე გვხვდებიან სამეფო ყმებიცა და საბატონეებიც (მაღალაშვილების), XIX ს-ის თელოვანის ეკლესიის, წმინდანინოს, აღსარების მთქმელთა სიის მიხედვით მხოლოდ აზნაურ მაღალაშვილების საბატონო ყმები ჩანან. ესენია ხელაშვილი გრიგოლ დავითის ძე 5 სული, საბატონო ყმა. ხელაშვილი აბრამ დავითის ძე 6 სული საბატონო ყმა. ხელაშვილი საბა პაპის ძე 6 სული საბატონო ყმა. გოგიშვილი ზაქარია პაატას ძე 4 სული, საბატონო ყმა ნასყიდაშვილი ბარამ ნასყიდას ძე 5 სული, საბატონო ყმა. გოგიშვილი გრიგოლ ხარიტონის ძე 6 სული, საბატონო ყმა, გოგიშვილი სოლომონ ნიკოლოზის ძე 5 სული საბატონო ყმა.

აქვე ამ დავთარში ჩანს სასახლის მსახურებად ლეკიშვილები და 4 კომლი სხვადასხვა ხასიათის მოხელეები. ამ დავთარში არ ჩანან ამავე სოფელში მცხოვრები ფირუზაშვილები, რომლებიც მაღალაშვილებს ახალქალაქის სანახებიდან ჰყავთ გადმოყვანილი. ამჟამად სოფ. თელოვანს რამდენიმე კომლი მთიელ-გუდამაყრელი დაემატა, აქვე ჩამოსახლდნენ და დასახლდნენ დაახლოებით 1924, 1926 წწ. რამდენიმე კომლი თათარიც.

სოფ. ნ ა ქ უ ლ ბ ა ქ ე ვ ი მდებარეობდა დიღმის მინდორზე, დევის ნამუხლის სამხრეთით, რომელიც დიდი მცხეთის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა[37]. ამჟამად აქ დიღმის მევენახეობის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტია მოთავსებული. ნაქულბაქევი, მცხეთის სვეტიცხოველს ეკუთვნოდა, სოფელი XIX ს-ის 20-იან წლებამდის არსებობდა, მერე კი აქედან აიყარნენ და გლდანის ხეობაში სოფ. მამკოდაში დასახლდნენ. მიზეზი „რუსის ბეგარა“ იყო[38]. ამჟამად მათ ნასოფლარზე ძველი ეკლესიაა დარჩენილი, რომელიც ნაქულბაქევის წმინდა გიორგის სახელს ატარებდა.

წერილობით საბუთებში ნაქულბაქევი ბევრგან მოიხსენება, მაგ., 1398 წ. სოფელი, მისი შეწირულება განუახლა ალექსანდრე მეფემ

36 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, 1964, გვ. 105.

37 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, 1959. გვ. 79.

38 ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მასალები, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, 1964, გვ. 218.

სვეტიცხოველს (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd—8712)[39], ასევე სვიმონ მეფემ 1559 წ. სვეტიცხოველს კვლავ განუახლა ნაქულბაქევის შეწირულება (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Ad—1572)[40].

XVIII ს-თვის სოფელი ნაქულბაქევი ეტყობა აოხრებულა, ხოლო მისი მცხოვრები აქეთ-იქით გაფანტულა ან მტერს ამოუწყვეტია, რასაც მოწმობს პაპუნა მაღალაშვილის ანდერძი, რომელსაც სოფელი აღუდგენია და იქ ხალხი დაუსახლებია[41].

სოფელი ნაქულბაქევი ვახტანგ VI დასტურლამალშიაც მოიხსენიება, მაგალითად, გზების შენახვისათვის განკუთვნილ თავში, ნაქულბაქევს და დიღმელებს ევალებოდათ ვიწროებისა და მუხათგვერდის გზის შენახვა[42].

ნაქულბაქელების ძირითად სამეურნეო დარგს მემინდვრეობა წარმოადგენდა. ჰქონდათ ბაღ-ვენახები მტკვრის ნაპირას, ჭალაში, რომელიც მტკვრის წყლით ირწყვოდა. ადრე, ნაქულბაქევის მინდვრებისაკენ დიღმის წყალიც გაუყვანიათ, რასაც მოწმობს, უძველესი არხის ნაშთი[43], რომელიც წულაურების რუს გაგრძელებას წარმოადგენდა.

სოფ. ვ ა შ ლ ა ჯ ვ ა რ ი მდებარეობს დიღმის წყლის მარჯვენა ნაპირზე, იქ სადაც დიღმის წყალი მტკვარს ერთვის, ონადირის მთის ფერდობის ძირას. სოფელი ძველად სამეფო მამულს წარმოადგენდა და დიღმის სამოურაოში შედიოდა, ამ მიდამოებში ვხვდებით ენეოლითელი ადამიანის ნამოსახლარს, აქვე აღმოჩენილია ანტიკური ხანის ბრინჯაოს ბევრი საინტერესო ნივთი. სოფლის მიდამოებში გაშენებული იყო დიდი სამეფო და შემდეგ საბატონო ზვრები, რომელსაც ვაშლაჯვარის ზვარის სახელით ვხვდებით დიღმის ხეობის ტოპონიმიკაში. ამ ზვრის ადგილას გაშენებულია მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი და საცდელი ბაღ-ვენახი. ვაშლაჯვარის ტერიტორიაზე გაშენდა დიდი დასახლება, რომელმაც ონადირის ტერიტორიაც შეიერთა და ატარებს ვაშლაჯვარის სახელს.

სოფ. წ ი ნ უ ბ ა ნ ი. ვახუშტი ბატონიშვილი, დიღმის ხეობაში სოფელ წინუბანსაც ასახელებს[43ა]. სოფელი წინუბანი, მისი შეწირუ-

---

39 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 195.

40 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, 1962, გვ. 163.

41 გ. ბ ო ტ ო ر ი ძ ე, ანდერძი ა. მაღალაძისა 1681 წლის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, IX—B, 1936, გვ. 55.

42 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, 1886, გვ. 22.

43 ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88

43ა ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ლობა განუახლა ალექსანდრე მეფემ მცხეთის სვეტიცხოველს 1398 წ. (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd—8712)[44].

ვახუშტი ბატონიშვილს თავის შედგენილ რუკაში, წინუბანი ბან-ვენები აქვს თეთრაძიანსა და წოდორეთს შორის. ხალხური გადმოცემით წინუბანი დიღმის ბოლოს იყო სადაც ახლა წერწვერის უბანია, ამ დასახლებას „წინუბანი ეწოდებოდაო“ გადმოგვცემენ მთხრობლები. ამ ტერიტორიაზე ნაპოვნია ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის კერამიკული ჭურჭელი. სოფლის დასახლებას ერტყა სამეფო ზვრები და ბაღ-ვენახები.

სოფ. შ ი ნ დ ი ს ი. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკაზე, დიღმის ხეობაში სოფელი შინდისიცაა შეტანილი, რომელიც თეთრდუქნისა და თრელეების მიდამოებშია აღნიშნული, ამ ტერიტორიაზე მრავალი ნასახლარი გვხვდება. ამოდის მრავალი ფეოდალური ხანის სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო ნივთები, ამავე ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის მრავალი ნივთი, რაც მოსახლეობის უწყვეტლობაზე უნდა მიუთითებდეს, აქვე გადის ანტიკური ხანის უძველესი სარწყავი რუ დიღმის მინდვრისაკენ, რომელსაც წულაურების რუს უწოდებენ.

სოფ. დ ი ღ ო მ ი. როგორც ზემოთ დიღმის ხეობის სოფლების მოსახლეობის შემადგენლობამ დაგვანახვა, ძველი მოსახლეობა შესცვალა ახალმა, მთის მოსახლეობამ მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებულებმა.

მოსახლეობის მთიდან ბარში გადაჯგუფების პროცესი, დიღმის ხეობის სოფლებში საგრძნობლად შეიმჩნევა. ხეობის ზემო სოფლის მოსახლეობა, მაგალითად, ბევრეთის, თელოვნის, ძაღლაანთხევის, ტაბარუკის, წოდორეთის, დროთა ვითარებაში სხვადასხვა ალაგას გადასახლებულან[45] და მათი ადგილი მთიულეთ-გუდამაყრიდან ჩამოსახლებულებს დაუჭერიათ. გ. ჩიტაია, მოსახლეობის მთიდან ბარში მოძრაობის ამგვარ პროცესს უკავშირებს მთის მეურნეობის თავისებურებას. „ეს თავისებურება ადგილზე არაინტენსიური მეურნეობის არსებობის პირობებში იწვევს მოსახლეობის რაოდენობის სტაბილობას, რომლის ნაჭარბი იძულებულია მთიდან ბარში გადასახლდეს“[46].

---

44 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1, 1964, გვ. 260; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 2, გვ. 195.

45 დიღომში ბევრია ჩამოსახლებული, რომელსაც ამ სოფლის მეურნეობის ინტენსიურობა იზიდავდა.

46 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმომხილველი, I, 1948, გვ. 365.

საერთოდ, ცნობილია, რომ მეურნეობის პროდუქცია მთაში განსაზღვრულია, ლიმიტირებულია იმდენად, რომ ამ ზოლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მეტად მცირეა. ამის გამო, როგორც [illegible] ლის მოსახლეობა რიცხობრივად თავის დონეს აღწევს, [illegible] ზედმეტი რაოდენობა იძულებულია გადასახლდეს ბარში"[47]. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მოვლენას ომიანობისა და მშვიდობიანობის პირობებს უკავშირებს[48], ხოლო გ. ჩიტაია გადასახლების ამ პროცესს ეკონომიურ პირობებს უკავშირებს[49].

ამრიგად, დიღმის ხეობაში, სოფელ დიღმის ზემოთ განლაგებულ სოფლებში, ამჟამად ცხოვრობს, მთიულეთ-გუდამაყრის ხეობიდან ჩამოსული მოსახლეობა, ხოლო ძველი მკვიდრი მოსახლეობა, ჩამოსახლდა ბარში დიღომში, ვაშლაჯვარში, საბურთალოზე თხინვალში, მცხეთასა და სხვადასხვა სოფლებში.

დიღომი დასახლებულია ხეობის მარცხენა ნაპირზე, სოფელი ზეგანზეა გაფენილი, რომელსაც გარშემო ბაღ-ვენახები აკრავს. ბაღ-ვენახების შემდეგ იწყება სახნავ-საძოვარი მინდვრები. ამჟამად ამ მინდვრებზე ბაღ-ვენახ-ბოსტნებია გაშენებული. მინდვრების დასაწყისში, სოფლის განაპირას მოთავსებული იყო სამეურნეო ნაგებობები, გომურები და ფარეხები.

სოფელს ჩამოუდის სარწყავი რუ დიღმის წყლიდან გამოყვანილი, რომელიც სოფლის შიგნით მთავარ რუს გამოეყოფა და პატარ-პატარა რუებად ნაწილდება უბნების მიხედვით[50].

სოფ. დიღმის დასახლება შედგება ხუთი ძველი უბნისაგან: შუაუბანი ანუ ციხისუბანი, ქვემოუბანი ანუ წერწვერა, ჩარგალეთი, ზემოუბანი, მამადალაანთუბანი აქვე შედის კუნკულიანთუბანიც. ახალი დასახლება: ახალშენი (სოფლის ბოლოს) წულაურები, კიდობანები საბატე, დაბლა მიწები, ბაღების თავი.

თითოეულ უბანში დასახლებულია რამდენიმე გვარი, რომელიც შიგვე იყოფა საგვარეულო უბნად. მაგალითად, წერწვერის უბანში დასახლებულია 10—15 გვარი, თითოეული გვარი ქმნის თავიანთ საგვარეულო უბანს, მაგალითად, „თოფჩიანთუბანი", „გენებიანთუბანი". „ბოგველიანთუბანი", „მჭედლიანთუბანი", „ჯავახიანთუბანი" და ასე შემდეგ. თვითონ საგვარეულო უბანიც იყოფა გვარშიგნით ცალ-ცალკე საძმო სახლებად, მაგალითად, თოფჩიანი გაიყოფიან ორ ნაწილად— „ოსეფაანი" და „თათულაანი". გენებიანთ უბანიც საძმო სახლების მი-

47 გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმომხილველი, I, 1948, გვ. 365.

48 ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 104.

49 გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 365.

50 ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ხედვით იყოფა, „თრილეილანი“, „პაკლარაანი“, „ჯიგრიანი“, „ოჯოლაანი“, „ფილიანი“, „ლომაანი“ და ა. შ.

ISSN 1512-1402

დიღმი ქართლში ერთ-ერთი სოფელია, სადაც ცხოვრობს 1428 კომლი და 5316 მცხოვრები. დიღმის სასოფლო საბჭოს მოსახლეობა 1967 წ. მდგომარეობით შემდეგ სურათს იძლევა.

№ რიგ.	დასახელებული სოფელი ან პუნქტი	კომლის რაოდენობა	სულთა რაოდენობა					
			სულთა რაოდენობა	ქართველი	რუსი	სომეხი	აზერბაიჯანელი	ბერძენი
1	დიღომი	1428	5316	5283	12[51]	7[52]	—	14[53]
2	ვაშლაჯვარი	238	874	616	66	72	120	—
3	მევენახეობის სასწავლო მეურნეობა	106	370	136	48	122	10	70
4	„საქ. მისი“	60	169	130	20	69	—	—
5	საქართველოს სამხედრო გზის პირი	31	106	130	—	—	—	—
6	ზურგოვანი	12	51	51	—	—	—	—
7	სარემონტო ქარხნის დასახლება	103	321					
8	მექანიზაციის ფაკულტეტის ბინებში მუდმივი მცხოვრებნი	31	102	102	—	—	—	—
9	მექანიზაციის ინსტიტუტის დროებითი მცხოვრები	—	147	147	—	—	—	—
10	ვეძისი	14	74	12	—	—	62	—
11	დიდგორი	25	87	87	—	—	—	—
12	თილოვანი	25	86	56	—	—	30	—
		2073	7703	6950	146	270	222	84

ამრიგად, დიღმის საბჭოს შემავალ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ქართველების გარდა რუსები 66 ოჯახი, სომხები 64 ოჯახი, აზერბაიჯანელები 51, ბერძნები 14 ოჯახი: აქ არ მოგვყავს ლისის საბჭოს მოსახლეობის მდგომარეობა, სადაც შედის დიღმის ხეობის შემდეგი სოფლები: წოდორეთი, ძაღლაანთხევი, ტაბარუკი და ბევრეთი, სადაც დაახლოებით სამას კომლამდე ცხოვრობს.

სოფ. დიღმის ეთნიკური შემადგენლობა ამჟამად შემდეგი სახით წარმოგვიდგება. ადგილობრივი ძველი მკვიდრნი მთლიანად ქართველებისაგან შედგება. ახალ მოსულებს ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: იმერეთიდან, რაჭიდან, სამეგრელოდან, მთიულეთი-

51 ქართველი მამაკაცების მიერ ცოლად მოყვანილნი.

52 გაქართველებულნი.

53 მშობლიური ენა ქართული.

დან, ხევიდან კახეთიდან, ქართლიდან, აქვე ვხვდებით რამდენიმე კომლ სომეხს, რომელთა დედაენა ქართულია, აგრეთვე ცხოვრობს ერთი კომლი ჭარელი ლეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღომი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენდა სამეფო, სადედოფლო და საეკლესიო მამულს, რის გამოც ყველაზე ძველი გვარები დაცულია ამ სოფელში, რასაც მოწმობს ისტორიული საბუთები და წყაროები. დიღმის ძირძველი მოსახლეობა დიღმის ციხისა და ზემოუბნის (ხოლუაანთ) კოშკის გარშემოა დასახლებული.

გვარების აღწერასა და შესწავლას ვიწყებთ დიღმის ციხის გარშემო დასახლებიდან და სქემაც ამ აღწერას მიჰყვება. როგორც გვარის აღწერაში, ისე სქემაში ნაჩვენებია ამა თუ იმ გვარის სიძველე საუკუნეების მანძილზე, თუმცა ეს მონაცემები ზუსტი არ იქნება, რადგან ვეყრდნობით ხელთ არსებულ დოკუმენტებს და მის მიხედვით ვათარიღებთ ამა თუ იმ გვარის სიძველეს, მაგრამ არ არის გამორიცხული რომ იგივე გვარი ოთხი-ხუთი საუკუნით ძველი მკვიდრი არ იყოს დიღმის მოსახლეობისა. ეს ცნობაც საბუთებზეა დამოკიდებული, რაც ჩვენ ასე უხვად და ზუსტად არ მოგვეპოვება.

ზ ე რ თ ე ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღმის ციხის სამხრეთით, წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესიის მიდამოებში, სახლობდნენ ზერთელაშვილები და ხუციშვილები. ეს ორი გვარი ერთიდანაა წარმოადგარი, ერთმანეთის „სახლიკაცები“ არიან. ზერთელაშვილების დასახლებას ხუციშვილები გამოეყვნენ XIX ს-ის მიწურულში და ახალ ადგილზე დასახლდნენ, წერწვერაზე, მათ თავიანთი საგვარეულო უბანი შექმნეს სოფლის ბოლოს და „ხუციანთუბანი“ უწოდეს. ზერთელაშვილებსა და ხუციშვილებს, დიღმის მოსახლეობა „მღვდლიანთ“ სახელით მოიხსენიებდნენ, ეს სახელი შემთხვევითი არ არის, ამ გვარზე ძველი ისტორიული საბუთები მრავლად მოიპოვება, მაგ., დიღმის წმინდა გიორგიზე და მის დეკანოსზე, რომლებსაც თვით მეფე და კათალიკოზი ამტკიცებდა, ხოლო წმინდა გიორგის დეკანოზობა ზერთელაშვილებისა და ხუციშვილების სახლს კუთვნებია ძველიდანვე.

ზერთელაშვილებსა და ხუციშვილებს ხელთ ჰქონიათ მამაპაპითგან მოპოვებული მრავალი მამული, ამას არა მარტო ტოპონიმიკური და ეთნოგრაფიული ჩანაწერები მოწმობს, არამედ ხალხში შემორჩენილი ანდაზაც მეტყველებს: „ზერდეგელაანი ამბობენ: ბარიც ჩვენია და მთაშიაც წილი გვაქვსო, თუ ასე არ გინდათ მთა ჩვენი იყოს და ბარშიაც წილი გვქონდესო“. და მართლაც, ამ გვარებს ბოლო დრომდე შემორჩათ კარგი მამულები. რომლებიც მამაპაპით „კონდაკით“ იყო მოპოვებული.

ზერთელაშვილებისა და ხუციშვილების თავდაპირველი გვარის დადგენა შეიძლება მოხერხდეს ძველი სიგელ-გუჯრების მეშვეობით, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ. დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზობა ამ გვარების წინაპართა ხელში იყო, თუმცა ბევრჯერ სხვებიც „მესცილებიან“, მაგრამ სიგელ-გუჯრების წყალობით, ქართველ მეფეებს ისევ მათთვის დაუმტკიცებიათ დეკანოზობა.

1505 წ. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთ გუჯარში, რომელიც ფილიპე დეკანოზის მიერაა მიცემული, აღნიშნულია, რომ დიღმის წმინდა გიორგის წინაპარი დეკანოზი დაახლოებით XIV ს-ში მოუყვანია და დეკანოზად დაუმტკიცებია დავით მეფეს. გუჯარში ნათქვამია: „წმინდა გიორგი მფარველო... ყოვლისა ქვეყნისაო. ახოვანო, მჯნეო, (რომელმან) დაიცევ ქვეყანა ესე დიღომი, იხსენ ყოვლისა ჭირისაგან, ქარისაგან. გრგვინისაგან, სეტყვისაგან, დაიცევ ქვეყანა ესე და საფარველითა შენითა. მე ფრიად ცოდვილმა და საწყალობელმა მღვდელმან ფილიპე, ესე წიგნი დავდევ მას ჟამსა შინა, როდეს ჯელმწიფემან მეფემან ბატონმა დავით მომიყვანა და დამასახლა ქვეყანას ამას. მომცა წმინდის გიორგის დეკანოზობა, პირველ ჩვენ ქონებულ ჩვენვე ვიშოვეთ. და გვიბოძეს, აწე რაც ჩემის კოდაკითა საორმოცეთა მამული ამიღია, პირველა ყაფყური, ნასყიდი ქორქილთა[54] ორის დღის მიწა, როდეს ნამორშალი ქრისტესა მოკდა, მაშინ მომცეს, ის ხუცური მახარობელმა მომცა ცოლის საორმოცეთა და თავის საორმოცეთა. ნებერილი თეთრაძემა ოდეს მზევაძე მოკლა, მაშინ საორმოცეთ მომცა ტინუან ღვემელაშვილმა აიანელმან ცოლისა შვილისა საორმოცეთა... გეგიშვილმან ბერმან ნობა ხიზანიშვილს გულსდებიგანა იყიდა ნაჭევარი ვენაჯი. შიმშილობა იყო ისეთი, დედამა შვილი შეჭამა, ერთი ლიტრა ფეტვი ოცდაათ თანგათ იყო, ბერს საფურცლეს[55] ფეტვი ედგა, იქიდალმამიც ისე იყიდა, მერე საორმოცეთ ჩვენ მოგვცა, ჩვენ ერთი ჭარი კიდევ მივეცით და ის ჭარი მანგლელს მიცა... ქილქედაშვილს (?) საორმოცეთა, ისიც ჩემის კოდაკითა მომებარა, ვინცა ეს ჩვენ შვილთა შეუცვალოს ჩემითა...“[56].

ზემოთ მოყვანილ გუჯარაში მოხსენიებული დიღმის დეკანოზი ფილიპე, უფრო ადრინდელ სიგელშიაც ჩანს, სადაც დეკანოზთა სახლის გვარიც არის აღნიშნული და ერემაძედ მოიხსენიებიან. მაგალითად, 1453 წ. 6 აგვისტოთი დათარიღებულ სითარხნისა და წყალობის წიგნში, რომელიც გაცემულია მეფე გიორგი VIII მიერ ნათქვამია:

---

54 დიღმის მასივში, ხიდის მისადგომთან დიდი თელა დგას იმ მიდამოს ქორქილები ეწოდებოდა.

55 საფურცლე — დიღმის მასივში ადგილია.

56 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 45.

„ქ. წ. ნებითა ღუთისაგთა, ორისავე ტახტისა და სამეფოსა ლიხთ-ამერეთისა და ლიხთ-ამერეთისა, შაანშე და შარვანშე და ყოვლისა დასავლეთისა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა [illegible] მტკიცეთ მქონებელ-მპყრობელმან პატრონმან მეფეთ-მეფემან გიორგი და თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედოფალთ-დედოფალმან თამარ ესე წყალობისა, და შეწყალებისა მტკიცე და შეუცვალებელი სიგელი გიბოძეთ შენ ერემაძეს ფილიპე მღვდელსა; დავითს... და გიორგის და ...[57] შვილთა და მომავალთა სახლისა შენისა ყოველთავე: შეგიწყალეთ და განგათავისუფლეთ ყოვლისა ფერისა და სათხოვარისაგან ასრე და ამა პირთა ზედა, რომე დღეს დღესითაგან წაღმა არა გეთხოვებოდეს ერთისა ლაშქრობის მეტი, არა გეთხოვებოდეს და თორმეტთა საუფლოთა დღეთა ჩუენის სულისათვის და მეფობისა (ჩვენისა წარსამართებლად გვიწირევდით და ჩუენგან არა გეთხოვებოდეს არა) პური, არა ღვინო, არა ზროხა-საკლავი, არა გოჭ-ქათამი, არა მუშაობა, არა ულუფა, არა საჯინიბო, არა სახორსალალო, არა საბალახე და სათესავი და სამკალი და სალეწი და მამითნადი, არა საყველიერო. ერთისაა ლაშქრობისაგან მეტი არა გეთხოვებოდეს, იყვენიო საყდრის-შვილნი და დეკანოზნი საუფლოთა დღეთა გუიწირევდით. სხუა ამას გარეთ არა გეთხოვებოდეს, არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა უკანის მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან და არცა შეგეცვალოს და არც ვინ გუიბძანებია მშლელ და მქცევარი ბრძანებისა ამის ჩუენისა და...“[58].

ზემოთ მოყვანილ სიგელში ერემაძეთა სახლს „საყდრის-შვილობის“ წოდება დაუმკვიდრებიათ და შემდეგ ეს უფლება ბოლო ხანებამდე მოყოლიათ. დიდმელი ერემაძეთა შთამომავალნი, ხუციშვილები და ზერთელაშვილები ბოლნისის მხრიდან მოსულებად თვლიან თავს, რადგან მათი მამაპაპა სალოცავად იქ დადიოდნენ „გვარიც სხვა გვქონდაო“. „ჩვენ ხუციშვილები და ზერთელაშვილები ერთად ვცხოვრობდით, სახლიკაცები ვართო“.

1582 წ. ერთ სიგელში, რომელიც გაცემულია სვიმონ I მიერ ნათანელ ერემას ძისადმი ნათქვამია: „...ჩუენ ღუთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან სვიმონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ. დიდმელს ერემაძეს წმიდის გიორგის დეკანოზს —ნათანელს და შვილსა შენსა ეუმთელს. მას ჟამსა, ოდეს მოგუადეგით კარსა და თარხნობისა წიგნისა წყალობასა გუიჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გათარხნეთ და განთავისუფლეთ წიგნითა

---

57 უკანასკნელი სიტყვის ადგილას სხვა ხელით ჩაწერილია: ელიაზარს (ავტ. შენიშვნა).

58 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, 1940, გვ. 2.

ამითა ასრე, რომე არა საჩვენო ბეგარა და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა, არა ბაშმალი, არა ღალა და კულუხი, ერთიცა, წმიდის გიორგის სამსახურისა და სათათროს საურის მეტი. გქონდეს ... ბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგან და ამოდეს არ მოგეშალოს მტკიცე წიგნი და ნიშანი ესე ჩუენგან ნაწყალობევი აწე გიბძანებთ დიღმის ტარუღანო, მელიქნო და სხვანო კარისა ჩუენისაგან წარვლენილნო თაჰსილდარო... თქუენცა ასრე გაუთავეთ რა რიგაცა ამ ფარვანში ეწეროს და ნურას შეუშლით და ნურცარას შეცილებით. დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ქრონიკონსა ს ო, მაისს ი"[59].

ზემოთ განხილული სიგელ-გუჯრების მიხედვით ირკვევა, რომ დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზების გვარი ერემაძენი ყოფილან, რომელთა შთამომავლებად დღეს ზერთელაშვილები და ხუციშვილები გვევლინებიან, ზემოთ მოტანილ 1505 წ. გუჯარში, რომელიც ფილიპე, დეკანოზის მიერაა დაწერილი, მოხსენიებულია მათი გვარის მოსულობის ხანა დიღომში, სადაც ნათქვამია, რომ „...მე ფრიად ცოდვილმა და საწყალობელმა მღვდელმან ფილიპე, ესე წიგნი დავდევ მას ჟამსა შინა, როდესაც ჯელმწიფემან მეფემა ბატონმა დავით მომიყვანა და დამასახლა ქვეყანას ამას, მომცა წმინდის გიორგის დეკანოზობა..."[60]. გუჯარაში მოხსენიებული დავით მეფე XV ს-ში არავინ გვხვდება, რაც შეეხება დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზებზე გაცემული წყალობისა და სითარხნის სიგელები ადრიდანვე დამტკიცებულნი ჩანს, კერძოდ, 1453 წ. სიგელში, მიცემული გიორგი VII მიერ ნათქვამია რომ: „იყვენით საყდარის-შვილნი და დეკანოზნი საუფლოთა დღეთა გუიწირევდითო"[61] ტექსტიდან ჩანს რომ დეკანოზობა და სითარხნე ერემაძეებს ადრიდანვე ჰქონდათ დამტკიცებული მეფეებისაგან.

რაც შეეხება 1505 წ. დიღმის წმინდა გიორგის, ფილიპე მღვდლის მიერ გაცემულ გუჯარში მოხსენიებული მეფე დავითის სახელით XV საუკუნისათვის არავინ გვხვდება, გარდა გიორგი ბრწყინვალის მემკვიდრისა, რომელიც დიმიტრი თავდადებულის შვილიშვილი იყო. 1346 წ. გიორგი ბრწყინვალე გარდაიცვალა და მის მაგიერ, მისი შვილი დავით VII გამეფდა და თუ ზემოთ მოყვანილ გუჯარაში მოხსენიებული დავითი, დავით VII-ეა, მაშინ სავარაუდოა რომ

---

59 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, გვ. 11; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 46.

60 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 4.

61 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

დიღმის დეკანოზების საგვარეულო. ერემაძეები XIV საუკუნეში უნდა დასახლებულიყვნენ, რადგან დავით VII გარდაიცვალა 1360 წ.[62]

„დავით მეფის სიგელს“ შემდეგი მეფეებიც მოიხსენებენ მოკლედ, 1641 წ. როსტომ მეფის მიერ გაცემულ სიგელში ნათქვამია: „...მოკითხული გიყავით და დავით მეფის სიგელიც გვანახეთ და ჩუენც სიგელითა ამით დეკანოზობა და ცხორებაშვილის სასახლე დაგიმტკიცეთო“[63].

1582 წ. 10 მაისს გაცემულ, სიგელში მოხსენიებულია დეკანოზის შვილი „ქეჟთელი“. სიგელში ნათქვამია, რომ „...თქვენ, დიღმელს, ერემასძეს წმიდის გიორგის დეკანოზს — ნათანელს და შვილსა შენსა ქეშთელს...“[64]. „ქეჟთელი“ ხომ იგივე სახელ „ზერთელს“ ნიშნავს, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე და ბოლოს ერთ-ერთ მათი შთამომავალის გვარად იქცა: „ქეჟთელაშვილი“, „ზერთელაშვილი“, მითუმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელი „ქეშთელი“ ამ სახლის, ბევრ სხვადასხვა სიგელ-გუჯრებში გვხვდება, მაგალითად ამავე წმინდა გიორგის დეკანოზების შემდგომ სითარხნის სიგელში, რომელიც 1675 წ. თარიღდება და გაცემულია შაჰნავაზ მეფის მიერ, გვხვდება კიდევ მეორე დეკანოზის სახლიკაცი „ქეშთელი“, სადაც ნათქვამია: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩუენ მეფეთ-მეფემან, ხელმწიფემ პატრონმან შაჰნავაზ და თანა-მეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მარიამ, ესე საბოლოოთ გასათავებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, წმინდის გიორგის დეკანოზს გელიას, ძმათა შენთა ათანელს, ელიზბარს და ქეშთელს, სახლისა მომავალთა ყოველთავე ასე და ამა პირსა ზედან, მოგუადექით კარსა და სითარხნის წყალობასა გუიაჯენით, და ძუელი მეფეთაგან წყალობის სიგელებიც გინახეთ და ვინც დეკანოზი ყოფილა, მუდამ თარხანი და აზატი ყოფილან. აწე ჩუნად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წასამართებლად ჩუენც გათარხნეთ და განთავისუფლეთ ასე და ამა წესით, რომე არა რიგითაც ძუელის სიგელში თორმეტის საუფლოს დღეს ქამის წირვა გედვას, წირვა არ მოშალოთ, და ჩუენ დამაწყალობევით, ასრე გათარხნეთ: არაფერი საჩვენო სათხოვარი არ გეთხოვებოდეთ რარიგათაც ძუელს სიგელებში გიწერია. ერთის ლაშქარ-ნადირობის მეტი იყვენით საყდრის დეკანოზი, ქონდეს და გიბედნიეროს ღ~თნ, აწე გიბრძანებთ კარისა ჩუენის

---

62 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1941, გვ. 179.

63 იხილეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd—1053.

64 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, გვ. 11; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, 46.

ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რა რიგათაც ამ ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანსა ეწეროს და ნურალეს მოუშლით"[65].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზებს და მათ შთამომავალთ სხვა შემდგომი მეფეებიც უმტკიცებენ დეკანოზობასა და სითარხნეს. მაგალითად, 1637 წ. ერთ-ერთ სიგელში, რომელიც როსტომ მეფეს მიუცია, ნათქვამია შემდეგი: „ნებითა და შეწევნითა ღუთისათა ჩუენ მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ესე საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ წმინდის გიორგის დეკანოზს ათანელსა, შვილსა შენსა დავითსა, ელიაზარს, გედეონს და ივანეს ასე და ამა პირსა ზედა, რომე მოგუადეგით კარსა და სითარხნის წყალობას გუიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, მოკითხულ ვქენით და ძუელი მეფეთაგან წყალობა სიგელიც გინახეთ, და ვინც დეკანოზი ყოფილა, მუდამად თარხანი და აზატნი ყოფილან. აწე ჩუენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად ჩუენც გათარხნეთ და განგათავისუფლეთ ასრე და ამა წესითა, რომელთა რიგადაც ძუელს სიგელში თორმეტს საუფლოს დღეს ქამის წირვა გედვას, ის წირვა არ მოგეშალოს და მეფეს ბატონს გიორგის მოიხსენებდეთ და ჩუენც დაგუამწყალობნებდეთ, ასრე გათარხნეთ რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა, არა მალი, არა ღალა, არა კულუხი, არა სეფეობა, არა სატარუღო, არა ულუფა, არა საბალახე, არა სამეჯინიბო, არა პირისთავი, და სამკალი, არა სალეწავი და საყუელიერო ერთის ლაშქრობისაგან მეტი. იყუენით საყდრის შვილნი და დეკანოზნი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან და არასოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხვანო მოსაქმენო, დიღმისა მოურავნო და მოჯელენო ვინცა ვინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შეეცილებით. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ~კს: ტკე ჰელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრის თუმანიშვილის ბირთუელისათა (როსტომ)"[66].

როგორც ზემოთ სიგელიდან ჩანს, დიღმის დეკანოზის შთამომავალნი, რომელნიც ერემაძეთა სახლს ეკუთვნიან ხუციშვილები და ზერულაშვილები, საქართველოს მეფეთაგან გათარხნებული და გააზატებულნი ყოფილან, რადგან ისინი ძველიდანვე საყდრისშვილებად იწო-

---

65 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 44.
66 ი ქ ვ ე, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდნენ და ევალებოდათ და დადგენილი ჰქონდათ მეფეთაგან, რომ „თორმეტს საუფლოს დღეს ჟამის წირვა გედვას, ის წირვა არ მეგმეშალოს და მეფეს ბატონს გიორგის მოიხსენებდეთ და ჩუენ[illegible] წყალობნებდეთ". ასეა დადგენილი, ყველა სიგელში და ყველა სიგელის მიმცემი მეფე თავის თავსაც მოსახსენებლად და დასამწყალობებად უდებს დიღმის დეკანოზთ „თორმეტს, საუფლო დღეს". ალბათ ტრადიციითაც გრძელდებოდა ეს ამბავი და ალბათ დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის ფრესკების მომხატველმა ეს გარემოება გაითვალისწინა და ყველა მეფის პორტრეტი გადმოგვცა კედელზე.

შემდეგშიაც მოიხსენიებიან წმინდა გიორგის დეკანოზები, მეფეთა გაცემულ სიგელ-გუჯრებში, მაგალითად, 1641 წ. ერთ სიგელში, რომელიც როსტომ მეფეს მეორედ გაუცია დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზზე, ნათქვამია: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღ"ისათა ჩუენ მეფეთ-მეფემან, ჭელმწიფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩუენსა ერთგულსა და ნამსახურსა ყმასა დიღმელს წმიდის გიორგის დეკანოზს ათანელსა შვილსა შენსა დავითს, ელიაზარს, გედეონს, იოვანეს, გიორგის და სახლისა მომავალთა თქუენისათა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს მოგუადეგით კარსა და ცხორებაულის შენისავ საყდრის სასახლეს გუიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და მოკითხულ გიყავით და დავით მეფის სიგელიც გინახეთ, და ჩუენიც სიგელითა ამით დეკანოზობა და ცხორებაშვილის სასახლე დაგიმტკიცეთ. ყოვლის კაცისაგან უცილობლად. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენს ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან..."[67]. ამავე სიგელს ამტკიცებენ შემდეგი მეფენი და დედოფალნი: „მეფეთ-მეფე თეიმურაზ ვამტკიცებ სითარხნისა და აზატობას. ირაკლი, დედოფალი დარეჯანი, მეფის ძე გიორგი (გიორგი XII), და მეფის ძე ლეონ"[68]. შემდეგ სხვა სიგელებშიც გვხვდებიან ერემაძეთა შთამომავალნი, წმინდა გიორგის დეკანოზები, რომელთა შორის სახელი „ეეშთელი" ხშირად გვხვდება. მაგალითად, 1666—1675 წწ. გაცემულ ერთ სიგელში, რომელიც კათალიკოზს ბატონიშვილს დომენტის მიერ არის გაცემული, დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზის ათანელისადმი, ნათქვამია, რომ: „ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩუენ ბატონიშვილმა ბატონმა კათალიკოზმა დომენტი შენ დიღ-

---

67 იხილეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd—1053.

68 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელს წმინდის გიორგის მღვდელს ათანელს, ასრე რომე წმიდის გიორგის დეკანოზობას შემოგეცილნენ და ჩუენ მოკითხულ ვქენით და მეფის სითარხნის წიგნებიც ქონდათ და არავინ რას გემართლებოდა, ჩუენც წყალობა გიყავით და წმინდიის გიორგის დეკანოზობა ისევ თქუენ მოგეცით ყოვლის კაცის უცილებლად, არის ამის მოწამე სახლთ-უხუცესი, მაღალაშვილ პაპუა და თანია. კათალიკოზი.... (არშიაზე სხვა ხელით):

ქ: გედიას, ელიზბარს, ჟესთელს, ბერუას და ვინცა ეს მოგიშალოს, რისხავს ყოველნი მისნი წმინდანი"[69]. ეს პირები შემდგომ 1678 წ. სიგელშიც ჩანან, რომელიც კათალიკოზ ნიკოლოზ ამილახორისა და ევდემონ დიასამიძის მიერ არის გაცემული დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზისადმი. აღნიშნულია: „ნებითა ღ~თისათა ესრე უკუნისათა ქამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ბატონმან კათალიკოზმან ამილახორის შვილმან პატრონმან ნიკოლოზ, თქვენ დიღმელს წმინდის გიორგის დეკანოზს ათანელსა, ძმასა შენსა გედიასა, ელიზბარსა, ჟეგშთელსა, ოთარსა, ბერსა მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, ასრე რომე წმინდის გიორგის დეკანოზობას შემოგეცილნენ, მოხვედით, ჩვენ შემოგვეხვეწენით, ჩვენ მოკითხული ვქენით, ხელმწიფის სითარხნის წიგნები გქონდათ, და ბატონიშვილის კათალიკოზის წიგნი გქონდათ, სამკვიდროთ თქვენი იყო და არას გემართლებოდათ, ჩვენც გიყავით წყალობა და სიგელითა ამით დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ ყოვლის კაცის მოუდევრად და აუცილებლივ შენთან არც ზებედეს ჰქონდეს ჴელი და არც სხვას კაცს გქოხდეს და გიბედნიეროს ღ~თან, ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა კათალიკოზთაგან. არიან ამისნი მოწმენი და შუა დამხდურნი სახლის — ხუცესი პაპუა, ქარსიძე დავით, თანიშვილი ელიზბარ, კანდელაკის შვილი პეტრე, მე რევაზს დამიწერია, და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქკსა: ტნიკ. კათალიკოზი დომენტი"[70].

ამავე სიგელს ამტკიცებს შემდეგი კათალიკოზი ევდემოზ დიასამიძეც.

დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზებზე უკანასკნელი გაცემული სიგელი 1790 წ. 9 ნოემბრით თარიღდება, რომელშიც მიცემულია არზა პავლე მღვდლის მიერ ალექსანდრე ბატონიშვილისადმი და აღნიშნულია: „ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის მეფის ძის ალექსანდრეს ჭირი მისცეს თქვენს ყმას დიღმელს, წმინდის გიორგის დეკანოზის შვილს, მარადის თქვენ მლოცველს, პავლე მღვდელს, ჩემო მოწ-

---

69 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ.. II, 1909, 93.

70 ი ქ ვ ე, გვ. 95.

ყალეო, მოიკითხეთ თუ ძველთაგანვე რაოდენი მეფეთაგან სითარხნისა და აზატობის წიგნები მაქვს. არაფერი სათხოვარი არც ღალა და არც არა სხვა რამ მეთხუება, ყოველს წელიწადს ამ წმიდის გიორგეს ეკლესიაში თორმეტს საუფლო დღეს თქვენის უმაღლესობის ჭელმწიფობისათვის და კეთილწარმოებისათვის პარაკლის და მსხვერპლს უნდა შევწირავდეთ და წ (?) მეფობისა თქვენის წარსამართებლად. ყოველთაგანვე დამტკიცებული წიგნები მაქვს და იმ ეკლესიას თითო ოროლა დღის მიწა ქონია და თქვენის მამის ოქმიცა მაქვს, რომ ვინც მოხნავდეთო, ღალას ამ მღვდელს მისცემდეთო და როგორც ეჭირება ეკლესიას მოახმარებსო. ჩემო ჭელმწიფეე, შარშან თქვენმა ძმამ რომ ხოდაბუნები დააჭვნევინა, ღმერთსა და იმ ეკლესიას და თქვენ თავს ვფიცავ, რომ ჩემი ალალი მამული ექვსი დღისა მოჭნეს შარშან თქვენის ძმისათვის და წელს კიდევ თქვენთვის, სხვა მიწა კი არა მქონდა, მართალია, ოთხიოდ დღის მიწა ბეთალმანში მოვჭანი და მოიკითხეთ, რარიგად მომიცდა, რომ თესლს ვერ გამოვრჩი. ეხლა რომ კალოს უკან ღალის პური შესწერდა დიღომს მეც მთხოვდნენ, მარტყოფს თქვენს ძმასთან მოველ, ოქმი მიბოძა, არ შეიწყნარეს, მე აქ გახლდი, ხასადრის კაცს და გლახა ჩაჩიკაშვილსა ჩემი ორმო აუგლეჯიათ და სამი კოდიპური ამოულიათ, გევედრებით თქვენად და თქვენის ძმის სადღეგრძელოთ, ამაზე ოქმი მიყოთ, რომ ისევ მამცენ ჩემი პური. რათა უმეტეს იდიდოს სახელი თქვენი, ნოემბრის Ѳ ქკ-ს უოѲ"[71].

ზემო ამიაზე არზას აქვს მინაწერი: „ბატონიშვილი ალექსანდრე გიბრძანებ ჩაჩიკაშვილო გლახავ და ცაბაძე დავითავ, უწინდელი სითარხნის წიგნები ხომ აქვს და ჩვენის ძმის ოქმიცა, რომ ნურავის რას გამოართმევთო, არც მე მინდა ეკლესიის საწყენი, როგორც ამ არზაში მოუხსენებია, რაც წაგერთმიოსთ, ისევ უკანვე მიეცით, თორემა დიდათ გვეწყინება თქვენგან"[72].

ზემოთ მოყვანილ არზაში მოხსენიებული დეკანოზისშვილი პავლე მღვდელი, დიღმის მოსახლეობაში ცნობილი ლეგენდარული პიროვნებაა, რომელიც „პალა მღვდლის" სახელითაა ცნობილი და ზერთელაშვილებისა და ხუციშვილების წინაპრადაა მიჩნეული. ამ მღვდლის საგმირო საქმეებზე, მრავალი ლეგენდა იყო შექმნილი დიღმის მოსახლეობაში. ლეგენდებმა ჩვენამდისაც მოაღწიეს, როგორც ლეკებთან და თათრებთან მებრძოლ მღვდელზე „ცალ ხელში ჯვარი ეჭირა, მეორეში ხმალიო" გადმოგვცემენ მთხრობლები. „ბევრჯერ ყოფილა დიღმის ციხე განსაცდელში თურმე და პალა მღვდელს გამოსავალი უპოვნია

---

71 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, II, გვ. 155, 156.

72 იქვე, გვ. 156.

ᲓᲘᲓᲘᲗᲘᲗᲘ ᲕᲘᲠᲘᲐᲡᲚᲘᲗᲘ ᲑᲐᲠᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲘ
ᲗᲐᲠᲘᲗᲐᲜᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲣᲙᲐ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲖᲔᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ

და მტერს ვერასოდეს აუღია ციხე და მოსახლეობა გადაურჩენია. „პალა მღვდელს, თათრულთან ერთად ლეკურიც სცოდნია“. გადმოგვცემს თქმულება: „ერთხელ პალას ამბავი მოუტანეს ზედაზენზე ლეკის ჯარი დგას და გარშემო სოფლების აოხრებას აპირობენო. მეყარა ხალხი და ღამე ზედაზნის ტყეში ლეკების სადგომთან ხალხი გადამალა, თვითონ კი ლეკურად გადაიცვა და ბანაკში შეიპარა, ცუდი ამინდი ყოფილა ეკლესიისა და ციხის კედლებთან მრავალ ალაგას, ცეცხლი ჰქონიათ გაჩაღებული ლეკებს. შუაღამისას ლეკებმა, ყარაულები გამოცვალეს და დაიძინეს, ცეცხლიც მინელდაო, პალას მძინარე ლეკებისათვის იარაღი აუყრია და ტყეში თავის კაცებისათვის გადაუცია, მერე თავს დასხმიათ მათ ბევრი ამოუხოციათ და დაუტყვევებიათ, ქართველი ტყვეები, რომლებიც ლეკებს დაეჭირათ გაუშვიათ. მეორე დღეს პალას ტყვე ლეკები თბილისში მეფე ერეკლესათვის მიუგვრია, გახარებულ მეფეს პალა მამულებით დაუსაჩუქრებია და დიღმელებისათვის ბევრი წყალობა ექნაო“, გადმოცემის მიხედვით „ლეკებს შიშის ზარსა სცემდა პალა მღვდელიო“. ამ მღვდელზე თქმულებები ჩაწერილი და თავის მოგონებებში შეტანილი აქვს განსვენებულ მკვლევარს იროდიონ სონღულაშვილს.

ზემოთ მოტანილ სიგელ-გუჯრებში მოხსენიებულნი დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზები, რომელთაც მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული „საყდრის კაცობა“, ზერთელაშვილებისა და ხუციშვილების წინაპრები იყვნენ, ხოლო როგორც XV ს-ის სიგელ-გუჯრებიდან ჩანს ეს გვარები შთამომავალნი არიან ერემაძეებისა, რომლებიც დიღომში უნდა დასახლებულიყვნენ არაუგვიანეს XIV ს-ის ნახევრისათვის.

ქამუტაშვილები — დიღმის ციხის დასავლეთის მხარე ქამუტაანთ უბანს უკავია. ეს უბანი „დუქან-ბაზარ“ ალაგსაა გაშენებული და გზაჯვარედინ ადგილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ დასახლების მიხედვით სიძველეს ამჟღავნებს და ამავე დროს დიდად გამრავლებულ გვარად ითვლება, არც ერთ ისტორიულ სიგელ-გუჯარში არ გვხვდება „ქამუტაშვილი“ გარდა 1781 წლის ხალხის აღწერის დავთრისა, სადაც სამეფო მოყალნე ყმებად ჩანან[73]. თავიანთ თავს ქამუტაშვილები გეგელიშვილების განაყოფად თვლიან, ამასვე ადასტურებს დიღმის მოსახლეობაში შეკრებილი მასალებიც (იხ. ქვემოთ გეგელიშვილები), ეს გვარი საბატონო ყმებად ითვლებოდა XIX ს-ში. ქამუტანი განიყოფებიან შემდეგ მამის სახელებად ჭიკაანი, ბათლომიანი, ჩაჩიბაიანი, უქმურიანი და ა. შ.

---

[73] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, 1967, გვ. 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოცემის მიხედვით ჟამუტაშვილების ერთ ოჯახს „ბაღში, ბაკალზე ალი დაეჭირა და სახლში მოეყვანა, შეეჭრა ალისთვის თმები, ფრჩხილები და კერის ქვეშ ნაცარში შეენახა, რადგან კერა ალისთვის უდგებოდა. ალი ამ ოჯახში დიდხანს ყოლიათ, სახლის საქმეს ოჯახში ის აკეთებდა. ოჯახის წევრები ალს უკუღმა ელაპარაკებოდნენ. „სახლი არ დაგავო“, „წყალი არ მოიტანო“, „ცომი არ მოზილო“, „ქათმებს არ დაუყარო“, ალი კი პირიქით აკეთებდა: სახლს დაგვიდა; წყალს მოიტანდა, ცომს მოზელდა, ქათმებს აჭმევდა და ყველაფერს აკეთებდა; რომ გეთქვა წყალი მოიტანეო, არ მოიტანდა, ამიტომ ელაპარაკებოდნენ უკუღმა. ერთხელ როცა ოჯახის ყველა წევრი მამულში ყოფილან წასული, ალი პატარა ბავშვთან ყოფილა სახლში მარტო და ეთამაშებოდა, მერე ბავშვისთვის ეთქვა: აბა კერა აყარე შიგ რა არისო? ბავშვი მისულა კერასთან, გაექექნა ნაცარი, ამოეღო ალის თმები და ფრჩხილები, რომლებიც შეკრული ყოფილა, ალს ბავშვისთვის ხელიდან გამოუტაცნია, გამოუხსნია თმები და ფრჩხილები და სახლიდან გაქცეულა, თან სახლი დაუწყევლია — „თქვენს სახლში ხუთშაბათსა და პარასკევს სინათლეს ნუ გაუნათებიაო“. და მართლაც, ხალხის რწმენით ჟამუტაანთ (უჟმურიანთ სახლის შთამომავალთ) სახლში ხუთშაბათსა და პარასკევს ლამფა სინათლეს არ იძლევა და ბჟუტავსო“, აღნიშნავენ მთხრობლები.

გ ე გ ე ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. ჟამუტაშვილების მეზობლად, დიღმის ციხის დასავლეთით გეგელიშვილების უბანია. მათი დასახლება, სოფლის გზის პირს გასდევს, გეგელიშვილებს დიღმის მოსახლეობა „ყავაჩიანთ“ სახელით მოიხსენიებს. შემონახულია გამოთქმები „ყავაჩიანთ მიწები“, „ყავაჩიანთ ბოსტნები“, „ყავაჩიანთ ბაღები“ „ყავაჩიანთ კოლასი“, „ყავაჩიანთ ვახტანგისი“ და ა. შ.

გეგელიშვილები, რომლებიც „ყავაჩიანად“ იწოდებიან, გადმოცემის მიხედვით მათი წინაპარი სასახლეში მეფესთან მსახურობდა „ყავახჩათ“, და მართლაც, საგულისხმოა ეს გადმოცემა, რადგან ამის დასაბუთება რამდენიმე ისტორიული წყაროთი შეიძლება, კერძოდ, ჯერ კიდევ ვახტანგ VI კარზე გვხვდება ეს გვარი, მაგალითად, დასტურლამალში, საფარეშოს მოხელეთათვის, განკუთვნილ თავში დასახელებულია „დიღმელი გეგელისშვილი[74], ხოლო ერთ 1764 წ. თებერვლის 28-ით დათარიღებულ ბრძანებაში, რომელიც მეფე ირაკლი II-ისა, დიღმის მამასახლისის დავითის მიმართ ნათქვამია: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, დიღმის მამასახლისო დავითავ და ერთობით დიღმელებო! მერმე დიღმელი თქვენი მეზობელი გეგელისშვილი გიორგი ლე-

---

74 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 68.

კისაგან დატყვევებულია. ერთს ჩვენს შერიგებულ ლეკს დაუხსნია. ქალაქში მოუყვანია, სახსარი ვეღარ უშოვნია, თანვე მიყოლებია ცოლითა და შვილითა, ბატონს მამა ჩვენს თქვენთვის უბრძანებია ულთა-ხუცის პირით, რომ თქვენ დაიხსენითო და თქვენი იყოსო, და ან ვინც დაიხსნის, იმისი იყოსო, თქვენ არ დაგიხსნიათ, სხვას დაუხსნია მადლისათვის და გაუშვია. ახლა რადგან ესე ყოფილა, არას დიღმის მოხელეს და არას დიღმის კაცს ამასთან ხელი არავისა გაქვთ. აქ ქალაქში არის ჩემის შვილის ლევანის ხელდებულია. საცა უნდოდეს, იქ შეინახოს, სხვას ხელი არავის აქვს თებერვლის 8. ქ კ-ს უნბ ერეკლე"[75]. ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი გადმოცემებისა და საბუთების დამოწმების მიხედვით, დღევანდელი გეგელიშვილები, რომლებიც „ყავაჩიანებად" იწოდებიან, მეფე ირაკლის შვილთან, ლევანთან უნდა ყოფილიყვნენ „ყავახჩებად", ხოლო დღევანდელი გეგელიშვილები იმ „გიორგი გეგელიშვილის" შთამომავალნი უნდა იყვნენ ლეკისაგან რომ დატყვევდა.

რაც შეეხება გეგელიშვილების გვარს, დიღომში უკვე XIII—XIV ს-ებში ცხოვრობდნენ და სიგელ-გუჯრებში სამეფო და ზოგჯერ მცხეთის სვეტიცხოველის ყმებად გვხვდებიან. როგორც ზემოთ ჟამუტაშვილების გვარის განხილვისას აღვნიშნეთ გეგელიშვილებისაგან არიან გამოსულნი ქუცნიაშვილები და ჟამუტაშვილები, რის გამოც დღევანდელი გეგელიშვილები ერთ შტოდან მომდინარეობენ.

გეგელიშვილების გვარი 1466 წ. მცხეთის სიგელშია მოხსენიებული, სიგელი მეფეთ-მეფე ბაგრატს გაუცია. სიგელში შემდეგია ნათქვამი: „მე... მპყრობელმან ორსავე ტახტისა ლიხტ-იმერისა და ლიხტ-ამერისაგან... მეფეთ მეფემან ბაგრატ... შევსწირე მცხეთას... და კკზ-ს დავითს... თქუჩნი ძუჩლითგან მკვდრნი დიღომს გლეხნი ესაბერი მზეოსძე და გეგელასშვილი მათითა მამულითა... ჭელ-მოჭსნით შემოგვწირავს სააღაპე და სამლოცველოდ პატრონისა მამისა ჩუჩნისა გიორგისა სულისათჳს..."[76]. საგულისხმოა ის, რომ სიგელში აღნიშნულია რომ „...თქუჩნი ძუჩლითგან მკვდრნი დიღომს გლეხნი ესაბერ მზეოსძე და გეგელაშვილი მათითა მამულითა-ო", რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს გვარები ადრიდანვე სოფელ დიღმის მკვიდრ მოსახლეებს შეადგენდნენ.

გეგელიშვილების გვარი, შემდეგ საუკუნეებშიაც გვხვდება, რაც მათი გვარის უწყვეტლობას მიუთითებს. მაგ., ერთ 1737 წ. თებერვლის 24-ს, ნამულის ნასყიდობის წიგნში გაცემული აბრამ და პეტრე მარანას-შვილების მიერ თბილელის მებაღე ბერისადმი სხვა დიღმელ

---

75 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910, გვ. 364.

76 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 288.

მოწმეებთან ერთად გეგელიშვილი ზურაბა[77] მოიხსენიება, ხოლო 1784 წ. ივნისის 6-ს ნასყიდობის წიგნში, მიცემული გაბრიელ ბარანდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძისადმი, სადაც მოწმედ მოხსენიებული ... გელიშვილი გარსევანა, ხოლო კათალიკოზ ანტონის მიერ გაცემულ სიგელში, რომელიც 1769 წ. აპრილის 4 თარიღდება ნათქვამია: „... ასე რომე მამათქვენს ზალს ავის დროისაგან და ჟამთა ვითარებისაგან თავისი ვენაჯი გეგელიშვილის ქიტესასათჳს მიეყიდნა ამ პირობითა, რომე, როცა მოვკვდეო, რადგან უშვილო ვარო, რაც სვეტიცხოველის მამული გქონდეს ნასყიდიო, ისევ სვეტს ცხოველს და თქვენ დაგრჩესთო, და რადგან გეგელიშვილი ქიტესა მოკვდა, და უმკვიდრო იქნა, რაც ჩვენის ეკლესიისა და ჩვენი მამული ეჭირა, ისევ ჩვენთჳსვე ჴელი აუმართეთ“[78].

ამგვარად, როგორც სიგელ-გუჯრები მეტყველებს გეგელიშვილების გვარი დიღომში, ძველისძველი მოსახლეები ჩანან, რომლებიც სამეფო და საეკლესიო ყმებად მოსჩანან. XIX ს-ისათვის გეგელიშვილების გვარი საბატონო გლეხებად მოიხსენიებიან.

ზ ა ნ დ ა რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი დიღმის ციხის დასავლეთის მხარეს სახლობენ და ჟამუტაშვილებს ემეზობლებიან. ისინი ითვლებოდნენ საეკლესიო, მცხეთის სვეტიცხოველის ყმებად. ზედმეტ სახელად დიღომში ზანდარაშვილებს „დიაკვნიანთ“ უწოდებენ.

ადრინდელ სიგელ-გუჯრებში ზანდარაშვილების გვარი პირველად 1674 წ. გვხვდება. მაგალითად, ერთი ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია მაზიდა და სხვა უგუნურაშვილების მიერ კ-ზის სახლთხუცეს პაპუა მაღალაძისადმი, სხვა დიღმელ მოწმეებთან ერთად ზანდარაშვილიცაა დასახელებული. მაგალითად: „...ავიღეთ თქვენგან ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ, აღარა დარჩა სადაო და სალაპარაკო ჩვენსა და თქვენს შუა ერთის ფულის ფასი გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, არიან ამისნი მოწამენი და შუადამხვედურნი... ...წმინდა გიორგის დეკანოზი მთავარი ათანელი, ზანდარაშვილი იოვანე...“[79], ასევე მეორე 1696 წ. სააღაპო წიგნში, რომელიც ქობულაშვილებისადმია გაცემული ქადაგ არქ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ, დასახელებულია მოწმედ „...ზანდარაშვილი მღვდელი დავით“-ი[80]. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ერთ ნასყიდობის ხელნაწერში, რომელიც თარიღდება 1686 წ., აღნიშნულია,

---

77 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ლ ი, დოკუმენტები, I, გვ. 265.
78 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910, გვ. 8.
79 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, გვ. 50.
80 ი ქ ვ ე, I, გვ. 100.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ვეძურში თელოვნის საზღვარს ზემოთ პაპუნა დედაბრიშვილმა 2 დღის მიწა მიჰყიდა დავით ზანდარიშვილს. ამ ნასყიდობის მოწმეა თელოვნის ბატონი გაბრიელაშვილი (Hd—14861—ბ)"[81].

მომდევნო საუკუნის სიგელშიაც გვხვდება ზანდარაშვილი, მაგალითად, 1784 წ. ივნისის 6-ს ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია მარანდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძისადმი, მოწმედ ზანდარაშვილი დავითაა მოხსენიებული[82].

საფიქრებელია, რომ ზანდარაშვილები XVII ს-ზე ადრე უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი დიღომში, რასაც ამტკიცებს მათი გვარის დასახლების ადგილი. დიღმის ციხის გარშემო ცხოვრობენ ყველაზე ძველი გვარები. მაგალითად, გეგელიშვილებსა და ჟამუტაშვილებს XIV—XV ს-ების სიგელ-გუჯრებში ვხვდებით. ზანდარაშვილებს დიღმის ციხის ერთი მისადგომი მხარე უჭირავთ, რაც მათი სიძველის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ფ ი რ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი სახლობენ დიღმის ციხის ჩრდილო-დასავლეთის მიმდგომ ნაწილზე; ფირიაშვილები სეკლესიო მცხეთის სვეტიცხოველის ყმებად ითვლებოდნენ. დიღომში ფირიაშვილები „ლალებაანთ", „ჩიტიაანთ" და „გოროხინაანთ" სახელით მოიხსენიებიან, ფირიაშვილების გვარი დიღომში პირველად XVII ს-ის საბუთებში გვხვდება. საფიქრებელია, რომ ეს გვარი დიღომში უფრო ადრეც არსებობდა. პირველი საბუთი, სადაც ფირიაშვილია მოხსენიებული, თარიღდება 1674 წ. და ეხება ყმის ნასყიდობას, რომელიც მიცემულია მაზიტა და სხვა უგუნურაშვილების მიერ კათალიკოზის სახლთუხუცეს პაპუა მაღალაძისადმი. აქ მოწმედ მოხსენიებულია „დიღმელი ფირიაშვილი დავითა მამასახლისი"[83]. 1697 წ. იანვრის 1-ით დათარიღებულ მეორე ყმის ნასყიდობის წიგნში, მიცემული თამაზა გოშფარიშვილის მიერ ნიკოლოზ მაღალაძისადმი, მოწმედ მოხსენიებულია „ფირიას-შვილი პაპუა"[84]. 1696 წ. საალაპო წიგნში, მიცემული ქადაგის არქ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილისადმი, ნათქვამია: „...იმ ალაპის წამოღებაზე ერთს ფირიაშვილს დაისწრებდეთ და გაასინჯვებდე და კიდეც ასმევდე და აჭმევდე"-ო. შემდეგ აქვე მოწმედ დასახელებულია „ფირიაშვილი პაპუა..."[85]. ამრიგად ფირიაშვილებიც ძველი მართმადიდებელი ქართველი მოსახლეობაა, რომელიც მცხეთის სვე-

---

81 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1 წიგნი, 1964, გვ. 91, 105.

82 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 130.

83 ი ქ ვ ე, I, გვ. 51.

84 ი ქ ვ ე, I, გვ. 101.

85 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, წ. I, გვ. 100.

ტიცხოვლის ყმებად ითვლებოდნენ. მაგალითად, 1781 წ. მოსახლეობის აღწერის დავთარში ფირიაშვილების ოთხი კომლი კათალიკოსის ყმებად მოიხსენიება[86].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ე ნ ჭ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღმის ციხის დასავლეთითა და სამხრეთით მდებარე ტერიტორია კენჭიაშვილების საგვარეულოს უჭირავს. ძალზე დიდი გვარია. დიღომში ეს გვარი შემდეგ „მამის სახლად იყოფა: „შუშიანი, შაქარაანი, ჭანაპარაანი, ნოხჩურაანი, ქოჩორაანი. კენჭიაშვილები საეკლესიო ყმებად ითვლებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს გვარი დიღმის ადრინდელ მკვიდრებად ითვლებიან, მათ შესახებ ვერავითარ ისტორიულ საბუთს ვერ მივაკვლიეთ. მხოლოდ 1781 წლის ხალხის აღწერის დავთარში კათალიკოსის ყმებს შორის გვხვდება დიღმელი კენჭიაშვილი გოგია და პავლე“[87].

თ ე თ რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ანუ თ ე თ რ ა ძ ე ე ბ ი. სოფ. დიღომში თეთრაშვილები სხვადასხვა უბანში სახლობენ და დიდ გვარად ითვლება—ნაწილი თეთრაშვილებისა შუაუბანში. დიღმის ციხის მიდამოებში სახლობენ, ნაწილი წერწვერაზე, რამდენიმე კომლი კიდევ ზემოუბანშია დასახლებული. თეთრაშვილების თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილი, დიღმის ხეობაში, სოფელი თეთრაანი ანუ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი უწოდებს თეთრაძიანი იყო[88]. შემდეგ, როცა დიღმის წყლის საცავი მოიშალა და ქვეყანა დასუსტდა, შიშიანობის გამო სოფელი მოიშალა და ქვემოთ დიღომში ჩასახლდა. (იხ. სოფ. თეთრაძე, აგრეთვე ქვემოთ „საირიგაციო ნაგებობები დიღმის ხეობაში“); თეთრაშვილები ორ ნაწილად იყოფიან: „მეჯოლდიანი და ლეკიანი“. „მეჯოლდიანში“ შედიან რუსიანი, დინგიანანი, აბუკაანი, ყარამანანი, შარუმანაანი, თეთრაძეები ისტორიულ სიგელ-გუჯრებში XV ს-ში გვხვდებიან დიღმის მკვიდრთა შორის, მაგალითად, დიღმის წმინდა გიორგის გუჯარში, რომელიც მიცემულია ფილიპე მღვდლის მიერ 1505 წ. იქ ნათქვამია: „...ნებერილი თეთრაძემა, ოდეს მზევაძე მოკლაო“[89]. მეორე 1769 წ. კათალიკოზის ანტონის მამულის წყალობის სიგელში მოხსენიებულია თეთრაძე, სადაც ნათქვამია: „... ვენაჯი ნაჭევარი თქვენ გიბოძეთ და წყალობა გიყავით და ნახევარი თეთრაძე მამასახლის დავითს, აწე გქონდეს და გიბედნიეროს ღ~თნ სვეტის-ცხოველის სამსახურსა და ჩვენსა დიდად ერთგულობასა შინა“[90]... ხოლო ვახტანგ VI

---

86 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

87 ი ქ ვ ე, გვ. 169.

88 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

89 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 45.

90 ი ქ ვ ე, III, გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტურლამალში მეთოფეთათვს განკუთვნილ თავში დასახელებულია დიღმელი თეთრაძე[91].

საინტერესო ცნობას ვკითხულობთ 1781 წ. 19 მარტს მსაჯულთა შეკრებულობის სამართალი ნიკოლოზ გერმანოზისშვილსა და ბერძენიშვილის საქმეზედ, სადაც ადრინდელ მკვიდრ თეთრაძეებს სხვა თეთრაძეებიც ერევიან, რაზედაც შემდეგია ნათქვამი: „ქ. გერმანოზისშვილი ნიკოლოზ უჩიოდა ლომიტაშვილს ბერძენაშვილს, ჩვენის—ეკლესიისათვის მეფეებს შემოუწირავსო გუჯრით, ახლა ეს თავს მართმევს დიღმელად და თეთრაძედ აცხადებს თავის თავსაო. ჩვენ, საქართველოს მსაჯულთ შეკრებულობამ ეს, ამის მოადი, მოვაყვაინეჩით და ვალაპარაკეთ და ასე ეპასუხებოდა: მე დიღმელი ვარო, და თეთრაძეო. ამას წინათ მეფის ძეს გიორგისთანაც მიჩივლე და მსაჯულთა სამართალში გამოგზავნა და ქაიხოსრო მდივანბეგმა განჩინება მოგვცა. რომ უნდა თავდა თავ შემომეფიცა. მაგრამ ჭელი აიღე არ დაძაფიცეო, რომ განჩინებაზე იასაულმა ჭელი მოაწერა ნიკოლოზმა არ დაიფიცა. დარჩა დიღმელადო. ჩვენ ეს განჩინება ვნახეთ, ქაიხოსრო მდივანბეგს გაესამართლებინა. ისრედ. იასაულიც მოვაყვაინეთ ამილღამბრ ციციშვილი. ასე თქვა ფიცით, რომ მე არც წერა ვიცი და არც მე დამიწერინებიაო. რადგან ეს სამართალი უმოწმო ყოფილა და არც ერთის მხრისგან ასეთი წერილი არ ყოფილა, რომ მსაჯულს იმაზე სამართალი მიეცა. მისთვის დაუდვია. მდივანბეგს ქაიხოსროს ფიცი, მაგრამ ეს დაკლებულია იმ განჩინებაში, რომ თავდათავ ფიცი განუჩენია. ჩვენ მსაჯულთ სამართლის ბრძანებისებრ ნიკოლოზმა ექვსი დიღმელი მოფიცარი შეუმდის. ექვსში ორი იშოვოს და ასე შეჰფიცონ: ამისა მადლმა ეს ბერძენაშვილები რომელსაც შენ ამბობ, ის კაცი არ იყოს და დიღმელი იყოს და მამულზედაც ფეხი დაუდგან, რომ ეს მამული ამის სამკვიდრო იყოს. თუ ეს ასე შეჰფიცეს, ეს ბერძენაშვილები დიღმელად გამოცხადებიან და დიღმელად იქნებიან და თუ ვერ შეჰფიცეს, ამილბარ-ციციშვილო ეს კაცი ნიკოლოზს მიაბარე, ჩვენ მეორედ განვსაჯეთ და ნება მისის სიმაღლის არის, მარტის ით, ქ~კს უ‹ათ“. ბოლოზე აშიაზე მინაწერი: ჩვენ ორბელიანი მდივანბეგი იოანე ამ სამართლის თანახმანი ვართ“[92]. საინტერესოა ის ამბავი, რომ ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით თეთრაძეები ორ ნაწილად იყოფიან, რასაც ისტორიული დოკუმენტებიც მოწმობენ. აი მეორე ასეთივე საბუთი 1784 წ. ივნისის 6-ს, ნასყიდობის წიგნი, მიცემული გაბრიელ მარინდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძისადმი,

---

91 ვახტანგ VI. დასტურლამალი, 1885, გვ. 62.

92 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, II, გვ. 116.

სადაც ნათქვამია ამ თეთრაძის სადაურობაც: „...ესე ამიერ უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, მარინდაშვილმან გამრიელმან, შვილთა და შთამომავალთა ჩემთა შენ არაგვიდამ მოსულს თეთრაძეს თეთრას და დემეტრეს და შვილსა თქვენსა შიოს, დავითს, მახარობელს და ივანეს;—ასე რომ დამეჭირა და ავიღე და ჩვენი სამკვიდრო მიწები სამის დღისა მოდემნახეში მოგეცი. და მოგყიდე თავს რუმდინ. ბოლოს გილაურის სამზღვრამდინ. მარჯვენა გვერდი სუთიას-შვილის მიწის მიდგომამდინა. ავიღეთ ფასი სრული და უნაკლო, რომელითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა და არა დარჩომილა ჩემი შენზედა არცა ერთის იოტის ფასი. რომელიც ამ ჩემგან მოცემულს მიწას შემოგეცილოს, პირსა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე თავად პირველად ღმერთი და კაცთაგან გეგელიშვილი გარსევანა, მამადალაშვილი გლახა. ზანდარაშვილი დავითა და გილაური პეტრე. მე სიბრძნის მოყვარის გლახა ნათლის ძის ძმას იოანეს ცოდვით დასჯილს მღუდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი...“[93].

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, დიღომში არაგვიდან მოსული თეთრაძეებიც ჩამოსახლებულან და ამიტომაც თეთრაშვილებს ყოფენ ორ ნაწილად. რა დროიდან უნდა ცხოვრობდნენ დიღმის ხეობაში თეთრაძეები? ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონს სოფელი თეთრაძე XVIII ს-ში ისევ მოქმედად და არა ნასოფლარად მიაჩნია. რა დროდან უნდა არსებობდეს ეს სოფელი? ამაზე დიღმის წყლის წყალსაცავი გვპასუხობს. მისი დათარიღება ზუსტად შესაძლებელი რომ იყოს მაშინ მისი მკვიდრთა ცხოვრების დროსაც გავიგებდით. ისე კი ეს კაშხალი XI—XII ს-ებზე გვიანი ხანის არ უნდა იყოს. სოფელი თეთრაძიანიც ამავე ხანით უნდა დათარიღდეს, რითაც შესაძლებელი იქნება დაახლოებით განვსაზღვროთ, რომ თეთრაძეები დიღმის ხეობაში XI—XII სს-ებში უკვე ცხოვრობდნენ და ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, ისტორიული გუჯარი ამ გვარზე უკვე XV ს-ში მოგვეპოვება.

თეთრაძეები, როგორც ისტორიული წყაროები მეტყველებს, საშეფო ანუ სახასო ყმები ყოფილან, ნაწილი კი მსახურებად ითვლებოდნენ[94]. XIX ს-ში, თეთრაძეები მუხრანელ ბაგრატიონების ყმებად ითვლებოდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსა-

---

93 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, ტ. II, გვ. 130.
94 ვახტანგ VI, დასტურლამალი, 1885, გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მთქმელთა დავთარში, თეთრაშვილები, ისევ თეთრაძეებად წერიან XIX ს-ის მანძილზე, ხოლო XX ს-ის დასაწყისიდან თეთრაძეები, გვარს თეთრაშვილებად იკეთებენ.

ქობულაშვილები. შუაუბანში დიღმის ციხის ბრძოლიდან დასავლეთი მხარე ქობულაშვილების საგვარეულო უბანს წარმოადგენს. ქობულაშვილები საეკლესიო ყმებად ითვლებოდნენ და მცხეთის სვეტიცხოველს ეკუთვნოდნენ, რასაც მოწმობს დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი და 1696 წ. სააღაპო წიგნი მიცემული ქადაგის არქ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილისადმი, სადაც ნათქვამი და დადგენილია შემდეგი: „ქ ...მე ყოველთა (ადამის ტომთა) უნარჩევესგან სვეტიცხოვლის ქადაგ არქიმანდრიტმან მაღალაძე ნიკოლოზ ესე სააღაპო წიგნი მოგეცი შენ ქობულაშვილს... მცხეთის მემკვიდრე ყმა იყავ, მეცა ამისათვის თავს ვიდევ და ავიღე ჩემი ალალი საქონელი და დაგიკსენ შენის ცოლითა და შვილთა და შენსა ალაგსა და მამულზე დაგაყენე პატრონობასა მეფისა ერეკლესასა და კ~ზობასა პატრონის იოვანესასა. ასე რომე, რადგან ამდენი გარჯილობა და ჭირნახულობა ჩვენი შენზედ იყო, ჩვენცა დაგდევით ჩვენის სულისათვის აღაპი, დეკემბრის ექუსსა წმიდის ნიკოლოზის დღესასწაულსა აღაპს მოიტანდე. მცხეთას თუ ჩემი სახლის კაცი ან მღდელ-მონაზონი იყოს, ან ერის კაცი და ან მონაზონი იყოს, იმასთან მიღებდე და ის გაყოფდეს, და თუ არავინ იყოს, დეკანოზსა და კანდელაკს წინ მიიღებდეთ აღაპსა და ისინი განუყოფდენ მცხეთას მყოფთ მღდელთა და მონაზონთა. როგორც მართებული იყოს მიღებდე პურსა გამამცხვარსა ასსა ასეთს, რომე ერთი ერთს კაცს ეყოფოდეს, ღვინოს ლიტრას თორმეტსა ოცის სტილიანითა, თევზს ორს კარგს ზურგიელსა, მკერდსა ორსა და ორსა ჩარექს ხიზილალასა. თუ ჯმელი თევზი არ იშოვებოდეს, ან ოცს გელაქნურსა და ან სხვა რაც თევზი იშოვებოდეს, ამის ღირებულის ფასით, იმას მიღებდეთ: სანთელსა სტილსა ორსა თავისის საყოფის პატრუქითა და საკმელსა სტილსა ერთსა. დეკენოზს მიართმევდე საწირავად შაურსა ორსა და კანდელაკსა შაურსა ერთსა ამა წესითა, ყოველს წელიწადს ნიკოლოზობასა ჩემის ცოდვილის სულისათვის, მამის ჩემის პაპუასა და დედის ჩემის ელენესათვის შენდობას ათქმევინებდეთ, აწე ვინც ეს ჩემგან გარიგებული აღაპი მოშალოს, ანუ დიდმან ანუ მცირემან, ან შენ და ან შენმა შვილმა, მომავალმა სახლისა შენისაგან დააკლოს და მოშალოს, ჩემისამაც ცოდვისა და ჩემის მამისა და დედისა და ჩემის სახლის მომავალთა და ნათესავთა ცოდვისა სანუქბოდ იგიმცა განიკითხება მას დღესა დიდსა განკითხ-

ვისასა. ოდეს ენანი დუმნენ და საქმენი ყოველნი განცხადებულად ღაღადებდნენ. მშლელი ამისა კრულმცა არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, მას ზედამცა აღსრულების წყევა იგი მეასდარვეკ[illegible]. იქმნენ ცოლნი მისნი ქვრივ და შვილნი მისნი ობოლ [illegible] სინანულითა ნუ იქნების ჴსნა სულისა მისისა, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღ~თა აკურთხნეს. ამ აღაპის წამოღებაზე ერთს ფირიაშვილს დაისწრებდეთ და გაასინჯვებდე და კიდეც ასმევდე, აქმევდე. არის ამისი მოწამე და გამგებელი პირველად დამბადებელი და მოწყალე ღ~თი, კაცთაგან: დავითგარეჯის წინამძღვარი რნოფრე, ჯვრის წინამძღვარი ნიკოლოზ, გედავანიშვილი სარდალი გიორგი, სვეტიცხოველ ის დეკანოზი ზაქარია, კანდელაკი გრიგოლ, გარაყანი ძე ლუარსაბ, დიღმის მამასახლისი ნიკოლოზ, დიღმელი დეკანოზიშვილი ოთარა, ზანდარაშვილი მღდელი დავით, მასურაშვილი მღდელი დავით, ფირიაშვილი პაპუა, კოპაძე ესტატე და სულ ერთობილნი მცხეთელნი და დიღმელნი და მგალობელი იორამ. მე დედოფლის კარის დეკანოზის პეტრეს შვილს მიქელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ქ~ოსა ტპდ, ქობულაშვილო, ყოველს წელიწადს ამას ნუ დაგვაკლებ, თვარემ ღ~თი ყოველს კეთილს შენ მოგაკლებს. სხვა ჩვენგან და ჩვენის სახლის კაცისაგან არაფერისთანა არა გეთხოვებოდეს რა. თუ კაცმრავლად იყო ჩემს სახლის კაცა ერთს ბიჭს ამსახურებდეთ. ვინც ნახოთ დიდმან ანუ მცირემან პატრონმან თუ ანუ ჴელმწიფეთ მოსაქმემან, ქრისტიანმან თუ სხვამან მაპმადიანურჯულისგან, დამბადებლის ღ~თის მადლისა, ამ ჩვენგან გარიგებელაა და რიგსა ნურავინ მოშლით და თქუენც ასე დაამტკიცეთ, ვინც დაამტკიცოთ ღმერთმან ყოველი თქვენი გამგებელი დაამტკიცოს და აკურთხოს, სხვა ჩვენგან სვეტს ცხოველზედ მუშაობის თარხნობა არ იქნებოდა და სხვა რიგად სათხოვარი კი არა გეთხოვებოდეს რა, ამ აღაპს ხახულტას სახლში მოიტანდე და იქ დადგებოდე, სამარხოსაც რასმე მოიტანდე. ამის დამხდური და მოწმე მცხეთის კათალიკოზი გიორგი"[95].

ზემოთ მოტანილი საბუთიდან ირკვევა, რომ ქობულაშვილები ძველთაგანვე „...მცხეთის მემკვიდრე ყმა" ყოფილა, რაც ამ გვარის დიღომში არსებობის სიძველეს უნდა მიუთითებდეს. საბუთების უქონლობის გამო, ამ გვარის სიძველისა და ხანის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. დასახლების მიხედვით ქობულაშვილების უბანი ისეთ ძველ გვარებს, როგორიცაა — გეგელიშვილები, ყამუტაშვილები, თეთრაშვილები ეს გვარიც, გვერდში უდგას სიძველის

---

95 ნ. ბერძენიშვილი. ტ. I. გვ. 100.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხედვით, ქობულაშვილების გვარი იყოფა შემდეგ „მამის სახლად“, „ტატონაანი“, „ბუილაანი“, „ჩიხლიაანი“, „პუსკალაანი“, „დაბრეს-დაანი“, „რადვიანი“.

ბერიაშვილები ანუ ნასტაკელაშვილები. ბერიაშვილები ძირითადად შუაუბანში არიან დასახლებულნი, კერძოდ, დიღმის ციხის აღმოსავლეთით, ბერიაშვილები ადრე სამეფო ყმებად ითვლებოდნენ, XIX ს-ის დასაწყისიდან საბატონო ყმებად ჩანან. ბერიაშვილებს ორი გვარი აქვთ, რომელთაგან ერთი — „ნასტაკელაშვილი“ ადრინდელი, თავდაპირველი უნდა იყოს და სადაურობასაც უნდა აღნიშნავდეს, დიღმის მოსახლეობა ბერიაშვილების დღესაც „ნასტაკელაანთ“ სახელით მოიხსენიებს.

„ნასტაგისი“, უძველესი ნასოფლარია, მტკვრის ხეობაში, ქსნის ზემოთ, რაზედაც ქართლის ცხოვრებაში შემდეგს ვკითხულობთ: ნასტაკისზე, სადაც ალექსანდრეს ზოგიერთ ღონისძიებაზეა ლაპარაკი: „და დაედგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთა და ქუემოთ, და თჳთ დადგა ქსანს ზედა, ადგილსა რომელსა ჰქჳან ნასტაკისი“[96]. ვფიქრობთ, ბერიაშვილების ადრინდელი გვარი ნასტაგელა ანუ ნასტაკელაშვილობა ამ ადგილიდან უნდა მომდინარეობდეს.

1831 წელს დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში, გატარებულია ორი კომლი ნასტაკელაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს დავთარი სრულყოფილი არ არის და ბევრი ფურცელი აკლია, მაინც შესაძლებელი ხდება ამ გვარის წევრების აღდგენა, კერძოდ:

„მდ—ქ —ნასტაკელაშვილი პეტრე ზაზას ძე
კვ—ქ ცოლი მართა არსენას ასული ეზიარნენ
ᲬᲐ—ქ—ქალი ნინა —
მ—ქ—ვაჟი ზაზა — საბატონო
ფ—ქ—ქალი მაგდანა
კგ—ქ—ნასტაკელაშვილი გიორგი ბერის ძე არ უთქვამთ
ივ—ქ—ცოლი ნინა — ისასეს ასული — აღსარება უმეცრო-
იც—ქ—ნასტაკელაშვილი ივანე ბერის ძე ბის გამო
ივ—ქ—ნასტაკელაშვილი გრიგოლ ბერის ძე საბატონო“[97].

რა დროიდან გახდნენ ნასტაკელაშვილები ბერიაშვილებად არ არის ცნობილი, ისე კი დღესაც ბერიაშვილებს „ნასტაკელაანთ“ სახელით მოიხსენიებენ. გადმოცემით ნასტაკელაშვილებმა გვარი ბე-

---

96 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 18.

97 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი, ინახება ჩვენთან.

რიაშვილი მიიღეს XX ს-ის 30-იან წლებში. მათ წინაპრის „ბერის“ სახელს დაუკავშირეს გვარი და მიიღეს ბერიაშვილი.

ასეთსავე მაგალითს ვხვდებით წოდორელ და ვეძისელ ხელოვანიშვილთან. რომელთა გვარი რამდენიმე საუკუნის მანძილზე წოდორეთის მცხოვრებთ შორის გვხვდებოდა. მაგალითად, იხილეთ 1699 წ. ნასყიდობის წიგნი და 1681 წ[98]. ყმის წყალობის წიგნი მიცემული გიორგი XI-ის მიერ თუმანიშვილებისადმი[99], რომლებიც შემდეგ XIX ს-ის დასაწყისში ვეძისის მცხოვრებთ შორის გვხვდებიან და სარაჯიშვილების ყმათა შორის მოიხსენიებიან. სულხანიშვილები XIX ს-ის 30 იანი წლებისთვის გვარს იცვლიან და მათი მამისა და პაპის სახელზე ეწერებიან. მაგალითად, დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიაში ეს გვარი ასე კეთდება: „მგ-ქ, ბერისშვილი დიმიტრი — სულხანიშვილი დიმიტრი ბერის ძე.

ლზ — ქ. ცოლი მარიამ — სარაჯიშვილების
კგ — ქ. ვაჟი ბერუა — ყმანი
იზ — ქ. ცოლი მართა სვიმონის ასული
იგ — ქ. ბერისშვილი დიმიტრის ძე სოლომან
ი — ქ. გიორგი
ᲘᲐ — ქ. ივანე
დ — ქ. ნინა
ღმ — ქ. ბერის შვილი[100] იოსებ ბერის ძე
ით — ქ. ცოლი ელისაბედ გიორგის ასული
ა — ქ. ასული სოფიო“[101].

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სულხანიშვილებთან ერთად წოდორეთის მცხოვრებთა შორის ბერიაშვილებიც ცხოვრობდნენ. ამას მოწმობს ისტორიული საბუთებიც. კერძოდ, 1681, 1683 წწ. დოკუმენტში, რომელიც ყმის წყალობის წიგნს ეხება და გაცემულია გიორგი XI მიერ თუმანიშვილებისადმი, ასევე მეორე ნასყიდობის წიგნი თუმანიშვილებისადმი, რომელსაც ამტკიცებს ერეკლე I ნაზარალიხანი, სადაც ნახსენებია გუგუნა ბერიაშვილი, როგორც საბუთებიდან ირკვევა ბერიაშვილები წოდორეთის მკვიდრნი იყვნენ და ჯავახიშვილების ყმებად ითვლებოდნენ, მაგალითად, სიგელში ნათქვამია,

---

98 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 98, 99, 100.

99 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, II, გვ. 13.

100 აქვე ბერისშვილს თავზე სულხანიშვილი აქვს მიწერილი, რაზედაც დავთარში გამტარებელი ყურადღებას ამახვილებს, რომ ბერისშვილები სულხანიშვილები არიან.

101 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ, „...უძეოსა და უშვილოს ჯავახიშვილის ზაქარიას ყმანი ვიყვენ-ხით და წოდორეთ ვესახლენით, ის მოკვდა და თავის კერძოფეოდალი ვალოდ გადავლინდა და ჩვენ როსტომ მეფემ სახასოდ დიდებულ-იქიდამ ავიყარენით ავლაბარში დავსახლდით. აქედამ ვჭამდით ჩვენს მამულსა, დაგვეჭირა და რაც ჩვენი მამული იყო სამკვიდრო მამათა და პაპათ დარჩომილი, და რაც ნასყიდი წოდორეთს მამული სახლ-კარი, ჭურ-მარანი, კალო, საბძელი, საბოსტნე, წყალი, წისქვილი, ველი, ვენაჯი, შენი და უშენებელი, საჯნავ-სათესი, მთა, ბარი, შესავალ-გასავალი, წოდორეთს რის მქონებელი ვიყვენით სამკვიდროსი თუ ნასყიდისა, სრულიად თქვენთვის მოგვიყიდია...“[102].

როგორც ზემოთ მოტანილი საბუთიდან ჩანს, როსტომ მეფეს საბატონო ყმები სახასოდ დაუჭერია და წოდორეთიდან ავლაბარში გადაუსახლებია, საფიქრებელია, რომ შემდეგისათვის სამეფო სახლ-ბა, დიღომი როგორც სახელმწიფო მამული, ბერიშვილები საცხოვრებლად დიღომში დაასახლეს როგორც სამეფოდ ქცეული ყმები.

მ ა რ ი ა მ უ ლ ე ბ ი. მარიამულები ცხოვრობენ შუა უბანში, სოფლის მთავარი გზის პირას. ეს უბანი დიღმის ციხის სამხრეთით არის გაშენებული, ზერთელაშვილებისა და გენებაშვილების მეზობლად. მარიამულები ადრე სამეფო ყმებად ითვლებოდნენ, შემდეგში საბატონო ყმებად გვხვდებიან.

მარიამულები მთიდან ჩამოსულებად სთვლიან თავს, მაგრამ რომელი კუთხიდან — ამის თქმა ამ გვარში აღარავის შეუძლია. ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით, მარიამულების უმეტესი ნაწილი მსახურებად იწოდებიან და, მართლაც, სამეფო კარის სხვადასხვა თანამდებობებზე მარიამულთა წარმომადგენლები ძრავლად გვხვდებიან. მაგალითად, „იასაულებისათვის“ განკუთვნილ თავში მოხსენიებულია შემდეგი პირები, მარიამული რამაზა ერეგოლაშვილი, მარიამული ბერი, მარიამული ბერუა[103], ხოლო „სახაბაზო მოხელეთათვს“ განკუთვნილ თავში დასახელებულია „მარიამული დათუნა“[104]. „სამზარეულოს მოხელეთათვს“ ნათქვამ თავში აღნიშნულია „მარიამული ბაპუა, მარიამული გოგია, მარიამული ლომკაცი“[105]. „საუნტროსათვს“ დადგენილ თავში, „მარიამული ბერუაა“ დასახელებული, „დასტურლამალ სადედოფლოში“ აღნიშნულია: „დიღომში რაც სადედოფლო

---

102 ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ძეგლები, II, 1909, გვ. 98, 99, 100; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, II, 1953, გვ. 13.

103 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 42.

104 ი ქ ვ ე, გვ. 69.

105 ი ქ ვ ე, გვ. 70.

გლეხები არის იქ დიღმიდან მეჯინიბეთ მარიამულები „არიან“[106], მარიამულების ერთი ოჯახი 1784 წ. იესე ბარათაშვილისა [illegible] ბიათ სამეფო კარს, სადაც სხვა დიღმელ გვარებში მოხსენიებულია [illegible] რიამული“[107], ე. ი. აშკარაა, რომ მარიამულები დიღომში XVII ს-ში უკვე ცხოვრობდნენ და ხალხმრავალ გვარადაც მოსჩანან. მარიამულების გვარს გამოეყო ყანადაშვილები (იხ. ყანადაშვილი).

მარიამულების გვარი განიყოფება შემდეგ საძმო სახლად: ტიკიანი, ტეტიკაანი, ტალახაანი და ა. შ.

ლ ა ს უ რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ლასურაშვილები დიღმის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით სახლობენ. მათი უბანი ძველი საქალაქო გზის პირასაა გაშენებული და გამოიყოფა შემდეგ მამებად: გუგლაანი, ჭოტორლიანი, ჯობინოაანი, ლასურაშვილები ადრე სამეფო ყმებად და თარხნებიც იყვნენ. შემდეგ XIX ს-ში საბატონო ყმებად ითვლებოდნენ. პირველი ისტორიული საბუთი ლასურაშვილების შესახებ გვხვდება 1725 წ. მამულის წყალობის წიგნში, მიცემული ვახტანგ VI მიერ გიორგი ლასურაშვილისადმი ნათქვამია: „ქ. ნებითა და შეწეუნითა ღუთისათა ჩვენ, ღუთივ-ამაღლებულმან, ღუთივ აღმატებულმან და ღუთივ ცხებით ზეცით გვირგვინოსანმან იესეან დავითიან-სოლომონიან-პანკრატოიანმან და ყოვლისა საქართველოსა თჳთმპყრობელმან მეფეთ-მეფემ პატრონმა ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზ-ბატონის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან რუსუდან, პირშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან მეფემ ბაქარ და პატრონმან გიორგიმ ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი და საბოლოოდ გამოსადეგი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩვეხთა დიდათ ერთგულსა და ნამსახურს ყმას ლასურის შვილს გიორგის და ძმასა შენსა იესეს, მარკოზს და მათეს, შვილთა და ყოველთავე მოშავალთა სახლისა თქუენისთა: — ასე რომე ჩვენს რუსეთს ყოფნაშია დიდათ გვემსახურენით და ჩვენის შვილისაც ერთგულად მაამებელი, მოსამსახურე იყავ; ამისად სანაქებოდ ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ დიღვამს შენის ბიძაშვილების მელიქიზას და შაევრდის ნაქონი მამული სახლით, კარით, ვენაჯით, სასაფლაოთი, ჭურ-მარნითა, კალო-საბძლითა, შესავალ გასავლითა, საჯნავითა, სათესითა და დღეს რისაც მქონებელნი ყოფილიყვნენ და ანუ იყუნენ, თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად, რომ

---

106 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 127.

107 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950. გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არას კაცს თქუნთან ჴელი არა ჰქონდეს: კიდეუ ამასდა გარდა გვიბოძებია თრელში გიორგებულა მიწა ისეუ თქუენი სამკვიდრო ოსეთისა ლის კაცის უცილობლად; კიდეუ ამასდა გარდა სითარხნის წყალობასა ბას დაგვეაჴენით და გათარხნეთ, რომ არაფერისთანა საჩვენო გამოსაღები და სათხოვარი არა გეთხოვებოდესთ რა არა კოდისპური, არა საბალახე, არა პირისთავი და ნახირისთავი, არა ულაყი, არა მეჴინიბის ბატკანი, არა საბზევე, არა ტიკი-ტომარა და არა სამოურაო და სამოჴელიო; არა გეთხოვებოდეს რა თჳნიერ ერთის მსახურისა და ლაშქარ-ნადირობის მეტი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა შიგან, ესე ასე გაგითავდეს და არ მოგეშალოს არა ჩვენგან და რა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწ გიბრძანებთ ვექილ-ვეზირნო და კარისა ჩვენისაგან ჴარვლენილნო მოსაქმენო, ბრძანება ესე ჩვენი, რომელიცა ამა ჩვენგან ნაწყალობევსა ფარმანსა შიგან ეწეროს. თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნურარასმცა ცვლად ჴელჰყოფთ, თჳნიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე. დაიწრა ბრძანება ესე ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის კავკასიძის მელიქისადეგისათა ქოროსიკონს — უიე ვ ა ხ ტ ა ნ გ"[108]. შემდეგი ხანისათვის სხვა მეფეებიც, უმტკიცებენ სითარხნის წყალობის სიგელებს. გიორგი ლასურაშვილის შთამომავლებს, უკანასკნელი სიგელი თარიღდება 1800 წ. ივლისის 26-ით მიცემული გიორგი XII მიერ მღვდელ აბრამა ლასურაშვილისადმი, სადაც შემდეგია ნათქვამი: „ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მპყრობელ მქონებელმან მეფემან გიორგი მეათსამეტემან ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, დიდმელს ლასურის-შვილს მღვდელს აბრამსა და ძმის წულს შენსა მელიქსედეკს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; ესე რომე ძველთაგან სითარხნე გქონებოდათ და მოალაპენი ყოფილიყავით, როგორადაც ძველს სიგელში გიცხადებს კურთხეულის ელენე დედოფლისაგან და აგრეთვე ნაზარალიხანისაგან და ეს სიგელი კურთხეულს მამას ჩვენს მეფეს ირაკლისაც დაემტკიცებინა. ჩვენცა წყალობა გვიქნია და გვიბოძებია, რომ არაფრისთანას სათხოვარსა და გამოსაღებში და ბეგარაში არ უნდა გაგრიონ და არც არა უნდა გეთხოვებოდეს. დიდმის მოურავმა მამასახლისმა და ერთობით დიდმელებმა ასე უნდა იცოდეთ და ან რომელიც იასაული მიხვიდეთ, რომ ეს მღვდელი არაფერ სათხოვარში არ უნდა გარიოთ და არც არაზედ შეაწუხოთ. ყველამ ესე უნდა იცოდეთ, თუ ეს ჩვენთან მოჩიკარი მოვიდა, იცოდეთ, დიდათ გიწყენთ გარდაგახდევინებთ. „ივლისის კვ

108 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, გვ. 218.

ქ-კს უპშ“. ამ სიგელს ამტკიცებენ დედოფალი მარიამი და საქართველოს ტახტის მემკვიდრე დავითი[109], ხოლო 1696 წ. სიგელში, რომელიც მიცემულია ქადაგის არქიმანდრიტ ნიკოფორეს [illegible] ძის მიერ ქობულაშვილებისადმი, იქ სხვა დიღმელ მოწმეებთან ერთად დასახლებულია მასურაშვილი მღვდელი დავითი...[110], როგორც ზემოთ მოყვანილი სიგელებიდან ირკვევა, XVII ს-ში ლასურაშვილები უკვე დიღმის ადგილობრივ მკვიდრებად ითვლებოდნენ და საფიქრებელია, რომ უფრო ადრეც აქ ცხოვრობდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, საბუთები ჯერჯერობით მეტი არ მოგვეპოვება. დასახლების მიხედვით ეს გვარი უფრო მეტ სიძველეს ამჟღავნებს და ვფიქრობთ, XVII ს-ზე ადრე ცხოვრობდა დიღომში.

გ ე ნ ე ბ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. გენებაშვილების ნაწილი შუაუბანში ცხოვრობდნენ, დიღმის ციხის სამხრეთისაკენ, ნაწილი წერწვერაზე. გენებაშვილები ადრე სამეფო და სადედოფლო ყმებად ითვლებოდნენ, XIX ს-ში საბატონო ყმებად ჩანან. გენებაშვილები, ძველი დიღმის ადგილობრივი მკვიდრნი არიან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმ მრავალ სიგელ-ბუჯრებში, რაც დიღმის შესახებ მოიპოვება გენებაშვილების გვარზე არაფერი მოგვეპოვება, გარდა ვახტანგ VI დასტურლამალისა. მაგალითად, დასტურლამალ სადედოფლოში „დიღმისათჳს“ განკუთვნილ თავში დასახელებულია „გენებასშვილი ბერუა მოყალნე: ბერუა მზარეულად ბრძანა სახლთუხუცესმა: დათუნას, რომ ორი ბროხა მიეცემა, ბერუას ერთი მიეცეს. სულხანას თავისი აქუს“[111]. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძში გენებაშვილებიც არიან დასახელებულნი, მაგალითად, იქ ნათქვამია რომ: „ქრონიკონს 472(1784 წ.) ივლისის 1. ინება ყოვლად ძლიერმან ღმერთმან და დედოფალმა დარეჯან მიბოძა დიღომს მამუჩაშვილი გიორგი, იასე, გენებაშვილი გოგია, თედიაშვილი, მარიამული და როსტიაშვილი - სიმონ და კავთელა როსტიაშვილები სამეფონი არიან, მაგრამ ისინი სადედოფლონი და გენებაშვილი დავითა მზარეული და მისი ძმისწული ბატონსა და ბატონის შვილს ახლავენ, იმათ მაგიერ ესენი დავაწერინე. თუ იმათ მომცემენ, ამათ მივცემ ესენი შვილმრავალნი იყვნენ და მისთვის ვქმენ-ო“[112]. როგორც ზემოთ მოტანილ ისტორიულ წყაროდან ჩანს გენებაშვილები დიღომში უკვე მე-17—18 საუკუნეებში ადგი-

---

109 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, ტ. I, გვ. 100.

110 ი ქ ვ ე, გვ. 100.

111 ვ ახ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 127.

112 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950, გვ. 100.

ლობრივ მცხოვრებლად ჩანან, შეიძლება უფრო ადრეული მოსახ-
ლეობაც იყოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენებაშვილები განიყოფებიან შემდეგ „მამის სახლად“: ფალავა-
ნი, ფილიაანი, ჭიპრიაანი, პაკლარაანი, თრილეინაანი, ყუყლუჩაანი, ჯიგ-
რიაანი, ლომაანი... გენებაშვილები, გადმოცემის მიხედვით, მესხიძე-
ები ყოფილან. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გარე კახეთში, სოფ. გი-
ორგიწმინდაში და უჯარმაში მცხოვრები დიღმელაშვილები გენება-
შვილების შთამომავლები არიან.

მ ა მ უ ჩ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. მამუჩაშვილები შუა და ჩარგალეთის
უბანში არიან დასახლებულნი, ძველიდანვე სამეფო და სადედოფლო
ყმებად ითვლებოდნენ, ნაწილი მსახურებად იწოდებოდნენ. აგრეთვე
ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით რამდენიმე კომლი საბა-
ტონო ყმაც ცხოვრობდა[113], რომელიც 1784 წ. დედოფალს, იესე ბა-
რათაშვილისათვის უბოძებია. XIX ს-ის დასაწყისში კი მუხრანელი
ბაგრატიონების ყმებად ითვლებოდნენ, „დასტურლამალ სადედოფ-
ლოს“ დიღმისათვის განკუთვნილ თავში, დასახელებულნი არიან სასახ-
ლის მსახურებს შორის. შემდეგ თანამდებობებზე დიღმელი მამუჩა-
შვილები: „მზარეულად მამუჩაშვილი სულხანა, გიორგი და ბერი, მე-
საკლავედ დათუნა მამუჩაშვილი“[114].

დასტურლამალის მიხედვითაც საკმარისია იმის დადგენა, რომ მა-
მუჩაშვილები ადრე თუ არა, XVII ს-ის დასაწყისში, დიღმის მკვიდრე-
ბად მივიჩნიოთ, მაგრამ ამასთან ერთად, თუ მამუჩაშვილების დასახ-
ლების განლაგებას გადავხედავთ, დიღომში ძველისძველი გვარი მო-
ჩანს. კერძოდ, ისინი დასახლებული იყვნენ დიღმის ციხის დასავლე-
თით და ისეთი ძველი გვარების მეზობლად, როგორც არიან გეგელი-
შვილები, ქუცნიაშვილები, ჟამუტაშვილები და ზანდარაშვილები. ყვე-
ლა ეს გვარი უკვე სიგელ-გუჯრების მიხედვით XIV—XV ს-ის დიღ-
მის მკვიდრად ჩანან. საფიქრებელია, მამუჩაშვილების გვარიც ამა-
ვე ხანას უკავშირდებოდეს. მამუჩაშვილების გვარი შემდეგ „მამის სახ-
ლად“ იყოფა: დიდმამუჩიაანი, პატარა მამუჩიაანი, ყაკუაანი. აბლიაანი,
პაჩელაანი, ცინცილანიაანი.

ხ ე ჩ უ მ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. შუაუბანში, დიღმის ციხის დასავლეთით,
სოფლის მთავარი გზის პირას, ხეჩუმაშვილების პატარა უბანია, ისინი
ცხოვრობენ გეგელიშვილების, მამუჩაშვილებისა და ქობულაშვი-
ლების მეზობლად. ხეჩუმაშვილები ადრე სამეფო ყმები ყოფი-
ლან და მსახურებად მოჩანან ისტორიულ წყაროებში, მაგალი-
თად, ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით, მეთოფეთათვის გან-

---

113 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

114 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 127.

კუთვნილ თავში დიღმელი ხეჩუმასშვილი არის დასახელებული[115], რაც იმას მოწმობს რომ ეს გვარი XVIII ს-ის დასაწყისიდან ვე დიღმის მკვიდრი ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ისიც რომ ხეჩუმაშვილები თოფჩიშვილებს ენათესავებიან და გადმოცემით ერთი გვარის შთამომავალნი არიან. ამის დამადასტურებელ საბუთს იძლევა 1781 წ. ხალხთა აღწერილობის დავთარი, სადაც აზატი თოფჩი დავითა და მისი ძმა ოსეფაა დასახელებული[116]. ოსეფას შთამომავალნი დღევანდელი თოფჩიშვილები უნდა იყვნენ და მათი გვარი „ოსეფაანთ" სახელითაა ცნობილი. რაც შეეხება „თოფჩობას", ამ გვარისათვის ეს თანამდებობა ძველიდანვე მამა-პაპით მომდინარეობდა, რასაც მოწმობს ზემოთ განხილული საბუთები.

ღ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ღვინიაშვილების უბანი დიღმის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, სოფლის ბოლოს, ლასურაშვილების მეზობლად. ღვინიაშვილები საეკლესიო ყმებად ითვლებოდნენ და მცხეთის სვეტიცხოველს ეკუთვნოდნენ.

წერილობითი წყაროები ღვინიაშვილებზე ჯერჯერობით ვერაფერი მოვიპოვეთ გარდა ერთი 1669 წ. ნასყიდობის წიგნისა, სადაც აღნიშნულია როგორც გვარი, ისე ადგილსამყოფელი ღვინიაშვილებისა. აი ესეც: „ქ. სახელითა ღმთისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმიდისათა და წმიდის გიორგის დიღმის თავდებობითა და ყოველთა წმიდათ თავდებობითა მოგყიდე მე ხატისშვილმან პაპიამან, გოგიამან, დემეტრამან, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა შენ ჩემს განაყოფს ხოსიტასა, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ჩვენი მაძული ღვინიაშვილის კარის წინ სათიჭე კლდემდისი და კოტორაშვილის კალომდისი. ავიღე ფასი, რასაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. არის ამისი მოწამე პაპაშვილი როსტია, გულუა, ღვინიაშვილი მახარა, ვარდიაშვილი გიორგი მოწამენი ვართ: ᲩᲙᲡᲐ ᲢᲛᲘᲖ

ქ. შეგიცვალე მე ბაბაშვილმა ხატისაშვილმა გოგიამ, პაპიამ, დემეტრემ, შენ ჩემს განაყოფს ხოსიტასა საკალოე და მოგართვი ვენაჯი, რომელიც მე მინდოდა"[117]. როგორიც ამ საბუთიდან ირკვევა ღვინიაშვილები დიღომში უკვე XVII ს-ში ადგილობრივი მკვიდრნი ყოფილან.

კ ო წ ო წ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. კოწოწაშვილები სახლობენ ჩარგალეთის უბანში. ითვლებოდნენ საბატონო ყმებად, წერილობითი წყაროები

---

115 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, 69.

116 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასხ. ნაშრომი, გვ. 161.

117 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 91.

კოწოწაშვილებზე არაფერი მოგვეპოება, დიღმის წმინდა გიორგის ეკ-
ლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში XIX ს-ის დასაწყისიდან
კოწოწაშვილები შეტანილი ჩანან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ
წოწაშვილების გვარი დიღომში ჯერ კიდევ XVII ს-ში უნდა ყოფილ-
ყო დასახლებული. კოწოწაშვილები თავიანთ თავს კახეთიდან მოსუ-
ლად თვლიან.

ხ ო ს ი ტ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში ხოსიტაშვილები ჩარგალეთის უბანში ცხოვრობდნენ, ითვლებოდნენ სამეფო და შემდეგ საბატონო ყმებად. ისტორიული წყაროები დიღმელ ხოსიტაშვილებზე მეტად მცირეა. ერთ 1669 წ. ნასყიდობის წიგნში ხოსიტაშვილი პაპია აძლევს მამულს თავის განაყოფს ხოსიტას, რომელიც აცხადებს შემდეგს: „...მოგყიდე მე ხატისაშვილმან პაპიამან, გოგიამან, დემეტრამან, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა შენ ჩიმს განაყოფ ხოსიტასა შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენი მამულიო"[118]. აქ მოხსენებული სახელი ხოსიტა, დიღმელი ხოსიტაშვილების წინაპარი ხომ არ არის და მისგან ხომ არ მომდინარეობს გვარი ხოსიტაშვილი? მაშინ როდესაც ზემოთ აღნიშნული ხატისაშვილები დიღომში აღარ ცხოვრობდნენ და არც შემდეგ სიგელ-გუჯრებში მოიპოვება. ხოსიტაშვილების გვარი დიღომში უკვე 1674 წ. ყმის ნასყიდობის წიგნში გვხვდება, რომელიც მოცემულია მაზიტა და სხვა უგუნურაშვილების მიერ კ-ზის სახლის უხუცეს პაპუნა მაღალაძისადმი, სადაც სხვა დიღმელ მოწმეებთან ერთად ხოსიტაშვილი დემეტრე და ებიტაა[119] დასახელებული, რაც იმას მოწმობს, რომ ხოსიტაშვილები XVIII ს-ში დიღმის ადგილობრივ მკვიდრად ითვლებოდნენ.

კ ო ტ ო რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. კოტორაშვილების ანუ „კოტორიანთ" საგვარეულო უბანი დიღომში, ჩარგალეთში დასახლებული ადრე საშეფო ყმებად ითვლებოდნენ, XIX ს-ში საბატონო ყმებად იწოდებოდნენ.

გადმოცემის მიხედვით კოტორაშვილებს ჯერ მუხათგვერდში, ადგილ „თხელ მუხებში" უცხოვრიათ, შემდეგ ჯოიანში (ნასოფლარია), ჯოიანიდან დიღომში ჩამოსახლებულან. ერთ 1669 წ. ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია და მოხსენიებული კოტორაშვილების კალო[120], რაც იმას ადასტურებს რომ ეს გვარი უკვე XVII ს-ში დიღმის ადგილობრივი მკვიდრი ყოფილა.

ვ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ვარდიაშვილების გვარიც ჩარგალეთის უბანში ცხოვრობს, ვარდიაშვილები ადგილობრივ ხალხს „ეულებად"

118 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 91.
119 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, ტ. I, გვ. 50.
120 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 91.

ახალმოსულებად, უმამულო ხალხად მიაჩნია, მაგრამ 1669 წ. ნასყიდობის წიგნში მოწმედ სხვა დიღმელებთან ერთად ვარდიაშვილი გიორგი მოიხსენიება[121]. საფიქრებელია, რომ ვარდიაშვილები XVII ს-ში დიღომში ცხოვრობდნენ. ვარდიაშვილებს ადგილობრივი მოსახლეობა „სესიკაანებს" უწოდებს.

მ ზ ა რ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. მზარეულიშვილები ჩარგალეთის უბნის მოსახლენი არიან, ადრე სამეფო ხალხად ითვლებოდნენ შემდეგ XIX ს-ის დასაწყისისათვის საბატონო ყმებად მოიხსენიებიან. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების წიგნში მზარეულიშვილები თავდაპირველად ხომასურიძეები ყოფილან, მათი შთამომავალნი „სახლიკაცები" ხომასურიძეები დიღომში ცხოვრობენ. მათ მეზობლად. მზარეულიშვილებს გვარი მიუღიათ მათი წინაპრისაგან, რომელიც „მსახურად" იწოდებოდა და სამეფო კარზე მუშაობდა მზარეულად, რის შემდეგაც მ ა თ შთამომავალთ მზარეულისშვილი ეწოდათ. ადრინდელი ისტორიული საბუთები ამ გვარზე არ მოიპოვება. გარდა დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიისა. დასახლების მიხედვით, ვფიქრობთ, მზარეულიშვილები XVII ს-ში უკვე ადგილობრივ მკვიდრთა შორის ითვლებოდნენ, რადგან მათ ზემოთ მოსახლე სოზიაშვილები, რომელთაც „ფეიქრიანი" ეწოდებათ, უკვე XVII ს-ში დიღმის მკვიდრად ითვლებოდნენ.

ხ ო მ ა ს უ რ ი ძ ე ე ბ ი. ხომასურიძეების გვარიც ჩარგალეთის უბნის მცხოვრებნი არიან. სახლობენ მზარეულიშვილების მეზობლად და მათ ბიძაშვილებად ანუ „სახლიკაცებად" ითვლებიან, დიღმელ ხომასურიძეებზე ისტორიული დოკუმენტი არაფერი მოგვეპოვება, ეს გვარიც საბატონო ყმებად ითვლებოდა, ამათი დასახლება დიღომში XVII ს-ით უნდა განისაზღვროს, ისე როგორც მზარეულიშვილების.

ხომასურიძეებს ზედმეტ სახელად „მექათმიანთ" უწოდებენ. რაც ხშირად საბუთებშიაც გვხვდება, მაგალითად: „1890-სა წელსა გიორგობისთვის 18-სა დღესა დიღომში მცხოვრებელი ისაკა ქობულაშვილისაგან მივიღეთ ზევით ბაღის კულუხის ფული შვიდი მანეთი და ათი შაური მე კნიაზ მუხრანსკის იასაულმა ზაქარია მექათმიშვილმა. რადგანაც ამან წერა არ იცოდა, ამის თხოვნით ხელს ვაწერ ესტატე თეთრაძე 1890 წ. ამ წლისაა"[122]. მეორე ასეთივე ხასიათის საბუთში ეს გვარი ასე მოიხსენიება: „1891 წელსა ქრისტიშობის ცხრამეტსა

---

121 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 91.
122 ზემოთ მოყვანილი საბუთები, ინახება ჩემთან.

დღესა მივიღე ტატონა შალვას ძე ქობულაშვილისაგან ზეგით ბაღის კულუხის ფული შვიდი მანეთი და ათი შაური ძე კნიაზის ზბორჩიკმა ზაქარია ხომასურიძემა იგივე მექათმიშვილმა. რადგანაც ამ. [illegible] წერა არ იცოდა ამის მაგიერ ხელს ვაწერ გიორგა კოტორაძვილი"[123].

ს ო ზ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. სოზიაშვილები ცხოვრობენ ჩარგალეთის უბანში მზარეულიშვილებისა და ხოსიტაშვილების მეზობლად, სოზიაშვილებს — „ფეიქრიანთ და ფეიქრიშვილებს" უწოდებს დიღმის მოსახლეობა და ეს გვარიც თავიანთ საგვარეულო უბანს ქმნის, რომელსაც „ფეიქრიანთ" უბანი ეწოდება. სოზიაშვილები საბატონო ყმებად მოიხსენიება დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში.

სოფელ დიღმის შესახებ მოპოვებულ ისტორიულ მასალებში, მოგვეპოვება ისეთი საბუთიც, სადაც მოხსენიებულია სოფლის მკვიდრი „ფეიქარი პაატა" და „ფეიქრისშვილი". მაგალითად, ერთ 1674 წ. ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია მაზიტა და სხვა უგუნურაშვილების მიერ კ~ზის სახლის უხუცეს პაპუნა (მაღლაძისადმი). ნათქვამია: „ქ. ...საბოლოვო ჟამითა და ხანითა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი, ყოვლის მიზეზისა და ხლათისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვით ბატონის კათალიკოზის სახლისხუცესს პაპუასა, შვილთა თქვენთა რევაზსა და ნიკოლოზს და მამუკასა, ადამსა, ზურაბსა ჩვენ, დიღმელმან უგუნურიშვილმან მაზიტამ და ძმამან ტატუნამ, ძღდელმა პაპუნამ; ასრე რომე მოგყიდეთ ჩვენი ნასყიდი და ყოვლის კაცის მოუდევარი და უცილებელი ჩვენი ყმა ფეიქრის შვილი ბასილა და მისი შვილი ტატია მისის სამი ძმითა; ავიღეთ თქვენგან ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ, აღარა დარჩა სადაო და სალაპარაკო ჩვენსა და თქვენს შუა ერთის ფულის ფასი, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, არიან ამისნი მოწმენი და შუა დამხვედრნი ქარსიძე მესტუმრე ბერუკა, ჭარმეული ზაქარია, თაზისშვილი პაატა, ბატონის შვილის ლევანის ეშიკაღასი ქვლივიძე ბასილა, დიღმელი ფირიაშვილი დავითა მამასახლისი, ძღვდელი გაბრიელ, ხოსიტაშვილი დემეტრე და ებიტა, დეუნიაშვილი ძღვდელი იოვანე, ჩაჩაშვილი რევაზა, წმინდის გიორგის დეკანოზი ბთავარი ათანელი, ზანდარაშვილი იოვანე, დაიწერა წიგნი ეს ჯელითა მამუკაისითა"[124]. მეორე 1697 წ. იანვრის 1-ს ყმის ნასყიდობის წიგნში მიცემული თამაზა გოშფარიშვილის მიერ ნიკოლოზ მაღალაძისადმი შემდეგია ნათქვამი: „ქ ...ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ გოშფარიშვილმან თამაზა თქვენ, მაღლაძეს ნიკოლოზს, ძმასა შენსა რევაზს,

123 ზემოთ მოყვანილი საბუთები ინახება ჩემთან.

124 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, გვ. 50.

ადამს, ზურაბს ძმის წულსა დემეტრეს ამილბარს და ყოველთავე, ახრე და ამა პირსა ზედან, რომე მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე ყმა ფეიქარი პაატა შვილითა ყოვლის კაცის უცილებელი და მოუდავარი ავღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, თუ ვინმე ამისი მაცილებელი გამოჩნდეს, პასუხის გამცემი მე ვიყო, არის ამისი მოწამე დიღმის მამასახლისი ნიკოლოზ, გლურჯიძე ამოან. ფირიასშვილი პაპუა. მე მდივანს გივის დამიწერა და მოწამეცა ვარ...“[125]. ვახტანგ VI დასტურლამალში, ფეიქრიანთ წარმომადგენელნი სოზიაშვილები ბევრნი გვხვდებიან მსახურებად, მაგალითად, „მერიქიფეთათჳს“ განკუთვნილ თავში დასახელებულნი არიან „სოზიაშვილი ესე და შიო“[126], ხოლო „საღვინის მოხელეთათჳს დადგენილ თავში, სოზიაშვილი შიუაა“[127] ნაჩვენები. როგორც ზემოთ მოტანილი საბუთებიდან ჩანს, სოზიაშვილები (ფეიქრიანი) უკვე XVII ს-ში დიღმის ადგილობრივ მკვიდრებად ითვლებიან. რაც საფიქრებელია, რომ ადრეც, წინა საუკუნეებში, ადგილზე ცხოვრობდნენ. სოზიაშვილები თავს ქართლის ახალქალაქის მხრიდან მოსულებად თვლიან. ნაწილი სოზიაშვილებისა ცხოვრობს თბილისის სანახებში სოფ. თხინვალში, ლისში.

ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ყანდაშვილები დასახლებულნი არიან ქვემოუბანში წერწვერაზე. ყანდაშვილები საბატონო ყმებად ითვლებოდნენ მათი ადრინდელი გვარი მარიამულია და მათ განაყრად თვლიან თავს, ხოლო ეს გვარი მიიღეს მათი წინაპარი „ყანდასაგან“. ესენიც მთიდან მოსულებს ამბობენ. გადმოცემით შემდეგი ირკვევა, რომ მათი წინაპარი ქეთევან დედოფალს ჩამოუყვანია და აქ ღიღომში დაუსახლებია, „სიგელ-გუჯრები გვქონდა ქეთევან დედოფლისაგანო“ (სოფ. დიღომი, იოსებ ყანდაშვილი), მაგრამ რომელი ქეთევან დედოფლისაგან, ეს გაურკვეველია, რადგან მათი სიგელები დაკარგულია. შემორჩენილი წყაროების მიხედვით, როგორც მარიამულთა შთამომავალნი, ყანდაშვილების დასახლებაც დიღომში XVII ს-ზე ადრე ხანად უნდა მივიჩნიოთ.

გ ი ლ ა უ რ ე ბ ი. გილაურების საგვარეულო უბანი ორად იყოფა დიღომში, ქვემოუბანში (წერწვერაზე) და ზემოუბანში. გილაურები ადრე სამეფო ყმებად იწოდებოდნენ, XIX ს-ის დასაწყისში კი საბატონოებად ითვლებოდნენ. წერილობითი წყაროები გილაურების

---

125 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები I, გვ. 101.
126 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 53.
127 ი ქ ვ ე, გვ. 70.

გვარზე XVIII ს-ის დასაწყისიდან ჩანს და საფიქრებელია, რომ გილაურები ადრეც დიღომში უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ვახტანგ VI დასტურლამალში ვხვდებით მსახურ გვარებს, მაგალითად, „მესაკლავეთათვს“ განკუთვნილ თავში დასახელებულნი არიან „გილაური რამაზა, ტატია და მეცხვარე გიორგი“[128], ხოლო „საზანდრებისათვს“ ნათქვამ თავში „გილაური ასლამაზია“[129] დასახელებული. ერთ 1784 წ. ივნისის 6-ს ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია გაბრიელ მარინდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძისადმი აღნიშნულია მამულის საზღვრები, რომლის „...ბოლო გილაურის“ სამზღვარი ყოფილა[130]. 1781 წლის ხალხთა აღწერის დავთარში სამეფო ყმებს შორის დიღომში „აზატი გილაური პეტრე და ნინია იასაული“ ჩანან[131]. გილაურებიც, ისე როგორც მარიამულები, მთიდან მოსულებად თვლიან თავიანთ თავს. გილაურიანი შემდეგ „მამის სახლეზად“ იყოფა: ფოფინაანი, ღვედელაანი, ვანეზაანი, ცუცნაანი.

ზ უ კ ა კ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ზუკაკაშვილები წერწვერაზე სახლობენ. მათი წინაპარი XIX ს-ის ნახევარში მოსულა გარე კახეთიდან, სოფ. პატარძეულიდან და დიღომში დასახლებულა. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის ზიარების დავთარში ეს ოჯახი შემდეგი შემადგენლობითაა გატარებული: „ტფილისის უეზდის სოფელს პატარძეულში მცხოვრები გლეხი სიმონ მახარეს ძე ზუკაკაშვილი, ცოლი ამისი ანნა გიორგის ასული. ძმანი სიმონისა ზაქარია, მარიამ, მართა, დედა ამათი ეკატერინე გიორგის ასული“[132]. სოფელში ასეთ მოსულ ხალხს ხიზნებს, ხან ეულებს უწოდებდნენ[133].

თ ა ბ ა გ რ ე ბ ი. თაბაგრები, წერწვერაზე მცხოვრები პატარა გვარია, ესენიც XIX ს-ის ნახევრისათვის დასახლდნენ, მოსულები არიან იმერეთიდან, სოფელ დიღომში ამათაც ეულებს უწოდებდნენ და როგორც ყველა უმამულო ხალხი ქონებრივ დანაწილებაში ჩარეჭიან გლეხებად გვხვდებიან. მოსული ხალხი და მათთან ერთად თაბაგრებიც სხვის მამულებს იღებდნენ იჯარით ან სანახევროდ, დგე-

---

128 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 52.

129 ი ქ ვ ე. გვ. 68.

130 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, II, გვ. 130.

131 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

132 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

133 ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, 1964, გვ. 216 (იხ. „სტუმრისა“ და „მდგმურის“ საკითხისათვის).

ბოდნენ მებაღე-მეზვრეებად[134]. XIX ს-ის ნახევრისათვის, დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში თაბაგრების შემდეგი წევრებია მოხსენიებული: „თაბაგარი იოანე ვასილის ძე, ძმები ამისი გრიგოლ, გიორგი, დები ამისი სოფიო, ოლღა, დედა ამათი მარიამ პატრაკაცის ასული, ქვრივი“[135].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. მჭედლიშვილების საგვარეულო უბანი წერწვერაზეა გაშენებული, გზის მარჯვენა ნაპირზე. მჭედლიშვილები ადრე სამეფო ყმებად ყოფილან, XIX ს-ში საბატონოებად იწოდებოდნენ. მჭედლიშვილები კახეთიდან, სოფ. კაჭრეთიდან მოსულებად თვლიან თავს.

დიღმელ მჭედლიშვილებზე ისტორიული საბუთები არაფერი მოგვეპოვება, მხოლოდ მეფე ვახტანგ VI დასტურლამალში მოჩანს ეს გვარი, კერძოდ, „სამზარეულოს მოხელეთათჳს“ განკუთვნილ თავში მჭედლიშვილია[136] დასახელებული, რაც იმის მაუწყებელია რომ მჭედლიშვილები მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დიღმის ადგილობრივი მკვიდრი ყოფილან. 1781 წლის ხალხის აღწერილობის დავთარში სამეფო ყმებს შორის „მოყალნე“ ივანე მჭედლიშვილია დასახელებული[137]. გარკვეულ დროს დიღმელ მჭედლიშვილების გვარს ნაწილი მოსახლეობისა გამოყოფია და დიღმიდან კახეთში გადასახლებულან, სოფ. აკურაში, რომლებიც ქევხიშვილებად ეწერებიან[138].

მ ი ჭ ე ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. მიჭელაშვილები დიღომში ორ ადგილას ცხოვრობენ და ორ უბანს ქმნიან, ქვემოუბანსა და ზემოუბანს, მიჭელაშვილების გვარი სამეფო ყმებს შეადგენენ, გვხვდებოდნენ საეკლესიო ყმებიც. XIX ს-ში საბატონო ყმებად გვხვდებიან.

ერთ ნასყიდობის წიგნში, რომელიც XVII ს-ით თარიღდებოდა, მიჭელაშვილებს უყიდნიათ ვენახი. ამ ნასყიდობას დიღმელ მოწმეებთან ერთად ჩაჩაშვილიც მოიხსენიება. ეს ხელნაწერი 1954 წ. გადავეცი ხელნაწერთა ინსტიტუტს.

ვახტანგ VI დასტურლამალში „მეჯინიბეთათჳს“ განკუთვნილ თავში მიჭელაშვილი რამაზაა[139] დასახელებული.

---

134 ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, 1959, გვ. 160.

135 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი (ინახება ჩვენთან).

136 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 70.

137 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

138 ი. ჭ უ ო ნ ი ა, ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ა. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, სოფელი აკურა, 1964, გვ. 18, 19, 20.

139 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 52.

მიჭელაშვილები დიღომში შემდეგ საძმო სახლად განიყოფებიან: ალეინაანი, დალაქიანი, პრაპორჩიკიანი, ყოყიანი, მაჩაბლიანი.

ბ რ ო ლ ა ძ ე ე ბ ი. ბროლაძეები, ანუ როგორც ადგილობრივ მკვიდრნი უწოდებენ ჯავახიანი, ცხოვრობენ წერწვერაზე, მიჭელაშვილებისა და მჭედლიშვილების მეზობლად. ბროლაძეები ითვლებოდნენ საბატონო ყმებად[140], დიღომში მოსულები არიან ჯავახეთიდან XVIII ს-ის მიწურულს, ისინი ჯერ სამეფო სახლს შეჰკედლებიან ხიზნად, შემდეგ კი მუხრანელ ბაგრატიონებს უყმიათ. მაგრამ შემდეგ წლებში ადრინდელ, ჯავახელ ბატონს მოუკითხნია დიღომში, რომელსაც მათი აყრა მოუნდომებია. ამ საქმეში ხალხის ჩარევის შემდეგ, ბროლაძეებს უკისრიათ ორივე ბატონის სამსახური, ჯავახელ ბატონს, თავის წილს აძლევდნენ ყოველ წელიწადს: „ჩამოუჯდებოდა ჯავახიანთა თავიანთი ბატონი, შემდეგ მისი ქვრივი და სანამ მახატას არ მიცემდნენ ფეხს არ მოიცვლიდა. თუ ფული არ ქონდათ მთელ თვეს მათთან რჩებოდა, მათსას სვამდა და სჭამდა, ფულს რომ მიიღებდა თავის გზას გაუდგებოდა“. (დიღომი, მთხრობლები: ანტ. სონღულაშვილი 76 წ. 1956 წ. „დარო ბროლაძე-სოზიაშვილისა. ჯავახიანთ ქალი, 1958 წ.).

ხ მ ა ლ ა ძ ე ე ბ ი. დიღომში ხმალაძეები ორ უბნად ცხოვრობენ ზემოუბანში და ქვემოუბანში, ამ გვარს ზედმეტ სახელად „ფაჩუსტაანთას“ უწოდებენ, ხმალაძეები დიღომში XVIII ს-ის მიწურულს დასახლებულან. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთ მელთა დავთარში 1830 წ. ერთი კომლი ხმალაძე მოიხსენიება კერძოდ: „ნგ — ქ. ხმალაძე დავით იოსების ძე მდ—ქ. ცოლი ნინა—იოვანეს ასული, ით. ქ-ქალი ანნა, იდ—ქ. ვაჟი ანტონ, თ—ქ. ქალი მართა“[141]. ხმალაძეები საეკლესიო ხალხად იწოდებოდნენ და იოვანე ნათლისმცემლის მონასტრის ყმები იყვნენ[142] და მათ მამულზე სახლობდნენ, მონასტერს ამ დროს „გაღმა გვერდის“ გარკვეული მიწები ეკავა და ამ მიწებს ტოპონიმიკაში „ფაჩუსტაანთ მიწები“ ეწოდებოდა. შემდეგ ეს მიწები ივანე მუხრან ბატონმა მონასტერსა და მათ ყმებს ჩამოართვა და სოფლის შიგნით უფრო კარგი ბაღ-ვენახი უბოძა.

კ ო ლ ო ტ ა უ რ ე ბ ი. დიღომში კოლოტაურები ქვემოუბანში წერწვერაზე სახლობენ და მათი საგვარეულო უბანი დიღმის ხევს დაჰყურებს კოლოტაურები ანუ ჯაბადრიანი, როგორც მათ უწოდებენ დიღომში, XVIII ს-ში უნდა დასახლებულიყვნენ და მართლაც, 1781

---

140 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

141 იქვე.

142 იქვე.

წლის ხალხის აღწერის დავთარში დიღმის მკვიდრთა შორის მუხრანის ბატონის ყმა კოლოტაური იესეა შეტანილი[143]. მათი წინაპარი სამეფო კარის მსახური, ჯაბადარი ყოფილა, ჯაბადარი მეფეს ბიბლიავდა და ვახტანგ VI დასტურლამალში სპეციალური თავიცაა მეტანილი, რომელსაც „საჯაბადაროს მოჯელე"-ნი ეწოდებოდა. კოლოტაურების ზოგიერთმა პირმა გვარი ჯაბადრად გადაიკეთეს, ამაზე მეტყველებს ხალხური ლექსიც, რომელიც დიღომშია ჩაწერილი:

„კოლოტაური კაკოლა.
ძალად გახდა ჯაბადარი.
ამისთანა მამაძაღლი,
მთელ დიღომში არვინ არის..."

კოლოტაურები XIX ს-ში საბატონო ყმებად იწოდებოდნენ და მუხრანელ ბაგრატიონებს ეკუთვნოდნენ.

ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. სონღულაშვილების ანუ ბოგველიანთ დასახლებაა ქვემოუბანში (წერწვერაზე) არის განლაგებული. სონღულაშვილები დიღომში სახლდებიან XVIII ს-ის მიწურულში, ისინი მოდიან ქვემო ქართლის სოფელ ბოგვიდან, რის გამოც სონღულაშვილებს „ბოგველიანებს" ხან „ბოგვერაშვილებს" უწოდებენ[144]. 1781 წ. ხალხთა აღწერილობის დავთარში საინტერესო ცნობას ვხვდებით, საიდანაც ირკვევა, რომ დიღომში შემოხიზნულა მებატონე ივანე ბოგველი თავისი შვიდიოდე კომლი ყმით, სადაც სონღულაშვილების წინაპრებიც არიან დასახელებულნი. მაგ., ნათქვამია: „Oქ. აქავ ხიზანი ივანე ბოგველის ყმა, სონღულიძე გოგია, ამისი ძმა ზურაბა, თავი ბ"[145]. გადმოცემის მიხედვით სონღულაშვილები ანუ სონღულიძეები მესხეთიდან ყოფილან მოსულნი, რაზედაც მეტყველებდა ის სიგელ-გუჯრები, რომლებიც სოლომონ სონღულაშვილის სახლში ყოფილა დაცული. გადმოცემით სონღულაშვილების ძველი გვარი ზეიკისძე ყოფილა. გადმოცემის მიხედვით ზეიკისძეებში ყოფილან სამი ძმანი: „ზეიკა, ზედგენა და სონღულა". „სონღულას" შთამომავალნი სონღულაშვილები არიანო.

სონღულაშვილების შესახებ ისტორიულ საბუთებში შემდეგ ცნო-

---

143 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

144 სონღულაშვილები საქართველოში სხვადასხვა კუთხეში გვხვდებიან: კახეთში — სოფ. ვეჯინში, სამეგრელოში — წალენჯიხის რაიონში, სოფ. ობუჯაში ცხოვრობენ სონღულიები, უცხოვრიათ აფხაზეთშიაც.

145 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

ბებს ვხვდებით. 1523 წ. გუჯარში, რომელიც ბარათაშვილების გაყოფას შეეხება. ჩამოთვლილ ქონებასთან ერთად დასახლებულნი არიან საბარათაშვილოში მცხოვრები აზნაურიშვილებიც, მაგალითად: „... მიხუდა გერმანოზს და მისთა ძმათა აზნაურიშვილები: ერთ წილად შუხიბიშვილი, სუნღულაშვილი და სულითა—მამაშვილი...“[146]. აღსანიშნავია ისიც აგრეთვე, რომ XIV—XV ს-ებში. შიო მღვიმისა და მცხეთის სიგელ-გუჯებში მოხსენიებული არიან ისტორიული პირები, სუნღულისძენი, რომლებიც „სუნღულით“, სუღულიძე „ლომისა“ და დაჩის სახელით არიან მოხსენიებულნი.

ერთ-ერთ 1376 წ. შიომღვიმის გუჯარში მოხსენიებულია ვინმე „სუნღული“, რომელსაც მოულოცავს წმინდა ადგილი და უდაბნოსათვის შეუწირავს მრავალი განძი და დაუწესებია აღაპი „მესამე კვირიკესა მარხვათასა“, მისთვის და მისი მშრომელთა სალოცავად და უკვდავსაყოფად „... ამათ ყ˜ლთა წ˜თა შეწევნითა და თანადგომითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩ˜ნ მღვიმელთა ერთობით სრულად კრებულთა შენ ს უ ნ ღ უ ლ ს. მონასა ღვთისასა: ამას უდაბნოს ში˜ა შემოხველ მოლოცვად: მოილოცე უდაბნო და წ˜სა მამისა შიუსი სამარტვილო. მოგაგონა ღ˜ნ სულისა შენისათუის უმჯობესი, რათამცა ამას უდაბნოსა შ˜ა სალოცველი და მშობელთა შენთა საკსენებელი იყო ვიდრემდის უდაბნო ესე ეგოს და წესი და დალოცვა აღესრულედის შიგა მყოფისა კრებულისაგან, შენი და შენთა მშობელთა სალოცავი უკვდავი იყოს ამას უდაბნოსა შ˜ა. და გვენუკევდი აღაპსა ტრაპეზსა ზ˜ა მესამესა კუირიაკესა მარხვათასა... გაგიმართეთ აღაპი ტრაპეზსა ზედა... არ შეგეცვალოს... და ამისადა საფასოდ ავიღეთ ფასი სრული, ას დ ა ათ დრაჰკანი დუკატი ოთხ ასეული და ორმოცდაათის დრაკანისა საფასოი, ორი ტაბაკი ვერცხლისა, ფეშხუმი ესე ჯუმლად იქნების სამასისა ბოტინატის — დაიწერა ჭელითა გიორგი ჭყონდიდელის მწირველისათა ქრონიკისა ჩდ“[147]. ზემოთ მოყვანილ 1376 წ. გუჯარში მოხსენიებული „სუნღული“ შეიძლება კაცის სახელიც იყოს და გვარის შესატყვისობასაც იძლეოდეს, რადგან ამა თუ იმ გვარის ძირი რომელიღაც წინაპრის სახელთან არის კავშირში. მაგალითად, ქობულაშვილების წინაპრად „ქობულს“ ასახელებენ, რაც დღესაც მეორდება გვარისშიგნით ამ სახელის ხმარება „ქობული“, ასევე ითქმის სონღულიძეების ანუ სონღულაშვილების შესახებაც, ამ გვარში დღესაც წინაპრის სახელის გამეორება ტრადიციით მეორდება და ხშირად მოიხსენიებოდა მამაკაცის სახელად „სონღული“ მა-

---

146 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 349.

147 ი ქ ვ ე, გვ. 186.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალითისათვის მოვიტან სონღულაშვილების ერთი ,ოჯახის შემადგენ-ლობას XIX ს-ის ნახევრისათვის: „კაკალა, ანდრუა, სონღულა, ილია, ლაზუა, თომა“[148].

XVII ს-ის ხელნაწერ საბუთში ნათქვამია. რომ აქ მდებარე თავისი წილი დუბეს ვენახი მიჰყიდა პაატა სონღულაშვილმა თავის განაყოფთ ზოსია, ზაქუტა და ს ო ნ ღ უ ლ ა სონღულაშვილებს (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd—14005)[149].

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „სონღული (სონღური) ფრინველია“. იოანე ბატონიშვილი კალმასობაში აღწერს სანადირო ფრინველთა თვისებებს, მათ შორის სონღულსაც მოიხსენიებს და ამბობს, რომ: „სონღული ასე მალია, რომ ორგზის უწინ დაჰკრავს შევარდენზე, ვიდრე შავარდენი, და თითქმის ათსა და თორმეტს წეროს ერთს მიტევით ჩამოყრის, ეგრეთვე ბატთა, სავათთა და ყუისა“[150]. აღსანიშნავია, რომ მონღოლთა დროშაზე „სონღული“ იყო ამოქარგული, რომელიც ყვავს ჩაფრენია, სონღული ჩინგის ხანის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა, რადგან „ჩინგიზ-ხანის ღარიბი წინაპარი, ბოდუანჩარი, მოშინაურებული სონღულით ნადიროობდა და ამით ირჩენდა თავს“[151].

მეორე სიგელი, სადაც სუნღულისძე გვხვდება, 1392 წ. მცხეთის გუჯარია, სადაც მოხსენიებულია ამირთ ამირა სუნღულისძე ლომი და მისი ძმისწული ლაჩინი, რომელნიც ავლებენ მცხეთის საყდარს შესაწირ „სპონდიოს“[152] და აღაპს იწესებენ. ამ სიგელში შემდეგია ნათქვამი: „...ჩ უ ᲩᲜ ...ა მ ი რ თ ამირამან ს უ ნ ღ უ ლ ი ს ძ ე მ ა ნ ლ ო მ-მ ა ნ და ჩემმა ძმისწულმან ლაჩინამან „ჭელ-ვყავ და შემოვავლე საყდარსა (მცხეთას) სპონდიო და შევწირე გორს ჩემი ნასყიდი აყუბაშვილისგან აყუბაური ზუარი... გამიჩინეთ აღაპი...

---

148 ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხალხური სიტყვიერების მასალები, წ. II, 1957, გვ. 210.

149 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1, 1964, გვ. 77.

150 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, 1936, გვ. 216.

151 ვ. ი ა ნ ი, ბათო ხანი, 1961, გვ. 82.

152 სიგელში მოხსენიებული სპონდიო შეიძლება შესაწირის აღმნიშვნელი იყოს, რადგან საბას განმარტებით „სპონდიო“ შესაწირავს ნიშნავს და მიუთითებს „სპენდ“-ზე, რაც „შეწირვას“ ნიშნავს, ხოლო სიგელში მოხსენიებული, სპონდიო საბას განმარტებით „კლდე, წყლისა და ხავსისა მიერ ქვაქმნილს“ ნიშნავს სიგელის შინაარსიდან თითქოს სონღულიძეებს საყდრისათვის ქვის კედელი შემოუვლიათ, მაგრამ ვფიქრობთ, აქ შესაწირავზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა კედლის შემოვლებაზე.

დაიწერა ქ—კს პ: ივლისის ...3: ჭელითა ბასილიშვილის იოსებისათა“[153].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ ამ სიგელ-გუჯრების ანალიზის საფუძველ-ზე თედო ჟორდანია შემდეგს აღნიშნავს: „ამილახორთა გვარი უნდა ჩამომდინარეობდეს სონღულიძეთაგან“ ამაზე იხ. 1419 წლის ამილა-ხორთა სიგელი 1401—1413 წ. (თედო ჟორდანიას ქრონიკები, ტ. 2, გვ. 205).

მესამე 1398 წ. მცხეთის გუჯარში ამირთ ამირა ლომი და მისი ძმისწული ლაჩინ ჩამოთვლიან იმ შესაწირს, რაც მცხეთას მიუძღვნეს და ინიშნავენ სააღაპო დღეებს, სადაც მოწმეებად მოყვანილნი არიან ისტორიული პიროვნებები: „...მე ამირთ ამირამან სუნღულისძემან ლომმან და ჩემმა ძმისწულმა ლაჩიამა... (შემოვწირე მცხეთას) გორს ჩუენი მკუიდრი ნასყიდი აქუბაშვილისაგან ზუარი მისითა სამართლი-ხითა მზღურითა... საწნეხელითა... და შემოვავლე საყდარსა თქუენსა სპონდიო და ჰქონდეს (მცხეთას) ესრე ჩემ მიერ შეწირული და ეჰა კ᾽ზო გ᾽გი (გიორგი) ...ქრისტეშობის დღეს ...უნაკლოსა აღაპსა გარ-დაიჯდიდეთ (და შემდგომად სხვა კათალიკოზებიც გარდამიხდიდენო) ...დაიწერა ქკს: პვ: ივლისსა: ვ: ჭელითა სეფის მწიგნობრისა ბასილა-შვილის იოსებისათა“[154]. ეს გუჯარი იმავე მცხეთის ნუსხაში № 507:ჲ: მოხსენიებული, რასაც სუნღულიძეები ამტკიცებენ ამ გუჯარს, სადაც მისდევს მხედრული წარწერები მოწმეებისა:

1) „მექვენიფნეველი ერისთავი ვირშელი ამისი მოწამე ვარ“ (ვირშელი მართლაც ცხოვრობდა ამ დროს: იხ. ზემოთ თ. ჟორდანიას მითითებული შრომა, გვ. 15, 19 და 27).

2) „მე ერისთავი შაბურისძე მიქაი მოწამე ვარ“

3) „...აქიმეს ძე ქავთარ მოწამე...“ 4) „მე ირაკლი“,

5) „... მე ნასიძე გიორგი.. 6) „მე დოღლის ძე ანინკი მოწამე ვარ)“...[155]. იმავე მცხეთის ნუსხაში № ტმვ: აღნიშნულია აღაპი: იან-ვარს :ა: დიმიტრობას ერთს, ე—ეს თავისკვეთას, ერთი ყ—დ წი-ს სარტყლის დადებას, ერთი ჭორციელ კჯრას ოჭერჭიდას რომ ბაგაა იმით უნდა იქნას სუნღულიძის ლომის აღაპი“[156].

1419 წ. სინოდ კანტ. სიგელი ნუსხა ჲა, რომელშიც ჩამოთვლი-ლია სუნღულიძის მიერ შეწირული ვენახი თავის მარნით, მოხსენიე-ბულია მხოლოდ ლაჩინა სუნღულისძე, ამირთ ამირა ლომი უკვე

---

153 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 98.

154 ი ქ ვ ე, გვ. 203.

155 ი ქ ვ ე, გვ. 203.

156 ი ქ ვ ე, გვ. 203.

აღარ მოსჩანს. ამ სიგელში ნათქვამია: „ჩუ©ნ სოღულასძემან (სუნღულასძემან) ლაჩინამან ...შემოვწირე (მცხეთის საყდარს) გურ[illegible] ... ყიდი ვენაჯი გულიაური და კალოს-მარან შიგან ორმოცი [illegible] ჭურის (sic) ...ქკ—ზო ელიოზ ... აღაპსა გარდაიჯდიდეთ... ქკს: რზ: ჭელითა დედოფალთ-დედოფლისა თამარის კარის მწიგნობრის ტიმოთესითა. ჩუ©ნ ავთანდილ და ზევდგინ ამისნი გამთავებელნი ვართ::: ...მე ლაჩინას ჩემის ნებით შემიწირავს“[157].

თ. ჟორდანია ამ სიგელის შენიშვნებში წერს, რომ „სუნღულისძენი ლომი და მისი ძმისწული ლაჩინი იხ. ზემოთ 1392 ყა 1398 წ. ქვეშე, ხოლო ამ გუჯრიდამ საგულისხმებელია, რომ სუნღულისძენი არიან ზევდგენიძე—ამილახორნი, რადგან ცნობილია, რომ გუჯრის დამამტკიცებელნი ავთანდილ და ზევდგინ არიან ამილახორის გვარისანი, ხოლო ლაჩინ, რომელსაც უკანასკნელად მოუწერია ხელი, არის სახლის კაცი ავთანდილისა და ზედგინისა“, აღნიშნავს თ. ჟორდანია და დასძენს: „აქ სხვა აზრის შეტანა, ვგონებ, ძნელია, მით უმეტეს, რომ საბუთებიდამ სჩანს, რომ გორის მოურაობა და მამულები ეკუთვნის ამილახვრებს და იმავე დროს სუნღულიძეებს — აღაპთა სიაში (ნუსხა № ტპ) მოხსენიებულია სუნღულიძეთა აღაპი: ლომისა—დეკემბერს: კვ. ხოლო ლაჩინასი, იანვრის: 3:“[158].

ზემოთ მოტანილი შეწირულობის სიგელში დასახელებული ავთანდილ და ზევდგინ მოხსენიებულნი არიან 1426 წ. სიგელში გორის მოურავად და ჩურჩერახად[159], ხოლო ზევდგინისძე თაყა—1433 წ. საბუთში; ზევდგინ თაყას ძე—1453 წ. ძმებითურთ; ამირან, დოდა, ავთანდილ; 1459 წ. თაყა; 1475 და 1564 წწ. მამა და ცოლი მისი გულქან. ეს გულქან იხ. ჭალის ჯვარის წარწერაში, (Rap. IV, 17); 1518 წელს ბარძიმ და ძე მისი ფარემუზ;—1523 წელს—თაყა და ცოლი მისი ულუმპია და ძენი მათნი; თომა, ბარზი (ბარძიმ), ავთანდილ, ფარემუზ, იოთამ და ბეჟან[160]:

როგორც ცნობილია, XV ს. დასაწყისისათვის ქართლში საბოლოოდ ყალიბდება სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წინამძღვრები, რომლებიც ხელს უწყობენ დეცენტრალიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებას და ქართლის ცალკეული სათავადო სახლების გაძლიერებას, ამოწყვეტილ აბულეთისძეების მაგიერ XV ს-ის დასაწყისში ამილახორ ზედგენიძეებს ვხედავთ მათ მაგიერ, ე. ი. ერთ-ერთი

---

157 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 225.

158 ი ქ ვ ე, გვ. 225.

159 ი ქ ვ ე, გვ. 205, 206.

160 ი ქ ვ ე, გვ. 225.

ასეთი სათავადო სახლი ზევდგენიძე-ამილახორთა საგვარეულოს სიადაგზე წარმოიშვა. ამილახვართა საგვარეულოს წინაპრებ[illegible]ნიც საამილახვრო სახლს მეთაურობდნენ, ზევდგენიძენი [illegible]მოთ მოყვანილი მასალების მიხედვით საამილახვროს ისტორია იწყება XIVს. პირველ მეოთხედში, ზედგენიძეთა „სხვილოსურ მამულში“ დამკვიდრებით. სხვილოსურ მამულს გარდა სოფელი სხვილოსისა და მისივე სახელობის ციხისა, შევიდა სოფ. კოდისწყარო და ხატისუბანი, რომელნიც XV ს. 30-იანი წ. უკვე ზედგენიძეთა „მკვიდრ“ მამულებად იქცა[161]. საერთოდ „სხვილოსური მამულის“ გაძლიერება და დაწინაურება, მისი გადაცემა ზევდგენიძეთათვის, წარმოადგენდა გიორგი ბრწყინვალის გარკვეული პოლიტიკის შედეგს, რომელიც მიმართული იყო შიდა ქართლში ძლიერი დასაყრდენი ერთეულის შექმნისაკენ და ჩრდილოეთის ხაზის გაძლიერებისაკენ, ოსებისა და სხვა მოთარეშე ტომებისაგან თავის დასაცავად. ზევდგენიძე ამილახორთა სათავადოს ორგანიზაციის პირველი პერიოდი, როგორც გარკვეული ტერიტორიული და სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებისა მთავრდება XIV ს. I მეოთხედში. „ამ დროს ჩნდება სათავადოსათვის დამახასიათებელი ელემენტები: ერთიანი — „სხვილოსური მამული“ და ციხე-სიმაგრე სხვილო“[162].

ზევდგენიძე-ამილახვრების სახლის გაძლიერების შემდეგ XIV ს-ის II ნახევარში ეს გვარი მეფისაგან იღებს საკუთარ საგვარეულო „საძვლეს“[163], რითაც გვირგვინდება ზევდგინიძეთა სამფლობელოს ჩამოყალიბების პროცესი, რომლის გაძლიერება-გამაგრებას ხელს უწყობდნენ ქართლის მეფეები.

ალექსანდრე I-ის მეფობის ხანაში (1412—1442 წწ.) იწყება ზევდგენიძეთა სამფლობელოს აღორძინება. სწორედ ამ დროს იღებენ ზევდგენიძენი გორის მოურაობას და იფართოებენ თავის საბრძანებელს დაბა კასპისა და სოფ. იგოეთის შემოერთებით, XV ს-ში ზევდგენიძეთა საგვარეულო იღებს ერთ-ერთ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობას ამილახრობას, ე. წ. „მემარჯვენე სასარდლოს“ მეთაურობას, სამხედრო-ადმინისტრაციული ტერმინი „ამილახორი“, სულ ჩქარა

---

161 თ. ყორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 229, 332; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატ. გვ. 22.

162 მ. ქიქოძე, ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV—XVIII სს. (საამილახვრო), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1963, გვ. 99.

163 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს XV ს. ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკ. 1, 1937, გვ. 3.

ზევდგენიძეთა საგვარეულოს მეთაურის სახელწოდებად ...ძის სახლიკაცებს კი ამილახორიშვილები“ ეწოდებათ[164].

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ზევდგენიძე-ამილახვართა ...ლე მიმოხილვა, როგორც ზემოთ სონღულიძეთა შესახებ მოყვანილ საბუთებიდან ჩანდა, თედო ჟორდანიას სუნღულიძენი მიჩნეული ჰყავს ზევდგენიძე ამილახორად რაც, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს, რადგან ზევდგინიძეები სონღულიძეების უკანასკნელ 1419 წ. სიგელს ამტკიცებენ „ავთანდილ და ზევდგინი“, რომლებიც ამილახორის გვარისანი არიან, ხოლო ლაჩან, რომელსაც უკანასკნელად მოუწერია ხელი მიჩნეულია „სახლის კაცად“ ავთანდილისა და ზედგენისა“. თან დასძენს რომ „აქ სხვა აზრის შემოტანა ვგონებ, ძნელია მით უმეტეს. რომ საბუთებიდან სჩანს, რომ გორის მოურაობა და მამულები ეკუთვნის ამილახვრებსა და იმავე დროს სონღულიძეებს. აღაპთა სიაში (ნუსხა № ტპ:) მოხსენებულია სუნღულიძეთა აღაპი: ლომისა—დეკემბერს: კვ: ხოლო ლაჩიანასი — იანვარს: 3:“[165]. მართალია, 1419 წ. უკვე ზევდგენიძე-ამილახვრები გორის მოურავები არიან, მაგრამ ადრინდელ 1376 წ. 1392 წ. და 1398 წ. სუნღულიძეების გუჯრებში ამილახორ-ზედგენიძეები სულ არ ჩანან და არც იყვნენ ამ დროს გორის მოურავად. სიგელ-გუჯრებს თვითონ სონღულიძეები ამტკიცებენ (იხ. მცხეთის ნუსხა 507:ჲ), რომლის შემდეგაც გუჯარს მისდევს წარწერები მოწმეებისა:

1. „მი ქვენიფნეველი ერისთავი ვირშელ ...ამის მოწამე ვარ“. 2. „მე ერისთავი შაბურისძე მიქაი მოწამე ვარ“. 3. ... აქიმეს ძე ქავთარ მოწამე... „4 ... მე ნასიძე გიორგი...“ 6. ...ძე დოღლისძე ანინკი მოწამე ვარ“[166]. ზემოთ მოტანილი გუჯრების მიხედვით სუნღულიძეები სულ სხვა გვარის წარმომადგენლები ჩანან და ვფიქრობთ ზედგენიძეებთან, არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ, და თვითონ სუნღულიძეები ხომ არ არიან გორის მოურავები, როცა ამ გუჯრებს ისინი ამტკიცებენ? ... მაშინ როდესაც ერთ-ერთი სუნღულიძე ლომი (იხ. ზემოთ მოყვანილი გუჯრები 1392 და 1398 წ.). ამირთ ამირად იწერება: „ჩუ...ნ... ამირთ ამირამან სუნღულისძემან ლომან...“ „მე ამირთ-ამირამან სუნღულისძემან ლომმან“-ო[167]. აღნიშნავს გუჯარში სუნღულიძე ლომი და ვფიქრობთ ეს ტიტული, შემთხვევით არ არის მოხსენიებული, რაც ამ დროისათვის „სარდალთ-სარდალი“ ანუ „ამირსპასა-

---

164 მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

165 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. 2, გვ. 225.

166 იქვე. გვ. 203.

167 იქვე, გვ. 198, 203.

ლარი უნდა ყოფილიყო, რაც მხედართმთავარს ნიშნავს. ხოლო „ამილახორი“—შტალმეისტერს, ამირსპასალარის თანაშემწეს ნიშნავდა[168]. ამ მხრივ საინტერესოა ხელმწიფის კარის გარიგებაში [illegible] მუხლები, სადაც ირკვევა სამეფო კარზე თანამდებობათა მთელი განაწესი, მაგალითად, მე-7 მუხლში ნათქვამია: „აღვსებასა ამირ-სპასალარი საკითხავია ამილახორისა, ამილახორი მეაბჯრეთ-უხუცესისა; მეაბჯრეთ-უხუცესი—მესაწოლეთ უხუცესისა“[169]. ხოლო მე-18 მუხლში შემდეგია ნათქვამი: „ლაშქრობას და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ჯელთარის მას წინათ არავინ იტყჳს და რაჲ ვეზირობა იყოს, ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა და ამის ჯელის მეაბჯრეთ უხუცესიცა, მეაბჯრეთ-უხუცესი და მეაბჯრენი და მესარტყლენი და საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის ჯელისანი არიან“[170]. როგორც ამ სამეფო კარის წესდებიდან ჩანს, ამირთ-ამირა, ანუ ამირსპასალარი ამილახორზე მაღალი პირია. ზემოთ გუჯრებში მოტანილი პირი, ამირთ-ამირა ლომი სუნღულიძე უფლებამოსილი იქნებოდა, უზედგენიძოდ და უამილახოროდ შეწირულების გუჯრები დაემტკიცებინა.

რაც შეეხება სუნღულიძეებისა და ზედგენიძეების სახლიკაცობას, ზემოთ მოტანილ გუჯრებში სულაც არ ჩანს[171] და ვფიქრობთ, „სუნღულიძეები“ სულ სხვა, სახლი უნდა იყოს, რომლებმაც შემდეგ დაჰკარგეს თავიანთი პირვანდელი მდგომარეობა და „დამდაბლდნენ“. ასეთი ამბები ისტორიაში ხშირად ხდებოდა, ამ ფაქტს კარგად შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც „წარჩინებულთა შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „...ამათგან გაძმათავრებულნი ესრეთ... რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ახუ გაყრითა ძმათათა“[172].

ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ სუნღულიძენი უნდა იყვნენ 1523 წ. საბარათაშვილოში მცხოვრები (სოფ. ენაგეთში და ბოგვში) აზნაურ „სუნღულიშვილების“ წინაპარი[173], რომელთა შთამომავლები არიან სოფელ დიღომში მცხოვრები ბოგველი სონღულაშვილები, რომლებიც დიღომში XVIII ს-ის 80-იან წლებში დასახლებულან. ეს გვარი სონღულაშვილები ზოგჯერ

---

168 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელმწიფის კარის გარიგება, 1920.

169 ი ქ ვ ე, გვ. 3, მუხლი 7.

170 ი ქ ვ ე, გვ. 9.

171 თუ მხედველობაში არ მივიღებთ თქმულებას ზეიკიძეებზე.

172 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

173 თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 2, გვ. 349.

სონღულიძეებადაც ეწერებოდნენ, რასაც მოწმობს დიღმის თეთრ-
გიორგის საფლავის ქვები, სადაც ვკითხულობთ: „შეიწყალ[illegible] ფალ-
თომა სონღულიძის ძე ალექსანდრე მიცუალა 1871 წელს[illegible]
ლე უფალო სონღულიძის ასული მელანია მიცუალა 1811 წელსა“.

ჩ ი ტ ა ძ ე ე ბ ი. სოფელ დიღომში, ჩიტაძეები XIX ს-ის 70-იან წლებში დასახლდნენ. ისინი მოსულები არიან დასავლეთ საქართველოდან, მუშაობდნენ მებაღეებად, მამულს იღებდნენ იჯარითა და ხანახევროდ, ბატონიანთ ზვრებიც ჰქონიათ აღებული, დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცულ აღსარების დავთარში ეს გვარი „ჭიტაძედ“ არის გატარებული, რომლებიც შემდეგი პირებისაგან შედგებოდნენ: „ჭიტაძე იოანე გიორგის ძე, ცოლი ამისი ნინო გაბრიელის ასული, შვილნი ამათნი: დავით, მარიამ, გიორგი, გრიგოლ, სოფიო“[174]. ჩიტაძეები ცხოვრობენ წერწვერაზე.

თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. თოფჩიშვილები ცხოვრობენ ქვემოუბანში, რომელსაც წერწვერა ეწოდება, ამ ტერიტორიაზე ძველად გაშენებული იყო სოფელი წინუბანი, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილიც ასახელებს ამ სოფელს დიღმის ხეობაში[175]. თოფჩიშვილები საბატონო ყმებად ითვლებოდნენ, თოფჩიშვილების დასახლება წერწვერაზე, ორი უბნისაგან შედგება, რომელთა საძმო სახლი შემდეგი სახელებით მოიხსენიება: ოსეფაანი, თათულაანი, რევაზაანი.

თავდაპირველად თოფჩიშვილებს სოფ. თეთრაძიანში უცხოვრიათ, რასაც მოწმობს ტოპონიმიკური მასალა და არსებული მამულები, რომელსაც „თოფჩიანთ მიწები“ ეწოდება.

გარკვეულ დროს თოფჩიშვილები სოფ. თეთრაძიანს გასცლიან და სხვა მხარეს დასახლებულან, შემდეგ მათი შთამომავალნი ისევ უკან დაბრუნებულან მამაპაპისეულ ადგილმამულის დასაპატრონებლად და წერწვერაზე დასახლებულან.

თოფჩიშვილებმა გვარი, როგორც გადმოცემა გვეუბნება, მიიღეს მათი წინაპრისაგან, რომელიც სამეფო კარზე თოფჩად ანუ მეთოფეთ იყო ცნობილი, რომლის შთამომავალნი შემდეგში თოფჩიშვილებად დაეწერნენ. თოფჩიშვილები ხეჩუმაშვილების შთამომავალნი არიან და მათი უძველესი გვარი გოდერძიშვილი ყოფილა, XVIII ს-ის დასაწყისისათვის მართლაც, დიღმელი ხეჩუმაშვილის ერთი წევრი თოფ-

---

174 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

175 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ჩად არის დასახელებული ვახტანგ VI დასტურლამალში[176] თოფჩი — მეთოფეა. ხოლო თოფჩობა თოფხანის გამგებელს ნიშნავს.

XVIII ს-ის მიწურულს, თოფჩიშვილები იცვლიან მამაკაცურ სარწმუნოებას და ღებულობენ გრიგორიანულ სომხურ სარწმუნოებას, რის გამოც ადგილობრივ ქართველთა შეხედულებით „თოფჩიანი“ „გასომხდნენ“ და ისინი სომხებად იწოდებიან, რის გამოც მართმადიდებლური ეკლესია ნებას არ მისცემდა ქართველი ქალი სომეხზე გათხოვილიყო. საერთოდ „ქართველს უფლება არ ჰქონდა წესით ეთხოვნა ან გაყოლოდა სხვა ერის კაცს, იმ შემთხვევაში თუ ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები არ იყვნენ, ამასვე ადასტურებს ერთ-ერთი საბუთი, სადაც ნათქვამია: „უკეთუ ქართველმა სომეხს ქალი მისცეს ცოლად ანუ მოიყვანოს, მონათლოს ანუ გააშვებინოს, საკანონო სამი ძროხა მიართვას“[177].

გრიგორიანულ სარწმუნოებამიღებულ თოფჩიშვილებს, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა და ეკლესია ქალს აღარ აძლევდა. სომეხი მღვდლები კი ამ გვარის წევრებს, რთავდნენ სომეხ ან სომხური სარწმუნოების მქონე ქალებს, რის გამოც ზოგიერთ თოფჩიშვილის ოჯახში თანდათანობით მკვიდრდებოდა სომხური „ადათ-წესები“, ქართული სახელები და ზნეჩვეულება იცვლებოდა სომხურით. მაგალითად, თოფჩიშვილების ადრინდელ სახელებში ვხვდებით შემდეგ სახელებს: გიორგი, ივანე, ზაქრო, რევაზი, მარიამი და ა. შ. ნაწილი ამ სახელებისა შეიცვალა სომხური სახელებით, მაგალითად:, კარაპეტა, ერვანდა, ვართანა, არშაკა, ბუღდანა, ვარსენიკა, თალალა, სათუა, შუშანა და სხვა მრავალი, რამაც განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა თოფჩიშვილების გვარში XX ს-ის დამდეგისათვის და გაგრძელდა ორი-სამი ათეული წელი, ახლა კი თოფჩიშვილებში კვლავინდებურად აღსდგა ძველი ტრადიციული ქართული სახელები და საქორწილო ურთიერთობა დიღმელ მოსახლეობას შორის.

თოფჩიშვილების შესახებ ისტორიული საბუთები არ მოგვეპოვება. გარდა ერთისა, რომელიც თარიღდება 1691 წლით, ეს საბუთი შეეხება სითარხნის წყალობას, რომელიც გაცემულია გიორგი მეფის მიერ თოფჩიშვილებისადმი, სადაც ნათქვამია: „ქ... ჩვენ, მღუთივ ამაღლებულმან და მღუთივ დამყარებულმან, მღუთივ გუირგუინოსანმან იესეან—დავითიან სოლომონიან პანკრატიონ მეფეთ-მეფემან და ჭელმწიფემან პატრონმან გიორგიმან, თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან ბატონმან ხორაშან, პირშომან და სასურ-

176 ვახტანგ VI, დასტურლამალი, გვ. 62.

177 ნ. მაჩაბელი, საქორწილო ინსტიტუტი ქართლში, „მაცნე“, № 3, გვ. 255.

ველმან ძემან ჩვენმან ბაგრატ ესე ამიერ ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგვიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ თოფჩიშვილს დათუნასა, და ძმასა თქვენსა მამუკასა, გიორგისა, პაპუნასა, თანიასა, ხოსიასა, იასესა, შაბურსა, დემეტრესა, ბერუკას, ჯანშიასა. მომავალს სახლისა თქვენისათა: —მოგვადექით კარსა და სითარხნის წყალობას დაგვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, წყალობა გიყავით, არაფერი საჩვენო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა, არა კოდისპური, არა საბალახე, არა შიშლიგი, არა პირისთავი, არა სამეჯინიბო, არა ნახირისთავი, არა საური, არა სატყვეო, არა საციხისთავო; არა გეთხოვებოდესთ რა ერთი ლაშქარ-ნადირობის მეტი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულებასა სამსახურსა შინა. აგრეთვე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა გამრგენო და ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო. რა რიგადაც ამ ჩვენს ნაწყალობევს ფარმანსა შიგან ეწეროს, თქვენც ასე დაუმტკიცეთ, დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ჭელითა თუმანიშვილის ლიპარიტისათა. ქრონიკონსა ტოთ, გიორგი"[178].

შემდეგ ამ სითარხნის ბრძანებას ამტკიცებენ ბატონიშვილი სვიმონ და ბატონიშვილი თეიმურაზ, რასაც მოსდევს კიდევ მომდევნო მეფეების ხელის მოწერა „ერეკლე" და „ბატონიშვილი", რომელიც ძნელად იკითხება[179].

ზემოთ მოყვანილ სითარხნის სიგელში საყურადღებოა ისიც, რომ თოფჩიშვილების ყველა ძირითადი წევრი ქართულ სახელს ატარებს. ამ სახელებში არამცთუ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელები მოჩანს, არამედ დასავლური ქართული სახელებიც მაგ., „ხოსია", „ბერუკა" და სხვა, რაც იმას უნდა მიუთითებდეს რომ ძირითად ქართველებთან გვაქვს საქმე, და დიღმის მოსახლეობის იმ ძირითად ფენას, რომელიც ქართული გვარებისაგან შედგება, თოფჩიშვილების გვარიც ძველიდან მათ შემადგენლობაში შედიოდა და ძირითადი ქართველები იყვნენ.

გ ვ ა ხ ა რ ი ე ბ ი. XIX ს-ის 70-იან წლებში, დიღომში, წერწვერაზე, დასახლდნენ გვახარიები, რომლებიც აზნაურის წოდებას ატარებდნენ. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით გვახარიების ოჯახის შემადგენლობა შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: „გვახარია ესტატე გრიგოლის ძე აზნაური, ცოლი ამისი სოფიო ბესარიონის ასული, შვილები ამათი, ვლადიმერი, სოფიო. ძმა

178 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, გვ. 89.

179 ი ქ ვ ე, გვ. 89.

ესტატესი იოანე, ცოლი ამისი ნინა გიორგის ასული, დედა ამათი ნინა ნიკოლოზის ასული, ქვრივი"[180]. გვახარიები დიღომში დაასახლა ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ. გადმოცემის მიხედვით გვახარიებს ხელი შეუწყო ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ქალის ნინოს მოტაცებაში, რის გამოც გვახარიებს გენერალმა ივანე ბაგრატიონმა სოფ. ქსოვრისში მამულები და მოურაობა უბოძა. დიღომშიაც გვახარიებს პატარა მამული ჰქონდათ და აქვე დასახლდნენ.

ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ე ბ ი. ისევე როგორც გვახარიები, ჩარკვიანებიც XIX ს-ის 70-იან წლებში მოდიან და სახლდებიან დიღომში წერწვერაზე. მათ აზნაურის წოდება ჰქონდათ. ჩარკვიანები, ხიზნებად იწოდებოდნენ და მებაღეებად მუშაობდნენ; დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით ჩარკვიანების ოჯახი შემდეგი პირებისაგან შედგებოდნენ: „ჩარკვიანი გიორგი სიმონის ძე აზნაური, ცოლი ამისი ნინა იოანეს ასული. შვილები ამათი: მიხეილ, ალექსანდრე, ნიკოლოზ, დედა გიორგისა სიდონია ოთარის ასული"[181].

თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე ე ბ ი. თალაკვაძეებიც XIX ს-ის ნახევარში მოდიან და „ეულებად" იწოდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობისაგან. თალაკვაძეები სახლდებიან ქვემოუბანში. ღვინიაშვილებისა და ხელაშვილების მეზობლად. თალაკვაძეებმა შექმნეს პატარა საგვარეულო უბანი, რომელსაც დიღომში „ხვიტიაანთ" უბანს უწოდებენ.

ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ქვემოუბანში, გენებაშვილებისა და ლასურაშვილების მეზობლად ცხოვრობენ. ხელაშვილები, რომელთა გვარი განყოფება შემდეგ სახლებად: ნათიძიაანი, კიტრანაანი, კუდალაანი, ალუბლაანი, ბაბღიაანი. ტრიპუცაანი და მოკლევასუაანი.

დიღმელი ხელაშვილების გარშემო ვერავითარ ისტორიულ დოკუმენტს ვერ მივაკვლიეთ, მხოლოდ 1781 წ. ხალხთა აღწერის დავთარში დიღმის მემკვიდრეთა შორის სამეფო მოყალნე ყმა „ხელას პიჭი ივანე"-ა დასახელებული[182].

დასახლების მიხედვით ხელაშვილების გვარი დიღომში ძველი ჩანს, არა უგვიანეს XVI—XVII ს-ებში. დიღმის მცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ.

ხელაშვილების გვარი, საბატონო ხალხად ითვლებოდნენ და დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში არიან გატარებულნი. მაგალითად, 1830 წ. ორი კომლია დასახელებული, ამავე

---

180 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

181 ი ქ ვ ე.

182 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

დროს ხელაშვილების გვარი, თელოვნის წმინდა ნინოს ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში არიან გატარებულნი, რომლებიც ... გილობრივ საბატონო გლეხებთან ერთადაა ნაჩვენები. ... აღსანიშნავია: საბატონო ყმა გრიგოლ დავითის ძე ხელაშვილი, თავისი ოჯახით, საბატონო ყმა აბრამ დავითის ძე ხელაშვილი თავისი ოჯახით, საბატონო ყმა საბა პაპისძე ხელაშვილი[183] დავთარში დასახელებულია ყველა ოჯახის წევრი.

რა ურთიერთობაშია ეს ხალხი თელოვანთან ჩვენთვის გაურკვეველია, რადგან ცნობილია, რომ ხელაშვილების გვარი დიღომში ადრიდანვე ცხოვრობდნენ; და თუ ოდესღაც ნაწილი ხელაშვილებისა თელოვნის მკვიდრნი ყოფილან და მათ სამრეველოში შედიოდნენ ეს სხვა საქმეა.

ხ უ ც ი შ ვ ი ლ ე ბ ი. წერწვერაზე, სოფლის ბოლოს სახლობენ ხუციშვილები. მათ დასახლებას „ხუციანთ უბანი" ეწოდება. ხუციშვილები ადრე სამეფო სახლს ეკუთვნოდნენ და სითარხნის სიგელებიც ჰქონიათ, როგორც დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზების შთამომავალთ (იხ. ზერთელაშვილები), ხოლო XIX ს-ში ხუციშვილები საბატონო ყმებად ითვლებოდნენ.

ა რ ა ჩ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. წერწვერაზე ქვემო უბანში სახლობენ არაჩაშვილები, რომლებიც ახალი მოსულები არიან დუშეთის რაიონიდან სოფელ მლაშედან.

გ ი გ უ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. გიგუაშვილები ცხოვრობენ ზემოუბნის გზის პირას, დიღმის სამხრეთის მხარეს. დაჰყურებს დიღმის ხეობას, უბანი განლაგებულია, თეთრგიორგის გზაზე. გიგუაშვილებს, დიღმელი მოსახლეობა „კუნკულიანთ" სახელით მოიხსენიებენ და მათ უბანსაც „კუნკულიანთ" უბანი ეწოდება. გიგუაშვილები ადრე სამეფო სახლს ეკუთვნოდნენ, XIX ს-თვის საბატონო ყმებად იწოდებიან.

ისტორიულ წერილობით წყაროებში, დიღმელ გიგუაშვილებზე ცნობას ვახტანგ VI დასტურლამალშიაც ვხვდებით, მაგალითად, მეჯინიბეთათჳს განკუთვნილ თავში გიგუასშვილია დასახელებული[184]. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ 1632 წ. საბუთში (Hd—1042-ა) დიღმელნი მოწმენი არიან გიორგი გიგუაშვილის მიერ დემნა ღვინიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგ-

---

183 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესის აღსარების მთქმელთა დავთარი.

184 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 52.

ნისა[185]. რითაც ირკვევა რომ გიგუაშვილები დიღომში უკვე XVI-XVII ს-ებში ცხოვრობდნენ. გამორიცხული არ არის, რომ უფრო ადრეც დიღმელ მკვიდრებად ითვლებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. მელაშვილები ცხოვრობენ გიგუაშვილების მეზობლად, მელაშვილების უბანიც დიღმის ხეობას დაჰყურებს. ითვლებოდნენ საბატონო ყმებად (მუხრანელი ბაგრატიონებისა). მათი დიღომში დასახლების შესახებ არაფერი საბუთი არ მოგვეპოვება. 1781 წლის ხალხთა აღწერის დავთარში დიღმელ სამეფო ყმებს შორის „მოყალნე მელაშვილი ივანე" მოიხსენიება[186]. მელაშვილები თავიანთ თავს კახეთიდან მოსულებად თვლიან. მათი დარბაზული ნაგებობა შეიძლება ჩაითვალოს, ერთ უძველეს ნაგებობად დიღმის ხეობაში, დარბაზს ჰქონდა სამალავები და დარნები, რაც შიშიანობის დროს თავდასაცავ საშუალებას წარმოადგენდა. მელაშვილები დიღომში XVIII ს-ში უნდა დასახლებულიყვნენ.

მ ძ ე ვ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ანუ (მ ზ ე ვ ა ს ძ ე ნ ი), დიღომში მძევაშვილები ორ უბნად ცხოვრობენ და ორი სახელით გამოიყოფა ამ გვარის დასახლება: „მამადალაანი" და „ჭიკუნანი". ძველი ისტორიული მასალების მიხედვით მძევაშვილები „მზევაანად" ანუ „მზევაძეებად" იწოდებოდნენ, მაგრამ ბოლოს XX ს-ში, როგორ გახდნენ მძევაშვილები ამის თქმა ძნელია და დამახინჯებულ ფორმად მიგვაჩნია: „მძევაშვილობა" მაშინ, როცა XIX ს-ის ყველა ხელნაწერ საბუთებში მძევაშვილების გვარი „მზევაშვილებად" არიან აღნიშნული.

დიღმის მოსახლეობას შორის, როგორც ისტორიული საბუთები გვიჩვენებს, „მზევაშვილები" და „გეგელიშვილები", სოფლის უძველეს მოსახლეობად შეიძლება ჩაითვალოს.

პირველი წერილობითი საბუთი, მზევაშვილებზე მოგვეპოვება 1466 წ., რომელიც მცხეთის სვეტიცხოვლის სიგელია და მეფე ბაგრატის შეწირულობას წარმოადგენს, სიგელში ნათქვამია: „მე მპყრობელმან ორისავე ტახტისა ლიხტ-იმერისა და ლიხტ-ამერ,ისაგან ...მეფეთ მეფემან ბაგრატ შევსწირე მცხეთას... და კკზ~ს დავითს... თქუჷნ ძუჷლითგან მკჯდრნი დიღომს გლეხნი ესაბერი მზეოს ძე და გეგელას შვილი მათითა მამულითა... ჭელ-ᲮᲝᲮᲜᲘᲗ შემოგვიწირავს საღაპედ და სამლოცველოდ პატრონისა მამისა (?) ჩუჷნისა გიორგისა სულსთჳს... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობასა ჩუჷნისასა: იბ. ქკ~ს: რ ნ დ: ჭელითა ფრიად ცოდვილსა მახარობლისათაი... ერ-

---

185 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი 1, 1964.

186 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

თი კანდელი ... და ორი აღაპი... გარდაიჯდებოდეს ... აღდგომისა ორშაბათ დღესა მამისა ჩუ(ნ)ნისა გიორგისთვს და... სამშაბათსა ჩემთვს..."[187]. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ისტორიულ ბეჭდებს შორის მოიპოვება ერთი სიგელი, რომელიც თარიღდება 1542 წლით. სიგელში ნათქვამია, რომ „დიღუამს მდებარე მზევასაის „ჭელი ვენახი" თედოსი კათალიკოსმა უბოძა ქადაგ რომანოზ მაღალაძეს (Hd—1353)[188]. ხოლო 1505 წ. დიღმის წმინდა გიორგის გუჯარში, რომელიც ფილიპე მღვდლის (ერემაძის) მიერაა გაცემული, აღნიშნულია შემდეგი: „...პირველ ჩვენ ქონებულ ჩვენვე ვიშოვეთ და გვიბოძეს, აწე რაც ჩემის კოდაკითა საორმოცეთა მამული ამიღია, პირველა ყაფყური, ნასყიდი ქორქილთა ორის დღის მიწა, როდეს ნამორალში ქრისტესა მოკლა, მაშინ მომცეს, ის ხუცური მახარობელმა მომცა ცოლის საორმოცეთა და თავის საორმოცეთა, ნებრიელ თეთრაძემა, ოდეს მზევაძე მოკლა..."[189].

ზემოთ მოტანილი სიგელ-გუჯრებიდან მზევაშვილები სვეტიცხოვლის ყმებად მოჩანან, რომლებიც ქართველ მეფეებს შეუწირავთ. შემდეგისათვის, მაგალითად, XVII—XVIII ს-ეებში უკვე სამეფო და სადედოფლო ყმებად და მსახურებად გვხვდებიან. მეფე ვახტანგ VI, დასტურლამალში, იქ სადაც დასტურლამალი სადედოფლოა, დიღმისათვის განკუთვნილ თავში, შემდეგია ნათქვამი მზევაშვილების გვარზე: „მზევაანი ხოლუა და მისი ბიძაშვილები ოთარა და კიკილა მოყალნე, ეს მსახურები ღალასა და კულუხის თარხნები არიან, სხუა რიგად სეფეს მეზობელს ვერ დააკლდებიან, მოყალნეს ძეს ღალა, მეფისათვის რომ ხუთზედ იღებენ, სადედოფლოს ექვსზედ ავიღებთ, კულუხი შეწერით, ჩვენმა უფრო შეღავათით შეაწერონ: სამზარეულოს შეშა მოუტანონ, სხუა ნურა ეთხოვებათ რა, ასე გვიბრძანებია და გვითარხნებია. საშობაოდ და სააღდგომოდ ნურასა ჰსთხოვოთ ძღუნის მეტს: პირის-თავი და ნახირის-თავიც გვიპატივებია. ამიტომ რომ მუდამ იმსახურებიან"[190]. აქვე სამზარეულოს მოხელეთათვის განკუთვნილ თავში ზევაძე „გოსტაბაა" დასახელებული[191].

---

187 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წიგნი მეორე, გვ. 288.

188 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი 1, 1964, გვ. 75.

189 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 456

190 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 127.

191 ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, წიგნი II, გვ. 249; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162. 1781 წლის ხალხთა აღწერილობის დავთარში ეს პირი მამადალაშვილი გლახა მოყალნე სამეფო ყმად არის დასახელებული.

1784 წ. იანვრის 6-ის ნასყიდობის წიგნში, რომელიც გაცემულია გაბრიელ მარინდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძისადმი, მოწმეთა შორის, მზევაშვილების მაგიერ მოხსენიებულია: „მამადალაშვილი ხა“[192], ასევე მოიხსენიება 1872 წლის გაყრილობის სიაში ... ლიც ერგო ქობულაშვილის გაბრიელის ობოლს შიოს მოძრავი ქონება, რომელიც მიიღო იმის აპეკუნმა გლახა მზევაშვილმა იგივე მამადალაშვილმა“ო[193]. აქ მამადალაშვილი წინაპრის სახელია, რომელიც მის შთამომავალთ გამოყოფს სხვა მზევაშვილებისაგან.

ქ ო ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი და შ ი ო შ ვ ი ლ ე ბ ი. ქობელაშვილები და შიოშვილები, ცხოვრობენ ზემოუბანში, ორივე გვარი ძველთაგანვე ითვლებოდა მცხეთის სვეტიცხოვლის ყმებად.

ქობელაშვილები და შიოშვილები, ერთი გვარის წარმომადგენლები არიან. ეს გვარები ჩამოსახლებულნი არიან შუა საუკუნეებში, დიღმის ხეობიდან, სოფ. ქობიდან (ამჟამად ქობა ნასოფლარია). საიდანაც მომდინარეობს გვარიცა და სოფლის სახელიც.

„შიშიანობის“ გამო სოფელ ქობის მცხოვრები ქობელაშვილები, დიღომში ჩამოსახლებულან. ქობელაშვილებსა და შიოშვილებში მრავალი თქმულება-გადმოცემაა დაცული, თავიანთ ნასოფლარზე, ერთი მათგანი ეხება მათ წინაპარს შიოს, რომელიც გოლიათური ღონის პატრონი ყოფილა. დღეს მისი შთამომავალნი შიოშვილებად ეწერებიან. ამ შიოზე ერთი ასეთი თქმულებაა: „ქალაქში ერთი ურჯულო თათარი მოსულიყო, ყველა ქართველი ფალავანი გაელახა, მეფე დაღონებულიყო ამ ურჯულოს გამარჯვებით, საქართველოს ყველა მხრიდან მოდენილან ფალავნები და ყოველ კვირას საჭიდაო მოედანზე გადიოდნენ, სადაც გამარჯვება თურმე თათარს რჩებოდა, ბოლოს, მეფისათვის მოეხსენებინათ, ქობაში ერთი მწყემსი ცხოვრობს, შიო ქვიან თუ წააქცევს ამ თათარს, ის წააქცევსო. გაეგზავნა მეფეს კაცები შიოს მოსაყვანად და ქალაქს წაეყვანათ. მეფეს ენახა მწყემსი, რომელიც შემოხეულ ქალამნებში და ტანსაცმელში იყო, მეფეს ებრძანებინა: კარგად აჭამეთ და ჩააცვითო და მერე როცა დაისვენებს ჩემთან მოიყვანეთო.

შიოს ეჭამნა, კარგად დაესვენა, ახლებით შემოსილიყო და მეფესთან მიეყვანათ: მეფეს ეთქვა: — ერთი თათარია მოსული, შეგვარცხვინა და თუ შეგიძლიან ეჭიდავეო? შიოს თანხმობა მიეცა, „დღესვე გავალო“.

მეფეს ჭიდაობა კვირისთვის დაენიშნა, კვირამდის დაასვენეს.

---

192 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, II, გვ. 130.

193 დიღომში მოპოვებული ხელნაწერი მასალიდან, ინახება ავტორთან.

აჭამეს კარგად და კვირა საღამოს, როცა ჭიდაობა უნდა დაწყებულიყო, მთელ ქალაქს იქ მოეყარა თავი, გათამამებული თათარი ბატიტვლებული წრეში ამაყად უვლიდა, ხალხს თვალს ავლებდა და ეტყოდა იწვევდა მსურველთ. თათარი ისეთი მახინჯი ყოფილა, რომ იმის დანახვა ხალხს შიშის ზარს სცემდა.

გამოსულა შიო მოედანზე, ესეც გოლიათის ტანისა ყოფილა, დასძგერებიან ერთმანეთს, რამდენი ფანდიც იხმარა თათარმა შიოზე, ვერა დააკლო რა და ადგილიდან ფეხი ვერ დააძვრევინა. მერე შიოს დაეძახნა: —„ერთი შენი პატრონისაცაო“! აეტაცნა მაღლა, მოედანი შემოეტარებინა და მეფის პირდაპირ ისე დაუხეთქებია თათარი, რომ ადგილიდან ვეღარ ამდგარა. ხალხს ყიჟინა დაუცია, მეფესა და მის ხალხს, შემოუკრავს ხელი სიხარულით. შიოსთვის ეთქვა მეფეს: „რახან შენ ასე მასახელე და არ შემარცხვინეო, რაც გინდა ისა მთხოვეო?!“.

შიოს მეფისათვის ეთხოვნა — „რასაც მე მოვერევი და დაუსვენებლივ ვატარებ ჩემს სოფლამდის იმდენი მარილი მომეცითო“.

მეფეს ჯერ ხუმრობა გონებოდა, მერე რომ დარწმუნებულა. ებრძანებინა მსახურებისათვის წაეყვანათ და მიეცათ რამდენსაც მოერეოდა.

წაეყვანათ შიო მარილის საწყობში, ამოერჩია ერთი დიდი უზარმაზარი მარილის ქვა, აქლემის საცალო ყოფილიყო (ერთ აქლემზე ორ მარილის ქვასა კიდებდნენ და საპალნე იყო), მოეკიდა ზურგზე და გზას გასდგომოდა, გაკვირვებოდა მეფეს და მსახურები გაეყოლებინა უკან: „მართლა ატარებს ამ ქვას თუ ნაწილ-ნაწილ წაიღებსო“. შიოს დაუსვენებლივ აეტანა ქობაში მარილის ქვა. „მწყემსი იყო და მარილი სჭირდებოდა, რაც სჭირდებოდა კაცსა ისა სთხოვა“ დასძენენ მისი შთამომავლები.

შიოს შთამომავლები შიოშვლებად იწერებიან, მისი სახლიკაცები ქობელაშვილებად.

ქობელაშვილების შესახებ, 1769 წლის 4 აპრილის თარიღით მოგვეპოვება წერილობითი წყარო, რომელიც ანტონ კათალიკოზის მიერაა გაცემული; მასში ნათქვამია: „ქ... ჩვენ ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან, მაღალთა მეფეთა შარვანდედმან, კათალიკოზ-პატრიარქმა, ძემან ქართველთა მეფისა იესესმან ანტონი, ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, სვეტიცხოვლის მკვიდრსა და ყმასა ჩვენსა ქობელას იესეს და ძმასა შენსა გოგიას, შვილსა თქვენსა ივანეს და დიმიტრის და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, ასე რომე მამათქვენს ზალს ავი დროისაგან და ჟამთა ვითარებისაგან

თავისი ვენაჯი გეგელიშვილის ქიტესასათჳს მოეყიდნა ამ პირობითა, რომე, როცა მოკვდეო. რადგან უშვილო ვარ, რაც სვეტიცხოველის მამული მქონდეს ნასყიდიო, ისევ სვეტის ცხოვლისა დაუბრუნებია ჩესთო და რადგან გეგელიშვილი ქიტესა მოკვდა, და უმკჳდრო იქმნა. რაც ჩვენის ეკლესიისა და ჩვენი მამული ეჭირა, ისევ ჩვენთჳსვე ჯელი აუმართეთ და რადგან თქვენ ჩვენი და სვეტიცხოველის ყმანი იყავით მამის თქვენის გასყიდული ვენაჯი ნახევარი თქვენ გიბოძეთ და წყალობა გიყავით და ნახევარი თეთრაძე მამასახლის დავითს. აწე გქონდესთ და გიბედნიეროს. ღ~თნ სვეტის-ცხოვლის სამსახურსა და ჩვენსა დიდათ ერთგულებასა შინა. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან, არცა დიდთა და არცა მცირეთაგან. აწე თქვენცა შემდგომად ჩვენსა. ყოვლად სანატრენო კათალიკოზ-პატრიარქნო. თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ, რათა თქვენიცა გაგებული მტკიცე იყოს. არიან ამის მოწმენი და ნების დამრთველნი ერთობით მცხეთელნი"[194]. 1781 წლის ხალხთა აღწერის დავთარში დიღმელ მემკვიდრეთა შორის კათალიკოზის ყმებში „ქობელი შიოშვილი თეკდორე მოიხსენიება[195]. ამ საბუთის მიხედვით, საინტერესოა ის გარემოება, რომ ქობელაშვილები XVIII ს-ში უკვე დიღომში ჩამოსახლებულნი ჩანან, შეიძლება XVI—XVIII ს-ში უკვე დიღმის მცხოვრებლებად ითვლებოდნენ.

ქობელაშვილ-შიოშვილები ბოლო ხანებამდის დადიოდნენ მამაპაპეულ სალოცავში, რომელიც ნასოფლარ ქობისხევის პირას დგას. იგი პატარა ერთნავიანი ეკლესიაა და ეწოდება „ქობის ღვთისმშობელი".

დიღომში ჩამოსახლებისას ქობელაშვილებს თავიანთ საგვარეულოსათვის ცალკე სასაფლაო და ეკლესია შეუქმნიათ სოფლის თავში, რასაც „ჩხაიკას" უწოდებენ.

შიოშვილებისა და ქობელაშვილების გვარი იყოფა შემდეგ საძმო სახლად: კიკუაანი, ლიკიაანი, ჭიმიაანი.

ქ უ ც ნ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში. ქუცნიაშვილები დასახლებულნი არიან ჩარგალეთის უბანში, ცხოვრობენ მამუჩაშვილებისა და ქობულაშვილების მეზობლად.

ქუცნიაშვილები იყოფიან შემდეგ საძმო სახლად: გოგლიაანი და არჯევანაანი.

ქუცნიაშვილები XIX ს-ის დასაწყისში საბატონო ყმებად ჩანან,

---

194 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III, 1910, გვ. 8.
195 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ძველად საშეფო ან სადედოფლო ყმები იყვნენ.

ისტორიულ საბუთებში ქუცნიაშვილების გვარზე, საერთოდ, არაფერი გვხვდება. გადმოცემის მიხედვით ქუცნიაშვილები გეგელიშვილების შთამომავალნი არიან (იხ. ზემოთ გეგელიშვილები)[196].

საქართველოში ქუცნიაშვილები თიანეთის რაიონში გვხვდებიან და თავს დიღმიდან მოსულებად სთვლიან.

ხ ო ლ უ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ხოლუაშვილები დიღომში ზემოუბანში სახლობენ. მათი უბანი დიღმის ხევს დაჰყურებს. ითვლებოდნენ საბატონო ყმებად.

ამ გვარს თავიანთი საგვარეულო კოშკი და სალოცავიც ჰქონია. გადმოცემის მიხედვით ხოლუაშვილები კახეთიდან მოსულები ყოფილან და დიღომში XVIII ს-ში დასახლებულან. მაგალითად, 1781 წლის ხალხთა აღწერის დავთარში დიღმის მემკვიდრე სამეფო ყმათა შორის ხოლუაშვილების ობლები: თევდორე, შერმაზან და გრიგოლი ყოფილან დასახელებული[197].

გადმოცემით მათი გვარი „ლეკიანობას" გამორიდებია კახეთიდან. მათი ერთი „სახლიკაცი" ლეკებს ებრძოდა და ბევრი ლეკიც დაუხოცია. ამის გამო ეს გვარი სამეფო სოფელში დასახლებულა. „შემდეგ ჩვენი სახლიკაციც დიღომში მოსულა, აუგია კოშკი და სალოცავი, მაგრამ აქაც მიუგნიათ ლეკებს, დასცემიან ჩუმად და ეს კაცი გაუტაციათ. მას შემდეგ ამ კაცზე არაფერი გაუგია ჩვენს მამაპაპას (ს. დიღომი, გ. ხოლუაშვილი).

ხოლუაშვილების გვარი ისტორიულ სიგელ-გუჯარებში არ გვხვდება, გარდა ერთი XVII ს-ის დოკუმენტისა, რომელშიც დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლად ჩანან[198]. დოკუმენტი თარიღდება 1675—1685 წლით.

შ ო შ ი ტ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ზემოუბანში, კავთის ეკლესიის გარშემო სახლობენ შოშიტაშვილები. შოშიტაშვილების გვარი ადრე სამეფო ხალხად ჩანან. XIX ს-ში კი მუხრანელ-ბაგრატიონების ყმებად ითვლებოდნენ.

წერილობითი წყაროების მიხედვით, შოშიტაშვილები უკვე XVII ს-ში და ალბათ ადრეც, დიღმის ხეობაში ცხოვრობდნენ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ 1686 წ. საბუთში, ვკითხუ-

---

196 გეგელიშვილების გვარი დიღომში სიგელ-გუჯრების მიხედვით XIV—XV საუკუნეებზე ადრე ჩანან.

197 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

198 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, 1940, გვ. 431.

ლობთ რომ: წოდორეთში კვირაცხოველთან (ჯიხურები), გოგია შოშიტაშვილისაგან ნასყიდი ერთი დღის მიწა ნადირა მირზაშვილმა ივანე სულხანიშვილს მიჰყიდა. (Sd—149)[199]. ხოლო მეფე ვახტანგ VI. დასტურლამალში „საზანდრებისათვს“ განკუთვნილ თავში სხვა დიღმელებთან ერთად „შოშიტაშვილი ბერუა“[200] არის მოხსენიებული, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ადრე შოშიტაშვილებს, დიღმის ხეობის ზემოთა სოფლებში ეცხოვრათ მაგალითად, წოდორეთში ან ვეძისში, რადგან 1686 წ. საბუთში მოხსენიებული შოშიტაშვილი, წოდორეთში მოიხსენიება. თუმცა არ არის გამორიცხული ის გარემოება, რომ დიღომში მცხოვრებთ ხეობის ზემოთ სოფლებში მამული ჰქოხებოდათ. რადგან XIX ს-ის მაგალითს თუ ავიღებთ ხეობის ზემოთ მდებარე სოფლებში, დიღმელ გლეხებს მამულები არა მარტო ვეძის-წოდორეთში ჰქონიათ, არამედ უფრო შორსაც. ამრიგად, შოშიტაშვილები XVII ს-ში დიღმის ხეობის მცხოვრებლებად ჩანან.

ს უ თ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. სუთიაშვილები ზემოუბნის მცხოვრებნი არიან, რომლებსაც „მოძახილაანებს“ უწოდებენ. დიღმის შესახებ მოპოვებულ წერილობით წყაროებში, სუთიაშვილები არ გვხვდებიან გარდა ერთ 1784 წ. 6 ივნისის ნასყიდობის წიგნისა, რომელიც მიცემულია გაბრიელ მარინდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძისადმი, სადაც აღნიშნულია მამულის საზღვარი: „...ბოლოს გილაურის საზღვრამდინ, მარჯვენა გვერდი სუთიას-შვილის მიწის მიდგმამდინა“[201]. სუთიაშვილები, მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიის ყმები იყვნენ და დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში საეკლესიო ყმის სახელით არიან გატარებული. ამრიგად, სუთიაშვილები დიღომში უკვე XVIII ს-ში ყოფილან დამკვიდრებულნი.

წ ა მ ა ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღმის თავში წამალაშვილების პატარა უბანია. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით, წამალაშვილები საეკლესიო ყმებად ითვლებოდნენ. როგორც მცხეთის საეკლესიო ყმები, ისინი ცხოვრობდნენ სოფ. ნაქულბაქევში, დიღმის მინდორზე, წამალაშვილები აგრეთვე ცხოვრობდნენ დიღმის ხეობაში, სოფ. ვეძისში, ისინი საბატონო ყმებად ჩანან.

დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით ერთი კომლი წამალაშვილი სოფ. დიღომში მცხოვრები ბეთანიის ღვთისმშობლის ეკლესიის ყმა ყოფილა, მაგალითად:

---

199 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი 1, 1964, გვ. 263.

200 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 68.

201 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, II, გვ. 130.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მდ. ქ—წამალაშვილი ზაქარია ზურაბის ძე
იბ—ქ. ვაჟი იოსებ
ი—ქ. ქალი დარეჯან
ლთ—ქ.—წამალაშვილი ბერი ზურაბის ძე
კდ —ქ. ცოლი ელისაბედ გიორგის ასული
ბ. ქ—ქალი ნინა“
საეკლესიო ბეთანიის მღუთისშობლის ყმანი[202].

წამალაშვილები დიღმის მცხოვრებთა შორის XVIII ს-ში გვხვდებიან.

ა ლ ი ბ ა რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ზემოუბანში, ქობულაშვილების მეზობლად ცხოვრობენ ალიბარაშვილები, რომელთაც ძველ ადგილობრივ მოსახლეობად მიიჩნევენ, თუმცა გვარი პატარაა. ალიბარაშვილები თავიანთ თავს ზარიძეებიდან წარმოშობილებად თვლიან. ალიბარაშვილები ადრე სამეფო, შემდეგ საბატონო ყმებად იწოდებოდნენ. 1781 წლის ხალხის აღწერის დავთარში დიღმის მკვიდრთა შორის სამეფო „ამლბარაშვილის (sic) ობოლი ნინიაა“ შეტანილი, რაც ამ გვარის სიძველეზე მიუთითებს[203].

დ ა რ ჩ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ზემოუბანში დარჩიაშვილებიც ახალმოსულები არიან. დიღომში ერთი კომლი დარჩიაშვილი სახლდება XIX ს-ის 80-იან წლებში, დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარის მიხედვით, დარჩიაშვილების ოჯახიდან შემდეგნი არიან დასახელებულნი: „დარჩიაშვილი ვასილ დავითის ძე, ცოლი ამისი პელაგია ექვთიმეს ასული, შვილი ამათი გრიგოლ“.

ამჟამად დარჩიაშვილების გვარეულობას დიღომში საფუძველი აქვს ჩაყრილი და რამდენიმე კომლს ითვლის.

დარჩიაშვილებს დიღომში „ქარწაღებულიანთ“ სახელით მოიხსენიებენ.

გ ვ ე ლ ი ს ი ა ნ ე ბ ი. ზემოუბანში გველისიანებს „ორუღელაანთ“ სახელით მოიხსენიებენ, ეს გვარიც დიღომში XIX ს-ის დასაწყისში გაქრობილა.

დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით გველისიანები სახელმწიფო ყმებად ითვლებოდნენ, 1830 წ. გველისიანების შემდეგი პირები არიან დასახელებულნი: „გველასინი ივანე ნიკოლოზის ძე და ცოლი მართა პეტრეს ასული“[204].

---

202 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.
203 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.
204 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

ს ა ფ ა რ ო ვ ი. საფაროვი ზემოუბანში დასახლდა XIX ს-ის მიწურულს. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით ეს გვარი ასეა დასახელებული: „საფაროვი: ხანდრუა აბრამის ძე, ეფემია გრიგოლის ასული. შვილები ამათი ადამ და სოფიო“[205].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღმის მოსახლეობას შორის, თვალიაშვილებიც ცხოვრობენ. თვალიაშვილები დასახლდნენ XX ს-ის დასაწყისში. თვალიაშვილების მამა მოსულია სოფ. ღოლოვნიდან, ობოლი მამიდას გაეზარდა, ხოლო შემდეგ ცოლი შეურთავს აქვე, რის შემდეგაც დიღომში დამკვიდრდა საცხოვრებლად, თვალიაშვილებს ღოლოვანში „უჯარმელაანთ“ ეძახიან. ახლა თვალიაშვილები უკვე რამდენიმე კომლია.

თ ვ ა უ რ ე ბ ი. თვაურები დიღომში ჩამოსახლებული არიან დიღმის ხეობიდან სოფ. ტაბარუკიდან, XX ს-ის დასაწყისში. ცხოვრობენ ზემოუბანში, ითვლებოდნენ საბატონო გვარად.

რ ა ზ მ ა ძ ე ე ბ ი. დიღომში რაზმაძეები, XIX ს-ის 80-იან წლებში დასახლებულან, დიღმელი მოსახლეობა რაზმაძეებს „ეულებს“ უწოდებდა, როგორც ყველა მოსულსა და უმამულო ხალხს. რაზმაძეებს დიღომში „წივილაანთ“ სახელით იცნობენ.

მ ტ რ ე დ ა ძ ე ე ბ ი. დიღმის ხეობის სოფლებში პირველად მტრედაძეები სახლდებიან ვეძისში. ამავე დროს გვხვდებიან დიღომში და ნაქულბაქევში. მტრედაძეებს დიღომში „უკბილოანთა“ უწოდებდნენ. ითვლებოდნენ სახაზინო ყმებად.

მტრედაძეები დიღომში XIX ს-ის 20-იან წლებში დასახლებულან. მებაღეობა-მებოსტნეობას მისდევდნენ და იჯარით საბატონო მამულებიც ჰქონიათ აღებული, ითვლებოდნენ ხიზნებად.

ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ე ბ ი. ახვლედიანები დიღომში ცხოვრობდნენ შუაუბანში, ცოტანი არიან, დასახლებულან XIX ს-ის პირველ ნახევარში, როცა ივანე ბაგრატიონმა, სამეგრელოს მთავრის ასული ნინო შეირთო, მას მოყვნენ მზითვად ყმები, მათ შორის ახვლედიანები, ნაწილი მოყოლილი ყმებისა სახლობენ ქვემო ლისში, რომლებსაც „მეგრელებს“ უწოდებენ[206].

ლ ე კ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. ლეკიშვილებიც ახალი დასახლებულნი ყოფილან დიღომში, ითვლებოდნენ საეკლესიო ყმებად, ცხოვრობენ შუა უბანში.

ერთი ლეკიშვილი, თელოვნის წმინდა ნინოს ეკლესიის აღსარების

---

205 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

206 ზოგიერთი გადმოცემა, ლისელი მეგრელების დასახლებას მეფე ერეკლეს დროიდან ასახელებს.

მთქმელთა დავთარში გვხვდება 1860 წ., რომელიც სოფიო მაღალაშვილის მოსამსახურედაა დასახელებული და „ესტატე [illegible] სწერია“[207].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე რ ი ძ ე ე ბ ი. დიღომში ბერიძეები ჩარგალეთის უბანში ცხოვრობდნენ, საბატონო ყმებად იწოდებოდნენ და ხიზნებს წარმოადგენდნენ. დასახლდნენ XIX ს-ში.

ლ უ ხ უ ტ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. ლუხუტაშვილებიც XIX ს-ის ბოლოს არიან დასახლებულნი, ცხოვრობენ შუაუბანში, დიღმის ნაციხართან.

ჭ ე ი შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში XIX ს-ის მიწურულისათვის დასახლებულან ჭეიშვილები, რომლებიც „საეკლესიო ხალხად“ ითვლებოდნენ. ჭეიშვილებს დიღომში „კურტანიძიანთ“ სახელით იცნობენ.

ბ ა ი ა ძ ე ე ბ ი. დიღომში, XIX ს-ის ბოლოს დასახლდნენ ბაიაძეები. მამა-პაპა მოსული იყო ქართლიდან, გორის რაიონიდან.

ლ ა ზ რ ო ვ ი. XIX ს-ის ნახევარში, დიღომში დასახლდა ერთი კომლი ლაზროვი, რომელიც დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში ასეა გატარებული: ლაზარიევი პეტრე-სიმონის ძე, ცოლი ამისი ნიკოლოზის ასული, შვილნი ამათნი: მართა, სიმონ, ალექსანდრე, ამ ლაზარიევის შთამომავალნი ლაზროვებად ეწერებიან.

შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ჩარგალეთის უბანში ცხოვრობენ. ჩამოსახლებულნი არიან XIX ს-ში ქართლიდან.

ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში აღნიაშვილები, ახალი დასახლებულნი არიან, დასახლდნენ XX ს-ის დასაწყისში.

ზ ო ი ძ ე ე ბ ი. ზოიძეები დასახლდნენ XIX ს-ის მიწურულს. ითვლებოდნენ მებაღე-მევენახეებად — ხიზნებსა და ეულებს უწოდებდნენ ადგილობრივი მკვიდრნი. ზოიძეებს დიღომში „გურულიანთ“ სახელით მოიხსენიებენ.

ო დ ი შ ე ლ ი ძ ე ე ბ ი. ოდიშელიძეები დიღომში XX ს-ის დასაწყისში დასახლდნენ. მოსულები არიან ქართლიდან.

გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე ე ბ ი. დიღომში გამყრელიძეები, ცხოვრობენ დიღმის ციხის აღმოსავლეთით, ეს გვარი უკვე XIX ს-ის 50-იან წლებში დიღომში კარგა ხნის დაფუძნებული ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ XVIII ს-ის მიწურულში გამყრელიძეები უკვე აქ სახლობდნენ. მაგალითად, ერთ ნასყიდობის წერილში ნათქვამია: „ჩუნ (1850 წ.) ქვემორე ამის ჯელის მომწერელმა დიღომს მცხოვრებელმა ბატონის არჩილის ბაგრატიონის ყმამ კოტორაშვილმა თევდორემა, დიმიტრიმა, გრიგოლმა, პავლემა და ელიზბარმა ესე ნასყიდობის წერილი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენის ნება დართვით შენ დიღომში მცხოვრე-

207 იხილეთ თელოვნის აღსარების მთქმელთა დავთარი, ინახება ავტორთან.

ბელს ივანე ბაგრატიონის ყმას თეთრაძე მახარეს და შვილსა შენსა შიოს ასე რომ მოგყიდეთ ჩუენი სახლი, კარი, გომი, კალო და საბძელი პეტრე ნასტაკელაშვილის ეული, შვიდ თუმანთა თეთრ ფულათა. არის ამისი მიჯნები აღმოსავლეთის მხარეს თეთრაანთ დავითას გომამდინ, ჩრდილოეთის მხარეს თეთრაანთ ნინიას და თეთრაანთ სოსიას და გამყრელიძეანთ სახლებამდინა, დასავლეთის მხარეს ფირანა გიორგის კალომდინა, და წმინდა სტეფანეს ეკლესიამდინა...“[208]. ამ საბუთში მოხსენიებული გამყრელიძიანი, ადგილზე დამკვიდრებულნი ჩანან; საგულისხმოა, რომ მათი მოსვლა დიღომში, XVIII ს-ის მიწურულში უნდა მომხდარიყო, გამყრელიძეები საბატონო ყმები ყოფილან. აზნაურ არავიაშვილებს ეკუთვნოდნენ და მათი მოყვანილები არიან, არავიაშვილები უგრელიძეების წინაპრები არიან.

ჯანიაშვილები. დიღომში ჯანიაშვილები ჩარგალეთის უბანში ცხოვრობენ, რამდენიმე კომლი ზემოუბანშიც არის დასახლებული. დიღმელ ჯანიაშვილებზე ძველი ისტორიული საბუთები ვერაფერი ვიპოვეთ, თუმცა ეს გვარი თავისი დასახლების მიხედვით ძველთაგანვე ადგილობრივ მკვიდრად ჩანს. 1781 წლის ხალხთა აღწერის დავთარში დიღმის მკვიდრ სამეფო ყმებს შორის „მოყალნე ჯანიაშვილი ნატყვევარი გოგიაა“ შეტანილი[209]. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით, ჯანიაშვილები 1830 წ. ერთ უბანში შემდეგი შემადგენლობით ცხოვრობდნენ:

1. „ლდ—ქ. ჯანიაშვილი გლახა გიორგის ძე
   კა—ქ. ცოლი ანა იასეს ასული
   მ—ქ. ვაჟი იასე
   გ—ქ. ვაჟი გრიგოლ
   ა—ქ. ქალი თალალა
   საბატონო ყმა
2. მდ—ქ. ჯანიაშვილი ივანე გიორგის ძე
   ლც—ქ. ცოლი სოფიო—გიორგის ასული
   ვბ—ქ. ვაჟი იორდანე
   ვ—ქ. ვაჟი ისაკ
   იდ—ქ. ვაჟი გიორგი
   ია —ქ. ქალი ანნა
   ზ—ქ. ვაჟი მოსე
   დ—ქ. ქალი მარიამ
   საბატონონი“[210].

მარინაშვილები. დიღომში ცხოვრობენ მარინაშვილებიც,

208 დიღომში მოპოვებული ხელნაწერები, ინახება ავტორის მასალებში.

209 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

210 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც მუხრანიდან არიან. საფიქრებელია, ადრეც აქ ცხოვრობ-დნენ (იხ. მარინდაშვილი).

გვარები, რომლებიც დიღომში ცხოვრობდნენ ძველი დროიდან XX საუკუნის დამდეგამდე

ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. ისტორიული წყაროების მიხედვით დიღომში ცხოვრობდნენ ხიზანიშვილები, რომლებიც სამეფო ყმები ყოფილან, ნაწილი ხიზანიშვილებისა მსახურებადაც გვხვდებიან და სამეფო კარზე მომსახურე პერსონალსაც წარმოადგენენ. მაგალითად, ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით, „მეჯინიბეთათუს" განკუთვნილ თავში. ვხვდებით დიღმელ ჯიზანიშვილ ბასილას[211]. ხოლო „საზანდრებისათვის" დადგენილ თავში „ხიზანიშვილი ივანეა[212] დასახელებული. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ერთ ხელნაწერში, რომელიც თარიღდება 1673 წ. ერთობით დიღმელნი მოწმენი არიან გიორგი ხიზანიშვილის მიერ კათალიკოსისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (Ad—1666). სადაც გიორგი და პეტრე ხიზანიშვილებმა კათალიკოზს მიჰყიდეს დიღმისთავს ვენახი საზღვრებით: ხვეისაკენ ღობემდე, კლდისაკენ რუს ღობემდე, ხიზანიშვილის განაყოფის ვენახამდე[213].

საინტერესოა ისიც რომ, მოტანილ საბუთებთან ერთად ძველი გუჯარიც მოიპოვება, რომელიც ხიზანიშვილებზე ცნობას გვაწვდის. კერძოდ, 1505 წ. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთი საბუთი. რომელიც ფილიპე მღვდლის მიერაა გაცემული. იქ ნათქვამია რომ: „...გეგელისშვილმან ბერმა ნომა ხიზანიშვილის გულსდებიგანა იყიდა ნახევარი ვენაჯი"ო[214]. ამ გუჯარიდან ირკვევა, რომ იმ ძველი გვარების გვერდით როგორიც არიან: მზევაძეები, ანუ მზევაშვილები, გეგელიშვილები, თეთრაძეები და სხვები, ერთ-ერთ უძველეს გვარად დიღომში ხიზანიშვილებიც გვხვდებიან. ამას მოწმობს 1505 წ. გუჯარი.

ტოპონიმიკურ სახელებში გვხვდება „ხიზანაანთ მიწები", რაც იმაზე მეტყველებს, რომ დიღმელთა ხსოვნაში კიდევ დარჩენილია ხიზანიშვილის არსებობა, რომლებიც დიღომში XIV—XV ს-ებიდან (შეიძლება ადრეც) გვხვდებიან.

ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღმის მცხოვრებთა შორის ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიება დიღმელი ჩაჩაშვილი, რომელიც ერთობ

---

211 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 52.

212 ი ქ ვ ე, გვ. 68.

213 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გვ. 75.

214 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 45.

პოპულარობით სარგებლობდა, რაც ჩანს სხვადასხვა სიგელ-გუჯრებში.

ჩაჩაშვილების გვარი რაჭაში ებრაელებად გვხვდებიან, დიღომში მცხოვრები ჩაჩაშვილები კი აშკარა ქართველებად ჩანან. ეროვნული ბიბლიოთეკა მათი სახელები მეტყველებს. მაგალითად, მეფე ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით იქ, სადაც „სატიკის პირისათჳს" განკუთვნილი თავია. „დიღმელი ჩაჩაშვილი რამაზაა"[215] დასახელებული. აქვე „მეჯინიბეთათჳის განკუთვნილ თავში სხვა დიღმელებთან ერთად „ჩაჩაშვილი ზუბიტაა" დასახელებული[216], ხოლო 1674 წ. ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია მაზიტა და სხვა უგუნურიშვილების მიერ კ"ზის სახლთუხუცეს პაპუნა მაღალაძისადმი, სხვა დიღმელ და მცხეთელ მოწმეებთან ერთად დასახელებულია დიღმელი „ჩაჩაშვილი რევაზა"[217].

დიღმელი ჩაჩაშვილები სხვა ნასყიდობის სიგელებშიც შეგვხვედრია, რაც იმას მოწმობს, რომ დიღომში მცხოვრები ჩაჩაშვილები იყვნენ ქართველები და დიღომში ცხოვრობდნენ XVI—XVIII ს-ების მანძილზე.

როსტიაშვილები. დიღომში XVIII ს-ში ცხოვრობდნენ როსტიაშვილები, როგორც ვახტანგ VI დასტურლამალიდან ირკვევა სადედოფლო მსახურეებიც იყვნენ და მოყალნეებად იწოდებოდნენ[218], რომლებიც შემდეგ მეფე ვახტანგს გაუთარხნებია. დასტურლამალის მიხედვით შემდეგი ირკვევა: „მოყალნეს ძეს ღალა, მეფისათვის რომ ხუთზედ იღებენ, სადედოფლოს ექვსზედ ავიღებთ, კულუხი შეწერით, ჩვენმა უფრო შეღავათით შეაწერონ, სამზარეულოს შეშა მოუტანონ, სხუა ნურა ეთხოვებათ რა, ასე გვიბრძანებია და გვითარხნებია. საშობაოდ და სააღდგომოდ ნურასა ჰსთხოვთ ძღუნის მეტს; პირისთავი და ნახირისთავიც გვიპატივებია, ამიტომ რომ მუდამ იმსახურებიან: მუხათ-გვერდის ყარაულობის და გზის შენახვისა თჳთონ იციან და როსტიაშვილები ამისიც თარხანნი არიან და სამასპინძლოსიცა, და ვერც ურემს შეუბამთ, საყდარი რომ აქუსთ თავიანთი, იმას გალავანი შემოავლონო"[219].

ზემოთ მოტანილი დებულებიდან საინტერესოა ის გარემოება, რომ ყველა თარხნს სამასპინძლოს გამოღება მაინც ევალებოდა, როსტიაშვილები კი ამისგანაც თავისუფალნი ყოფილან და ყარაულობიდანაც იმ დროს, როცა გზების შენახვის მიზნით მთელ დიღომს ევა-

---

215 ვახტანგ VI, დასტურლამალი, გვ. 70.

216 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966 წ. გვ. 250.

217 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები I, გვ. 50.

218 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 247.

219 ვახტანგ VI, დასტურლამალი, გვ. 127.

ლებოდა ვიწროებისა და მუხათგვერდის გზების დაცვა[220]. როსტიაშვილებს თავიანთი საკუთარი საგვარეულო საყდარიც ჰქონიათ. ეს ერთობ საინტერესო და საყურადღებო ცნობას შეიცავს [illegible] წყაროების მიხედვით როსტიაშვილები უკანასკნელად 1784 წელს იხსენიებიან. მაგ., იესე ბარათაშვილის ანდერძში ნათქვამია, რომ: „როსტიაშვილი სვიმონ და კავთელა როსტიაშვილები სამეფონი არიანო“[221].

თ ე დ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში სხვა მცხოვრებთა შორის XVII—XVIII ს-ებში თედიაშვილებსაც უცხოვრიათ, რომლებიც სამეფო ყმებად იხსენიებიან.

ერთ, XVII ს. ვენახის ნასყიდობის სიგელში, რომელიც მიჭელაშვილებს შეეხებოდა, სხვა დიღმელ მოწმეებთან ერთად ჩაჩაშვილი და თედიაშვილიც იყო დასახელებული. ეს სიგელი, გადავეცი ხელნაწერთა ინსტიტუტს 1955 წ.

თედიაშვილი, ვახტანგ VI დასტურლამალშიც გვხვდება დასტურლამალ სადედოფლოში, დიღმისათვს განკუთვნილ თავში დასახელებულია „თედიაშვილი მოყალნე“[222]. იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში“ დასახელებული ჰყავს თედიაშვილები (1784), რომლებიც სამეფო ყმები ყოფილან[223]. ამჟამად დიღომში თედიაშვილთაგან აღარავინ ცხოვრობს.

გ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. მეფე ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით დიღომში მცხოვრებთა შორის გიგოლაშვილებიც გვხვდებიან, მაგალითად, „სახაბაზო მოხელეთათვს“ დადგენილ თავში, მოხსენიებულია „ხაბაზი დიღმელი გიგოლაშვილი გიორგი“[224]. XIX ს-ის დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში ეს გვარი აღარ გვხვდება.

კ ა კ ა ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღმელ მოსახლეობაში კაკანაშვილების გვარი XVIII ს-შიც გვხვდება. ვახტანგ VI დასტურლამალიდან „მეთოფეთათვის“ განკუთვნილ თავში დიღმელი კაკანასშვილია[225] დასახელებული სხვა ისტორიულ დოკუმენტებში ეს გვარი არ შეგვხვედრია.

პ ა პ ი ძ ე ე ბ ი, პ ა პ ა ს შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღმის მცხოვრებთა შორის, პაპიძეების გვარი გვხვდება XVII ს-ის სიგელ-გუჯრებში. მაგალითად, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ XVII ს-ის

---

220 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 22.
221 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 100.
222 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 127.
223 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. გვ. 100.
224 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, გვ. 69.
225 ი ბ ი ვ ე, გვ. 127.

ერთი ხელნაწერიდან (Hd—15097) ჩანს, რომ დიღომში ცხოვრობდა აბრამ პაპიძე, რომელსაც ელენე დედოფალმა სითარხნის წიგნი უბოძა[226]. აი, ეს სიგელიც, რომელიც თარიღდება 1693 წლით და მიეკუთვნილია ელენე დედოფლისა და მეფის ნაზარალიხანისა, ანუ ერეკლე I-ისა: „დრო დაუდებელი და მიზეზ შემოუღებელი სითარხნის წიგნი და სიგელი გიბოძეთ, თვით ჩვენ მღთის სარწმუნეობაზედ აღზრდილმან, დედოფალთა-დედოფალმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან ნაზარალიხან თქუენ ჩუენს ერთგულსა და თავდადებით ნაშსახურს დიღმელს ყმას პაპაძე აბრამსა, შვილთა შენთა სვიმონს და ადამს ძმასა"[227]. ხოლო მეორე 1678 წ. ხელნაწერში (Hd—1547) მოხსენიებულია გოგია ზანდარაშვილის მიერ მიწის ნასყიდობის წიგნში დემეტრე პაპასშვილი[228]. ხოლო მესამე ნასყიდობის წიგნში, რომელიც ხატისაშვილების მიერაა გაცემული და თარიღდება 1669 წ. სხვა დიღმელ მოწმეებთან ერთად დასახელებულია პაპაშვილი როსტია, გულუა[229].

დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში გვხვდება ვეძისში მცხოვრები პაპავაძეები, რომელთა შთამომავალნი ცხოვრობენ საბურთალოზე, ვეძისელებში. პაპავაძეები ცხოვრობდნენ კიდევ დიღმის ხეობაში: წოდორეთსა და ლისში.

ხ ა ტ ი ს ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღმის მოსახლეობას შორის XVII ს-ში, ხატისაშვილების გვარიც გვხვდება. ერთ 1669 წ. ნასყიდობის წიგნში შემდეგია ნათქვამი: „ქ. სახელითა ღმთისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმიდისათა და წმიდის გიორგის დიღმის თავდებობითა და ყოველთ წმიდათ თავდებობითა მოგყიდე მე ხატისშვილმან პაპამან, გოგიამან, დემეტრემან, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, შენ ჩემს განაყოფს ხოსიტასა, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ჩვენი მამული ღვინიაშვილის კარის წინათ სათიჯე კლდემდისი და კოტორაშვილის კალომდისი. ავიღეთ ფასი რაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა, არის ამის მოწამე პაპაშვილი როსტია, გულუა ღვინიაშვილი მახარა. ვარდიაშვილი გიორგი ამისი მოწამენი ვართ. ქ-სა ტმიზ: + +

ქ. შეგიცვალე მე ბაბაშვილმა ხატისაშვილმან გოგიამა პაპამა, დემეტრამა, შენ ჩემს განაყოფს ხოსიტასა საკალოე და გამოგართვი ვენაჯ, რომელიც მე მინდოდა"[230], ხოლო 1737 წ. თებერვლის 24-ით

---

226 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1964. გვ. 75.

227 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910, გვ. 536.

228 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1964, გვ. 75.

229 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 91.

230 ი ქ ვ ე.

დათარიღებული მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია აბრაამ და პეტრე მარანას-შვილების მიერ თბილისის მებაღე ბერისადმი, სხვა მოწმეებთან ერთად დასახელებულია ხატისაშვილი-ბერი[231].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ მოტანილი საბუთებიდან ირკვევა, ხატისაშვილები დიღომში ბევრნი ყოფილან XVII—XVIII ს-ში, თუმცა შემდეგ საუკუნეებში აღარ გვხვდებიან.

მ ა რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. XVIII ს-ში (შესაძლებელია ადრეც) დიღომში ცხოვრობდნენ მარინდაშვილები: 1784 წ. ივნისის 6-ს ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია გაბრიელ მარინდაშვილის მიერ თეთრა თეთრაძისადმი ნათქვამია რომ: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, მარინდაშვილმან გაბრიელმან, შვილთა და შთამომავალთა ჩემთა შენ არაგვიდამ მოსულს თეთრაძეს თეთრას და დემეტრეს და შვილსა თქვენსა შიოს, დავითს, მახარობელ და ივანეს: — ასე რომე დამეჭირა და ავიღე და ჩვენი სამკვიდრო მიწები სამის დღისა მოდემნახეში მოგეცი და მოგყიდე თავს რუმდინ. ბოლოს გილაურის სამზღვრამდინ. მარჯვენა გვერდი სუთიაშვილის მიწის მიდგომამდინ. ავიღეთ ფასი სრული და უნაკლო, რომელითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა და არა დარჩომილა ჩემი შენზედა არცა ერთის იოტის ფასი: რომელიც ამ ჩემგან მოცემულს მიწას შემოგეცილოს, პირისა და პასუხისგამცემი მე ვიყო, არის ამისი მოწამე თავად პირველად ღმერთი და კაცთაგან გეგელიშვილი გარსევანა, მამადალაშვილი გლახა, ზანდარაშვილი დავითა და გილაური პეტრე, მე სიბრძნის მოყვარის გლახა ნათლის ძის ძმას იოანეს ცოდვით დასჯილს მღუდელს დამიწერია და მოწამმეცა ვარ ამის. დაიწერა თიბათვის ვ. ქკს უობ“[232]. მარინდაშვილების მიერ გაცემული ნასყიდობის სიგელიდან ირკვევა, რომ მათ თავიანთ „სამკვიდრო მიწები სამი დღისა მოდემნახეში“ გაუყიდნიათ, რაც იმაზე მეტყველებს რომ ეს გვარი დიღომში დიდი ხნის დასახლებული ყოფილა.

მეორე სიგელიც გვხვდება ამ გვარზე უფრო ადრეული, რომელიც 1737 წ. თებერვლის 24-ით თარიღდება და მამულის ნასყიდობას შეეხება, რომელიც მიცემულია აბრამ და პეტრე მარანასშვილების მიერ თბილისის მებაღე ბერისადმი. აქ ნათქვამია, რომ: „ქ... ესე ამიერ დროდაუდებელი და მიზეზ შემოუღებელი ნასყიდობის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ დიღმელმან მარანასშვილმან იობას შვილებმან აბრამამა, ძმამა ჩემმა პეტრემან, თქვენ თბილელის

---

231 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, გვ. 265.

232 ი ქ ვ ე. II, გვ. 130.

მებაღეს, სიონთა, ღვთისმშობლის ყმას ბერსა შვილთა და მომავალთა სახლის შენისათა, შვილსა შენს პეტრეს, იობს; — დამჭირდა და მოგ-ყიდეთ ჩვენის მამისაგან ნასყიდი და ნაქონი მამული ... ...რა. ქართველობას თარხანი ყოვლის კაცის უცილობელი და მოუ-დევარი, ზემოთა ოქუზაშვილის მიჯნამდინ, ქვემოთა ჯარანას-შვილის მიჯნამდინ. ბოლოს ჭალა თავისის სამართლიანის გზითა. წყლითა, შე-სავალ-გასავლითა—არის ამის მოწამე ღმერთი: კაცთაგან დამხვედ-რნი და შემრიგენი გიუტას-შვილი ზურაბა, ივანე, თბილელის-შვი-ლი ზალა, ხატიას-შვილი პეტრე, გეგელის-შვილი ესტატე. მე მღდელს მელიქსედეკს დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი, ესე მამული სხვაზედ ვერ გაყიდო. რახან შეიძლოს, პატრონმან დაიხსნას. დაიწე-რა ესე წიგნი თებერვლის ოცდაოთხსა. ქრონიკოს—უკე"[233].

ზემოთ მოხსენიებული მარინდაშვილები ხომ არ არიან წინაპრები დიღომში მცხოვრები მარინაშვილებისა? მართალია, მარინაშვილები მუხრანიდან დიღომში XX ს-ის დასაწყისში დასახლებულან, მაგრამ ხომ შესაძლებელია მუხრანელ ბაგრატიონებმა XVIII საუკუნის მი-წურულს ეს გვარი მარინდაშვილები დიღმიდან აყარეს და მუხრანს დაასახლეს, როგორც თავიანთი კუთვნილი ყმები.

ტ ე კ ურ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. სხვა გადაშენებულ თუ წასულ გვართა შორის, დიღომში ტეკურაშვილებსაც უცხოვრიათ. ერთ 1735 წ. აპ-რილის 19-ის, შვილის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია ტე-კურიანთ ფოცხვერას ჯალაბ დარეჯანის მიერ ქალაქის მელიქ მამასახ-ლისის ზურაბისადმი, შემდეგია ნათქვამი: „ნებითა და შეწევნითა ღუთისათა, ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, დიღმელმა ტეკური-ანთ ფოცხვერას ჯალაბმა დარეჯან თქვენ, ქალაქის მელიქ მამასახ-ლისს ზურაბს, შვილთა თქვენთა ავთანდილას, დავითს, ამირანს და ნაზარას და მომავალთა სახლისა თქვენისათა:—ასე რომე ჩემი შვილი შავერდა დამიტყვევდა და სხვა ღონე და სახსარი არა მქონდა, მოველ ჩემის ნება-წადილითა და მოგყიდე ჩემი შვილი შავერდა და ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდათ. არა დარჩა რა ჩემი თქვენზედა არც ერთი იოტი. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. როგორითაც სხვას ალალის მონასყიდეს ჰყოლოდეს და მოეხმარები-ნოს, არავინ იყოს მოცილე და მოდავე თქვენი თვინიერ ღუთის მეტი. თუ ვინმე წარმოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვ-ნეთ. არიან ამის დამხდურნი და მოწამენი თავად ღმერთი. კაცთაგან ცი-

---

233 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 265.

ციშვილი მანუჩა, მდივანი სულხან..."[234] როგორც ირკვევა ტეკურა-შვილებს დიღომში XVII—XVIII ს-ებში უცხოვრიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ლ უ რ ჯ ი ძ ე ე ბ ი. დიღმის მოსახლეობას შორის XVII—XVIII საუკუნეებში გლურჯიძეებიც ჩანან. 1687 წ. ერთი ყმის ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია მოწმეთა შორის სხვა დიღმელებთან ერთად გლურჯიძე ამოან[235].

ჯ ა რ ა ნ ა ს შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში XVIII ს-ის დასაწყისში. სოფლის ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, ჯარანასშვილებიც გვხვდებიან[236].

ო ქ უ ზ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში XVIII ს-ში ცხოვრობდნენ ოქუზაშვილებიც[237], სამწუხაროდ, სხვა სიგელ-გუჯრები ამ გვარეულობაზე არ ჩანს.

გ ო შ ფ ა რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში XVII ს-ში უცხოვრიათ გოშფარაშვილებს, რომლებსაც ადგილობრივ ყმა-მამული გააჩნდათ, ერთ 1687 წ. იანვრის 1-ით დათარიღებულ ყმის ნასყიდობის წიგნში, მიცემული თამაზ გოშფარაშვილის მიერ ნიკოლოზ მაღალაძისადმი შემდეგია ნათქვამი: „ქ... ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ გოშფარიშვილმან თამაზმა თქვენ, მაღალაძეს ნიკოლოზს, ძმასა შენსა რევაზსა, ადამას, ზურაბს, ძმისწულსა დემეტრეს, ამილბარს და ყოველთავე: ასრე და ამა პირსა ზედან, რომე მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე ყმა ფეიქარი პაატა შვილითა ყოვლის კაცის უცილობელი და მოუდევარი, ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. თუ ვინმე ამისი მაცილებელი გამოჩნდეს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე დიღმის მამასახლისი ნიკოლოზ გლურჯიძე ამოან, ფირიაშვილი პაპუა. მე მდივანს გივის დამიწერია და მოწამეცა ვარ. იანვრისა, ქრონიკონსა ტპ ე"[238].

უ გ უ ნ უ რ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. XVII ს-ის 70-იანი წლებისათვის დიღმის მკვიდრთა შორის, ყოფილან უგუნურიშვილები, რომლებიც თავს დიღმელებად აცხადებდნენ. მაგალითად, 1674 წ. ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია მაზიტა და სხვა უგუნურიშვილების მიერ კათალიკოზის სახლისუხუცეს პაპუა მაღლაძისადმი, ნათქვამია შემდეგი: „ქ.... ესე... საბოლოვო ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი, ყოვლის მიზეზისა და ხლათისაგან გამოსული

---

234 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დოკუმენტები, I, გვ. 241.
235 ი ქ ვ ე, გვ. 101.
236 ი ქ ვ ე, გვ. 265.
237 ი ქ ვ ე, გვ. 265.
238 ი ქ ვ ე, გვ. 50.

ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი ბატონის კათალიკოზის სახლისხუცესს პაპუასა, შვილთა თქვენთა რევაზს და ნიკოლოზს და მამუკასა, ადამასა, ზურაბასა ჩვენ დიღმელმან უგუნურიშვილ[illegible] მან მაზიტამ და ძმამან ტატუნამ, მღდელმა პაპუ[illegible] [illegible]ერე რომე მოგყიდეთ ჩვენი ყმა ფეიქრისშვილი ბასილა და მისი შვილი ტატია მისის სამის ძმითა: ავიღეთ თქვენგან ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ, აღარა დარჩა სადაო და სალაპარაკო ჩვენსა და თქვენს შუა ერთის ფულის ფასი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. არიან ამისნი მოწამენი და შუა-დამხვედრნი ქარსიძე მესტუმრე ბერუკა, ჭარმეული ზაქარია, თაზისშვილი პატა, ბატონიშვილის ლევანის ეშიკაღასი ქვლივიძე ბასილა, დიღმელი ფირიაშვილი დავითა მამასახლისი, მღდელი გაბრიელ, ხოსიტაშვილი დემეტრე და ებიტა, დათუნაშვილი მღდელი იოვანე, ჩაჩაშვილი რევაზა. წმინდა გიორგის დეკანოზი მთავარი ანათელი, ზანდარაშვილი იოვანე. დაიწერა წიგნი ესე ჯელითა მამუკასითა ქრისტიშობისთვესა თხუთმეტსა. ქრონიკონსა ტ ნ ი ბ ...“[239]. ამჟამად უგუნურიშვილების შესახებ დიღომში არავითარი თქმულება და გადმოცემა აღარ არსებობს, არც წერილობითი მასალა მოიპოვება მათ შესახებ.

გ ა გ ნ ა ძ ე ე ბ ი. დიღმის მწინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში გაგნაძეებიც მოიხსენიებიან. მაგალითად, 1830 წ. გატარებულ სიაში დასახელებულნი არიან გაგნაძის ოჯახიდან შემდეგი პირები:

„დ—ქ. გაგნაძე პაპუნას ცოლი ელენე გივის ასული,
ვც—ქ. ვაჟი თევდორე
ვდ—ქ. ვაჟი აბრამ
სახელმწიფო ყმა ხიზანი“[240].

„გაგნაანი“ დიღომში ხშირად გამიგია.

ყ ა ზ ბ ე გ ე ბ ი. ზემოთ მოტანილ დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში გვხვდება ყაზბეგების ოჯახიც, რომლებსაც დიღომში უცხოვრიათ, მაგალითად, 1830 წ. ყაზბეგები შემდეგი პირები გვხვდებიან:

„გვ—ქ—ყაზბეგი ზურაბ ნიკოლოზის ძე...
ლვ—ქ—ცოლი ელისაბედ პაატას ასული
გ—ქ—ქალი ელენე
ც—ქ— ვაჟი გრიგოლ
სახელმწიფო ხიზანი“[241].

---

239 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, გვ. 50.

240 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

241 ი ქ ვ ე.

მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი. ზემოთ მოტანილი დავთრის მიხედვით. დიღომში მცხოვრებთა შორის, ყოფილან მგალობლიშვილებიც, რომლებიც საბატონო ხიზნებად არიან გატარებულნი და მათ ოჯახის მამადგენლობა შედგებოდა შემდეგი პირებისაგან:...

„ასგ—ქ. მგალობლიშვილი გიორგი მანგულას ძე
ნდ—ქ. ცოლი ქეთევან თანდილას ასული
ივ—ქ. ვაჟი მახარე
იგ. ქ. ვაჟი ივანე
საბატონო ხიზანი“[242].

მ ა ი ს უ რ ა ძ ე ე ბ ი. ასევე დიღომში უცხოვრიათ სახელმწიფო ხიზნებს მაისურაძეებს, 1830 წელს მაისურაძეები შემდეგი შემადგენლობით გვხვდებიან:

„ მდ—ქ. მაისურაძე სვიმონის ცოლი ანასტასია გიორგის ასული
ვ—ქ—ვაჟი პეტრე
იდ—ქ—ვაჟი ებთიმე
ია—ქ—ქალი თინათინ
ა—ქ—ქალი მარიამ
სახელმწიფო ხიზანი“[243].

თ ა ვ შ ა ვ ა ძ ე ე ბ ი. თავშავაძეებს დიღომში XIX ს-ის განმავლობაში უცხოვრიათ, ისინი სახელმწიფო ყმებად ითვლებოდნენ. 1831 წ. მიხედვით თავშავაძეების ოჯახიდან შემდეგი პირები გვხვდებიან აღსარების დავთარში:

„მთ—ქ—თავშავაძე მამუკას ცოლი მარიამ სოლომონის მღუდლის ას.

კდ—ქ—თავშავაძე მამუკას ძე გრიგოლ
იც—ქ—ცოლი სოფიო მატთეს ასული
იც—ქ. თავშავაძე მამუკას ძე თევდორე
იბ—ქ. თავშავაძე მამუკას ძე გიორგი —
თ—ქ—თავშავაძე მამუკას ასული ბარბარე
ზ—ქ—თავშავაძე მამუკას ასული ნინა
სახელმწიფო ყმანი“[244].

კ ა რ ს ნ ე ლ ნ ი. აქვე დიღომში მცხოვრებთა შორის გვხვდებიან სვეტიცხოვლის ყმანი კარსნელნი, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრებად მოიხსენიებიან და ალბად კარსნელიშვილები ან კარსნელიძეები

---

242 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.
243 იქვე.
244 იქვე.

იყვნენ—დავთარში კი „კარსენელიანთ“ არიან დასახელებულნი. მაგალითად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ—ქ. კარსნელიანთ ზურაბას ასული მარიამ — საგვარეულო

გბ—ქ—კარსნელიანთ ზურაბის ასული ანნა სვეტიცხოველის ყმანი[245].

ჯ ა ღ ა თ ა შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში მცხოვრებ ხიზნებს შორის მოიხსენიებიან ჯაღათაშვილებიც. მაგალითად, დიღმის წმ ვიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით XIX ს-ის დასაწყისისათვის ჯაღათაშვილების შემდეგ შემადგენლობას ვხვდებით:

„კთ—ქ—ჯაღათაშვილი შიოს ცოლი ელენე ზურაბის ასული.

იგ—ქალი მარიამ

ქ—ქალი მარიამ

ქ. ქალი ანასტასია

ზ. ქალი მართა

მ.—ქ. ქალი ელისაბედ

საეკლესიო ყმა ხიზანი“[246].

მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე. დიღომში მცხოვრებ ხიზნებს შორის მიქაბერიძეებიც გვხვდებიან. ისინი სახელმწიფო ყმებად ითვლებოდნენ. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით მიქაბერიძეების ოჯახი შემდეგი შემადგენლობით გვხვდება:

„მთ—ქ. მიქაბერიძე მამისთუალა მამუკას ძე

მ—ქ. ცოლი თამარ პავლეს ასული

ია—ქ. ქალი ელისაბედ

ვ. ქ. ქალი ელისაბედ

სახელმწიფო ყმა ხიზანი“[247].

შ ა ლ ა ბ ე რ ი ძ ე. დიღომში უცხოვრიათ საბატონო ყმებს, შალაბერიძეებს, რომლებიც 1831 წ. მიხედვით ორი სული ყოფილან:

„კზ—ქ—შალაბერიძე ოტია იოვანეს ძე

იზ—ქ. ცოლი სოფია მამისთვალას ასული საბატონონი“[248].

ვ ა შ ლ ო ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. დიღომში ცხოვრობდნენ ვაშლოვანიშვილებიც, საბატონო ხიზნები ყოფილან, 1831 წ დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით ვაშლოვანიშვილები შემდეგი შემადგენლობით გვხვდებიან:

„მდ—ქ—ვაშლოვანისშვილი მიხეილ დავითის ძე

კდ—ქ. ცოლი მარიამ — იოსების ასული

ზ—ქ—ქალი ქეთევან

გ—ქ. ვაჟი გიორგი

---

245 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

246 იქვე.

247 იქვე.

248 იქვე.

კ—ქ. ვაჟი გაბრიელ
კდ—ქ. ვაშლოვანისშვილი სვიმონა დავითის ძე
ით—ქ—ცოლი სალომე ბერის ასული საბატონო ხიზანი[249]
ხ ი რ ი ნ დ რ ა ვ ა. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით, დიღომში უცხოვრიათ სახელმწიფო ხიზნებს, ხირინდრავებს თუ ხაინდრავებს, რაც გაურკვევლად იკითხება, სადაც შემდეგი პირები არიან გატარებულნი:

„ვთ—ქ—ხირინდრავა გლახა პაატას ძე
ივ—ქ. ცოლი სალომე გიორგის ასული
სახელმწიფო ხიზანი“[250].

ც ა გ ა რ ლ ე ბ ი. დიღმის მცხოვრებთა შორის, XIX ს-ის 20-იან წლებში ცაგარლებიც გვხვდებიან, „ცაგარლები ლეჩხუმელები არიან, ცაგერიდან, ასიკოს პაპა, მღვდელი თომა, იმერეთის მეფის სოლომონ II ამალაში ყოფილა, როცა იგი ტფილისს მოიყვანეს 1810 წელს და სოლომონის ახალციხეში გაქცევის შემდეგ იგი ქართლში დარჩენილა და დიღომში დასახლებულა“[251]. ცაგარლები დიღომში სოფლის შუაუბანში დასახლებულან, დღესაც არსებობს მათი საცხოვრებელი სახლი, სადაც გეგელიშვილები ცხოვრობენ.

დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის მიხედვით ცაგარლები 1831 წ. შემდეგი შემადგენლობით გვხვდებიან:

„ლგ—ქ—ცაგარელი ბერი გიორგის ძე
კა—ქ—ცოლი თინათინ იოვანეს ასული
კბ—ქ—ქალი მარიამ
სახელმწიფო ხიზანი“[252].

ეს ცაგარლები არიან წინაპრები, ცნობილი პირებისა: პროფ. ალექსანდრე ცაგარლისა (1844—1929) და აქვსენტი ცაგარლისა (დრამატურგის).

გ ი ო რ გ ო ბ ი ა ნ ე ბ ი. XIX ს-ის დასაწყისში დიღომში საბატონო ხიზნად ცხოვრობდა აზნაური გიორგობიანი, რომლის ოჯახის შემადგენლობა შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან:

„მ—ქ. გიორგობიანი აზნაური რამაზ გიორგის ძე
კზ—ქ. ცოლი ელისაბედ ბეციას ასული
დ—ქ. ვაჟი გიორგი

---

249 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

250 იქვე.

251 აკ. შანიძე, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1930, № X, 2; აქვს. ც ა გ ა რ ე ლ ი კომედიები, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1936, გვ. XIII.

252 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

ა—ქ. ვაჟი პავლე
საბატონო ხიზანი"[253].

ასათიანები. ასათიანები დიღომში მცხოვრებთა ... ნაურად იწოდებოდა და დავთარში „საბატონოდ" იხსენიება, მაგრამ არ ჩანს ხიზანია თუ საბატონო აზნაური, მათი ოჯახი შედგებოდა შემდეგი პირებისაგან:

„კთ—ქ—აზნაური ასათიანი გიორგი
ით—ქ—ცოლი მართა პეტრეს ას.
ა—ქ—ქალი ელისაბედ
საბატონონი"[254].

სარაჯიშვილები. დიღომში ცხოვრობდნენ სარაჯიშვილებიც, რომლებსაც დიდი ტყე, მამული და რამდენიმე კომლი ყმა გააჩნდათ. სარაჯიშვილები სოფლად ეწეოდნენ ქველმოქმედებას, რასაც შემდეგში განვიხილავთ.

გარდა ზემოთ აღნიშნული პირებისა, დიღომში XIX ს-ის 30-იან წლებში ცხოვრობდნენ შემდეგი ოჯახები.

„ლ—ქ—ბიბილურიშვილი ანდრია გაბრიელის ძე—ქალაქს იყო მებაღედ.
იზ—ქ—ცოლი თინათინ გიორგის ასული—ეზიარა, საბატონო
ლთ—ქ—კაციტაძე ვაციცალას ძე პავლე—ეზიარა, ხიზანი
ლე—ქ. ცოლი თინათინ ბუჭულას ასული იმერეთს იყო სახელ-
კც—ქ—კაციტაძე ნიკოლოზ პავლეს ძე მწიფო ხიზანი.
ით—ქ—ცოლი ეფემია—გიორგის ასული ხიზანი.

ზემოთ აღნიშნულის გარდა დიღმის მოსახლეობას შორის მოიხსენიება შემდეგი გვარები, რომლებიც „საბატონოებად" იწოდებიან.

„კზ. ქ. ხვადაგიანი დავით
ვა—ქ. ხვადაგიანი რევაზ
ლ—ქ. მესტვირიშვილი ივანე
ლვ—ქ—. ქოხლარაძე ბეჟანის ძე გიორგი
ლთ—ქ—ხვადაგიანი ნიკოლოზის ძე სეხნია
ლბ—ქ—მოწამიძე ბეჟანის ძე დავით
—ვთ—ქ—ხვადაგიანი დავითის ძე თუვდორე
კლა—ქ. მამადალაშვილი დავითის ძე გიორგი
მა—ქ. ლორიძე გიორგი სესიას ძე
გ.—ქ. ჭიჭინაძე აუგას ძე კიკოლა
ლ—ქ. გარსევნიძე პაპას ძე სესია
სთ—ქ—სანაძე გიორგის ძე ნიკოლოზ საბატონონი[255].

---

253 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.
254 იქვე.
255 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღომში, მთხრობელთა გადმოცემით ირკვევა, რომ კიდევ ბევრ გვარს უცხოვრია, მაგრამ ზოგი მათგანი გადმოცემის მიხედვით „ამოწყვეტილა“. ასეთებია: „ნესტუაშვილები“, „ყორანტანი“, „ბაბურაანი“, „დუილაანი“, ტაბარუკაშვილები და სხვები.

გარდა ამისა, ისტორიულ წყაროებში გვხვდებიან ისეთი გვარები, რომლებსაც დიღომში უცხოვრიათ, მაგალითად, ვახტანგ VI დასტურლამალის მიხედვით ირკვევა შემდეგი გვარები: „თანდილაშვილი ბეჟიტა“[256], „გრძელაშვილი ბერა“[257], „მანველიშვილი შავერდა“, „დემეტრესშვილი“, „დათუნაშვილი იესე“, „გოგიტაშვილი ბეჟან“[258], და ა. შ. აქვე ცხოვრობდნენ ამ დროს სარუხანაშვილები, ბაზიერიშვილები, მირეკაშვილები, მირუაშვილები[259].

ადამიანის ზედმეტი სახელები დამოწმებული სოფელ დიღომში

ზემოთ განხილულ გვარებს შორის, მოიპოვება ადამიანის ზედმეტი სახელები, რომელთა მიხედვით საგვარეულო უბანი იყოფა „მამის სახლად“. მაგალითად, მიჭელაშვილების უბანი იყოფა შემდეგ მამის სახლად: „სილეინაანი“, „დალაქიანი“, „ლაფიერაანი“, „ყოყიანი“. ასევე გენებაშვილები: „თრილეინაანი“, „ჯიგრიაანი“, „პაკლარაანი“, „ოჯოფაანი“, „ყუყლუჩიაანი“, პატულაანი“, „ფილიაანი“, „ლომონაანი“ და ა. შ.

დიღომში ჩაწერილი ადამიანის ზედმეტი სახელები ასეთია: ნიორა, ჭიოტა, ჭიანა, კოდუხა, ტორუა, ჯინუა, კანკალა, ქავთარა, ქონდარა, სილიანა, კუჭება, მუტრუკა, ტიკი, აჭია, ყაჭია, პაჭიტა, ჩოქანდარა, დინგიანი, თრილეინა, ტურანა, ტურიენა, კუსუნა, ყაჭუა, კოდია, თუთუნა, ბულია, ჭედია, კიკილო, ჯაჯა, გულაკო, ალუბალა, ფაჩუნა, ჯიხვია, ყოყიჩა, ყოყე, ქინქლა, კრაზანა, ტანტრა, ჭიკუნა, ჩაქჩაქა, კნაჭა, ჭიპურა, კოხიანი, პროშიანი, გოზალა, ყუმბარა, აითოზა, ცუკა, ჩეჩია, პაწაწა, კიტრანა, კარიოტელი, კაჭიური კალენდარი, ჭინჭარა, ჭინკრია, ჭუტუა, ჯიგრია, ზორბა, ჭიკა, ღოჯა, ჭინპურა, ლეგა, ტონგლაკი, თვალა, ცირუნა, ძიბუა, ბრიქიანა, ჭაპუა, ჭატუა, გარეშა, შაველა, ფეჩაია, ფერეტა, ტუსლანგა, ჭაჭიგოდორი, ფილია, პატულა, ლომა, ბუჭყიტა, კორტიშა, სვეტია, გაგრია, ოჯოფა,

---

256 ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 249.

257 ი ქ ვ ე, გვ. 249.

258 ი ქ ვ ე, გვ. 247.

259 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161, 162, 163.

აბუკა, ალიმუზა, ცუცია, ცუკუნა, ცუცანა, კონცოლა, კუჭანა, ოდა, ძამია, კიტაია, სპეტანა, ბზენთა, კუტი, კუტა, გუცა, ჩეთვერა, ჯიბე, გლახა, პანცელა, კონუა, ხვედა, ცანცარა, ლულუანი, ბაბაკა, ჩიტრა, ბუილა, გალუა, ბუჭყიტა, ნოხუჩურა, დათვი, ჩურჩუტი, ჭრიტა, ჭრიჭინა, ჯაყიდილა, ციფუა, მუხიკუნძი, ჭრიღუა, კაპეიკა, ტეტიკა, ჯიჯინა, ყუყლუჩა, გეჯა, ბაბღია, აცაფურა, სლამა, ირეკა, ცუცუნა, უქშუტუნე, ცოციელი, რიკა, მღებავი, ჭილრიკა, ყურა, გოჭია, პაკლარა, პაქალა, ჩოფურა, გოდორა, გომბორა, კოტრა, ბაჭა, ოლოლა, ქაჩალა, ამანე, უქაქანე, პანკრუტა, ოტუა, ფაცია, კოსტუა, ტადვრა, პრაწანა, პალაკა, ჩითახოვი, ლამფა, მახრაჭა, მილიონა, ბოხონა, თოხლუა, კოპია, ბადღა, ჭაღვილა, ნონია, ცხვირა, დოლა, პროხოლა, თოთოშა, ძამპილა, ჩაქჩაქა, გუდა, კაკლია, ჩოქჩოქა, ტომბორა, ფხაკა, ჭიღერა, ოტროველა, ტუნეჭა, კორტიშა, პაჭუა, ლაწანა, ჯვალა, მარანა, კუპაჭია, კრიბაია, ღოლაძე, მარჯანაი, ნირეხა, ყვანყვალა, ჯამის ძირა, სიკვდილა, აბდულა, ძიგლება, კრუხი, ტიტია, მებატე, ლაშიანი, ტუჩიანი, ჩუმპლია, ჩიტრეკია, დოღლიბაირა, ჭუტბადალა, ჯიგრია, ყრუს კანჭი, დარგულა, ლაფიერა, ცინგლა, კიმუა, კიბუა, კურტია, ხამსა, დაალძულე, უჩანა, ქაცალა, ფხანია, კახნია, ცინცილა, ცახცახა, ფაჩხანა, ჩლატა, ბუზა, კუდიანა, ცეტანა, ცუნიკა, ქოთია, თრითინა, ცხვირა, ფუთლუხი, კიკუა, კიტუა, ფეჩაია, გადაბმული, ქიცა, მათოზა, ჯორა, ხაშალი, ქოქიელა, ბუძია, ჩაჩანი, ბაკლაშკა, ხუტა, გოხენა, კიჭა, ჩხოფა, ბელა, ტრინკელა, პამპალა, გოჭიფეხა, კრუხის პალო, ამფუა, რიბუა, ლიფუა, ზაველა, ვანტა, ჩიხანა, ბაღდასარა, ზიპტიპიტო, თათი, ტლიმცომა, ჭვინტა, ნიგჯუა, ჯაყო, ჭიკიტო, ნისკარტა, კადა, ტრინჭა, ღარტუკუნა, ხიჭა, ყდო, პანკრუტა.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ძველმის ხეობაში

.საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული საცხოვრებელი ნაგებობებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დარბაზულ ნაგებობას. საერთოდ, როგორც ცნობილია, ქართული დარბაზული ნაგებობა, მისი არქიტექტურული ტიპი დაიბადა და განვითარდა საქართველოში და აქვე მიაღწია მან თავის სრულყოფას. ეს ტიპი ძველი ეროვნული, ხალხური ხელოვნების ტრადიციების ნიადაგზე წარმოიშვა[1]. ამას ისიც ადასტურებს, რომ გლეხურ დარბაზულ საცხოვ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელზე დაყრდნობით საქართველოში შეიქმნა ჯვრის ტიპის ეკლესია-მონასტრები, რამაც განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია.

იმ დროს როდესაც ქართული არქიტექტურა აღმოსავლეთიდან ძალ, სპარსულ, თურქულ გავლენას განიცდიდა „საქართველოს ცალკეული პროვინციების გლეხები კი იცავენ თავისი წინანდებური საცხოვრებელი სახლების ფორმების მრავალნაირობას"[2], კერძოდ, „დარბაზი" ინარჩუნებს ფორმების ათასეული წლების ანარეკლს, ეს ითქმის, როგორც შექმნილს სივრცეზე, ისე გაფორმებასა და ფასადზე[3]. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება ჰქონდა მხედველობაში სტრჟიგოვსკის, როდესაც იგი აღნიშნავდა, რომ: ქართული გლეხური დარბაზი სხვა თანამოძმეებთან შედარებით „სრულყოფილი და დიდებულია". ხელოვნების დიდი მიღწევაა[4]. ასევე დიდ შეფასებას აძლევენ ქართულ დარბაზს ჟან მურიე და ფრ. ბაუმჰაუერი[5], რომელთა აზრით, დარბაზული საცხოვრებელი სახლის წარმოშობის მიზეზს, მკაცრ კლიმატურ პირობებსა და აგრეთვე უშეშობას უკავშირებენ[6].

ამას გარდა, ბაუმჰაუერი საქართველოში დარბაზის წარმოშობისა და გავრცელების მთავარ მიზეზად ხშირ მიწისძვრებს მიიჩნევს, რის დასამტკიცებლადაც მოჰყავს 1920 წელს გორში მომხდარი მიწისძვრის მაგალითი, სადაც დარბაზული მიწურების გარდა ყველა სახლის შენობა დაინგრა[7].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარბაზი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე უძველესი საცხოვრებელი სახლია, რომელიც საფუძვლად დაედო მონუმენტურ ქართულ არქიტექტურასაც. ბუნებრივ პირობებთან შეგუებისა და მდგომარეობის გამო მან უკანასკნელ ხანამდე მოაღწია და სხვადასხვა ვარიანტებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული არა მარტო საქართველოში, არამედ აზიის მრავალ ქვეყანაშიაც[8].

ადრე და გვიანფეოდალური ხანის ნასოფლარების გათხრის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმდროინდელი სახლის განსაზღვრა, რომელიც ერთსართულიანობით ხასიათდებოდა და შედგებოდა ერთი

---

[2] გ. ჩუბინაშვილი, ქართული არქიტექტურის გზები, 1936, გვ. 145.

[3] იქვე, გვ. 145.

[4] J. Strzygowski, Asiens bildende Kunst, Augsburg, 1930, გვ. 265.

[5] J. Mourier, L'art au Caucase, Paris, 1907, გვ. 265; Fr. Baumhauer, Forschungen über die Hausformen in Georgien, Hamburg, 1928, გვ. 27.

[6] Strzygowski, დასახ. ნაშრომი, გვ. 47; Fr. Baumhauer, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[7] Fr. Baumhauer, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[8] ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, 1965, გვ. 32.

ან რამდენიმე ოთახისაგან. აქედან ერთი ნაწილი განკუთვნილი იყო საცხოვრებლად და მეორე კი სამეურნეო დანიშნულებისათვის. ყველა ოთახი სწორკუთხედის ფორმის იყო და ჰქონდა ცალკე შესასვლელი, საცხოვრებელი კომპლექსის ცენტრში ხშირად გამორჩეული დარბაზი შუაში მოთავსებული კერით, დარბაზის ირგვლივ დაჯგუფებულია საცხოვრებელი და სამეურნეო (თავლა, მარანი, საკუჭნაო) სადგომები. ოთახების გადახურვა ჩვეულებრივად ჰორიზონტალურია. ხის კოჭებზე დაყრდნობილი და ბანური, მიწის სახურავით. გამონაკლისს შეადგენს „დარბაზი", რომლის გვირგვინი გამოყოფილია საცხოვრებელ კომპლექსში. ხშირად დარბაზში ხის კოჭები ეყრდნობა ქვის ძირზე დადგმულ ხის ბოძებს. საცხოვრებელი ნაგებობის წინ შეიმჩნევა ბოძების ბალიშების რიგი, რომელთაც ეყრდნობოდა ღია „დერეფნის" ფარდული.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ცალკეულ რაიონებში სხვადასხვა მასალით იგებოდა. მაგალითად, რუსთავში გათხრებით გამოვლენილია ნახევრად მიწაში ჩადგმული საცხოვრებელი შენობები, რომელთა კედლები აგებულია „თევზიფხური" სისტემით რიყის ქვისაგან თიხის ხსნარზე.

ქართლისა და თრიალეთის სოფლებში სახლების კედლები ამოყვანილია თიხის ხსნარით შედუღებული ბაზალტის მსხვილი, ოდნავ დამუშავებული ლოდებით, რომელიც ერთი შეხედვით ე. წ. ციკლოპურ წყობას გვაგონებს[9].

როდესაც საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მეცნიერულად შესწავლის საკითხს სვამს პროფ. გ. ჩიტაია, აღნიშნავს, რომ „კვლევარი ვალდებულია „ორ გარემოებას, ორ მთავარ მომენტს გაუწიოს ანგარიში, მით უფრო, თუ მას უძველესი სახლის სახეებთან აქვს საქმე. ეს მომენტებია — ერთის მხრით: ქვეყნის ბუნებრივი არე (milieu), რომელიც ადამიანის მიერ ბუნების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ასპარეზია, და მეორეს მხრით, ამ გარემოში მცხოვრები ხალხის კულტურული მდგომარეობა და მისი წარმატება. ამ ორი გარემოების გადაჭდობილობა და გადაჭდობილობისაგან წარმომდგარი სხვადასხვა კონვერგენცია, ჩვენის ფიქრით, უფრო სწორეთ... დამაკმაყოფილებლად ახსნის თვით საცხოვრებელი ბინის ტიპების წარმოშობის საკითხს"[10]. ამ თვალსაზრისით როგორც პატარა მიკროარაიონი, დიღმის ხეობა მეტად საყურადღებო და მდიდარ მასალას იძლევა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესახებ. ეს კუთხე მდიდა-

---

9 ირ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

10 გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, 1, 1926, გვ. 137.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია არა მარტო ეთნოგრაფიული ნაგებობებით, არამედ ისტორიულ-არქეოლოგიურ თვალსაზრისითაც.

მაგალითად, 1959 წ. თეთრი დუქნის ხიდთან, ახალი ხიდის ... ლობის დროს, დიღმის წყლის მარჯვენა ნაპირზე, შემთხვევით ძიწის გადაღების დროს, აღმოჩნდა სამი კულტურული ფენა, პირველ ფენაში მოცემული იყო ენეოლითელი ადამიანის, რამდენიმე ნამოსახლარი, საიდანაც მრავლად ამოდიოდა კაჟის იარაღები. ეს ნაპოვნი არქეოლოგიური იარაღები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. ნამოსახლარი გვიჩვენებს, რომ ენეოლითელი ადამიანი, მდინარის პირას ირჩევდა საცხოვრებელ ალაგს, რომელიც მონადირეობასთან ერთად მეთევზეობასაც ეწეოდა.

დიღმის ხეობა მდიდარია აგრეთვე გამოქვაბულებით. მათ შორის აღსანიშნავია ონადირის, თრელი გორეების, მილიხევის, ჯიხურებისა და მაჩხაანის გამოქვაბულები, სადაც კარგად ჩანს ადამიანის ნამოსახლარის კვალი. აწ განსვენებული მკვლევარ იროდიონ სონღულაშვილის გადმოცემით, თრელი გორეების გამოქვაბულში, ხშირად უნახავს ობსიდიანის მშვილდის წვერები[11], რაც იმას მოწმობს, რომ თავის დროზე გამოქვაბულები, საცხოვრებლად ყოფილა გამოყენებული. ძველად, ჩვენში რომ გამოქვაბულებს საცხოვრებლად იყენებდნენ, ეს კარგად მოჩანს ისტორიულ წყაროებშიაც. მაგალითად, ლეონტი მროველის ცნობით, სპარსთა გმირის ქაიხოსროსაგან გამოდევნილი და საქართველოში შემოხიზნული „თურქნი“, რომ „განიყუნეს ყოველთა ქალაქთა შიგან, უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო, კლდეთა შორის მოკუეთილი, ღრმა და მოითხოვეს ადგილი ერთი იგი მცხეთელთა მამასახლისითგან, მისცა და აღაშენა იგი, მოზღუდეს მტკიცედ: და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“[12]. კლდის კაფვა და დამუშავება ლ. მროველის სიტყვით მოგვიანებითაც ყოფილა საქართველოში ცნობილი. მას ნათქვამი აქვს, რომ როდესაც ალექსანდრე მაკედონელისაგან გარემოცულ „სარკინე ქალაქის“ მცხოვრებთ გაუჭირდათ. „იწყეს ფარულად კლდესა კაფვა და განჭურიდეს კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად საჭვრეტელი და განკრბეს ჭურელსა მას სარკინელნი ღამე და შეივლტოდეს კავკასად და დაუტევეს ცალიერად ქალაქი“-ო[13]. საგულისხმოა, ის ამბავი, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ მატი-

---

11 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, ტ. II, 1957, გვ. 193.

12 ქართლის ცხოვრება, ტ. I, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 15.

13 იქვე, გვ. 18.

ანის ავტორს, „ციხე დიდი სარკინისაი უფლის ციხე“[14] საქართველოს უძველეს ციხეთა შორის აქვს დასახელებული. ალბათ, თავის დროისათვის, გამოქვაბულების კეთება ამ საქმისათვის პირთა დაოსტატება, საც მოითხოვდა და შეიძლება ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, არსებული ქუქანკების—ანუ ქანქანების სახელით მოაღწია ჩვენამდე, რომლებიც გვირაბებისა და სარწყავი წყლის არხის მშენებლობის მოხელეებად ითვლებიან[15].

საყურადღებო და საინტერესოა დიღმის ხეობაში, კერძოდ, სოფ. დიღმის ზემოთ ადგილ „მილიხევისა“ და „ნაოქიანის“ ხევის მიჯნაზე მდებარე გამოქვაბულები, რომლებიც უძველეს სოფლად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს გამოქვაბულები მნახველს იზიდავს თავისი შიდა მოწყობილობებით, თახჩებით, სართულიდან-სართულზე ასასვლელებით და სხვა. გამოქვაბულების უმეტესი ნაწილი უკვე მიწაშია მოქცეული. ზემოდან ჩამონანგრევი კლდე და მიწა გამოქვაბულებს ავსებს, მიუხედავად ამისა, მაინც ზემოთ დარჩენილია მრავალი გამოქვაბული. აქედან ჩვენ ავგეგმეთ და ავზომეთ 5 გამოქვაბული (იხ. სურ. 3—4). როდესაც „მილიხევის“ გამოქვაბულები დაათვალიერა უნგრელმა დოქტორმა იშტვან ვინცემ და გაიგო, რომ ეს გამოქვაბულები არ არის შესწავლილი და გათხრილი, გულისტკენით აღნიშნა: „თუ უფლის ციხე ადრე ფეოდალური ხანის ქალაქია, ეს გამოქვაბულები, იმ დროის სოფელია, რაც საინტერესო მასალას მისცემდა არქეოლოგებსო“.

არანაკლებ საინტერესო და მრავალფეროვანია ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი დიღმის ხეობაში, რომელიც მეურნეობის მიხედვით გარკვეულ დროს გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, მაგალითად.: ამ ხეობაში დავაფიქსირეთ შემდეგი სახის ნაგებობები: დარბაზი ანუ „ერთობის სახლი“, „დარბაზთანი სახლი“, „მიწური სახლი“, „ბანიანი სახლი“, „გომური“, „მოქალაქის სახლი“, რომელიც კრამიტის სახურავითა და „დერეფნით“ ხასიათდებოდა, „ცალკალთიანი“ სახლი, „ორკალთიანი“ და „ოთხკალთიანი“, აივნიანი სახლი და ორსართულიანი სახურავიანი სახლი. სამეურნეო ნაგებობებიდან ფიქსირებულია, მარანი, პურის ოთახი, სათონე, ბოსელი, საბძელი, სათივე, კალო, ბეღელი, საღორე, საქათმე, ფარეხი და სხვ.

დიღმის ხეობა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ორ ზოლად იყოფა, ბარად და მთად. ამ ორ ზოლში მეურნეობაც განსხვავებულია, მთაში ძირითად დარგად მესაქონლეობა და მემინდვრეობა

---

14 ქართლის ცხოვრება, ტომი I, 1955, გვ. 15, 17, 33.

15 ჯ. სონღულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, 1959, გვ. 85.

ითვლება, ბარში კი მესაქონელობასა და მემინდვრეობასთან ერთად მევენახეობა-მებაღეობასაც მისდევდნენ, ამისდა მიხედვით, ბარის სოფლებად ითვლებოდა: დიღომი, ვაშლაჯვარი, ვეძისი, წოდოლეთი, ხოლო მთის სოფლებად: თელოვანი, კორათხევი, დიდგორი, ძაღლაანთ-ხევი, ბევრეთი, ტაბარუკი. ამ ორ ზოლში, საცხოვრებელი და სამეურ-ნეო ნაგებობანი, ერთი ტიპის იყო, მაგრამ მთის სოფლებთან შედარე-



სურ. 3.

ბით ბარის ნაგებობანი მეურნეობის მიხედვით უფრო მრავალფერო-ვანი იყო.

XIX ს-ის დასაწყისისათვის, როგორც ეთნოგრაფიული მონაცე-მებიდან ირკვევა, სოფელ დიღმისა და მისი ხეობის სოფლებისათ-ვის დამახასიათებელი იყო დარბაზული ნაგებობანი, ისე როგორც ეს დამახასიათებელი იყო ქართლისა და გარე კახეთის სოფლებისათვის, სადაც ეკონომიური ყოფის თვალსაზრისით მეურნეობის წამყვან დარგს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა.

საცხოვრებელი დარბაზი ნახევრად მიწისზედა კომპლექსური ხა-სიათის ქვის ნაგებობაა, რომელშიც ერთი სახურავის ქვეშ ჰორიზონ-ტალურ სიბრტყეში იყო განლაგებული საცხოვრებელი და ზოგიერ-

თი სამეურნეო სათავსოები, ასეთი კომპლექსის სახურავზე მიწა იყო დაყრილ-დატკეპნილი, რასაც ბანი ეწოდებოდა, ხოლო თვითონ დარბაზი, ხასიათდება გვირგვინიან-საფეხურიანი გადახურვით, ერთ-ცენტრში და ცენტრალური ბოძით — „დედაბოძი“[16].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ საცხოვრებელ სახლში გაერთიანებული იყო რამდენიმე ძმისა და ძმისწულის სახლობა, რომლის სათავეში იდგა სახლის, ანუ

ქილიხევის ბევოქვაბულები



სურ. 4.

„ოჯახის უფროსი“—მამაკაცი, რომელიც განაგებდა ოჯახის სამეურნეო საქმეებს და მისი გადაწყვეტილების მიხედვით ნაწილდებოდა სახლის წევრებზე ყველა ის სამეურნეო საქმე, რასაც ოჯახი აწარმოებდა. ასეთ ოჯახში ქალებსაც თავისი უფროსი „დედაკაცი“ ჰყავდათ, რომელსაც დიღმის ხეობაში „დიდედა“ ეწოდებოდა. „დიდედა“ ანუ „უფროსი დიასახლისი“ აწარმოებდა სახლის „შინა“ საქმეებს და

---

16 თ. ჩიქოვანი, დასავლურ-ქართული საცხოვრებელი სახლის—„ოდა სახლის“, ზოგიერთი სახესხვაობის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XXIII, № 2, 1959, გვ. 237.

რძლებსა და მაზლის ცოლებს უნაწილებდა ყველა იმ საოჯახო საქმე, რასაც ოჯახი მოითხოვდა (პურის ცხობა, წველა, დღვება, სადილის კეთება, რთვა, ჩეჩვა, ქსოვა, მარგვლა, კალოს საქმე, პურის ... და სხვ.). ასეთ სახლს, დიღმის ხეობაში „ერთობის“ სახლი ეწოდებოდა.

როდესაც სოფ. დიღომში, საცხოვრებელ დარბაზულ ნაგებობებს ვსწავლობდით, ხოსიტაშვილების დარბაზის აზომვის დროს დამაინტერესა, ამ ნაგებობის ჭერქვეშ რამდენი სული ცხოვრობდა. ამ მიზნით მივმართე სოფ. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის „აღსარების წიგნებს“, სადაც შეტანილია დიღმის ხეობის მოსახლეობის კომლთა და სულთა რაოდენობა.

ამ დროისათვის ხოსიტაშვილების დარბაზულ სახლში უცხოვრიათ შემდეგ პირებს:

1. „ხოსიტაშვილი დიმიტრი ანდრიას ძე
2. ცოლი ამისი, ბარბარე იოსების ასული
3. შვილნი ამათნი ანდრო
4. იოანე
5. გრიგოლ
6. მარიამ
7. —„— ძმა დიმიტრისა ნიკოლოზ
8. ცოლი ბარბარე დავითის ასული
   შვილნი ამათნი:
9. მელანია
10. ალექსი
11. იოსებ
12. ნინო
13. —„— ძმა ნიკოლოზისა ბესარიონი
14. ცოლი ამისი სიდონია ანდრიას ასული
    შვილნი ამათნი:
15. სოლომონ
16. ძმა ბესარიონისა დავით
17. ცოლი ამისი ბარბარე მიხეილის ასული
18. ძმა დავითისა მიხეილ
19. ცოლი ამისი ეფემია გაბრიელის ასული
20. ბიძაშვილი მიხეილისა იოსებ გაბრიელის ძე“[17].

---

[17] დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი, ინახება ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში.

სიის მიხედვით ჩანს, რომ შემდეგი წლებისათვის ოჯახი საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო, ამავე თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა დიღმის ხეობის სოფლებიც. მაგალითად, მოვიყვანოთ ორი სოფლის მასალა, ვეძისის (ბარის სოფელია) და ბევრეთის (მთის სოფელი), სულთა რაოდენობის შესახებ, ამავე საეკლესიო აღსარების მთქმელთა წიგნიდან:

1) „სოფელი ვეძისში მცხოვრები საბატონო ყმა":

1. ბერუა დიმიტრის ძე სახელაშვილი
2. ცოლი მისი მართა სვიმონის ასული
   შვილნი ამათნი:
3. ზაქარია
4. მეუღლე ამისი თინათინ გრიგოლის ასული,
5. იოსებ
6. მიხეილ
7. დიმიტრი
8. პავლე
9. მარიამ
10. ძმა ბერუასი სოლომონ
11. ცოლი ამისი ნინა გლახას ასული
    შვილნი ამათნი:
12. მათე
13. ვასილ
14. ბარბარა
15. ეფემია
16. ანნა
17. ძმა სოლომონისა გიორგი
18. ცოლი ამისი თინათინ ვასილის ასული
    შვილი ამათნი:
19. იოსები
20. ალექსი
21. სოფიო
22. ეკატერინა
23. პელაგია
24. ძმა გიორგისა ივანე
25. ცოლი ამისი ეფემია მიხეილის ასული
    შვილნი ამათნი:
26. ევსტატი

27. გრიგოლ
28. ტასია
29. ევა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2) სოფ. ბევრეთში მცხოვრები საბატონო ყმა —

1. გიორგი ივანეს ძე გოგიშვილი
2. მეუღლე ამისი სალომე გრიგოლის ასული
   შვილნი ამათნი:
3. ანდრო
4. ივანე
5. ანნა
6. მარიამ
7. თინათინ
8. ძმა გიორგის ბერი
9. მეუღლე ამისი მარინე სვიმონის ასული
   შვილნი ამათნი:
10. იაკობ
11. ნიკოლოზ
12. დავით
13. ივანე
14. პეტრე
15. ზაქარა
16. მარიამ
17. სოფიო
18. ბიძაშვილი ბერისა შიო ზურაბის ძე
19. მეუღლე ამისი ნინო ფრიდონის ასული
   შვილნი ამათნი:
20. ზურაბ
21. მაგდანი
22. ქეთევან
23. ელისაბედ
24. ძმანი ამათნი ღვთისვარა
25. ცოლი ამისი ნინა ოტიას ასული
   შვილნი ამათნი:
26. მიხაილ
27. ძმა ღვთისვარისა ბათლომე
28. მეუღლე ამისი ნინო იოსების ასული
29. ძმა ბათლომესი გრიგოლ

30. ძმა გრიგოლისა დიმიტრი
31. დედა ამათი ქვრივი ელენე მახარობლის ასული
32. ძმისწული ბერისა ეკატერინა იოსების ასული.
33. მელანია
34. დედა ამათი ქურივი დარია მახარობლის ასული[18].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ მოყვანილი საეკლესიო დავთრიდან ირკვევა, დარბაზული ნაგებობა დაკავშირებული იყო ერთობის ოჯახთან. თვითონ ხალხური გამოთქმაც—„ერთობის სახლი" ამის გამომხატველია.

XIX ს-ის 60—70 წლებისათვის, დიღმის ხეობის სოფლებში, შეიმჩნევა დარბაზულ ნაგებობებში ცვალებადობა. ეს ცვალებადობა შემდეგში გამოიხატება: იმ დროს როცა დარბაზში კერამ თავისი ფუნქცია ბუხარს დაუთმო, გვირგვინმაც თავისი დანიშნულება დაჰკარგა, თუმცა მოხატული „დედაბოძები" და შიდა მოწყობილობა, ისევ ძველებურ ტრადიციას აგრძელებს, მაგრამ ასეთ სახლზე გვირგვინი აღარ გვხვდება. ასეთი საცხოვრებელი სახლი, შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალ საფეხურად დარბაზულიდან ბანიანი სახლისაკენ. ასეთი საცხოვრებელი სახლებია მაგ., სოფ. დიღომში ხოსიტაშვილებისა და ქობელაშვილების საცხოვრებელი სახლი (იხ. სურ. 5, 6, 7, 8). ასეთ სახლში, კვლავ განაგრძობენ ცხოვრებას, ძმა-ბიძაშვილები და ასეთ სახლს კვლავინდებურად „ერთობის" სახლი ეწოდება.

XIX ს. საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ხანაა, რამაც ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას და ქალაქების სწრაფ ზრდას. ქალაქი თბილისიც ამ ხანიდან დღითიდღე იზრდება და ძველი ქალაქის ტერიტორიის, მახლობელი სოფლების ხარჯზე, ახალ-ახალი საცხოვრებელი უბნები ემატება. ეს კი ხელს უწყობს თბილისის სანახებში სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის, სახელდობრ, მებაღეობა-მებოსტნეობის დაწინაურებას[19]. სოფლის მეურნეობის ინტენსიურმა აღმავლობამ, ვაჭრობამ, ქირაზე გასვლამ ხელი შეუწყო ძველი ტრადიციული „ერთობის" სახლის დაშლას, რაც გამოიხატებოდა ოჯახის წევრების ცალკეულ სპეციალიზაციაში. მაგალითად, ოჯახის წევრი თუ „ერთობის" სახლში მევენახეობა-მებაღეობას მისდევდა, გაყრის შემდეგ იმავე საქმეს აწარმოებდა უფრო ფართოდ, ხოლო მეცხვარე—მეცხვარეობას განაგრძობდა. ამ გარემოებამ (გაყრამ) გამოიწვია ახალი საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო ნაგებობების წარმოშობა. მაგალითად, დიღმის ხეობაში ამ ხა-

---

18 დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარი.

19 ჯ. სონღულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, 1959, გვ. 149.

ნისათვის გახშირდა ბანიანი ნაგებობა, რომლის ოთხივე კედელი მიწის ზემოთ დგას და ზომითაც პატარაა, ასეთ სახლს დიღმის მასალების მიხედვით ძველი ბანიანი სახლისაგან განსხვავებით ეძახიან „ბანიანი“ სახლი ეწოდება და ასეთი სახლი განკუთვნილია ერთი „მამის“ სახლობისათვის. ასეთი სახლის შიდა მოწყობილობამაც განიცადა ცვალებადობა, ძველ „ერთობის სახლს“, თუ ჰქონდა მოხატული ორი „დედაბოძი“, ბანიან სახლში ეს აღარ



სურ. 5

გვხვდება და მთელი ბანი დამყარებულია ერთ დედაბოძზე და ორ საგვერდულის ბოძზე. ამავე დროს ბანიანი სახლის დედაბოძი, სადაა და მოუხატავი, „ერთობის სახლს“ თუ ახლდა ნაგებობაში თარო და მრავალი თახჩა, წალოები, ბანიან სახლში, ეს აღარ გვხვდება და თუ ზოგი მათგანი გვხვდება, მეტად მცირეა.

ბანიანი სახლი ბოლო ხანებში სახურავიან სახლად გადაკეთდა, რაც კარგად შეიმჩნევა საკვლევ რაიონში, მაგალითად, სოფ. დიღომში. ხშირად ბანიან სახლზე გვხვდება, „ცალკალთიანი“ სახურავი. მაგალითად.: ბანიან სახლს უკანა „საქარის“ კედელი ბანის ზემოთ 1 ან 1,5 მეტრის სიმაღლით არის აყვანილი, რომლის დასწვრივ, წინა მხარეს არის გაწყობილი სახურავი. ასეთ სახლებს დიღმის ხეობაში ვხვდებით XX ს-ის დასაწყისიდან, რის შემდეგაც „ცალკალთიანი“ სახურავი, გადაი-

1:50



სურ. 7.



სურ. 8.

ზარდა ორ და ოთხკალთიან სახურავიან სახლად. საცხოვრებელი ბანიანი სახლის ეს პროცესი 1956 წ. სამგორის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამაც დაადგინა, საიდანაც ჩანს, რომ „ბანიანი საცხოვრებლის მასობრივ გადაკეთებას აქვს ადგილი, რაც მისი ადვილად წყალგამტარი მიწური სახურავის ლიკვიდაციაში მდგომარეობს. ამ პროცესს ხალხი ბანის „წაქცევასა“ და სახურავის გადადგმას უწოდებს. ბანიან სახლს კრამიტის სახურავი ზოგჯერ ბანის „ჩაუქცევლად“ პირდაპირ გადადგმითაც უკეთდება“[20]. საინტერესოა ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა, ეს როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სამეურნეო ნაგებობასთან შედარებით, უფრო აქტიური ელემენტების შემცველია. იგი მუდმივ ცვალებადობასა და ზრდა-განვითარებაშია. საერთოდ, ახალი საყოფაცხოვრებო პირობები და მოთხოვნილებები პირველად მასზე ახდენს გავლენას. შემდეგ კი ცვლილებას ადამიანის საცხოვრებელთან ერთად სამეურნეო დანიშნულების ნაგებობაც განიცდის. ასეთ ვითარებას ვხვდებით დღეს დიღმის ხეობის სოფლებში. მაგალითად, ძველად დიღმელი გლეხის სუთიაშვილების კარ-მიდამო შემდეგს მოიცავდა: დარბაზს და მის გვერდით ნაგებობებს —მარანს, პურის ოთახს და სათონეს, ხოლო მის წინ—ბეღელს ან პურის ორმოს, ბოსელს, სათივეს, საბძელს, კალოს, საფიჩხეს და სამეურნეო იარაღების სათავსოს, დღეისათვის კი ეს ნაგებობები მთლიანად შეცვლილია. სუთიაშვილებს, „ნადარბაზევის“ გასწვრივ უდგათ ორსართულიანი შენობა, თავის სამეურნეო სათავსოებით, ხოლო ძველი სამეურნეო ნაგებობების ადგილას ბოსტანია გაშენებული, კერძოდ, ტარხუნა. სოფ. დიღმის ამ უბანში, ურწყაობის გამო, მეტარხუნეობას მისდევენ. ასეთსავე სურათს ვხედავთ დიღმის ხეობის სხვა სოფლებშიც.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ XIX ს-ის დასაწყისიდან სოფ. დიღომში ჩნდება „მოქალაქეთა“ სახლები. საერთოდ ცნობილია, რომ „ქალაქის ირგვლივ მდებარე ბაღები, რომლებიც დიდგვარიან თავადებს ეკუთვნოდათ, თანდათანობით სხვადასხვა მოქალაქეების ხელში გადადის. მაგალითად, XIX ს-ის 70-იან წლებში დიდუბის დიდი ნაწილი, მთხრობელთა გადმოცემით, თხილაძიანთ ეკუთვნოდათ, ნაწილი შერემეტიევის, მანთაშევისა და თამამშევის ხელშია, ხოლო ზემო დიდუბის ნაწილი გერმანელ კოლონისტთა ხელში იყო; საბურთალოს ბაღ-მინდვრები, დელისის ჩათვლით, გაბაშვილებს ეკუთვნოდათ. შემდეგ ხანებში კი ნაწილი საბურთალოს ბაღებისა გადადის სუმბათოვე-

---

20 ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სამგორის ახალი მოსახლეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. XIX და XXI, 1957, გვ. 23.

ბისა და გურგენბეგოვების ხელში, ხოლო ვერის ბაღები ოთხ ნაწილად ყოფილა გაყოფილი, რომლის უდიდესი ნაწილი ალაფიშვილებს ეკუთვნოდათ"[21]. ასეთსავე სურათს ვხვდებით დიღმის ხეობის სოფლებში კერძოდ, დიღომში, ვეძისში, წოდორეთში, ტაბარუკში და თელოვანში. ჩნდებიან მოქალაქეები, რომლებიც იძენენ ადგილობრივ თავადებისაგან ან კიდევ გლეხებისაგან მამულებს და აწყობენ პატარა მეურნეობებს, სადაც ჩნდება „მოქალაქეთა" საცხოვრებელი სახლები. თავიანთი სამეურნეო ნაგებობებით, რომლებიც ხასიათდება „ოთხკალთიანი" ან ორკალთიანი სახურავით, სოფლად მოქალაქეთა სახლების გაჩენა, რა თქმა უნდა, გარკვეულ როლს შეასრულებდა გლეხის სახლის რეკონსტრუქციაში. ასეთ სურათს ტოვებს დიღმის ხეობის სოფლებში არსებული საცხოვრებელი სახლის ტიპები, ახლა კი გადავიდეთ თვითონ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობასთან დაკავშირებულ შრომის პროცესებზე.

ს ა ხ ლ ი ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა. დიღმის ხეობის სოფლებში, „სასახლე" ალაგი ეწოდება შენობისათვის განკუთვნილ მიწის ნაჭერს. სადაც გამიზნულია გეგმის მიხედვით სახლის აშენება. დიღმის ხეობაში ჩაწერილი მასალების მიხედვით „სასახლე" ეწოდება დიდგვარიანი თავადების სახლებსაც, რომელთაც, გარშემო გალავანი აქვს შემორტყმული. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, თავდაპირველად „სასახლე" შენობის ასაგებად განკუთვნილი მიწის ნაკვეთი უნდა ყოფილიყო, როდესაც ამ საკითხს ეხება ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ მარტო დიდგვარიან აზნაურებს ჰქონდათ სასახლეები, მაგრამ სასახლე ყოველ გლეხსაც ჰქონია, საბუთებში სახლიცა და სასახლეცა გვაქვს. ასეთი შემთხვევების გამო სასახლეს რაღაც განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. რით განსხვავდება ის ნაგებობის მიხედვით, ნათელი არაა. როდესაც საბუთებში საგლეხო სასახლეზეა ლაპარაკი, ცხადია, სამეფო დარბაზის მსგავსი ის არ იქნებოდა, მაგრამ რაიმე განსხვავება უნდა ყოფილიყო სახლსა და სასახლეს შორის. ზოგ საბუთებში სიტყვა სასახლე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თითქოს ეს სიტყვა აღმნიშვნელი იყოს ადგილისა, სადაც შეეძლოთ სახლი აეგოთ"[22]. და სწორედ დიღმის ხეობის მასალების მიხედვით პირველ შემთხვევაში სასახლე და სახლი დიფერენცირებული ცნებებია; პირველი მათგანი ადგილის აღმნიშვნელია, ხოლო მეორე საცხოვრებელი ნაგებობისა.

---

21 ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, 1959, გვ. 136.

22 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1946, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე შემთხვევაში ხალხის გაგებით „სასახლე“, თავადის საცხოვრებელი ნაგებობის აღმნიშვნელი ტერმინია. დიღმის ხეობის სოფლებში, მიუხედავად იმისა, რომ სახლი ერთ მთლიან ნაგებობადაა წარმოდგენილი, აქ გლეხი, მაინც ხაზს უსვამს და ერთ ოთახს, სახლს უწოდებს, ხოლო ორ და სამოთახიან სახლს, „სახლებს“, აქაურ მეტყველებაში ხშირად მოისმენთ „სახლები ააშენა“ ან „სახლები იყიდაო“.

საცხოვრებელი სახლის ადგილის შერჩევას, მასზე სახლის აშენებასა და მოწყობას „დასახლება“ ეწოდება.

ივ. ჯავახიშვილი ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ „სახლის მნიშვნელობა ქართულში მრავალგვარი იყო. უძველეს დროითგანვე მოყოლებული გვაქვს ეს ტერმინი დღევანდლამდე შერჩენილი, მაგრამ თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ სიტყვას ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, ძალიან შესცდება. სახლი ჩვენ ეხლა მთლიან ნაგებობად გვესმის, ძველად კი ამ ტერმინის მნიშვნელობა სხვანაირად ესმოდათ. ძეგლებიდან ჩანს, რომ სახლი ნაგებობის ერთ ნაწილსაც ეწოდებოდა. ამასთანავე სახლის დანიშნულებაც განსხვავდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რისთვის იყო განკუთვნილი“[23]. მაგალითად, სახლები რომ დანიშნულებითაც განსხვავდებოდა, ეს კარგად ჩანს ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში, სადაც ნათქვამია რომ ...„შევქმენ საწირეს ქვითკირი ბოსელი: ა: და ზ~ა სახლი სამამასახლისოჲ :ა: და მარანი მუხისა :ა: და დავჰფალ შიგან ჭური :ი: და დავდგი ზ~და ბეღელი ხერხული :ბ: სხ~ჲ სახლი ცილოფისაჲ :ა: ზ~ა საჯუარე :ა: სხ~ჲ სახლი სამზარეულოჲ :ა: და შევქმენ ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანი :ა: და შევქმენ სხ~ჲ ბოსელი ქვითკირი :ა:“[24] ამ სიგელიდან კარგად ჩანს, რომ სახლი აქ ერთი მთლიანი ნაგებობა კი არ არის, არამედ მხოლოდ ზედა სართულს გულისხმობს, ქვეითას კი ბოსელს. ასეთივე სურათი გვესახება დღესაც დიღმის ხეობის სოფლებში, სადაც სახლთან არსებული სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, ცალკეა გამოყოფილი. მაგალითად: როცა ნაგებობას ასახელებენ აღნიშნავენ რომ: „სახლი ააშენა თავისი ბოსლითაო“, ან „სახლები ააშენა მარნითა და სარდაფითო“. ასეთია ტერმინი სახლის გაგების საკითხი დიღმის ხეობაში. ახლა გადავიდეთ მშენებლობასთან დაკავშირებულ შრომის პროცესებზე.

დიღმის ხეობის სოფლებში, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, სასახლე ალაგის შერჩევა მშენებელი ოჯა-

---

23 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. I, 1946, გვ. 20.

24 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 48.

ხის საგვარეულო უბანშივე ხდებოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგვარეულო უბანში, დასახლების სიმჭიდროვე ახალი მშენებლობის საშუალებას არ იძლეოდა, მაშინ ერთ უბნად დასახლებული გვარის წევრები, სოფლის თავისუფალ ტერიტორიაზე მკვიდრდებოდნენ და ახალ საგვარო უბანს ქმნიდნენ. ასეთი ახალი უბნები მრავალია სოფ. დიღომში. მაგალითად, გენებიანთ უბანი, ხუციანთ უბანი, ბოგველიანთ უბანი, მამადალაანთ უბანი, კოტორიანთ უბანი, ფეიქრიანთ უბანი და მრავალი სხვა.

სასახლე ადგილი, ხალხის დაკვირვებით უნდა ყოფილიყო მშრალი, მზვარე—მზიანი, მყუდრო ალაგი, ერიდებოდნენ „ჩრდილ“ ალაგს, რადგან, ხალხის დაკვირვებით, „ჩრდილმა“ ალაგმა ავადმყოფობა იცილო. იცოდნენ სასახლედ ლამაზი „თვალსაჩინო“ ადგილის შერჩევა. ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი შემდეგს აღნიშნავს: „როდესაც ადამიანი რაიმე ნაგებობის აშენებას განიზრახავდა, მაშინ, თუ ეს ნაგებობა ოდნავად მაინც საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო, საცხოვრებელი სახლიც რომ ყოფილიყო, პირველად შესაფერისი ადგილის მოძებნას შეუდგებოდა. ამ შესაფერისობის გამორკვევის დროს ორი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ. ჯერ ერთი, რომ ნაგებობა გამოსადეგი ყოფილიყო და მეორეც, შესახედავადაც ლამაზი და სასიამოვნო სანახავი გამოსულიყო. ნაგებობის მშვენიერებას, სილამაზეს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული საქართველოში“[25]. სასახლე ალაგის შერჩევის შემდეგ, დიღმის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობის პირობების მიხედვით, მშენებელი ოჯახი იწყებდა სასახლე ადგილის მოვაკებას. ფერდის მხრიდან, რასაც „ფერდის გადაღებას“ უწოდებდნენ. ფერდის გადაღების დროს, მშენებელი ოჯახი ცდილობს მიწისა და ფერდის ღრმად გათხრას, რადგან, მთხრობელთა გადმოცემით: „რაც უფრო ღრმადაა მიწაში სახლი, მით უფრო კარგია, რადგან მიწაში ღრმად ჩამჯდარი სახლი, ზაფხულობით გრილია და ზამთრობით თბილიაო“.

ფერდის გადაღებას დავაკების მიზნით ძველად „ქუეყნისა დავაკებაჲ“[26] ეწოდებოდა. ძველი საცხოვრებელი სახლის დარბაზის უკანა კედლები, ბანითურთ ყოველთვის მიწის პირთან იყო დაკავშირებული.

საერთოდ მიწის მოვაკებას წინ უძღოდა მშენებელი ოჯახის მიერ შემუშავებული გეგმა, რასაც დიღმის ხეობაში „თარგი“ ეწოდებოდა. სასახლე ალაგს, გადაზომავდნენ ნაბიჯით, ან აზომილი ჯოხით და ოსტატის თანდასწრებით, მშენებელი ოჯახის უფროსი აუხსნიდა თუ სად

---

25 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

26 ი ქ ვ ე, გვ. 94.

და რა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, ან რა მოცულობის იქ-ნებოდა ნაგებობის კომპლექსში შემავალი ესა თუ ის განყოფილება. მაგრამ ამავე დროს თვითონ ოსტატს ჰქონდა თავისი მშენებლობის გეგმა, რომელსაც სთავაზობდა სახლის მშენებელს და ხშირად მისი გეგმით შენდებოდა ბევრი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა. პროფ. გიორგი ჩიტაია, იხილავს რა ქვაბლიანის ხეობაში ძველი ტი-პის საცხოვრებელ ნაგებობებს, აღნიშნავს, რომ: „...სახლი წარმოდ-გენილია რთული კომპლექსის შენობად, რაც გვაფიქრებინებს, რომ შენობის აგების წინასწარი გეგმებიც უნდა ყოფილიყო ძველ დროში“.

ძველ საქართველოში ასეთი წინასწარი გეგმების არსებობას ადას-ტურებს მ. ჯანაშვილის მიერ ძველი ხელნაწერიდან გადმოღებული ახსნა-განმარტება ერთ-ერთი გეგმისა, რომელსაც დართული აქვს თან მომავალი შენობის სურათიც. ამ ხელნაწერიდან სანიმუშოდ მოგვყავს ზოგიერთი ადგილი. „ქ. მეორე სახლი იქნება სიმაღლით ორ ადლ ნახევარი და სიგანე გული ექნება სამი ადლი და კედლის სისქეს მო-აკლდება აქეთ და იქით თითო ჩარექი. ფანჯარა ექნება ასე ბრგვალი ნახევარი ადლი ჩვენებური და ცა დაექნება აგურით, როგორც ჩანს (სურათზე) ამ სახით. ეს მესამე სახლიც ამ მეორის სახლის ტო-ლი უნდა იყოს. ბუხრებიც დაატანეთ და ფეხის ადგილიც კოშკებს და ეს ზეით სახლები დაიხუროს ხითა.

ამ მესამე სახლზედ გრეხილ ქვეშ დაატანეთ თახჩა ანუ ქვა ბრელ-ში და ამ სახით დააწერეთ მსხვილი ასოებით: იღვიძებდით და ილო-ცევდით, რათა არ შეხვიდეთ განსაცდელსა“[27].

სასახლე ალაგის შერჩევის დროს მშენებელი ოჯახის უფროსი და-ინტერესებული იყო იმით, თუ რა ალაგზე იშენებდა სახლს, „ბედნი-ერი“ ალაგი იყო თუ „უბედური“, „ეშმაკიანი“; ხალხის რწმენით, „ეშ-მაკიან ალაგს, ავი ანგელოზი პატრონობს“, ხოლო ბედნიერ ალაგს, „კეთილი ანგელოზი“, ასეთ ადგილას: „კარგია, სახლის აშენება, ბარა-ქა და სიმრავლე იცის ოჯახშიო“ (დიღომი, მთხრობელი დარია სოზია-შვილი 80 წ.) „ავანგელოზიან ალაგზე სახლის აშენება ცუდია, ცუდი ფუძე ექნება, იცის სიკვდილიანობა, საქონლისა და მოსავლის უბარა-ქობა“-ო. ამ მიზეზით, მშენებელი ოჯახის უფროსი, აიღებდა სასახლე ალაგიდან მიწას, გაახვევდა ნაჭერში (ფესტამალში) და მკითხავს წაუ-ღებდა „სამკითხაოდ“, საიდანაც შეიტყობდა, მშენებელი ოჯახის წევ-რი, სასახლე ადგილი „კარგი ფუძისა“ იყო თუ არა. თუ კარგი ფუძი-სა გამოდგებოდა, იწყებდნენ საძირკვლის გაჭრას, თუ არა და უკიდუ-რეს შემთხვევაში, მოიწვევდნენ მღვდელს და სასახლე ალაგს „გაანა-

---

27 გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 140.

ავლინებდნენ". მთხრობელთა გადმოცემით ხშირად ასეთ ადგილს ტოვებდნენ კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური ხასიათის უნდა იყოს ძველი რომაელების წეს-ჩვეულებაც, რომელიც მშენებლობას ეხება. ვიტრუვის ცნობით სასახლეარად არჩეულ ადგილში გაუშვებდნენ ცხვარს, რომელსაც რამდენიმე დღის შემდეგ დაკლავდნენ და მის ღვიძლს გასინჯავდნენ და თუ გაშავებული იქნებოდა ღვიძლი, იმ ადგილას სახლს აღარ ააშენებდნენ[28].

ასეთსავე რწმენა-წარმოდგენებს ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მაგალითად, ხევსურთა რწმენით, ყველა სახლსა და მიდამოს ჰყავს თავისი ადგილის დედა-ანგელოზი, რომელსაც შეუძლია კაცის აშენებაც და დაღუპვაც. მათი რწმენით „კაცის სარჩოსი თუ ქონების, ოქრო და ვერცხლის, მასთან ოჯახის საქონლის: ძროხა, ცხენი, ცხვარი, ეს ყველა ადგილის დედის ხელშია; უნდა გაამრავლებს, ამ საქონელს, უნდა შეამცირებს". ამიტომაც ხევსური, როცა სახლდება ახალ ადგილზე, კლავს ადგილის დედის სახელზედ საკლავს, რათა ადგილის დედის გული მოიგოს და მათი ოჯახის მშვიდობა და საქონლის სიმრავლე უზრუნველყონ. ოჯახის უფროსი იწყებს ადგილის დედის დიდებას: „ღმერთმა ადიდოს შენი ძალი და სახელი ადგილის დედაო, ადგილის მომცაურო, სახლ-კარის მცველო ანგელოზო, გეველრები შენი მეპატრონე, შენ დამიცავი, დამიფარე ავი დღისაგან, ლადის მტრისაგან, მწარე სიკვდილისაგან. შენ გვაშორე კაცს, დიაცს. ქუდიან-მანდილოსანს ბოროტი და საზიანო საქმე, გვასწავლე სხვა ყუდრო შარა და ჩემი საქონელი კი ამყოფე ბარაქით, კარგად, შენ კი დიდებულო ადგილის დედა ანგელოზო დამიცავი ქამსაც და უქამობასაც და მომეცი მშვიდობა ოჯახშიო. მე კი გაძლევ სიტყვას ყოველ წელს მოგიყვან საკლავს და დავკლავ შენს ნიშსთან შენდა სადიდებლად და ჩემდა სამწყალობნელად. ადიდოს შენი სახელი ძლიერო და გულთამხილველო ადგილის და მთა-ბარის ყარაულო დიდებულო და დიდო ანგელოზო, ჩვენო სალოცავო ადგილის დედავ". ამ ლოცვისას ოჯახის პატრონი დაკლავს საკლავს და სისხლით ადგილს განათლავს (სოფ. გამარჯვება, მთხრობელი ბესარიონ გაბური, 1957 წ.).

ყველა ამ პროცესის ჩატარების შემდეგ დაიწყებოდა სახლის მშენებლობა, რასაც ესაჭიროებოდა საჭირო მასალის დამზადება და მშენებლობის ადგილამდე მიტანა. ამისათვის დიღმის ხეობის სოფლებში არსებობდა წესი მშენებელი ოჯახისათვის დახმარების გაწევის, რასაც სოფლეურად, „ულამი" ეწოდებოდა. ულამში ერთიანდებოდ-

---

[28] Витрувий, Десять книг об архитектуре, Москва, 1936 кн. I, стр. 31.

ნენ დასახმარებლად, არა მარტო ნათესავები და გვარის წევრები, არამედ უბანი და თვით სოფელიც. რაც უფრო დიდი იყო სოფელი ან უბანი, მით უფრო მეტი დამხმარე გამოდიოდა: ხალხი ძირითადად „ულამის“ დროს გამოდიოდა ურმებით, რომლებიც ეზიდებოდნენ საშენ მასალას, ქვას და ხე-ტყეს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ულამი-მრავალტკრთული გრძლად მომავალს“[29] ნიშნავდა. ულამს გარდა დიღმის ხეობის სოფლებში, არსებობდა კიდევ „დაძახილი“, რაც კედლის აშენებისა და სახლის დახურვის პროცესების დროს საჭირო დახმარებას გულისხმობდა. ასეთ მუშას, „ხელის მუშა“ ანუ „ხელის დამხმარე“ ეწოდებოდა. დაძახილის დროს, მშენებელ ოჯახს ეხმარებიან ძირითადად მოგვარენი, ნათესავები და მეზობლები.

სახლის მშენებლობის დროს დახმარების ანალოგიური წესები სრულდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. მაგალითად, სამგორის ველზე ივრის ხეობის სოფლებში ცნობილია ქვისა და ხე-ტყის მოტანა, ამავე დროს იცოდნენ ხორბლითა და სხვა პროდუქტებით დახმარება, რასაც მამითადი, ნაცვალგარდა ანუ ულამი ეწოდებოდა[30], ხოლო თრიალეთში თურქულ-ენოვან არათურქ მოსახლეობაში, ისე ქართველებით დასახლებულ სოფ. რეხაში და სომხებშიაც... მშენებლობის დროს დახმარების ამ ფორმას თურქული სიტყვა „ქომაგი“ ეწოდებოდა[31]. ხოლო ზემო ქართლში ამ ჩვეულებას „სეფე“ ეწოდებოდა.

ქვის მოჭრა და დამუშავება. სამზადისი მშენებლობისათვის, ქვის შეგროვებით იწყებოდა. დიღმის ხეობის სოფლებში, საშენ მასალად ძირითადად კლდის ქვას იყენებდნენ, რომელსაც ადგილობრივ მთის საბადოებში ჭრიდნენ. დიღმის ხეობაში ბევრია ისეთი საბადოები, რომლებიც ცნობილია შემდეგი სახელებით: „მილიხევის ქვა“, „ლურჯი“, მაგარი ქვის ჯიშია, „ქედსუკანის“ ქვა, აქ სხვა „ჯიშის ძარღვი“ მოდის და „მჭადა ქვის“ სახელით არის ცნობილი. ეს ქვა სალესადაც გამოიყენება. „ქვაბების თავის“ ქვა—მოლურჯო ქვის ჯიშადაა ცნობილი, „ღარათხევის“ ქვა და სხვა მრავალი წვრილი საბადოებია ამ ხეობაში, მაგრამ ძირითადი ქვის საბადოები აქ იყო და წარმოებდა ქვის დამზადება, ამ საბადოებს ხალხი „ქვის ქარხნებს“ ეძახდნენ, სადაც ქვის მჭრელები ამზადებდნენ გასაყიდ ქვას. ქვა იყიდებოდა „ურმობლივ“ და „საქენობლივ“. ქარხანა სპარსული სიტყვაა „ქარ—სპარსულად საქმეს ნიშნავს, ხანა — სახლს, სადაც რამეს აკეთებდნენ“[32].

---

29 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928.

30 ს. ბედუკაძე, მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

31 თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, 1960, გვ. 25.

32 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

ძველ ქართულში ქარხანას „სახლი სამსახურებელი ერქვა, შემდეგში საფარეშო და სულ ბოლო დროს ქარხანა ეწოდება“[33]. ქვის ქარხნებში მუშაობდნენ ქვის მჭრელი ოსტატები, რომლებიც დახელოვნებულნი იყვნენ ქვის მოჭრაში, ქვას სჭრიდნენ სპეციალური იარაღებით. ძველთა სიტყვით, „ქვის მოჭრას ცოდნა უნდა, თუ ძარღვი მოუნახე, მერე თვითონვე მოგყვება ხელშიო“. ქვის საჭრელ იარაღად იხმარება: ურო, რკინის კეტი, ჩაქუჩი, წერაქვი, სოლები. რკინისა და ხის. ხის სოლებს ამზადებდნენ ისეთი ხის ჯიშისას, რომელსაც სიმშრალის დროს შეეძლო შეკუმშვა და დასველების დროს „გაფუვება“ (მაგ., მურყანი, მდგნალი, შვინდლარწა), როცა კლდეში ბზარს შეიტანდნენ, გამხმარ ხის სოლებს დაარტყამდნენ და ზედ წყალს დაასხამდნენ, რის საშუალებითაც ხის სოლები გაფუვდებოდა და კლდეს ანგრევდა. ხის სოლებით კლდის ხეთქვა, საქართველოში გავრცელებული წესი ყოფილა. არა მარტო წყლის დასხმით, არამედ მშრალი წესითაც. მაგ., სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით „კლდის გაპობა იციან დასოლვითა და დამართხაფებით. კლდის დასოლვა სხვადასხვა სახის სოლით ხდება. მრავალფეროვანი თხელი ქვის ქანების წყობას ხალხი ფიქალებს ან სიპებს უწოდებს და რადგან ისინი ერთურთისაგან გამოყოფილი არიან ბუნებრივი „სახსრებით“, მათი დამუშავებაც იოლია ხის სოლების საშუალებით, ამ პროცესს ხალხი ფიქალის ან სიპების აყრას უწოდებს, აყრას აწარმოებენ მუხის გულისაგან გამოთლილი სოლებით, ქვას სახსარზე ჩაუჭედავენ რამოდენიმე სოლს და ხის ურითი (ქართულად ხვედა) სოლის თავებზე ურტყამენ“[34]. იცოდნენ ქვის მოჭრა, აგრეთვე აფეთქებით, რასაც „ლაღუმი“ ეწოდებოდა. მოჭრილ ქვას ხარისხის მიხედვით წყობისად აწყობდნენ საქენობრივ, „სხვილ კუთხის ქვას ცალკე და „ქეშაოს“ წვრილ ქვას ცალკე“.

მშენებელი ოჯახი საშენ ქვას ულამის დახმარებით მიზიდავდა დანიშნულ ალაგთან და ხარისხის მიხედვით ყრიდნენ, კუთხის მსხვილ მოსაპირკეთებელ და „ქეშაო“ ქვას ერთად, წვრილსა და ხურდა ქვას კი ცალკე. ხურდა ქვას ქართლის სოფლებში ლანჩა ქვა ეწოდება. ძველი ისტორიული წყაროების მიხედვით ქვებსაც სხვადასხვა სახელი ჰქონდა. სულ წვრილ ქვას კენჭი ეწოდებოდა: ქვა, კენჭი, ღორღი და ჭოჭყი სიდიდის მიხედვითაა გარჩეული. სიპი ქვა სპონდიო.

---

33 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

34 ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. XXII, 1961, გვ. 175.

წყლიდან ამოღებული ქვის სახელია. გვაქვს ლოდიც, ისიც სხვადასხვანაირი იყო: „შორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი“[35]. კუთხის ლოდს საკიდური ერქვა: „ჰა ესერა ოვალ-დებ საფუძველსა სიონისასა, ლოდსა ფ~დ პატიოსანსა რჩეულსა, საკიდურსა პატიოსანსა, საფუძველსა საფუძველთა მისითა ესაიას 28, 116:შიშკ). ქვაც სხვადასხვანაირი იყო. იყო ხმელი, ე. ი. დაუმუშავებელი ქვა და შემდეგ დამუშავებული. აღუქმნეს მას მთასა მაზე“[36]: სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ქვა შემდეგ სახეობებად იყოფა: „ქვაჲცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ სილა არს ქვა, ვითარცა გაცრილი; ქვიშა (ქჳშა) ხვარბალთა ოდენი; კენჭი — ცერცუთა ტოლი და უდიდესი; ღორღი არს ნამცურევი და კენჭთ უდიდესი, ვიეთნი ჭოჭყს უჴმობენ: ხჳნჭა (ღვინჭაჲ) არს კენჭი წყალთა შინა: რიყე არს ქვაქვიშა წყლის კიდურისა; კაჭარი არს უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვა; ლოდი არს ქვა დიდი: არძანი არს ქვა კაცთაგან აღებად საჭირო, მარილის ქვაჲც არძანად ითქმის: ბალავარი არს უდიდესი არძანისა, საძირკვლად დასადები კედელთათჳს; კარკალი არს ქვანი ლოდ-არძანნი სიმრავლით მიყრილი ვრცელად; კარკარი არს სალი წყლტუ კლდე; სალა არს ქვა ბრტყელი, ვაჟთა სამღერელი; ფიქალი არს ქვის ფიცარი; სპოხდით არს წყალთა მიერ ქვაქმნილი; სასრევი არს ქვა მახჳლთ აღმლესელი: სიპი არს ქვა გლუსუნი და ცეცხლში მტკრცოლელი; კოხი არს ქვა მქისე და ცეცხლში არ მტკრცოლელი; კაჟი არს ქვა ცეცხლის მშობელი; ქარწბია არს ქვა ჭიქის მსგავსი; გოხი არს ქვა ქვითკირისა მსგავსი, ვიეთნი სოდომის ნალეწს უჴმობენ:...“[37].

სამშენებლო ადგილზე მიტანილ ქვას ესაჭიროებოდა დამუშავება, რასაც „ქვის გათლა“ ეწოდებოდა. ქვის მთლელები თვითონ კალატოზები იყვნენ. ისტორიული წერილობითი წყაროების მიხედვით, „საღმშენებლო ხელოვნებას ძველ ქართულში ხუროობა ეწოდებოდა. იგი ორ დარგად იყოფოდა: იყო ქვით-ხუროობა და ხით-ხუროობა... ქვის ხურონი რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ. იყვნენ ქვის-მჭდელნი: „ქვის მჭდელნი მთასა შინა“ (საქ. მ. ხ. № 5—1 III მე-3, 5, 15): ქვის—მკუეთელნი (ქვის მკუეთელნი მთათა შინა“ (ბაქარ. II ნეშტ. 2,2). ქვათა მკუეთელნი (იქვე, 2,18), მკუეთელი ქჳსა მთასა“... ქვისმომჭრელნი: ქვისგამომკვეთელნი. თითოეულ ჩამოთვლილ ხუროთა ჯგუფს, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, ქვის ამოხდა, ამოღებას

---

35 ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს გეოგრაფია, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედაქციით, გვ. 43.

36 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

37 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, 1928.

ნიშნავს, ქვისმხდელიც, მაშასადამე, იმას ეწოდებოდა, ვინც ქვას იღებდა, ქვის მკეთებელი ის იყო, ვინც ქვას სტეხდა, მერე იყვნენ ქვის—მომჭრელნი და ბოლოს ქვის გამომკვეთელნი, როდესაც ქვა-ამოღებული იყო, მერმე მისი დაკვერვა წარმოებდა, ე. ი. საგანგებო იარაღებით ასწორებდნენ მის ზედაპირს, რასაც გამოკვერვა ეწოდებოდა. ხელოსანს, რომელიც კვერავდა, ეწოდებოდა კვერით ხურო, ანუ კვერით მომუშავე, შემდეგ იწყებოდა ქვისთლა. იყვნენ ხელოსნები ქვის—მთლელნი. შეიძლებოდა ერთი და იგივე ხელოსანი ყოფილიყო გამომკვერელიც და ქვის მთლელიც... კალატოზი იგივე ქვით-ხურო იყო"[38]. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ხუროომთლელიაო" და „ხუროვანზე-ქვათხუროზე მიუთითებს", ხოლო ქვათხურო—ქვის მთლელი ანუ კალატოზიაო"[39]. როგორც ზემოთ მოყვანილი წყაროებიდან მოჩანს „ქვით-ხურო ეწოდებოდა იმას, ვინც ქვით ან აგურით აშენებდა. აგურით აღმშენებელს", დასძენს აკად. ივ. ჯავახიშვილი, „შემდეგში კალატოზი ეწოდა, კალატოზი ჩვენ უკვე IX ს-ში გვხვდება, ხოლო ამაზე ადრინდელ ძეგლებში იგი არ მოგვეპოვება"[40].

დიღმის ხეობის სოფლებში, შეკრებილი მასალების მიხედვით, მშენებელი ოჯახი იწვევდა მცოდნე და კარგ კალატოზებს, რომლებსაც ცალკე მშენებლობის გარეშე ურიგდებოდნენ ქვის გათლა-დამუშავებაში. ან იყო შემთხვევა, რომ ქვის მთლელს, კედლების მშენებლობაზეც ურიგდებოდნენ, მოლაპარაკების შემდეგ იწყებდნენ, ქვის გათლა-დამუშავებას დანიშნულების მიხედვით, ქვის მთლელებს, მასალების მიხედვით დღეში სამჯერ აჭმევდნენ, „კარგი პატივი" უნდა ეცათ ოჯახს, თორემ სირცხვილი იყო, „ოჯახი დაიძრახებოდა", იტყოდნენ სახლს აშენებს და ხელოსნის პურის ჭამა არ შეუძლიან (ს. დიღომი. მიხეილ შიოშვილი, 76 წ.).

მშენებელ ოჯახსა და ქვის მთლელ ხელოსნებს შორის მოლაპარაკება წარმოებდა მშენებლობის ადგილას. ახლობელი შუაკაცის თანდასწრებით მორიგების შემდეგ კალატოზები იღებდნენ „ბეს". „ბეს" მიღებასთან და მორიგებასთან დაკავშირებით ოჯახის უფროსი აწყობდა ხელოსნების საპატივცემოდ პურის ჭამას, „რასაც „მაღარიჩის" დალევა ეწოდებოდა. დიღმის ხეობის სოფლებში ხელოსანი კალატოზები ადგილობრივი ან მოსული ხალხი იყვნენ. მოდიოდნენ, თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. მორიგება ხდებოდა ფულზე ან სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე: ხორბალზე, ქერზე, სი-

---

38 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93, 146.

39 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი.

40 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

მინდზე, ღვინოზე, საკლავზე და სხვა. მორიგება ხდებოდა ნარდად ან დღიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, „ქვას, ასამუშავებელ ბალ-ლად გამოყენებისათვის, წინასწარ დამუშავება სჭირდებოდა. ასეთ დასამუშავებელ ქვას „სამუშაკოი ქვაი“ ერქვა, მის მოსატანად საგანგებო „საზიდავი“ არსებობდა (აბუსერიძე ტბელი, ქვ~ბი 11, 113. ლ. შესახ. 43), ხოლო საშენი ქვის გასათლელად განკუთვნილი იარაღიც. რასაკვირველია არსებობდა, რომელსაც მაშინ ეწოდებოდა „ჭურ-ჭელნი ქვის სათლელნი“ (ჭურჭელი ძველ ქართულში იარაღს ნიშნავს. იარაღი ქართულში XII ს-ზე ადრე არ გვხვდება, წინათ მას ჭურჭელი ერქვა)“[41]. ქვის გათლა-დამუშავების შემდეგ, რომელსაც ხშირად მშენებლობის დროსაც აგრძელებდნენ შეუდგებოდნენ საძირკვლის ამოღებას. საერთოდ საკვლევი ხეობის სოფლებში, მშენებლობის და-წყება გაზაფხულიდან იწყება. ერიდებოდნენ წვიმიან და ცუდ ამინდს კედლები ვერ გაშრება დროზე და გაიბერებაო“. ამ მიზეზით იცო-დნენ კედლების „შესვენება“.

როცა მშენებელი ოჯახი დაიგულებდა საჭირო მასალას მშენებ-ლობის ალაგზე, დანიშნავდა საძირკვლის გაჭრის დღეს და ოჯახის ან ნათესავის პირით შეუთვლიდა მეზობელ-ნათესავებს, რომ „ამა და ამ დღეს საძირკველის გაჭრას ვიწყებო, რასაც „დაძახილი“ ეწოდებო-და. დანიშნულ დღეს ოჯახის უფროსი მშენებლობის ალაგზე მოწვეულ ხალხთან ერთად დაკლავდა საკლავს (იცოდნენ ცხვრის დაკვლა), ან-თებდა სანთლებს და სახლის ანგელოზის კვალობაზე შენახულ ზედა-შე ღვინით დალოცავდა სამკვიდრო ალაგს და სხვა ხალხსაც დაალოც-ვინებდა, შემდეგ მოწვეულ ხალხთან ერთად შეუდგებოდნენ საძირკ-ვლის ამოღებას. საძირკვლის ამოღება ხდებოდა „თარგის“ მიხედვით გაჭიმული ლარის გაყოლებით, რომლის სიგანე, ძველად ორი არშინი ყოფილა. ამ ცნობას დიღომში აგეგმილი დარბაზების კედლის სიგანეც გვიმოწმებს. რაც შეეხება საძირკვლის სიმაღლეს, არშინნახევარზე თხრიდნენ, ზოგჯერ მეტსაც. „ეს „ადგილმა იცოდა, სად როგორ სიღრ-მეს მოითხოვდა“. აღნიშნავენ მთხრობლები. საძირკველს იქამდის სთხრიდნენ, სანამ სიმაგრეზე არ დავიდოდნენ. საძირკვლის გათხრას შემდეგ მოყვებოდა „საძირკვლის“ ჩაყრა. საძირკვლის პირველ პირს ოჯახის წევრები აწყობდნენ.

ისტორიული წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე აკად. ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს რომ: „საძირკველს ჰქონ-და ქვაკუთხედი. ქვაკუთხედის დადებით იწყებოდა და იწყება ყო-

---

41 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

ველთვის საძირკვლის ჩაყრა და ამ ქვის ჩადებას ჩვეულებრივ საბა-ტიო კაცს სთხოვდნენ ხოლმე მშენებლები"[42].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხის ქვებს, ოჯახის უფროსი აწყობდა, ოთხივე კუთხეში ადგ-დეგ ამოვიდოდნენ და ქუდმოხდილი ოჯახის უფროსი ღვინითა და ახ-ოებული სამი სანთლით დაილოცებოდა და ახსენებდა დიღმის ხეობის მთავარ სალოცავებს. დიდგორს, თეთრგიორგის, ღვთისმშობელს და სიონს. ამ საწესჩვეულებო რიტუალის შესრულების შემდეგ ოჯახის უფროსი მისცემდა ვერცხლის ფულს, თავის ოჯახის წევრის რომე-ლიმე ბავშვს. მთხრობელთა გადმოცემით ბავშვი „სიყრმიშვილი" უნდა ყოფილიყო, ოჯახის უფროსი თან მკითხავისაგან შელოცვილ ოთხ აკა-კის ან ტყემლის ჯოხს მისცემდა და ნაგებობის ოთხივე კუთხეში აწყო-ბინებდა, გადმოცემით საძირკველში ვერცხლის ფულის ჩაყოლებას იმიტომ მიმართავდნენ, რომ „თუ რამე მავნე სული არსებობს, სასახ-ლე ალაგს დაეხსნასო", ხოლო ტყემლის ან აკაკის ჯოხების ჩაყოლე-ბა „ავი თვალისაგან" უზრუნველყოფას გულისხმობდა, ავ თვალს შე-ეძლო ოჯახის უბედურება გამოეწვია. მთხრობელთა გადმოცემით. „საძირკვლის გაჭრის დროს მტერიც იღებს მონაწილეობას და მოყ-ვარეც, მტერი თეთრ კბილს გიჩვენებს და შავ გულს, რა იცი რომ ბო-როტი განზრახვით საძირკველში ჯადო არ შააყოლოს, ამიტომ არის რომ შალოცვილ ტყემლის ჯოხებს აყოლებდნენ საძირკველში. თო-რემ ოჯახი შეიძლება ამოვარდეს კიდეცა. ბარაქა ამ ოჯახში ხომ აღარ იქნება, ყველაფერი უკუღმართულად წავიდოდა" (სოფ. თელოვანი, ფირუზაშვილი გიგო 75 წ.). ამ ბოროტი ძალის საწინააღმდეგოდ სა-ძირკველში, ღორის ტუჩის ჩატანებაც სცოდნიათ. ყველაფერი ეს კი მიმართულია: „ავი თვალის" წინააღმდეგ. მაგალითად, ტყემლის ჯოხის ჩატანება, ხალხის რწმენით, როგორც მჟავე ნაყოფის მომცემი მცენა-რე „ავ თვალსა" სჭრის და ძალა ეკარგებაო. ამ მიზნით ხშირად საქო-ნელსაც უკეთებენ ყელზე ჯვრის გამოსახულებით, რათა „თვალი არ ეცესო". ხოლო აკაკის ჯოხის ჩატანება ოჯახის მფარველ ძალასთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული, რადგან დიღმის ხეობის სოფლებში ხშირად ვხვდებით წმინდა აკაკის ხეებს, რაზედაც ხალხი ლოცულობს. და რა თქმა უნდა, ოჯახის ანგელოზთან ერთად წმინდა აკაკის ხის საშუ-ალებით ოჯახის მავნე სულები, ვერაფერს ვეღარ გააწყობდნენ, ხო-ლო რაც შეეხება საძირკველში ვერცხლის ფულის ჩატანებაც ოჯახის ეკონომიური აღმავლობისა და ბარაქიანობის შენარჩუნების მიზნით ხდებოდა.

---

[42] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

როცა ამ საწესჩვეულებო საქმეს მორჩებოდნენ, ყველა მოსული დამხმარე ხალხი, კალატოზებთან ერთად აწყობდნენ და ამოჰყავდათ საძირკველი. საძირკველს კუთხეებში ურჩევდნენ მაგარი ჯიშის ქვას, რომელიც სისველეს გაუძლებდა, ხოლო შუაგულში ატანდნენ წვრილსა და ნამტვრევ ქვას „კბილიან“ ქვას. საძირკველი მშრალად ამოჰყავდათ. შემდეგ, როცა საძირკველს, მიწის პირად ამოიყვანდნენ შეასწორებდნენ ყველა მხარეს, რის შემდეგაც დაიწყებდნენ „საფუძვლის“ დადებას. ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე, აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ყოველი შენობა ორ მთავარ ძირითად ნაწილს შეიცავს, საძირკველსა და საფუძველს, ჩვენ ეხლა ხშირად ვერ ვარჩევთ ამ ორ ტერმინს ერთმანეთისაგან, მაგრამ ძველად სრულებით ადვილი გასარჩევი იყო. საძირკველზე იყო დამყარებული საფუძველი, მაგრამ საფუძველს საძირკველი ვერ დაემყარებოდა. საძირკველის ჩაყრა შეიძლებოდა, საფუძვლისა კი დადება, ჯერ საძირკვლისათვის ამზადებდნენ ნიადაგს, გათხრა იქნებოდა საჭირო თუ ხელოვნურად ამოყვანა, შემდეგ იწყებოდა ჩაყრა ან აშენება და მერმე საძირკველი რომ ამოყვანილი იყო, იწყებოდა საფუძველი. ჩვენში საფეხურების მსგავსი იყო, რომელზედაც დამყარებული იყო შემდეგ კედელი“[43]. საფუძვლის დადებით იწყებოდა კუთხეების ამოყვანა, რასაც „სავალსა“ და „ამყოლს“ უწოდებდნენ, რაზედაც ხმარობდნენ კარგად დამუშავებულ გათლილ ქვას, საფუძველი გაჰყავდათ ერთი ლარით, კუთხიდან კუთხემდე, რაზედაც ხმარობდნენ თიხის ხსნარს „ტალახს“. საფუძველი ზომების მიხედვით, უსწორდებოდა ყველა ოთხ კუთხეს, თვით საფუძვლის დადებაც ხომ ამას გულისხმობს, რათა კედლები თანასწორი გამოვიდეს. ამიტომ, კალატოზები საფუძვლის ამოყვანის დროს შიმშის მეშვეობით თარაზოთი ასწორებდნენ, რასაც საფუძვლის „თარაზოში“ გამოყვანა ეწოდებოდა. კარგად ამოყვანილი საფუძველი კარგ და სწორ კედლებს აიყვანდა, რაც შემდეგ საქმეში ქვითხუროსა და ხითხუროს აღარ გააწვალებდა, მაშინ პატრონიც კარგი გამოყვანილი კედლებით კმაყოფილი რჩებოდა.

საფუძვლის ამოშენების შემდეგ, რომელიც ყველა მხარეს სწორი უნდა ყოფილიყო, იწყებდნენ კედლის მშენებლობას, რასაც „კედლის აყვანას“ უწოდებდნენ. კედელი საფუძველთან შედარებით ვიწრო იყო, მაგალითად, თუ საფუძველი 120 სმ იყო, კედელს 100—110 სმ დაიჭერდნენ. სოფ. დიღომში აგებული დარბაზების კედლის სისქე 108, 110, 120 სმ სიფართისაა. კედლის მშენებლობის დაწყებისას, კალატოზები, საფუძვლის ერთი მხარის თავსა და ბოლოში, შერჩეუ-

---

43 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

ლი კუთხის ქვებს დააწყობდნენ, რასაც კუთხის ამოყვანა ეწოდებოდა. კუთხეების ამოყვანის შემდეგ გასჭიმავდნენ ლარს, კედლის კუთხის სიგანეზე, ორპირად, ნახევარი არშინის სიმაღლეზე, [illegible] ზოთი გასწორდებოდა, რათა ორივე კუთხე თანასწორი [illegible] ყო. კედელი შენდებოდა ორპირად. გარეთა პირი შენდებოდა დამუშავებული ნათალი ქვით და შიგნითა პირი დაუმუშავებელი უბრალო ქვით, შუაგულში ყრიდნენ ხურდა — ლანჩა ქვას, რომელსაც შემდეგ ტალახით ავსებდნენ. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ძველად „კედელი იყო ცალპირი და ორპირი. ორპირს ჰქონდა საპირე და შუაგული ანუ სარჩული“[44]. მთხრობელთა გადმოცემით, კედლის მშენებლობაში მთავარი ყურადღება ქვის ოსტატურად გადაბმას ექცევა, თუ კარგად ვერ დააკავშირა ქვა გადაბმით ოსტატმა, შეიძლება კედელი გასკდეს და დაიქცეს, ამიტომაც მთავარ ყურადღებას კუთხეების ამოყვანას აქცევენ. საიდანაც მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს სახლის ყველა ოთხი კედელი. კედლის მშენებლობის დროს წინასწარ გათვალისწინებული იყო თუ სად უნდა დაყოლოდა კარები, ფანჯრები, თახჩები, წალოები, განჯინები და ბუხარი. ყველა ამ საჭირო სათავსოებისათვის, განსაკუთრებული დანიშნულების ქვის გამოყვანა იყო საჭირო. ზოგან თაღისათვის „კამარის გამოსაკვეთად“, ოსტატის დახელოვნებას საჭიროებდა, კარებისათვის საჭირო იყო ისეთი გრძელი ქვების გამოთლა და გამოკვეთა, რომლის მეშვეობით კარების ჩარჩო შიგნით მოექცეოდა და გარეთ აღარ გამოვარდებოდა. ამ დამუშავებული ქვის წყალობით, რაზედაც თაღი გადავიდოდა, თაღის გაკეთებას—თაღის ამოყვანას და შეკვრას უწოდებდნენ.

საერთოდ, თაღის გასაკეთებლად საჭირო იყო თაღის ჩარჩო, ძველად ამას კალაპოტი ეწოდებოდა. დავით აღმაშენებლის ანდერძში მხოლოდ ასეთი ტერმინია ნახმარი. თანამედროვე მეტყველებაში კი ჩარჩო იხმარება, რადგანაც თაღის ჩარჩოზე გადავლება (ქიზ.) ანუ გადატანა (გარ. კახ. 51) ანდა გადაყვანა (ქ. იმერეთი 37), თაღის გამოყვანა (ქ. იმერ. 37) და თაღის შეკვრა (ქიზ. 54, ქ. იმერ. 37) მარტო ამ ჩარჩოს დადგმით შეიძლება. ამგვარად, თაღის აგებისათვის ჩვენ გვაქვს რამდენიმე ტერმინი — გადავლება, გადატანა, გადაყვანა, გამოყვანა და ბოლოს თაღის შეკვრა. თაღის დამთავრების პროცესს თაღის შეკვრა ეწოდებოდა, ისე როგორც ძველად — კამარის შეკვრა[45]. იქვე კარების შესასვლელთან, რომელსაც ზღურბლი ეწოდებოდა, დებდნენ

---

44 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

45 ი ქ ვ ე, გვ. 102.

კარგად დამუშავებულ ოთხკუთხა ბრტყელ ქვას, რომელსაც მაგარ-ჯიშის ქვისაგან არჩევდნენ, ამ ქვაზე შემდეგ კარებისათვის საქუსლეს სჭრიდნენ, რათა შემდეგ ქუსლიან კარებს ემოძრავნა. უბრალო ობ-ლი ქვის დაგებას ერიდებოდნენ, რათა ადვილად არ გალეულიყო. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ზღურბლი—კარის ქუსლის დასადგმელი ადგილი ქუეითი და ზეითი"-ო. საერთოდ ეთნოგრაფიულ ყოფაში „ზღურბლს" ბჭეც ეწოდებოდა. ბჭე კი შესავალსა ნიშნავს. ს. ორბელიანის სიტყვით: „ეს არის სახლთა და ტაძართა შესავალი". ბჭეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა კარებთან და ხშირად ეს ორი სიტყვა ერთად იხმარებოდა. მაგ., „კარიბჭეჲ"[16] და ა. შ.

კალატოზები მშენებლობის დროს კედელში ატანდნენ გათლილ ბოძებს, ასეთი ბოძები იყო დედაბოძის თავხის საყრდენი ბოძი ორივე მხარეს, რომელსაც „საგვერდულის" ბოძები ეწოდებოდა. ასეთივე ბოძები იყო დატანებული თახჩებისა და წალოების გვერდით, რომელზედაც ბალიში იდებოდა და ბალიშზე კოჭებს აწყობდნენ. ასეთ ბოძებს „საყბეურის" ბოძები ეწოდებოდა. მაგალითად, სუთიაშვილების დარბაზის უკანა კედელს დატანებული ჰქონდა საყბეურის ბოძი. კედელში საგვერდულისა და საყბეურის ბოძების დატანება პრაქტიკულ დანიშნულებას ემსახურებოდა, რადგან ქართულ დარბაზს ან ბანიანი სახლის შიდა მოწყობილობას თუ გაეცნობა კაცი, დარწმუნდება რომ დარბაზის ოთხივე კედელი გამოყენებულია, სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებისათვის. კერძოდ, წალოები, განჯინები, თახჩები, ბუხარი და სხვა, რომელთა დატანება კედლის ძლიერებას საკმაოდ ასუსტებს. ბანის დაწოლა ამ შემთხვევისთვის სახიფათო იქნებოდა. ამ მიზნით, ყოველი სათავსოს ორივე მხარეს კედლის სიმაგრისათვის ასდევდა საყბეურის ბოძები, რომელზედაც გადებული იყო ბალიში, ხოლო ბალიშზე და კედელზე, ემყარებოდა კოჭები თავისი ბანის სიმძიმით (ტაბ. III, IV).

ამგვარად, კედელში ბოძების დატანება გარკვეულ პრინციპს ემსახურებოდა, რათა ბანის სიმძიმეს არ დაეღვია შესუსტებული კედელი, რომლის შესუსტებას იწვევდა სათავსოების დატანება. რაც უფრო მეტი სათავსო ჰქონდა კედელს, მით უფრო მეტი საყბეურის ბოძი ეტანებოდა სიმაგრისათვის, მაგრამ ეს იშვიათი იყო. უნდა ითქვას, რომ მრავალმა მასალამ გვიჩვენა, რომ საყბეურის ბოძების დაყოლება აუცილებელი არ იყო და პირდაპირ ბანის სიმძიმე კედლებს ეყრდნობოდა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, არსებობს აზრი, ძველ

---

46 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

ქართლურ საცხოვრებელ სახლს, კერძოდ, დარბაზსა და ბანიან სახლს, არ ჰქონდა კედლები, მხოლოდ უბრალოდ მიწაში იყო გაჭრილი მიწის კედლები ჰქონდა. სახურავი (ბანი) მხოლოდ თავხეებ-ბოძებს ემყარებოდა მაგალითად, „სამგორის ახალი მოსახლეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი", ავტორებს ს. ბედუკაძესა და მ. ჩართოლანს მოჰყავთ მთხრობლის სიტყვები და ასკვნიან რომ: „ჩვენი სახლები ბანიანი იყო, მიწა იყო გაჭრილი, მიწა იყო გვერდებზე, სხვა არაფერი. მიწაზე ხეები იყო გადებული, მთავარ ხეს თავხე ეწოდებოდა. თავხე იყო ბოძებზე. სულ სამი ბოძი იყო: ერთი შუაზე—დედაბოძი, მეორე და მესამე საგვერდულის ბოძები იყვნენ"-ო. ზოგის თქმით დარბაზში იყო ოთხი დედაბოძი. როგორც ჩანს, აქ თიხნარი მშრალი ნიადაგი უწყობდა ხელს მიწური სახლების კეთებას, ისევე როგორც ქართლში სხვა კუთხეებშიც ძველად ხშირი ყოფილა ამგვარი ნაგებობანი. განსაკუთრებით მცხეთისა და გორის რაიონებში-ო[47]. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ავტორებს, ქართლური მიწური სახლი წარმოდგენილი აქვთ უკედლოდ, რომელსაც მხოლოდ გაჭრილი მიწის კედლები აქვს და საყრდენად მხოლოდ დედაბოძი და საყბეურის ბოძებია გამოყენებული. ასეთი ბანიანი და დარბაზული სახლი, დიღმის ხეობის ეთნოგრაფიული ყოფისათვის უცნობია. ასეთი სახის ნაგებობა, მიწის კედლებით გვხვდება მხოლოდ სამეურნეო დანიშნულებით, რომელიც დროებით ნაგებობად ითვლება, რადგან რამდენიმე წლის შემდეგ მიწა იწყებს ჩამოქცევას და გვერდები ღიად რჩება. ასეთებია საღორეები და დროებითი ბოსელი. თუმცა გვხვდება შემთხვევები, რომ ასეთი ნაგებობა მარტოხელა მოსულ კაცს დროებით გამოეყენებინა საცხოვრებლად, მაგრამ მუდმივად წარმოუდგენელი იქნებოდა. მესამე წელს ახალი მიწური უნდა გაეჭრა, რადგან ბანიდან გადაქცეული წყალი გვერდებში ჩადის და თანდათანობით მიწის „ჭამას" იწყებს და, მით უმეტეს, დარბაზი უკედლოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. ქართლური მიწური, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მართალია, მიწის სიღრმეშია წარმოდგენილი, მაგრამ წინა კედელი ღიადაა, ხოლო გვერდითი კედლები ნახევრად მიწაშია მჯდომარე. მაგრამ მიწური უკედლოდ მაინც არ არის წარმოდგენილი, ამას დიღმის ხეობის ძველი ნასოფლარებიც გვიმოწმებს, თუნდ ავიღოთ დიღმის ხეობაში: თეთრაძიანი, მაჩხაანი, ნენავი, ნა-

---

47 ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სამგორის ახალი მოსახლეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—XXI—B, 1957, გვ. 22.

ქულბაქევი XVII—XVIII ს-ის ნასოფლარებია და მიწის დამუშავების დროს აღმოჩენილი ნასახლარები წარმოდგენილია ქვის კედლებით.

ეს არცაა საყურადღებო მაგალითი იმ დიდი და საინტერესო ფენომენების შესადარებლად, რაც ქართულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ ურბნისში, კერძოდ, „ქვაცხელების" (ტვლეპია-ქოხის) ნამოსახლარი, რომელიც თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულის შუახანებით, ე. ი. როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი. „მისი ზედა უკიდურესი თარიღი XXIV საუკუნეს აღარ უნდა ასცილდეს"[48]. სადაც გარკვევით მოცემულია უკვე ქვითა და ალიზით კედლის მშენებლობის ჩანასახი. იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ საცხოვრებელი სახლის ქვის კედლების გამოყენების ხნოვანებაზე მოვიყვანთ ამ ნამოსახლარის აღწერას.

...ქვაცხელების ნასახლარის ფენებში გათხრილი შენობები... საესებით ჩამოყალიბებული და გარკვეული ტიპისაა, მათ გეგმას უკვე გავლილი აქვს განვითარების ხანგრძლივი გზა და მიღწეულია მყარ მდგომარეობამდე. ზოგიერთი არქაული თვისებების მიუხედავად (მომრგვალებული კუთხეები, ერთი მთავარი საყრდენი სვეტი—„დედაბოძი", გადახურვის ძელების სიმრგვალე, წნული—ლასტის გამოყენება). შენობებს ახასიათებს ორნაწილედობა, ოთხკუთხედი მოყვანილობა. ბრტყელი ცენტრალურსარკმლიანი ბანური გადახურვა, დერეფანი და რთული კონსტრუქციული ნაწილები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ტიპის შენობას მოეძებნება როგორც პროტოტიპი—არქაული მეგარონი, ისე განვითარებული სახე—დარბაზული შენობა[49], რომელსაც ამიერიდან მყარი საფუძველი უჩნდება ადგილობრივ კულტურაში. ამ ფაქტს, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული სამშენებლო ხელოვნების ისტორიისათვის, არამედ თვით იმდროინდელი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხის შესწავლისათვის.

შენობის ამ ტიპის ტრადიციულობას მოწმობს მშენებლობის ხერხებისა და კონსტრუქციების დახვეწილობა, მეორე მხრივ ადგილობრივი სამშენებლო მასალების კარგი ცოდნა და გამოყენება. შენობის

---

48 ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, 1, 1962, გვ. 59.

49 E. Beil, The prehistorie architecture in the aegedn. 1. 1926 წ. გლეხის დარბაზი დიღომში; 2. ქართლის დარბაზი; 3. დარბაზი ერთაწმინდიდან, 1926; 4. დარბაზი წილკანსა და მცხეთაში, 1927 (ვ. ჩუბინაშვილის რედაქციით); 5. ლ. სუმბაძე, კოლხური სახლი ვიტრუვის მიხედვით, აკადემიის „მოამბე", 6, 1955.

აგება ხდება გარკვეული წესით: მზადდება სამშენებლო მოედანი—
რიყის ქვის უწესრიგო წყობით: იგება კედლის კარკასი—[illegible]
მაგრებული ლასტი და იდგმება საყრდენი სვეტი: ამის შემდეგ [illegible]
ფენა-ფენა ილესება იატაკი და კედლები ორივე მხრივ და კეთდება
ბანური გადახურვა.

ალიზის გამოყენება, როგორც ჩანს, უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა ნაგებობის გეგმასა და კონსტრუქციაში მას ჯერჯერობით გადამწყვეტი ცვლილება არ შეუტანია: კუთხეები ისევ მომრგვალებულია, რისთვისაც გამოყენებულია ლეკალური ალიზები, მაგრამ ამასთანავე გადაბმულია და დაწყობილია თიხის ხსნარზე. აქვე მოიპოვება კირის ხსნარის გამოყენების ნიშანი. ლასტზე მოლესილი ფასადის გასამაგრებლად მოხმარებულია თიხის ხსნარში არეული რიყის ქვით ამოვსილი ორპირა კედელი. შემაღლებისა და კიბის საფეხურის გასამაგრებლად და ასამაღლებლად ნახმარია წვრილი კენჭი, ზღურბლებში—საგანგებოდ შერჩეული, კედელში დატანებული დიდი ლოდები. კედლების შიდა შელესილობის გასამაგრებლად გამოყენებულია ჩასამაგრებელი წნელების ბადე—შენობების ინტერიერის მოსაპოვებლად იხმარება თიხის მეტისმეტად თხელი, გაკრიალებული ნალესი, რომელზედაც გარკვეულ ადგილებში დადებულია ფერადი ზოლები და დეფორმაციული სახეები[50].

თუ დიღმის ხეობაში ფიქსირებულ საცხოვრებელ ნაგებობას კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ კედელში ჩატანებული, საგვერდულისა და საყბეურის ბოძების დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ გააძლიეროს შესუსტებული კედელი, რომელიც სხვადასხვა სათავსოებით არის გადატვირთული, ამ ბოძებს რომ ეს დანიშნულება არ ჰქონდეს, მაშინ გვერდით კედლებსაც აღარ დაატანდნენ „ბოძებს", სადაც შედარებით ნაკლებია სახურავის დაწოლა. მაგალითად, წინა კარებსა და ფანჯრის კედლებს ხშირ შემთხვევაში ბოძები არა აქვს, და მთელი ნახევარი ბანის დაწოლა თითქმის მასზე მოდის, მაშინ რატომ არა აქვს ამ კედელს საყბეურის ბოძები, ეს კედელიც ხომ დანარჩენი კედლების შემაკავშირებელია? თუ ავიღებთ ბანიან სახლს, იქ სადაც სათავსოები კედელში ხშირი არ არის, საყბეურის ბოძებიც მხოლოდ იქ გვხვდება, სადაც სათავსოა დაყოლებული. თუ არა აქვს სათავსო კედელს, იქ ბოძები აღარ გვხვდება და სახურავის კოჭები ბალიშის მეშვეობით დაყრდნობილია კედელზე.

მთხრობელთა გადმოცემით დედაბოძების დანიშნულება ის იყო, რომ გვირგვინი და „შუაბანი" დაეჭირა. თუნდ ავიღოთ უკანა კედელი,

---

50 ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

იქ სადაც საყბეურის ბოძები შედარებით ხშირია. არა მარტო ბოძებს აწვება ბანის სიმძიმე, არამედ კედელსაც, რადგან კოჭის ბოლო ნაწილი კედელზე გადადის. ამრიგად, კედელიც ინაწილებს ბანის გარკვეულ სიმძიმეს, მაგრამ თუ გადავხედავთ ველზე აგებმილ ფიქსირებულ მასალას, დავინახავთ რომ ზემოთ მოყვანილი მტკიცება იმის შესახებ, რომ კედელს აწვება ბანი თუ ბოძებს, აქ მეორე აზრი არ არსებობს, რადგან საცხოვრებელ ნაგებობათა უმრავლესობას კედლებში საყბეურის ბოძები არა აქვთ დაყოლებული, მათ მხოლოდ ოთხი საგვერდულის ბოძი უდგათ თავხეების შესაყენებლად, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ბანის გარკვეული ნაწილი დამყარებულია კედლებზე (ტაბ. III, IV, XIII, XIV).

დავუბრუნდეთ ისევ მშენებლობის პროცესებს. კედლის მშენებლობა მიმდინარეობს წყება-წყება, კუთხიდან-კუთხემდის, ე. ი. ამყოლიდან-ამყოლამდე, რასაც ძველად „საკიდური" რქმევია. კედელს დიღმის ხეობის სოფლებში აშენებდნენ თიხამიწით, იშვიათად ქვითკირით. კედელს ძველად სხვადასხვა სახისას ასხვავებდნენ—იყო „ყორე უტალახო ლიტონის ქვით ნაშენს წარმოადგენდა. სკირა კი უკიროს, თიხითა და ქვით ნაშენს. ხოლო კედელი კირითა და ქვით ნაშენი იყო"[51].

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „ისტორიული ძეგლებიდან ჩანს, რომ საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა მასალისაგან აშენებული ნაგებობანი: არსებობდა კლდეებში გამოკვეთილი საცხოვრებელი სახლები და მთელი ქალაქებიც კი. წარმოიდგინეთ, ქართველ ისტორიკოსს ისე აქვს გათვალისწინებული საქმე, რომ უძველეს ხანში სწორედ ამას მისდევდნენო. შემდეგ გვაქვს ცნობები ჯერ უქვითკირო და მერე ქვითკირით აგებული ნაგებობათა შესახებ"[52]. ლეონტი მროველის სიტყვით, ქვითკირით მშენებლობა საქართველოში სპარსთა მეფის აფრიდონის წარმოგზავნილი ერისთავის არდამის დროს გაჩენილა. ისტორიკოსი მროველი აღნიშნავს, რომ „...არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვს-კარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების „დაჯშაკარი". და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვთკირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვთკირისა და ამის გამო დაისწავლეს ქვთკირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირი—ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდა ცხვრი არმაზისი ვიდრე მტკურამდე"[53].

---

51 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 148.

52 იქვე, გვ. 5.

53 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 13.

როგორც აღვნიშნეთ, ხსენებული ხეობის სოფლებში ძირითადად, კედლებს თიხამიწით აშენებდნენ, გამონაკლის შემთხვევაში გვხვდება ქვითკირის შენობებიც. აქ თიხამიწას სხვადასხვა ჯიშად ანაწილებენ ხალხის ცოდნა-დაკვირვებით, რომელ მიწასაც კირი და ქვიშა ურევია, ის თიხა კარგ საშენ ხსნარად ითვლება. „ძარღვიანი ტალახი იცისო". თიხამიწას ეზიდებოდნენ ურმებით, რომელიც ადგილობრივ სოფლებში ბევრნაირი სახის მოიპოვებოდა და ყველა მათგანი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. დიღმის ხეობის სოფლებში კედლის მშენებლობას, როგორც აღვნიშნეთ, გაზაფხულის დამლევს იწყებდნენ, როცა დღე საკმაოდ დიდი იყო და მზეც კარგად აცხუნებდა.

საერთოდ კედელზე 2—3 კალატოზს საზღვრავდნენ, ხოლო კალატოზის დამხმარე მომუშავე მუშას 10—12 კაცს ვარაუდობდნენ, აქედან თითო კალატოზს თითო „ქვის მიმწოდებელი" მუშა უნდოდა, ამ მუშას, ხშირად „დამხმარესაც" უწოდებდნენ: ქვის მიმწოდებელი მუშა, უნდა მარდი და გონიერი ყოფილიყო, კედლის საქმე უნდა სცოდნოდა, ისე რომ კალატოზს რა ქვა დასჭირდებოდა „კედლის ჩასაკეტად", იმას უნდა წინასწარ განესაზღვრა. შემდეგი მუშა იყო ტალახის ამრევი. არეულ ტალახს 2—3 კაცი ზიდავდა, „ჯინის მუშად" (ქვის მიმტანად) ორი კაცი იყო გამოყოფილი. ერთ კაცს წყლის მომტანად ვარაუდობდნენ. ეს მუშა ტალახის ამრევს ეხმარებოდა. ყველა ამ სამუშაოს ასრულებდნენ მეზობელ-ნათესავები, რიგრიგობით. თუ დამხმარე არ ჰყავდათ, მაშინ მუშას ქირაობდნენ.

კედლის მშენებლობის დროს იყენებდნენ შემდეგ იარაღებს— ლარს, გონიოს, შიმშას, თარაზოს, ქაფჩას, თაბახს, ჩაქუჩს, გირს ანუ სასწორს, ვარიოზს და ქვის სათლელ ჩაქუჩებს.

კედლის სიმაღლე დიღმის ხეობის საცხოვრებელი სახლების მიხედვით ისაზღვრებოდა 3,5 მეტრით. კედელზე მომუშავე ხალხს მშენებელი ოჯახი უმასპინძლდებოდა დღეში სამჯერ: დილით, შუადღისას და საღამოთი. დილის საჭმელად ივარაუდებოდა ყველი, მშრალად მოხარშული ხორცი, ან „სველი" კერძი, სასმელად არაყი. შუადღისას „ხორცის კერძი" და სხვა რამ სატანი. დასალევად თითო კაცზე ივარაუდებოდა „თითო ჩარექა ღვინო". ასევე საღამოთი, სველი ან მშრალი საჭმელი და „თითო ჩარექა ღვინო", კაცის თავზე. ამიტომაც, როცა მშენებელი ოჯახი, სახლის შენებას იწყებდა, წინასწარ იმარაგებდა მუშისათვის საჭირო საკვებს, თუ სახლში არ მოეპოვებოდა. მაგრამ ყველა ოჯახს, საკლავი სახლში ჰყავდა და მხოლოდ ბაზარში „თევზეულის" საყიდლად მიდიოდნენ. კედლის მშენებლობის დროს იკვლებოდა ცხვარი ან ხბო, პური ცხვებოდა ყოველ დღე, ან ორ დღე-

ში ერთხელ... ღვინოც, წინასწარ განსაზღვრული იყო ამ სიქმისათვის. ქათმის დაკვლა, ხელოსნებისათვის, აუცილებელი იყო, ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლების დამთავრების შემდეგ, ოჯახის პატრონი, საერთო პურის ჭამას გამართავდა, კალატოზების საპატივცემოდ, რასაც „კედლების დამთავრების მაღარიჩი" ეწოდებოდა. ამ დროს უნდა მომხდარიყო ანგარიშგება პატრონსა და კალატოზებს შორის, მორიგებისდაკვალად, სადაც იტყოდნენ „ამღებს მშვიდობაში (ხელოსნების ფულზე) და პატრონს სიხარულში", დალოცავდნენ ერთმანეთს და პურის ჭამის შემდეგ ხელოსნები თავისუფლები იყვნენ იქამდე, სანამ დურგლები კოჭებს არ გააწყობდნენ, მერე კი „ლაბიერს" შემოუვლიდნენ და ამით თავდებოდა კედლის მშენებლობა.

ზემოთ მოყვანილი პროცესი გვიჩვენებს, იმას თუ რა საფეხურის გავლა სჭირდებოდა კედლის ამოყვანას, ეისი ირულყოფისათვის, წარმოდგენილი აღწერილობის შეჯამების მიხედვით. ირკვევა, რომ კედლის მშენებლობა ხუთი ძირითადი ეტაპით განისაზღვრებოდა:

1. სასახლე ადგილის გაჭრა და მოსწორება.
2. საძირკვლის გათხრა და ამოყვანა.
3. საძირკველზე საფუძვლის დადება და გასწორება „შიმშაში".
4. საფუძველზე კედლის დაყენება და თანდათანობით აყვანა, გეგმის მიხედვით და ბოლოს,
5. ლაბიერის შემოვლება, რითაც მთავრდება კედლის მშენებლობა.

ხე-ტყის დამზადება და დამუშავება. დიღმის ხეობის სოფლებში ხე-ტყის დამზადება ადგილობრივ ტყეებში ხდებოდა. სამასალე ხის მოჭრას ძირითადად შემოდგომის დამდეგს აწარმოებდნენ, როცა „ხე დაპურდებოდა". დაპურებული ხის მოჭრა ხალხის დაკვირვებით კარგი იყო, ხე არ დაიბრიცებოდა და კარგად დამუშავდებოდა. ხე-ტყეს ჭრიდნენ ძველ მთვარეზე, ახალ მთვარეზე ხის მოჭრა არ შეიძლებოდა, „ჭია იცისო", სანამ არ გამოიხუთშაბათებდა[54], ტყეში არ წავიდოდნენ მასალის დასამზადებლად. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ხის მოჭრის ვადებს კლასიკური არქიტექტურის ავტორებიც წელიწადის გარკვეულ დროში ათავსებენ. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს ვიტრუვის დარიგება, რომლის მიხედვითაც ხე უნდა მოიჭრას შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში, რადგან ხის ტანი ამ დროს იბრუნებს მთელ ძალას ფესვებიდან, რომელსაც ვაზაფხ-

---

54 ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, 1964, გვ. 79.

ულ-ზაფხულში ხარჯავს ფოთლებისა და ნაყოფისათვის, მაგ. თქმა ხე უნდა მოიჭრას იმ დროს, როცა მასში წვენი ნაკლებად არის. წვენი შემდგომში ხელს უწყობს ჭიის გაჩენას და ხის მასალის ... ხალხური რწმენის მიხედვით ტყეში საჭმელად რძის ნაწარმის წაღებას ერიდებოდნენ და არც სახლში შესჭამდნენ", „თეთრეულის ჭამამ ჭია იცისო" იტყოდნენ. თეთრეულად სახავდნენ: რძეს, მაწონს, კარაქს, ყველს, ერბოს, დომხლის შეჭამანდს და სხვას.

სახლის სამასალედ, აღნიშნულ ხეობაში, ძირითადად მუხას ხმარობდნენ, ტყეში მიდიოდნენ არა მარტო მშენებელი ოჯახის წევრები, არამედ, დასახმარებლად მეზობელ-ნათესავებიც. მოჭრილ სამასალე ხეს, ადგილზე „გამოკვერცხავდნენ" და ყევარი ხარ-კამეჩით „თუშებით" გამოჰქონდათ ტყიდან, ხოლო სახლში ურმებით ეზიდებოდნენ სამშენებლო დანიშნულების ალაგას, სადაც ხდებოდა ხის გათლა, „გაქერქვა". გაქერქვის შემდეგ, იწყებოდა ნედლად მოჭრილი ხის დამუშავება, დანიშნულების მიხედვით. საბოძე მასალას სწორედ ამუშავებდნენ, ხოლო საკოჭესა და თავხეებს, წელში მოხრილს „მგლისზურგულად". ასეთ დამუშავებულ კოჭს, მეტი სიმაგრე ჰქონდა და ადვილად უძლებდა დიდ სიმძიმეს, ვიდრე პირდაპირ სწორედ დამუშავებული კოჭი. ხე-ტყის მასალის დამუშავება ხდებოდა მჭრელი ცულითა და ხელეჩოთი. დამუშავებულ მასალას, მზეზე არ დაყრიდნენ. აწყობდნენ ჩრდილში, ხშირად მასალას ათავსებდნენ საბძელში, სადაც აწყობდნენ საგანგებოდ ხარიხებზე, რათა შიგნით ჰაერს ემოძრავა და მასალა გამომშრალიყო. ასევე იქცეოდნენ დედაბოძების, თავხების და ბალიშის დამუშავების დროს, ამ სამ ნაწილს, გამოცდილი ოსტატი ამუშავებდა, რომელსაც მასალა საგანგებოდ გამოჰყავდა. ხეტყის დამუშავების შემდეგ ოსტატი იწყებდა დედაბოძისა და თავხებალიშის მოხატვას, რომელსაც ოსტატი წინასწარ ხაზავდა, საჭრეთლით ან ნახშირით. გამოყენებული იყო აგრეთვე ამოწვაც. შემდეგ საჭრეთლისა და ხვედას დარტყმით სჭრიდა სხვადასხვა სახის ორნამენტებს. დედაბოძს ნედლ ხეზე მოხატავდნენ, ხმელი ხე, ისიც მუხა, ძნელი დასამუშავებელი იყო და ამიტომაც მთელი მასალის დამუშავება ნედლად ხდებოდა. დიღმის ხეობის სოფლებში ძველი საცხოვრებელი სახლების შესწავლამ ცხადყო, რომ ტყის მასალად იყენებდნენ მაგარი

---

[55] Витрувий, Десять книг об архитектуре, книга II, IX, Москва, 1936; თ. ჩიქოვანი, ზემოაჭარული სახლი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1960, გვ. 64; მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, ხელნაწერი, გვ. 36, 20; ჯ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78—80.

ჯიშის ხეს, მუხას, რომელიც განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა ყოფაში. ამ ამბავს ხალხური ლექსიც მოწმობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ჭირიმე, შენიო,
სახლი ვინ აგიშენაო.
მუხის გული ვინ დახურა
თარო ვინ დაგიმშვენაო.

მუხის სიმაგრის გამომხატველია აგრეთვე ქართული ხალხური ანდაზა: „სახლი დაინგრაო და მუხამ იკითხა:—ჩვენი ძმები იქ იყვნენო? არაო, იმიტომ დანგრეულაო“, უთქვამს მუხას. დაუმუშავებელ ხე-ტყეს ძველად ხელოსანი დურგლები ამუშავებდნენ, დიღმის ხეობაში არა მარტო ადგილობრივი ხელოსნები იყვნენ, არამედ მოსულებიც მრავალნი ყოფილან. მაგ., სოფ. დიღომში დურგლები მოდიოდნენ თბილისიდან, გორიდან და დასავლეთ საქართველოდან. სხვათა შორის, ცნობილია ის ფაქტი, რომ XIX ს-ის დასაწყისიდან თბილისში თავს იყრიდა საშოვარზე მოსული მუშახელი[56], ამ მუშებში ხელოსანი დურგლებიც მრავლად ყოფილან.

ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ დურგალს ხურო ეწოდებოდა, როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „სააღმშენებლო ხელოვნებას ძველ ქართულში ხუროობა ეწოდებოდა, იგი ორ დარგად იყოფოდა: იყო ქვითხუროობა და ხითხუროობა, ქართულ სააღმშენებლო ხელოვნების საფუძველს ხითხუროობა წარმოადგენდა და ქვითხუროობის ტრადიცია იქითგან მომდინარეობს“[57]. საერთოდ ცნობილია, რომ ხითხურო ცალკე ხელოსანს წარმოადგენს, რადგან ხის აღმშენებლობას თავისი განსაკუთრებული თვისებები ჰქონია.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დურგლებს, მშენებელი ოჯახის პატრონი, შუაკაცის მეშვეობით, აცნობდა ნაგებობას და სამუშაოს მიხედვით აწარმოებდნენ მორიგებას. მორიგება ხდებოდა ფულზე ან სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. მორიგების შემდეგ ოჯახის პატრონი აძლევდა „ბეს“ დურგლების უფროსს, რომელსაც ხშირად „უსტაბაშს“ უწოდებდნენ. მორიგებასთან დაკავშირებით „პატარა მაღარიჩსაც შესვავდნენ“. ადრე „მაღარიჩს“, „ტომბახი“ რქმევია. დიღმელი იოსებ ხოსიტაშვილის გადმოცემით (რომელსაც მამისაგან ჰქონდა გაგონილი), მათი დარბაზული სახლის დახურვაში სამ ოსტატს უმუშავნია, რომლებსაც საქმე ნარდად აუღიათ და სახლის და-

56 ჯ. სონღულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, 1959, გვ. 160.
57 ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

ხურვაში 28 მანეთი მიუღიათ. დარბაზის დახურვა მოუთავებიათ ორმეტ დღეში. ამათ უნდა „გაეთალათ მასალა კიდეც". დედაბოძები უნდა „დაეხატნათ" და დაეფარებინათ. ხელოსნები ქართლიდან, ერთაწმინდიდან ყოფილან (სოფ. დიღომი, მთხრობელი იოსებ ხოსიტაშვილი, 76 წ. ცნობა ჩაწერილია 1959 წ.) იხილეთ ამ სახლის გეგმა, ჭრილი, და დედაბოძი (სურ. 7,8, ტაბ. V; ტაბ. XV; ტაბ. XXVII; და XXVIII).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ხელოსნები სახლის დაფარების დროს ნარდად ჰყავდათ დაქირავებული, მათ მაინც წესის მიხედვით დღეში სამჯერ აქმევდნენ საჭმელს „არყით და ღვინით".

ხელოსნების „დაჭერა" დღიურადაც ხდებოდა, რაც ხელფასს გარდა, „დღეში სამჯერ პურის ჭამას" გულისხმობდა. დღიურ მუშას უფრო მეტი პატივი სჭირდებოდა, ვიდრე ნარდად მორიგებულ ხელოსნებს.

სახლის გადახურვა. კედლების დასვენების შემდეგ, რომელიც გარკვეულ დროს მოითხოვდა, იწყებდნენ „ბანის გამართვას". ბანის გამართვა ხდებოდა დედაბოძების დაყენებით, სახლის მთელი ფართი (თუ დარბაზი იყო) სამ ნაწილად იყოფოდა ზომის მიხედვით. სახლის შუა ნაწილში გვირგვინი ივარაუდებოდა და ამისათვის ანგარიშობდნენ დედაბოძის ცენტრს, სადაც სვამდნენ დამუშავებულ ოთხკუთხა მაგარი ჯიშის ორ ქვას, რაზედაც დგამდნენ დედაბოძებს. დედაბოძზე დგამდნენ ბალიშს, რომელიც მაგრდებოდა ბოძში დატანებული სოლით, ბალიშებზე დგამდნენ თავხეს, რომლის ბოლოები საგვერდულის ბოძებს ეყრდნობოდა და კედლებზეც გადადიოდა.

დედაბოძისა და თავხეების დაყენების შემდეგ იწყებდნენ კედელზე ბალიშების დალაგებას, რომელიც ბრტყლად დამუშავებულ სქელ ფიცრებს წარმოადგენდა. ბალიშების განლაგების შემდეგ უკანა კედლიდან აწყობდნენ კოჭებს, რომლებიც „მგლისზურგულის" წესით იყო დამუშავებული, ესე იგი კოჭის შუა ნაწილი, დამუშავების დროს, აზნექილი იყო, რათა სიმაგრე მეტი ჰქონოდა და ბანიც ტექნიკური მოსაზრებით აზნექილი რჩებოდა, წვიმის წყალს ბანი არ დაიკავებდა და გვერდზე გადაიქცეოდა. „მგლისზურგულის" მეთოდით კოჭის დამუშავება ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის სოფლებისათვის იყო დამახასიათებელი. ასეთი მეთოდით ხის დამუშავება და ბანის მოწყობა გარე კახეთის სოფლებშიაც გვხვდება (მგლისზურგულად კოჭის გაწყობა გვხვდება დარბაზულ გვირგვინიან სახლზე და

ბანიან მიწურ სახლზე (იხ. სურ. 9, 10, ტაბ. IX, X, XI, XII, XIII, XIV, XV, XVI).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლისზურგულით ბანის გაწყობა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, მაგრამ ეს ხალხური მეთოდი, რომელიც მრავალი საუკუნის დაკვირვებათა ნაყოფია, უბრალო მონაპოვრადაა აღიარებული, მაგალითად, სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ბანიანი სახლი



სურ. 9

სამგორის ველზე გვირგვინით, ანუ როგორც აქ სხვაგვარადაც იტყვიან „მოქცეულიო“, შედარებით იშვიათი იყო. უმრავლესობა მხოლოდ უბრალოდ — „მგლიზურგულით იყო ნაკეთები, ბანი გვერდისაკენ ოდნავ დაქანებული უნდა ყოფილიყო, რათა წყალი არ ჩამოსულიყო“[58]. მგლისზურგულად კოჭის დამუშავება, ქართველი ხალხის მრავალი წლის პრაქტიკული დაკვირვების მონაპოვარი უნდა იყოს, რომელიც სახურავს (ბანს), გარკვეულ ფორმას აძლევს. წვიმის წინააღმდეგ და ამავე დროს ის გაცილებით (ორჯერ) მეტ დაწოლას უძლებს, ვიდრე სწორედ დამუშავებული კოჭი, რაც მთავარია, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე გამოყენებულ „მგლისზურგულად“ გადახურვის ამ მეთოდში დაცულია თაღური მშენებლობის საწყისების პრინციპი.

---

58 ს. ბ ე დ ო ვ ა ძ ე, მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

კოჭები ლაგდება, თავხიდან კედელზე, კოჭიდან კოჭამდის, მან-ძილს ძველად „არშინს“ ანგარიშობდნენ, კოჭების დალაგების შემდეგ, აწყობდნენ ჭერს ანუ როგორც დიღმის ხეობის სოფლებში ეწოდებოდა „ჭერის ფიცარს“, ჭერის ფიცრის დალაგების შემდეგ, ზედ აყრიდნენ



სურ. 10

„ნაჩორკნ ნაფოტს“ და შემდეგ ბზეში გარეული თიხა-ტალახით გადა-ლესავდნენ, რასაც „ჭერის დატალახება“ ეწოდება.

უკანა „უბის“ დამთავრების შემდეგ, დურგლები იწყებენ შუა-უბის დაფარებას, სადაც ეწყობა გვირგვინი. გვირგვინს აწყობენ ცენტრში, ამ მიზნით თავხეებზე გასდებენ ორ-ორ დირეს, დირეებიც ისე იყო მგლისზურგულად დამუშავებული როგორც კოჭები, დირე-ების გაწყობის შემდეგ, კედლიდან დირეზე აწყობდნენ კოჭებს, ორი-ვე მხარეს. კოჭის ერთი თავი დაყრდნობილი იყო ბალიშზე, მეორე — დირეზე. შემდეგ დირეების გარდიგარდმო აწყობდნენ ორ კოჭს, რომლის თავი და ბოლო ჩაჭრილი იყო და დირეში ჯდებოდა, ასევე მეორე მხარეს აწყობდნენ საპირდაპირო კოჭს, შემდეგ დირეების მხრი-დან და ასე შემდეგ, გვირგვინი ადიოდა სიმაღლეზე ოთხკუთხედად, რომელიც თანდათანობით ვიწროვდებოდა და იკვრებოდა. გვირ-გვინს დიღმის ხეობის სოფლებში „სანათური“ ეწოდებოდა, ზოგჯერ მის შესატყვისად „ერდოცა“ და „საკვამურიც“ გვხვდება.

„ერდო თანამედროვე ქართლურ ხალხურ მეტყველებაშიც შერჩენილი სიტყვაა და ნაგებობის გარკვეული ნაწილის ტერმინია. იგი ცნობილია ამიერ- იმიერსაქართველოში და მისი რეალური რაობაც ყველგან თითქმის ერთნაირად ესმით. მაგ., ქართლური გახმარტებით ერდო იყო კვამლის ასასვლელი ამონაჭერი ბანში (ქართ. 10). ზემო იმერული ცნობითაც ერდო იყო კერის თავზე სახურავის შუაში გაკეთებული ფიცრის საკვამლე, რომელსაც თავკვეთილი პირამიდის მსგავსი სახე ჰქონდა (ზ. იმ. სვ). მეორე, იქაურივე მოთხრობით ერდოს ასე აკეთებდნენ: შეჰკრავდნენ ჭერს და ზევით კვამლის ასასვლელს დაუტოვებდნენ, რომელსაც დირეებზე მოაწყობდნენ ხოლმე და ამნაირად სათავეს აცილებდნენ, თვით სათავე შუაზე იყო ხოლმე გაჭრილი. და ერდოს კედელში აქეთ-იქით შედიოდა (ზ. იმერ. 9,—3, 14; ჩანახ.) ერდოს ჰქონდა ფუძე (იქვ. ფ), იქ მას სამერცხლე ეწოდება (იქვე).

ნაგებობას, რომელსაც ერდო ჰქონდა, ერდოიანი ეწოდებოდა ზემო იმერეთში და სხვაგან, ყველგან საქართველოში, ერდოიანი სახლი არსებობდა (ზ. იმერ. 13), ზემო რაჭაში კი შვიდერდოიანი ციხეც—კი იყო (ზ. რაჭ.)“[59].

ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურის მონაცემების მიხედვით დარბაზის გვირგვინები სხვადასხვა სისტემისა გვხვდება, მაგალითად, „...ქვაბლიანის გვირგვინი ოთახის კედლებიდან იწყება, ქართლის დარბაზის გვირგვინი კი ოთახის თითქმის შუა გულიდან ადის, ოთახის კედლებიდან შორს მდგარი დედაბოძებიდან. ამიტომ ქართლური გვირგვინები, შედარებით ქვაბლიანურთან, ზომით უფრო პატარაა და ოთახის დაშუქებაც სუსტი აქვთ“[60]. გვირგვინი ქართულ-საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი ისტორიული წყაროების მონაცემების საფუძველზე გვირგვინის შესახებ შემდეგს აღნიშნავდა: „გვირგვინი, რომელიც ქართული დარბაზის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს, ყოფილა უკვე იმ დროს, ე. ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ადრინდელ ხანაში, ამას იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ დარბაზი და გუმბათი ქართული ტერმინები არ არის, სპარსულია, რომ მათ მაინც რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდათ სპარსულთან... ვიტრუვის აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ გვირგვინები, ყოფილა ჩვენში უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ერთი საუკუნით ადრე მაინც. ცხადია, რომ არც დარბაზის სპარსულობას და

---

59 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

60 გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 147; გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, გლეხის დარბაზი დიღომში, ტფ., 1927.

არც გუმბათის იქიდანვე მომდინარეობას არავითარი ანგარიში არ შეიძლება გაეწიოს ამ საკითხის, სახელდობრ—გუმბათის მსგავსი სახურავების სადაურობის განხილვის დროს"[61]. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი XXIV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იცნობდა და ფლობდა დარბაზული საცხოვრებელი სახლის ტიპს და მშენებლობის ტექნიკას[62], რაც მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ხელოვნების ისტორიისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდეთ ისევ მშენებლობას, როდესაც ცენტრში გვირგვინს დაადგამენ და გააწყობენ ჭერის ფიცარს, შემდეგ ისევ ნაჩორკნ ნაფოტს მოფენდნენ, რის შემდეგაც ბზენარევი ტალახით „დაატალახებდნენ". დატალახებას ოჯახის წევრები ახდენდნენ. ამ საქმესთან ხელოსნებს ხელი არ ჰქონდათ. ხელოსნები შემდეგ მესამე „უბის" დაწყობას შეუდგებოდნენ, გაალაგებდნენ წინა კედელზე ბალიშებს და კოჭებს, კოჭებს გააწყობდნენ ზომის მიხედვით, შემდეგ კვლავ ჭერის ფიცარს ალაგებდნენ და ატალახებდნენ, რის შემდეგაც იწყებოდა დერეფნის დაფარება, დერეფნის კედლის კიდის გასწვრივ, დასვამდნენ წინასწარდამუშავებულ სამ ან ოთხ საყრდენ ქვაზე „დერეფნის ბოძებს", რომელზედაც ალაგებდნენ ბალიშებს, ხოლო ბალიშზე ერთ გრძელ კოჭისებრ თავხეს, რომლის ბოლოები კედლებს ეყრდნობოდა. დერეფნის თავხის გაწყობის შემდეგ კოჭებს დაალაგებდნენ, ხოლო კოჭებზე ჭერის ფიცარს და შემდეგ იწყებოდა დატალახება.

დერეფანს ორი კედელი ჰქონდა გვერდებზე, რასაც „დერეფნის მკლავი" ეწოდებოდა. „მკლავი" იყო „მარცხენა" და „მარჯვენა". იყო ისეთი ნაგებობა, რომლის დერეფანს, მხოლოდ ერთი კედელი ჰქონდა და ამ კედელს „საქარის" კედელი ეწოდებოდა. დერეფნის კედელს უეჭველად ბუხარი უნდა ჰქონოდა დატანებული, უიმისოდ არ შეიძლებოდა (იხ. ტაბ. IX, X, XI, XII, XIX; ტაბ. XX. ტაბ. XXII). ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის დერეფანში სათონე იყო მოთავსებული. დერეფანში სათონე შედარებით უფრო ძველ შენობებს ჰქონდათ, ახლებს კი ბუხარი.

როდესაც სახლის გადახურვა და დაფარება მთლიანად დამთავრდებოდა, ოჯახის უფროსს დურგლები ძირს, შიდა მოწყობილობაზე გადაჰყავდა სამუშაოდ, სადაც კარების, ფანჯრების და თაროების საქმეს შეუდგებოდნენ. კარებს აკეთებდნენ მუხის ფიცრისაგან, რომე-

---

61 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1946, გვ. 115.

52 ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

ლიც ან ჯამებზე დგებოდა, ან კიდევ როგორც ხშირად იყო მიღებული ძველ ნაგებობებზე, ქუსლზე იდგა. აქვე ატანდნენ საურდულე ყულფებს და ურდულს, რომელიც კედელში მაგრდებოდა, ხოლო საურდულე ხვრელებს მშენებლობის დროს ატანდნენ კარებს. შემდეგ ხელოსნები ფანჯრის ჩარჩოებს აკეთებდნენ, რომელსაც ძველად სანათურს უწოდებდნენ. ფანჯრის ჩარჩოებზე ადრე გაქონილ ქაღალდებს აკრავდნენ, შემდეგ კი მინების ჩასმა დაიწყეს. ფანჯრის ჩარჩოების გაკეთების შემდეგ, დურგლები იწყებდნენ წალოებისა და თახჩებისათვის ჩარჩოების კეთებას, რის შემდეგაც საქმე მოთავებულად უნდა ჩათვლილიყო, სადურგლო სამუშაოების მოთავებასთან დაკავშირებით, სახლის პატრონი დურგლებს უმართავდა ვახშამს ან სადილს, სადაც სწორდებოდა ანგარიშგება გარიგების მიხედვით სახლის მშენებელსა და დურგლებს შორის.

დურგლების გასტუმრების შემდეგ მშენებელი ოჯახი იწვევდა ხელმეორედ კალატოზებს ლაბიერის შემოსავლებად. კედელზე კოჭებისა და ჭერის დალაგების შემდეგ რჩებოდა კედელი დაუმთავრებელი, რომელიც კოჭებს ზევით უნდა ასულიყო ნახევარი არშინის სიმაღლეზე. ლაბიერი ამოჰყავდათ კედლების გარშემო, სადაც კედლის სიმაღლე ოცი სანტიმეტრით სცდებოდა ჭერს. კედლის ეს სიმაღლე გათვალისწინებული იყო ბანისათვის, ამ მიზნით ბანს კედლის გარშემო შემოავლებდნენ დაკუთხულ და კარგად დამუშავებულ ქვას, რომელიც დერეფნის თავზე გასდევდა. შემდეგ იწყებდნენ მიწის დაყრას დატალახებულ ბანზე. მიწას ურმებით ეზიდებოდნენ, პირველ პირს აყრიდნენ თიხამიწას, რომელსაც ფეხით და საზეპელათი დატკეპნიდნენ. მეორე პირს „ჭრელ მიწას" შეურევდნენ და ისიც მაგრა დაიტკეპნებოდა. მესამე პირი ისევ თიხამიწა იყო, რომელიც განსაკუთრებით სქლად ეყრებოდა და დიდ შრომას მოითხოვდა.

ბანზე მიწის დაყრა და დატკეპნა წარმოადგენდა დიდ შრომატევად სამუშაოს. ამ მიზნით ბანის დატკეპნის შესამსუბუქებლად ოჯახის პატრონი ბანზე მართავდა ლხინს[63], სადაც თავს იყრიდნენ უბნისა და მთელი სოფლის მოხუცი და ახალგაზრდა. ცეკვა-თქმაში და ხალხის მოძრაობაში იტკეპნებოდა ახლად მოწყობილი ბანი. ბანის დატკეპნის ამ ჩვეულებამ ქართულ ლიტერატურაშიც პოვა ასახვა[64]. ბანის ტკეპნის ამ საშუალებაზე ხალხური ლეგენდებიც მოგვეპოვება.

---

63 ძველად სოფ. დიღმის ყველა უბანში გაზაფხულიდან შემოდგომამდე იცოდნენ საღამოობით ლხინის გამართვა. ლხინში უკრავდნენ დაირას და „ბუზიკას". ამ ლხინში უნდა ეცეკვებინათ სოფლის ახალი პატარძლები. ხალხში ასეთი თქმაც არის დარჩენილი: „დედამთილი-ტაში ქა, ჩვენი რძალ თამაშობს"-ო.

კერძოდ, ნატახტრელი გლეხის ტონუაშვილის შესახებ, რომელმაც მეფე ერეკლე დაპატიჟა სტუმრად თავისი ამალით, თან კი ეშმაკობის ბანი გაატკეპნინა. ხალხური თქმულება ასეთია: „სოფელ ნატახტარში ცხოვრობდა ერთი მდიდარი გლეხი გვარად ტონუაშვილი, რომელსაც ძალიან ბევრი საქონელი ჰყავდა. ტონუაშვილი თვითონაც მშრომელი კაცი იყო და სხვასაც ლუკმას არ შეაჭმევდა მუქთად თუ საქმეს არ გააკეთებინებდა. ასე თქვით, სტუმარი რომ სტუმარია, იმასაც რაღაც საქმეს გამოუნახავდა და ისე აჭმევდა პურს. ერთხელ ტონუაშვილმა ახალი დარბაზი ააშენა, ბანი კი დასატკეპნი ჰქონდა, რაზედაც დიდიძალი მუშა სჭირდებოდა. ტონუაშვილმა მოისაზრა—ამოდენა ქონების პატრონი ვარ, მოდი მეფე ერეკლეს დავპატიჟებ სტუმრად თავისი ამალით და იმათ დავატკეპნინებ ბანსაო. სოფელს რომ დავუძახო, მგონებ ერთ თვეს ვერ დავატკეპნინო ამოდენა ბანიო.

მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, ტონუაშვილი თბილისისკენ წავიდა, ეწვია მეფეს სასახლეში და სტუმრად მიიწვია მეფე და მისი ამალა ნატახტარში. ტონუაშვილმა ლექსად გააცნო თავისი ვინაობა მეფე ერეკლეს:

ნატახტარ სოფლით გახლავარ,
მდიდრად განთქმული გლეხიო.
საწყალი კაცის მოყვარე,
მტრების გახლავარ მეხიო.

თქვენის ამალით მეწვიეთ,
მიკადრეთ მონა გლეხიო.
თუ ღირსეულად ვერ დაგხვდეთ
თავზე დამატყდეს მეხიო.

მეფე დაჰპირდა ტონუაშვილს, რომ უეჭველად ეწვეოდა თავის ამალით ნატახტარს. მეფეს გაუკვირდა, გლეხი როგორ უნდა დახვედროდა მის ამალას და უფრო დაწვრილებით გამოიძია ტონუაშვილის ვინაობა. როცა გაიგო, რომ ტონუაშვილი სტუმარსაც კი პურს არ აჭმევს თუ არ ამუშავაო, ძალიან ბევრი იცინა და თქვა:—აბა ერთი მერას გამაკეთებინებსო და ბეჯითად გადაწყვიტა სტუმრად წასვლა.

ტონუაშვილსა მიქებენ
ბლომათა ჰყავსო ზაქები,
წავალ და სტუმრად ვეწვევი,
ნუთუ მართლაა საქები?

ერთ დღეს მეფემ ნატახტარისაკენ გასწია თავისი ამალით, რომ ტონუაშვილის სახლთან მივიდნენ, მასპინძელი მიეგება მეფეს და მოკითხვის შემდეგ დარბაზის ბანზე მიიწვია:—მინამ თქვენი საკადრისი სუფრა გაიშლებოდეს, მეფეო, არ მოიწყინოთ, ბანზე ლხინი გავამართინე ახალგაზრდებს, იქა სჯობიანო. ლხინში, სადაც აუარებელ ახალგაზრდებს მოეყარათ თავი, მეფემაც კი ითამაშა. როდესაც მეფე და მისი ამალა სუფრასთან დასხდნენ. ბანი ისე გაზეპილიყო, რომ კალო გეგონებოდათ. ქეიფში შესულმა მეფემ უთხრა ტონუაშვილს:

—ტონუაშვილო, შენზე ამბობენ, სტუმარს პურს არ აჭმევს ისე, თუ საქმე არ გააკეთებინაო. აი, მე და ჩემი ამალა, დღეს შენი სტუმრები ვართ, მაგრამ ამას ვერა ვხედავო?!

—ჰე, მეფეო, დღეს თქვენი სტუმრობით ისეთი საქმე გამიკეთეთ რომა, მთელი სოფელი რომ დამეძახნა ერთი კვირის განმავლობაში, იმ საქმეს ვერ გამიკეთებდნენო. აი დიდო მეფეო, ეს დარბაზი ახალი აშენებულია, ბანი კი დასატკეპნი იყო. წეღან ბანზე ლხინი რომ გავმართე, ყველა ჩემი სტუმარი იღებდა მონაწილეობას ბანის დატკეპნაშიო.

მეფემ ტონუაშვილის ამ ეშმაკობაზე ბევრი იცინა და იმხიარულაო[64].

საკმარისია, ამ თქმულების შინაარს ჩაუკვირდეს კაცი, რომ დაინახოს, თუ რამდენად შრომატევად სამუშაოს მოითხოვდა დარბაზისა და ბანიანი სახლის სახურავის მიწით შევსება და მისი დატკეპნა საფუძვლიანად.

ბანი იტკეპნებოდა მოზურგვით, ისე როგორც კოჭები იყო დამუშავებული „მგლისზურგულად“, რომლის დანიშნულება იყო ბანის აწევა გარკვეულ დონეზე, რათა წვიმა ბანში არ ჩამდგარიყო და წყალი გვერდზე გადასულიყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბანის ტკეპნის სხვადასხვა სინონიმები მოიძებნება. კახეთში ამას „ტკეპნა ანუ ზეპვა, მიწის ზეპნა ერქვა (შ. კახ. 31). ამისათვის განკუთვნილი მოწყობილობაც არსებობდა, რომელსაც თუშეთში სატკეპენა ეწოდებოდა (თუშ. 7. 1), კახეთში კი საზეპელა (შ. კახ. 31), ფშავში საზეპელი (ფშ. 7), ხოლო ქართლში საზეპავი (ქართ. 3) ჰქვიან. სატკეპნა ოთხკუთხი სქელი ფიცარია, რომელსაც ზევითგან ხის მოგრძო ტარი აქვს (თუშ. 71). ამ სატკეპნათი ანუ საზეპელით ბანზე დაყრილ მიწას დარტყმითი, სათანადოდ მოზურგვით სტკეპნიან ნაგებობის სახურავად“[65].

ბანის მოვლა-პატრონობა შემდეგში დიდ ყურადღებას მოითხოვდა. პატრონი ბანზე ბალახს არ გააჩენდა, მას წელიწადის გარკვეულ

---

64 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, 1957, გვ. 164.
65 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

დროს გადასთოხნიდა და საზეპელათი დასტკეპნიდა. ბანიც ისევე იგ-
ვებოდა და სუფთავდებოდა როგორც ეზო. ბანი წვიმის დროს განსა-
კუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. მაშინ ოჯახის წევრები ადგი-
ნენ მაღლა და საზეპელებით გაუვლიდნენ ბანის ყველა კუნჭულს, რა-
თა წვიმის წყალი დაწურულიყო, რის შემდეგაც სველად დაზეპილი
ბანი წყალს აღარ გაატარებდა ჭერისაკენ. ზამთრის პერიოდისათვის
დიღმის ხეობის სოფლებში მიღებული იყო თოვლის „გადახვეტა“ ბა-
ნიდან, რათა ბანზე დადებული თოვლი ზედ არ გამდნარიყო და
სახლში წყალი არ ჩასულიყო. ბანიდან თოვლს, ნიჩბებითა და
არნადით ხვეტავდნენ. ბანი ხსენებული ხეობის სოფლების
მცხოვრებთათვის თავშესაყარ და გასართობ ადგილსაც წარმოადგენ-
და. ამასვე გვიდასტურებს ხალხური ლექსებიც. მაგალითად:

ენაცვალოს დედამთილი,
რძალი რომ ადრე ადგება.
დაწველის დილით ძროხებსა,
წავა და ბანზე დადგება[66].

ხოლო მეორე ლექსში ნათქვამია:

დილის ნიავი ხარ,
ადრე ადგები,
ყურთმაჯს შაიყრი,
ბანზე დადგები...[67]

ან კიდევ:

ძმა რომ ძმასა გაეყრება,
ველარ დადგამს დიდსა ძნასა,
წავა, დადგება ბოსელში,
გვერდზე გამაიღებს კარსა.
მამაძაღლი იმის ცოლი,
კოხტად დაიხურავს თავსა.
გავა და ბანზე დადგება,
ბიჭებს გადაავლებს თვალსა“[68].

---

66 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, 1955, გვ. 147.

67 იქვე, გვ. 16.

68 იქვე, გვ. 149.

ბანს ხმარობდნენ სხვადასხვა საქმიანობისათვის, გარეცხილი ბატყლის გასაფენად და გასაშრობად, აგრეთვე გარეცხილი ხორბლის გასაფენად. ბანზე წარმოებდა ხელსაქმე—ჩეჩვა, ქსოვა და სხვა. ზაფხულის ღამეებში კი ოჯახის წევრებმა ბანზე იცოდნენ ლოგინის გაშლა და იქ ძილი. რადგან მთხრობელთა გადმოცემით „ბანზე ზაფხულში ძილი კარგია, ნიავი ტრიალებს და ნაჯაფავი ადამიანი კარგა ისვენებსო“.

ბანის მოწყობის შემდეგ, იწყებდნენ სახლის შიდა მოწესრიგებას, რაც მდგომარეობდა კედლების გალესვაში, სახლის კედლებს დიღმის ხეობის სოფლებში ლესავდნენ გაჯით, რომელიც ბლომად მოიპოვებოდა ხეობის მიდამოებში. მაგალითად, დიღმელები გაჯის გამოწვას, აწარმოებდნენ ნენავში და ზურგუანზე. გაჯს სწვავდნენ შეშით. გაჯის გამოწვას ზოგჯერ თვითონ მშენებელი ოჯახი აწარმოებდა, ზოგჯერ კი ხელოსნები, რომლებიც იღებდნენ საქმეს, ოჯახის უფროსისაგან. მლესავი ხელოსნები თვითონ კალატოზები იყვნენ, რომლებიც გაჯის გამოწვის ოსტატებადაც ითვლებოდნენ. გაჯს ეზიდებოდნენ ურმებით. სახლში მოტანილ გამომწვარ მასალას საცერში სუფთად გასცრიდნენ და დაიწყებდნენ ლესვას. ლესვა ორპირად წარმოებდა, პირველი პირი მსხვილ და ტლანქ ნამუშევრად ითვლებოდა, მეორე კი წმინდად, გაცრილი თხელი ხსნარით ილესებოდა, რომელიც კრავდა და აპრიალებდა კედლებს, მთხრობელთა დახასიათებით, „უვარგისმა გალესვამ და უვარგისმა გამომწვარმა გაჯმა იცოდა გალესილი კედლების დახეთქვა, რასაც დაუწვავს ნაავდრ გაჯს აბრალებდნენ, მთხრობელთა გადმოცემით, კარგი გალესილი კედელი არასოდეს არ დასკდება, ხელოსანზე იყო დამოკიდებული ეს საქმეო“ (სოფ. დიღომი, იოსებ ყანდაშვილი).

კერის გაწყობა. დარბაზის გალესვის შემდეგ კედლებს გააშრობდნენ და შეუდგებოდნენ კერის მოწყობას, წინასწარ გათვალისწინებულ ალაგას. კერა ეწყობოდა დედაბოძებს შუა, ცენტრში, სანათურის პირდაპირ მოსთხრიდნენ პატარა ორმოს, რომელსაც წერაქვითა და ბარით იღებდნენ, სადაც ალაგებდნენ და სვამდნენ სპეციალურად შერჩეულ ცეცხლგამძლე ფიქალ ქვებს, რასაც „ყვერფის“ ქვები ეწოდებოდა. რის შემდეგაც დებდნენ რკინის სამფეხა საყრდენს, რაზედაც შეშებს თავს უდებდნენ ცეცხლის გასაჩაღებლად, რაც ხშირად „კერად“ მოიხსენიება, ამას უნდა აღნიშნავდეს ს. ს. ორბელიანის განმარტებაც, სადაც „კერა“ მუგუზლის თავის სადები“[69]. ასეთი კერა ჩამოვიტანეთ სოფ. დიღომიდან, რომელიც ინახება საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, ქიზიყურ ლექსიკონში კერის ქვა—მო-

---

69 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

იხსენიება, სადაც ნათქვამია რომ „კერის ქვა"—კერასთან დედაბოძი საკენ დადებული დიდი ქვა, რომ ცეცხლმა დედაბოძი არ [illegible] ქვაზე გამოულევლად ძევს ქვამარილი"[70]. ამ მოწყობილობ[illegible] თებდნენ ცეცხლს, საიდანაც ბოლი გვირგვინში ადიოდა, კერის მოწყობა „სავსე მთვარეზე" ხდებოდა, „ახალ მთვარეზე" კერას არ მოაწყობდნენ და არც ცეცხლს დაანთებდნენ ახალ სახლში" (სოფ. დიღომი, მთხრობელი დარია იოსების ას. სოზიაშვილი 80 წ.). მთვარე სანამ არ გამოიხუთშაბათებდა, როგორც მთხრობელები გადმოგვცემდნენ, კერას არ მოაწყობდნენ. ეს ჩვეულება საქართველოს სხვა კუთხეებშიაც გვხვდება. კერძოდ, ანალოგიურ სურათს იძლევა სვანური მასალა, სადაც კერის მოსაწყობად „შეარჩევდნენ მთვარეს, კარგ მთვარედ მიჩნეული იყო მზარდი მთვარე (მეცხამ დოშდელ) განსაკუთრებით 7, 8, 9 დღისა, საუკეთესოდ ითვლებოდა თუ 17 რიცხვი ახალი მთვარის ორშაბათს დაემთხვეოდა"[71].

კერაზე ცეცხლის ანთების დღეს, ოჯახის ყველა წევრი იყრიდა თავს, ხოლო კერაზე ცეცხლს არ ანთებდნენ, სანამ ოჯახში არ დაბინავდებოდნენ, როცა სახლს გააწყობდნენ საცხოვრებლად მაშინ ყველა „სახლის შვილები" თავს იყრიდნენ კერასთან, სადაც ოჯახის საპატივცემო პირს უნდა დაენთო ცეცხლი პირველად.

მთხრობელ გილაურის გადმოცემით, „ცეცხლს ის დაანთებდა ვისზედაც ოჯახის დოვლათი ტრიალებდა, ეს კაცი დაილოცებოდა, დალოცავდა კერას და სახლის ყველა წევრს (სოფ. დიღომი, სიკო გილაური 90 წ.).

კერაზე პირველი ცეცხლის დანთების აღსანიშნავად ოჯახში ეწყობოდა პურის ჭამა. საჭმელი, ახალდანთებულ ცეცხლზე მზადდებოდა, აქვე კერაში აცხობდნენ პურებს, რომელსაც „ცეცხლა კვერას" ეტყოდნენ, ხოლო ცომის ჩადებას ნაღვერდალში „ცეცხლის კვერის ჩასმა" ეწოდებოდა.

კერის მოწყობის შემდეგ იქვე კერის წინ ცეცხლთან ახლოს აგდებდნენ პატარა მომცრო ქოცოს, რასაც „საძმრე ქოცო" ან საძმრე ჭურჭელი ეწოდებოდა. ამ ჭურჭელში გამოულეველი იყო „ძმრის დედა", „თხლე", რაზედაც ღვინოს ასხამდნენ და კერასთან სიახლოვის გამო, საიდანაც საკმაო სითბოს იღებდა, ძმარს სახელდახელოდ იღებდნენ. ასეთ საძმრე ჭურჭელში „მცხარე დედა" იდგა, რომელიც არ უნდა ამომშრალიყო, თორემ ძმრის დედა გაფუჭდებოდა „დაიწვო-

---

70 სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

71 მ. ჩართოლანი, ქართული ხალხური მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961, გვ. 82.

და". საძმრე ჭურჭლის არსებობა კერასთან XVIII ს-ის მოგზაურს აკად. გიულდენშტეტსაც შეუნიშნავს, რომელიც აღნიშნავს: „ქართლ-კახეთში: „ღვინის შესანახად და ჭურის გამოსაცხობად—ეკეთებენ ბენ ქილებს. აგრეთვე ყველა სახლში ცეცხლის გვერდით დიდი ქოთნებია მიწაში ჩაფლული ღვინის ძმრისათვის და მეორე კი, წყლით სავსე, დგას მიწის ზემოთ"[72]. თუმცა შემდეგ როცა საცხოვრებელ სახლში კერამ თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა და ალაგი ბუხარს დაუთმო, საძმრე ქოცოც კერასთან ერთად ქრება, უკეთ რომ ვთქვათ, საძმრემ ადგილი და ფორმა შეიცვალა, ადრე თუ ძმარი ქოცოში იყო, შემდეგში დიდ „საღვინეში" გადააქვთ „ძმრის დედა" და ბუხრის გვერდზე ცეცხლთან ახლოს გამოუყვიათ განსაკუთრებული ადგილი, სადაც წარმოებდა ოჯახისათვის საჭირო ძმრის დამზადება.

აყარის მოწყობა: კერის მოწყობის შემდეგ, საცხოვრებელ სახლში იმართებოდა აყარი, რომელიც კერის ზემოდან გვირგვინ ქვეშ დედაბოძებს შუა ეწყობოდა. აყარის ლატნები გაიდებოდა დედაბოძის იღლიებს შორის, რომელსაც „ყურები" ეწოდებოდა (ტაბ. XXIII, იხ. დედაბოძი და მის იღლიებს შორის ყურები). ამ ლატნებზე ლაგდებოდა ფიცრები, გარდიგარდმო. ზოგჯერ დაწნულ ლასტსაც სდებდნენ ზემოდან, ხოლო დედაბოძების ზემოთ, თავხეზე, კიდებდნენ საკიდელ ჯაჭვს. რომელიც კერის საპირდაპიროდ ხარიხეზე იყო დაკიდებული. საიდანაც ჯაჭვი კერის თავზე იყო ჩამოშვებული ყურიანი ქვაბით, რაშიც მზადდებოდა ოჯახისათვის საჭირო საჭმელი: აყარი კერის ერთერთ ნაწილს შეადგენს, „რომელიც მოწყობილია შუაცეცხლის ზევით, ჭერსა და კერას შორის. იგი ერთგვარ სახურავს წარმოადგენს კერისათვის, იცავს ამ უკანასკნელს ჭერიდან ჩამოცვენილი მტვრისაგან, ხოლო ჭერს—ცეცხლის ნაპერწკლებისაგან"[73]. კერასა და აყარს შორის დამოკიდებულება ხალხური ლექსიდანაც კარგად ჩანს:

ცეცხლო დაენთე, დ ა ე ნ თ ე
შენ ბოლო ადი ა ყ ა რ ს ა.
ბოდიან ვაჟის მაყრები,
ვაი დედოფლის მაყარსა.

აყარს იყენებდნენ აგრეთვე საოჯახო საქმიანობისათვის, კერძოდ, აყარზე ფენდნენ, გარეცხილ შალეულს, წინდებს, პაჭიჭებს და სხვას

---

72 გ უ ლ დ ე ნ შ ტ ე ტ ი ს მოგზაურობა საქართველოში, 1962, გვ. 253.

73 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, სვანური სახლის აყარი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე", ტ. XXI—B, 1957, გვ. 203.

აგრეთვე საარყე ალაოს გაშრობაც აქ ხდებოდა, ერთი სიტყვით, „ყარა“, ზამთრის პერიოდში მრავალგვარი დანიშნულება ჰქონდა „ოჯახურ ...“.

კერისა და აყარის მოწყობის შემდეგ, ოჯახი იწყებდა ... ტაკის მოწყობას. სახლს ჯერ ზედმეტი ნაგვისაგან გაასუფთავებდნენ და მერე მოასწორებდნენ ყველა „ოღროჩოღრო“ ალაგს, შემდეგ ოთახის ბოლო კედლიდან დაიწყებდნენ გაცრილი თიხამიწის მოყრას. მიწის დაყრა და მოსწორება ხდებოდა თანაბრად რათა მრუდე „მიწა“ არ გამოსულიყო, მიწას მოსწორების შემდეგ ცოცხით ან ხელით დანამავდნენ ისე, რომ არ ატალახებულიყო, რის შემდეგაც დაიწყებდნენ იატაკის ფეხით დატკეპნას.

იატაკის დატკეპნა, რამდენიმე დღე გრძელდებოდა, „კარგი დატკეპნილი მიწის იატაკი სარკესავით მასმასებდა“. გადმოგვცემენ მთხრობელები, მიწის იატაკის მოსწორების შემდეგ სახლი მზად იყო საცხოვრებლად.

სახლის გაწყობა ავეჯით. სახლის შიდასაქმიანობის დამთავრების შემდეგ იწყებდნენ სახლის გაწყობას ავეჯით. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ავეჯეულობა ნიშნავს „სახლის ჭურჭელი, რაგინდარა, გლეხურად“-აო. ქიზიყურ ლექსიკონში, ავეჯის სინონიმად ვეჯიცაა მოხსენიებული, რომელიც „მოძრავი ქონების“ აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენს. „მამული თვითონ აიღო და ვეჯი მე მამცა“[74]. ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით გვხვდება დიღმის ხეობის სოფლებში, სადაც ავეჯს ზოგჯერ „ვეჯს“ უწოდებენ. ეს გაყრილობის საბუთებიდანაც კარგად ჩანს, მაგალითად, ქობულაშვილის ობლის, შიოს მოძრავი ქონების სიაში, რომელიც მიიღო მისმა აპეკუნმა გლახა მაზუვაშვილმა (უნდა იყოს მძევაშვილმა) იგივე მამადაშვილმა 1872 წ. თებერვლის 16-სა დღესა“. ქონების ჩამოთვლის შემდეგ ნათქვამია, რომ „ამ ზემო ხსენებულის სიის ფული და ვეჯი ჩამბარდა მე ჩემი დისწულის მის აპეკუნს გლახა მამადალაშვილს, რადგან ამან წერა არ იცოდა ამის თხოვნით და ხელჩამორთმევით ხელს ვაწერ მღვდელი ფომონი“[75].

სახლში პირველად საწოლ ტახტს აწყობდნენ გ. ჩუბინაშვილი, როცა დიღმურ დარბაზს აღწერს, აღნიშნავს, რომ „წალოებს ქვეშ ფართო ტახტებია გამართულიო“[76]. საერთოდ დიდი ტახტი ეწყობოდა კარებიდან, მარჯვენა კედლის მხარეს, ტახტის სიდიდე დამოკიდებული იყო ოჯახის სულთა რაოდენობაზე. ტახტის კეთებას იწყებდნენ ზო-

---

74 სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1942, გვ. 68.
75 ქობულაშვილების ქონების სია, ინახება ჩემს მასალებში.
76 გ. ჩუბინაშვილი, დარბაზი დიღომში, 1924.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მიხედვით, აიღებდნენ სუფთად დამუშავებულ ხეებს, რომლებსაც ტახტის „ფეხები“ ეწოდებოდა და მიწაში სვამდნენ სამპირად, თანა-ტოლ მანძილზე. „ფეხებზე“, გარდიგარდმო გასდებდნენ ხეებს, რომლებსაც ლურსმნით აჭედებდნენ. ტახტის ხიდეები ბრტყლად და სუფთად დამუშავებულ ფიცრებს წარმოადგენდა. „ხიდეების“ გაწყობის შემდეგ ალაგებდნენ გარანდულ ფიცრებს, თანატოლად და წყობისად, რომლითაც იკვრებოდა და ეწყობოდა დიდი ფართო ტახტი. დიდ ერთიან ტახტზე აფარებდნენ ჭილისაგან მოქსოვილ საფენს. „ჭილობს“, რომელიც ადგილობრივ დიღმის ხეობაში იქსოვებოდა. ჭილობებს ქსოვდნენ ქალები, თითქმის ყველა ოჯახში, საქსოვ ყდებზე. ხოლო საჭილობე მასალა მოჰქონდათ „ჩალიპირებიდან“ და ლისის ტბიდან, სადაც ჭილი მრავლად იზრდება ხსენებულ ჭაობიან ადგილებში, ჭილს ქალები სჭრიდნენ ნამგლებით, რომლებსაც კონავდნენ და შემდეგ სახლში არჩევდნენ, გარჩეულ ჭილს მზეზე აშრობდნენ, გაშრობილ ჭილს ხელეურებად კრავდნენ და ქსოვის დროს წყალში დამბალს ხმარობდნენ. ტახტზე ჭილობის გადაფენის შემდეგ ზემოდან აფენდნენ ფარდაგებს, ხოლო ტახტის გვერდებზე აფარებდნენ ფარდებს, რომლის ბოლოები ხშირად ლამაზი არშიით იყო მოქარგული. ტახტზე ელაგა მუთაქები, ლამაზ მუთაქებს „მახმურის“ მუთაქა ეწოდებოდა. ქიზიყური ლექსიკონის მიხედვით „მახმური“—ძვირფასი ქსოვილი“ ყოფილა, — „შენ რა ა, შენმა მზემ, მახმურები გაცვია“[78].

მუთაქებს ამზადებდნენ დიღმის ხეობის სოფლებში „ფრინველის ბუმბლისაგან“ კერძოდ, ქათმის, ინდაურის, იხვის, ბატის ბუმბლისას, რომელსაც ქალები საგანგებოდ აგროვებდნენ და ქილებში ინახავენ, ხოლო ზამთრის პერიოდისათვის, ბუმბულს არჩევდნენ და მუთაქებს აკეთებდნენ. მუთაქები კეთდებოდა აგრეთვე მატყლისაც.

ტახტის ზემოთ, სადაც ფარდაგები იყო გადაფარებული, იშლებოდა „იანაალი“. იანაალი ვიწრო დასაჯდომი ნაალი იყო, რომელსაც მატყლისაგან ამზადებდნენ, ქიზიყური ლექსიკონის მიხედვით „იანაალს“ „იარნალი“ ეწოდება: „იარნალი ვიწრო და გრძელი ნაალი (ლეიბი), რომელსაც ტახტზე შლიდნენ სუფრობის დროს სუფრის გაყოლებით, ქვეშ საგორავს უფენდნენ და ხალხი მასზე სხდებოდა“[79]. იანაალს ზემოდან „სუზანს“ აფენდნენ. ეს იანაალი ტახტზე იდო ახვეული და, როცა პურის ჭამის დრო მოვიდოდა გაშლიდნენ და სუზანს გადააფენდნენ, რაზედაც ქალები უნდა დამსხდარიყვნენ, ქალები იანაალზე სხდებოდნენ მოკეცილნი, სუფრას ტახტზე შლიდნენ რომელსაც ლურჯი

---

78 სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.
79 იქვე, გვ. 82.

სუფრა ეწოდებოდა, ლურჯი სუფრა მთხრობელების გადმოცემით გრძელი იყო და ირმები ეხატა. პურის ჭამის დროს, მამაკაცები ტახტის ძირში სკამებზე სხდებოდნენ, ახალგაზრდა ვაჟები კი ტახტზე, ფეხებ-ქვებზე სხდებოდნენ, ამავე სახლში, თუ ოთახი არ ჰქონდა დარბაზს, მეორე ტახტი კეთდებოდა უკანა დედაბოძის გვერდით, მარცხენა მხარეს. რასაც „მოხვეული ტახტი" ეწოდებოდა. მოხვეული ტახტი განკუთვნილი იყო სასტუმროდ. ეს ტახტი მეორე დიდი ტახტისაგან იფარებოდა დედაბოძით.

ლოგინი ლაგდებოდა წალოებში, რომელიც დიდ ტახტებთან იყო მოთავსებული, სახლს უნდა ჰქონოდა ორი ან სამი წალო. ერთში ლაგდებოდა საერთო ოჯახის ლოგინი, ხოლო მეორე წალოში ინახებოდა სასტუმრო ლოგინი. ლოგინი იშლებოდა დიდ ტახტზე, რიგრიგობით. თავი უნდა ჰქონოდათ კედლისაკენ. ქვეშ იგებდნენ ნაალს, ნაალს აფარებდნენ ზეწარს. ზემოდან საბანს იფარებდნენ. თავთან იდებდნენ ხის ფიცრებისაგან გაკეთებულ ბარცაკალს (იხ. სურ. 11) ან მუთაქას, რა-



სურ. 11.

ზედაც ბალიშს სდებდნენ. ბარცაკალი მთხრობელთა გადმოცემით ისე ყოფილა მოხატული, როგორც „დედაბოძი და კიდობანი", ბარცაკალი აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი, ქიზიყური ლექსიკონის მიხედვით მას „ბარცაკალი, ბარცაკელი ლოგინის (6) ტახ-

ტის ნაწილი, თავთან ირიბად დადებული ფიცარი, რომელიც ძუძუქის მაგივრობას ეწეოდა თურმე. ბარცაკალსა და ლოგინის თავსა [illegible] რიელ ადგილში სადედაკაცო წიკამაკას — ნემსს, ძაფს, [illegible] ხავდნენ თურმე"[80]. მთხრობელთა თქმით, ბარცაკალს „სასთუმალიც" რქმევია, რაც ხალხურ პოეზიაშიც არის ასახული: „დავლიე, ძილი დამიტკბა, სართაულს დავდე თავია"[81]... ან კიდევ: „მოგვივლენ ბედის მწერლები, სასთუმალზე დაგვიჯდება..."[82], ხოლო ხალხური ანდაზა ასეთი შინაარსისაა: „ძილს სასთუმალი არ უნდა, შიმშილსა შეჭამანდიო" ან კიდევ „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, სწორება სასთუმალისა"[83].

ლოგინი იშლებოდა რიგის მიხედვით, უმცროს-უფროსობით. ტახტის ბოლოში უშლიდნენ ყველაზე პატარას, შემდეგ მომდევნოს და ასე შემდეგ. ლოგინს, ოჯახში შლიდა ყველაზე უმცროსი რძალი ან გასათხოვარი ქალი.

ძველი საცხოვრებელი სახლი ხასიათდება განჯინების სიმრავლით, განჯინა განკუთვნილი იყო სკივრის შესადგმელად და წვრილმანი საოჯახო ნივთების დასაბინავებლად. ოჯახში რამდენი რძალიც იყო ყველას თავისი საკუთარი განჯინა ჰქონდა, სადაც ინახავდა თავის მზითვის სკივრს და სხვადასხვა წვრილმან საოჯახო ხელსაქმეს. ამ სკივრებში ქსოვილთან ერთად ჩალაგებული იყო რჩილის საწინააღმდეგო ბალახი, რომელსაც „ავშანი" ეწოდებოდა. აქვე განჯინებში ინახავდნენ ხოკრებს მატყლის ფთილებით, ნართითა და თითისტრებით.

თაროებზე ლაგდებოდა საღვინეები, რომელიც გამწკრივებული იყო რიგის მიხედვით. მეორე რიგზე მოსდევდა ჯამ-ჭურჭელი, ჯამები იყოფოდა შემდეგ ნაწილებად: ორჯამიანებად, მათრათებად და ა. შ. აქვე ელაგა ღვინის სასმისები, ფიალები, ყანწები და სადუღარი ქოთნები. თაროს ერთ მხარეზე გამწკრივებული იყო სპილენძის „ჭურჭელი, ხალხური თქმით თარო ასე ხასიათდება: „თაროვ გიხდება ჭურჭელი, საღვინე ღვინიანობა". ან კიდევ „სახლო ღმერთმა აგაშენოს ჯამ-ჭურჭელო მერე თარო"[84]... და ა. შ.

თახჩები განკუთვნილი იყო სხვადასხვა საოჯახო ჭურჭლისათვის. მაგალითად, ერთი თახჩა განკუთვნილი იყო მაწვნის ქილებისათვის, მეორე თარო ერბოსი და დომხლის ქილებისათვის. მესამე წნილის ქი-

---

80 სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი.

81 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, I, 1955, გვ. 171.

82 იქვე, გვ. 171.

83 იქვე, II, 957, გვ. 84.

84 იქვე, გვ. 93.

ლებისათვის და ა. შ. თიხის ჭურჭელი დიღმის ხეობაში, შემოჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან განსაკუთრებით კი ... მცხეთისა და ქსნის ხეობის ჭურჭელი, რომელიც ცხენის ... და ურმებით მოჰქონდათ გასაყიდად მეჭურჭლეებს. ხსენებულ ხეობაში, ან კიდევ, ადგილობრივი მცხოვრებნი საჭირო თიხის ჭურჭელს იძენდენ თბილისის ბაზრებში. სოფელში მოტანილი თიხის ჭურჭელი იყიდებოდა ფულზე ან ნატურით იცვლებოდა პურზე, ქერზე, ღვინოსა და ხილზე.

მარჯვენა კედლის ბოლო, განკუთვნილი იყო კიდობნისათვის. მთხრობელთა გადმოცემით, კიდობნის წინა კედელი „მოხატული" ყოფილა, რომელშიაც 9—10 თონე პური ეტეოდა. პურის გარდა კიდობანში ინახავდნენ მურაბებს, ხმელ ხილს, ჩურჩხელებს და ა. შ. კიდობნის დანიშნულების შესახებ ხალხურ ლექსებშიაც მოგვეპოვება ცნობები:

„ბარი კაცო ბარათაო,
დაწნეხილი კალათაო.
ქვაბში ნაღებს აღარ უშვებ,
კიდობანში კარაქსაო"[87].

ან კიდევ:

„ქალი ვარ ჭიჭანთ ნათელა,
წილი მაქვს დიდობაშია.
ერთი ერბოსი ქილაო
ჩვენც გვიდგა კიდობანშია"[86].

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „კიდობანი ზანდუკს" ნიშნავს და იქვე მიუთითებს ზანდუკზე „ჯარგუალი, ჯირგვალ"-ზე. საბას თქმით: ზანდუკი სხვათა ენაა, რომელსა აწ უწოდებენ: „ქართულად კიდობანი ჰქვიან". ხოლო „ჯარგუალი ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამ ოთხკუთხად, ვიეთნი კიდობანს უწოდებენ" ასეთსავე განმარტებას ვკითხულობთ ჯირგვალზედაც[87]. კიდობანი კეთდება ცაცხვის, თელის ან მუხის ხისაგან, მასალას ამზადებდნენ ცულით, ამუშავებდნენ ნედლად. ასევე ორნამენტებს ნედლს მასალაზე ამოიღებდნენ საჭრეთლითა და დანით, რომელზეც ხვედას ხმარობდნენ, მთხრობელთა გადმოცემით სკივრის მასალა შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა: „სა-

---

85 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, I, 1955, გვ. 109.

86 იქვე, გვ. 150.

87 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

ჩარჩოვე ბაზობისაგან“, ბანის ფიცრებისაგან, „გვერდის ფიცრებისაგან“, „უკანა ფიცრებისაგან“, „საძირე ფიცრებისაგან“ და „წინა დახატულ გულის ფიცრებისაგან“, კიდობნებს ამუშავებდნენ ადგილზე. შემოჰქონდათ გასაყიდად მთის სოფლებიდანაც, მთხრობელთა გადმოცემით „ხის ჭურჭელი და კიდობნები მოჰქონდათ მთის სოფლებიდან, სადაც ტყეები იყო, მოჰქონდათ ხეობაში ჩამოსახლებულ მთიულებს, კალოობას პურზე გადასაცვლელად“ (სოფ. დიღომი, ანტ. სონღულაშვილი, 1958 წ.).

კიდობნის გვერდითი ალაგი განკუთვნილი იყო წყლის ჭურჭლისათვის, სადაც ბრტყელ ქვაზე ელაგა კოკები, სურები, ლიტრები და წყლის ქილები. დედაბოძის მარჯვენა მხარეს იდგა ან ეკიდა ჭრაქი, რომელშიაც სელის ზეთს ხმარობდნენ. სელის ზეთი მთხრობელთა გადმოცემით გასაყიდად შემოჰქონდათ წალკიდან და ჯავახეთის მხრიდან, ცხენის საპალნეებით, ზეთი მდგარა ტიკებში, რომელსაც ჩარექობლივ ყიდდნენ. მთხრობელთა გადმოცემით სელის ზეთი „მწარე ყოფილა, რომელსაც საწვავად და საქონლის გასაზეთად ხმარობდნენ. აქვე ამავე ხეობის ზემო სოფლებში ბევრეთსა და ტაბარუკში, ჭრაქის მაგივრად უხმარიათ კვარი, კვარის გამოყენება ქართლის ყველა რაიონში დგინდება, რომელიც თავის დროზე სპეციალურად სააღებმიცემო საგანი ყოფილა.

კერის ორივე მხარეს, დალაგებული იყო, გრძელი დასაჯდომი სკამები, აქვე იყო განლაგებული სამფეხა სკამები.

საკიდლად იყენებდნენ სხვადასხვა ცხოველის რქებს, მაგალითად, კედელზე დაკიდული იყო ხშირად ირმის რქები და შვლის რქა. ასევე ხმარობდნენ ხარის რქას, იყო ხის ტოტებისაგან გამოთლილი საკიდლებიც, დიღმის ხეობის სოფლებში საკიდარს „ჩხას“ უწოდებენ. ირმის რქების გამოყენება საქართველოში აკად. გულდენშტეტსაც შეუნიშნავს, ის წერს: ოთახის კუთხის სვეტებთან მიმაგრებულია ირმის თავები რქებით, რათა მასზე, რაიმე დაჰკიდონ. ამის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ირმების სიმრავლეზე. კახეთსა და ქართლის ყველა სახლში ბალიშები ანუ მუთაქები არის ბუმბლის ან ბამბის: ბამბისაა აგრეთვე საბნები: საწოლებს კი არ ხმარობენ. ორივე პროვინციაში აკვნები პატარა ზომის ყუთებს ჰგვანან. ბავშვს კი არ კრავენ არტახებით არამედ მთელ აკვანს; ბავშვს ფეხებს შორის უდებენ თიხის, მოკლე ჩიბუხის მსგავს ძილაკს, რომლითაც შარდი აკვნის ძირზე გადმოიღვრება... ირმის ჩლიქები გამოიყენება, როგორც სამარილე“[88]. საცხოვ-

---

[88] გულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 253.

რებელი სახლის უკანა თავხეზე თოკებით ჩამოკიდებული იყო ფიცრ ხონჩა, რომელზეც ზაფხულობით ინახავდნენ პურს, რადგან კიდობანში ამ დროისათვის პურის შენახვა აღარ შეიძლებოდა. [illegible] ბოდა და ამიტომ პურს ხონჩაზე ინახავდნენ, რაზედაც აფარებდნენ სუფთა ქსოვილს.

სახლის მარცხენა წინა კუთხეში, იმ შემთხვევაში თუ ოჯახს მარანი არ ჰქონდა, ინახავდნენ სხვადასხვა სამკურნალო ბალახებს, ღოლოს, მელისკუდას, დიდღუბას, ავშანს (რწყილის საწინააღმდეგოდ) და სხვას.

სახლის ანგელოზის გამოწვევა. როცა სახლს გააწყობდნენ და დაბინავდებოდნენ საცხოვრებლად ახალ ბინაში, ოჯახის უფროსი გადასწყვეტდა ძველი საცხოვრებელი ალაგიდან ანგელოზის მოწვევას ახალ ბინაზე. ეს ჩვეულება დღესაც არსებობს. სახლის ანგელოზის მოწვევის მიზნით ოჯახის უფროსი დიასახლისი დააცხობს ქადებს, დაკლავს ქათმებს, აიღებს საღვინით ღვინოს, გააწყობს ხონჩაზე: ყველს, ერბოს, პურს, ქადას, ქათამს, ტკბილეულს, ხონჩის გარშემო შემორიგებულ სანთლებს დაანთებს და წავა ძველ საცხოვრებელ ადგილას, შემოუვლის თან ხვეწნითა და მუდარით მიმართავს სახლის ანგელოზებს: „ჩვენო ოჯახის ანგელოზო თუ არა გაწყეინეთ რა, წამობრძანდით ჩვენთან ახალ სახლში, დაიფარე ჩვენი ოჯახი ყოველი ბოროტებისაგან და თუ გაწყეინეთ რამე გვაპატიეთ და გვიპატრონეო“ (სოფ. დიღომი, დარო სოზიაშვილი, 86 წ.).

ასეთი რიტუალის შესრულების შემდეგ „მხვეწარი“ დიასახლისი მიდის სახლში იმ რწმენით, რომ სახლის ანგელოზი უკან მისდევს. სახლის ანგელოზის გაწვევასთან დაკავშირებით იმართებოდა „პურმარილი“, რაზედაც მეზობელ ნათესავებს იწვევდნენ[89].

ამის შემდეგ, სახლში, ანგელოზის კუთხედ განკუთვნილი იყო სახლის მარჯვენა წინა კუთხე, რომელიც ყოველთვის სუფთად იყო დაცული, ამ კუთხეში ანთებდნენ სანთლებს, ამავე კუთხეში ხშირად დასვენებული იყო ხატიც. თუმც უნდა აქვე აღინიშნოს რომ ზოგიერთ საცხოვრებელ სახლში, ანგელოზის კუთხე უკანა კედლის კუთხეშია, იხილეთ მაგალითად, შოშიტაშვილის დარბაზის გეგმა (სურ. 12). ოჯახი, სტუმრიანობის დროს და ბედნიერ დღეს პირველ სასმისზე სახლის ანგელოზს მოიხსენიებს და დალოცავენ, რათა მას მფარველობა გაეწია, ოჯახზე და ოჯახის წევრებზე. ხალხის რწმენით სახლის ანგელოზი ყოველი „საცხოვრებელი სახლის კეზზე(თავხეზე) ცხოვრობდა

---

89 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, II, 1957, გვ. 239.

და იქიდან იცავდა სახლს ყოველგვარი ზიანისაგან. ამ მეკეზისწინა ანგელოზს ოჯახი დიდ პატივს სცემდა და წელიწადში ერთხელ საკლავს უკლავდა"[90]. ამ ჩვეულების შესახებ ცნობა ძველ ისტორიულ საბუთებშიც მოიპოვება. ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო-ეკლესიის ძეგლის წერის ქართული თარგმანის ბოლოში შენახულია შემდეგი



სურ. 12

დიდმნიშვნელოვანი ცნობა: „ესეცა გუესმა ქვეყანასა სომხეთისასა და ქართლისასა, რომელნიმე სუმბულ სარქისს მსახურობენ და რომელნიმე მაცდურთა მათ სახლისა ანგელოსთა უწოდებენ და მსახურობენ სახელ (სახლის კერპთა და რომელნი უჩინოთა მსახურობენ სადაც სა-

[90] ვ. პ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმომხილველი, 1951, გვ. 125.

ხელად, გინა გარე ველთა, ანუ სადაც კლდის პირთა ანუ ხეთა... (sic) და რომელიმე უფლის ციხელთა) ჰმსახურობენ და რომელიმე ბორნიას ეშმაკთა თაყვანის სცემენ კერპთა რამე თუ ეშმაკნი ... პურის ცხობის დროს ერთ გამამცხვარ პურს მოიტანდნენ და სახლის ანგელოზის თაროზე დასდებდნენ, როცა ძროხა მოიგებდა, მისი პირველი წველის კარაქს გადაადნობდნენ ერბოდ და სახლის ანგელოზის თაროზე დასდებდნენ, რომელსაც ანგელოზის დღეს გადმოიღებდნენ და ქადებს დააცხობდნენ.

„სახლის ანგელოზს" თავისი უქმე ჰქონდა, რომელიც მოდიოდა ყველიერის წინა კვირას, ხუთშაბათს, „შიობა" დღეს, რასაც „მარიამშენელს" უწოდებდნენ. ამ დღეს ოჯახის ის დიასახლისი, რომელსაც ქათმების მოვლა-პატრონობა ევალებოდა, „დაყენებულ" ქათამს დაკლავს და მოხარშავს, შემდეგ „სახლის ანგელოზის კუთხეში ააჭრის ერთ ბარკალს და იქ მიირთმევს, მეორე კუთხეში მეორე ბარკალს ააჭრის და მიირთმევს. მესამე კუთხეში ფრთას ააჭრის და იმას ადგილზე სჭამს. მეოთხე კუთხეში მეორე ფრთას ააჭრის და იქ შეექცევა. შემდეგ დალოცავს არყით ან ღვინით სახლის ანგელოზს და შესთხოვს ბარაქას ოჯახში და ფრინველების გამრავლებას. ქათმის დანარჩენ ნაწილს დასჭრის ნაჭრებად და ოჯახის დანარჩენ წევრებს მიართმევს და დაალოცვინებს სახლის ანგელოზს, ანგელოზსაც მიართმევენ ქათმის საბძლის ნაჭერს ქადას, ყველს[92] და სანთლებს დაუნთებენ.

მთხრობელთა თქმით ძველად: „ერთობის ოჯახში" რომელ ქალს რა საქმე ევალებოდა იმას მიართმევდნენ სახლის ანგელოზს, სათითაო რძალი სათითაოდ შესთხოვდა სახლის ანგელოზს (სოფ. დიღომი, დარო სოზიაშვილი, 80 წ.).

სახლის ანგელოზთან დაკავშირებით ანალოგიურ რიტუალს ვხვდებით ხევსურეთშიაც. მაგალითად, „როდესაც სახლს დაამთავრებენ ყველაფრით, შეაბამენ კარებს, ჩამოყრიან ფანჯრებს, შიგ გაართვენ რაც წესია და მოიყვანენ ჯუცესს და დაჰკვლენ საკლავს, სახლის ანგელოზისად და დაღნათვლენ სახლ-კარს, ასხურებენ სისხლს და მოიღებენ სასმელს, დასდგამენ ტაბლას, დააწყობენ ზედ ქადებს, დააკვრვენ სანთლებს და აჭესენებენ წმინდა გიორგსა და იხუცებს ხუცესი და ეტყვის ოჯახს წყალობასა, ამის შემდეგ შევა ხიზანი სახლში, შერეკს საქონელს და დაიწყებს ცხოვრებას და იქნება ეს სახლი წმინდა გიორგის სახელზედ.

---

91 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1951, გვ. 89.

92 ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, წიგნი II, გვ. 238.

ხდება ისეთი საქმეც, რომ ზოგიერთი სახლი ვერ გამოდის კაი ადგილზე აშენებული. ზოგიერთ სახლში ეშმაკი ამოჩნდება და ეს ეშმაკი სახლიდან არ გამოდის და აძლევს ოჯახს ზარალს. ჭოცავს ცხვარ-ძროხას, ჭდის ავად ოჯახის წევრებს და ანიავებს იმათ ჯანმრთელობას. ეშმაკს სახლის პატრონი ვერ ხედავს, ეშმაკი არის ფარულად საფარველით და იმალება ერთ სახლის კუნჭულში, და იქით თესავს სახლში ბოროტ საქმეებს. მაშინ სახლის პატრონი მიდის სოფელ ლიქოკში, კარატეს, სადაც არსებობს გმირი კოპალა. ბივა კაცი დაუკლავს საკლავს და გააბძანებს მორიგე დროშას და წამავლენ, სახლის პატრონი მოიყვანს ბანზე კოპალას დროშას და მედროშე დაიყვირებს და სთხოვს მუქარას კოპალას პირით და მიღლაგმავს ეშმაკს, და დახკოჭავს სახლ-კარს, რომ იმის იქით ეშმაკმა აღარ გაუაროს ახლოს და იყვეს ოჯახში მცხოვრებლები კარგად და უავადო კაცი და საქონელი, წავა მორიგე და წააბრძანებს დროშას და წაიღებს თავის წესს ბეგარას, ამის შემდეგ ოჯახის უფროსი კაცი უქმისთაოდ აუნთებს კოპალას სანთელს და ადიდებს კოპალას სახელს. ამის შემდეგ წელიწადში ორჯერ მაინც დაკლავს საკლავს კოპალას სახელზე, კოპალაც რა თქმა უნდა წაღმ ექნების ამ ოჯახს და თვალ-ყურს არ მოაშორებს იმათ ცხვარ-საქონს და დიაც ყმაწვილს, ორ ფეჯს და ოთხ ფეჯს, და მიულაგმავს თუ კიდე საით ბოროტი სული და ეშმაკი მოეპარა ოჯახს" (სოფ. გამარჯვება, ბესარიონ გაბური, 1957 წ.).

სახლის დალოცვა. ხსენებული ხეობის სოფლების ყოფაცხოვრებაში დღესაც შემორჩენილია, სახლის დალოცვის წესი. როცა ახლად ჩასახლდებოდნენ ბინაში, მაშინ ოჯახის უფროსი გადაწყვეტდა მეზობელ-ნათესავებისათვის „სახლი დაელოცვინებინა", აირჩევდა დანიშნულ დღეს, მოამზადებდა საჭირო სანოვაგეს, გამოაცხობდნენ „პურს", „ნაზუქს" დაკლავდნენ საკლავს, ქათმებს, მოამზადებდნენ სასმელს და დაუძახებდნენ ყველა იმ მეზობელსა და მახლობელს ვინც კი მონაწილეობდა და ეხმარებოდა ოჯახს, სახლის მშენებლობაში. „სახლის დალოცვა" იყო ოჯახის პირველი ბედნიერება და სალხინო სუფრა, სადაც უსურვებდნენ ოჯახის წევრებს „დაკვებებოდათ" ლხინი და ქორწილი. „სახლის დალოცვამ" ხალხურ სიტყვიერებაშიც კი პოვა ასახვა დალოცვის სახით, კერძოდ:

„ამ ოჯახის კედელ-კუთხე
მაღლა ღმერთო შენ აკურთხე"[93],

---

93 ჯ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრომი, წიგნი II, გვ. 238.

ან კიდევ:

„ღმერთო ნუ მოშლი ამ სახლში.
ლხინსა და ლხინის სუფრასა.
ბიჭების ქორწილობასა,
ქალების გათხოვებასა“[94].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ:

„ჯერ ადღეგრძელოს კერაო,
იმას უცქერის ყველაო,
მერე სახლის საძირკველი,
სტუმარი და მასპინძელი“[95].

ამასთან ერთად აღსანიშნავია ოჯახიდან გამოსამშვიდობებელი სადღეგრძელო „საყველადწმინდაო“, სადაც სტუმარი შემდეგნაირად ლოცავს სახლს:

„თასი ვიგდე ხელსა,
ღმერთო შენა სწყალობდე
სტუმარ-მასპინძელსა.
საკიდელი, საძირკველი,
სტუმარი და მასპინძელი,
შეგეწიოთ ღვთის მადლი.
ცას ღრუბელით დამიმშვიდდით
დედამიწის მოსავალით.
დედაკაცის ძუძუ-მკერდი,
საბძელი და კალო,
მარგილი და პალო,
ღმერთო, შენა სწყალობდე,
აქა მბრძანებელსა,
გაუმარჯოს ოჯახს,
ოჯახის ანგელოზსა,
ჯამ-ჭურჭელს, მერე თაროსა,
იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ
ღმერთი შეგეწიოთ ყველას“[96].

ასეთი იყო სახლის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებული დალოცვის საწესჩვეულებო პროცესები დიღმის ხეობის სოფლებში.

---

94 ჯ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრომი, წიგნი II, გვ. 93.
95 იქვე, გვ. 93.
96 იქვე, გვ. 92.

ახლა კი დავუბრუნდეთ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაფიქსირებულ საცხოვრებელ სახლებთან არსებულ სამეურნეო ნაგებობების ფერწერილობას, რომელიც „კარ-მიდამოდ“ მოიხსენიება ხსენებულ ლიტერატურაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის ოთახი. დიღმელი გლეხების საცხოვრებლი სახლის („ერთობის სახლის“) ერთ ნაწილს წარმოადგენდა „პურის ოთახი“, რომელიც დარბაზის გვერდით იყო. პურის მოსაზელი ოთახი მხოლოდ დარბაზს ჰქონდა. ასეთი ოთახი ხშირად დერეფანში კეთდებოდა და „გარეთა ოთახი“ ეწოდებოდა. პურის ოთახი მოწყობილი იყო ბუხრებით, სადაც კეცები ელაგა, აქვე იდგა ვარცლი, ხაშის თაბახი, ხონჩები, ტაბაკები, საცრები („სამტკიცი“ საცერი და წმინდა საცერი), ცხრილი, ცხავი და სხვა. აქვე იდგა დიდი ფქვილის ამბარი, ამბარი ზოგჯერ ორ ან სამ ნაწილად იყო გაყოფილი, რასაც „თვალი“ ეწოდებოდა. ამ გაყოფილ „თვალში“ ქერის ფქვილი ცალკე ინახებოდა. პურის ფქვილი ცალკე და სიმინდის ფქვილი ცალკე. ქიზიყური ლექსიკონის მიხედვით „ამბარი სულადის შესანახი დიდი ხის ყუთი, ას ფუთამდე ჩადის“[97]. აქვე იდგა ხის კოდები, ქატოს ჭურჭელი და სხვა.

პურის ოთახში ფქვილს ვარცლში სცრიდნენ და იქვე ცხელი წყლით მოზელავდნენ, „გააფუვებდნენ“ და შემდეგ ხონჩაზე ბუნდებს ამოიღებდნენ, ხონჩის ერთ თავზე „საფანელს“ დაყრიდნენ და სათონეზე გაიტანდნენ ჩასაკრავად. გამომცხვარი პური გასაცივებლად და შესანახად ისევ „პურის ოთახში“ შემოჰქონდათ.

სათონე. საკვლევი ხეობის სოფლებში სათონე საცხოვრებელი სახლის დერეფანში (სურ. 6, 12). ან შენობის გვერდით იყო მოთავსებული. საინტერესო ცნობას გვაწვდის ქართლ-კახეთის თონეზე და პურის ცხობაზე აკად. გულდენშტეტი, რომელიც აღნიშნავს, რომ: „მთელს კახეთსა და ქართლში სჭამენ გაღივებულ ხორბლის პურს, ძალიან იშვიათად კი — ფეტვის პურს. პურს აცხობენ დიდ 4 ან მეტ „ვედრო“ ტევადობის თიხის ქვევრში (თონეში გ. გ.) ასეთ თონეს ჩაგდებენ მიწაში. ან შემოლესავენ თიხით (ძირზე დადგმულს და შიგ ცეცხლს ანთებენ. რისგანაც ის უცებ ვარვარდება, რადგანაც თითის ან ცერის სისქის პურის ცომს მიაკრავენ ხოლმე შიგნითა კედელზე ნაკვერჩხალის სიცხეში. ამიტომ პური მალე ცხვება“-ო[98].

თონეს, დიღმის ხეობის სოფლებში, ადგილზევე ამზადებდნენ, ზოგჯერ კი გასაყიდად მოჰქონდათ ქსნისხეობელ მეჭურჭლეებს.

---

[97] სტეფანე მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.
[98] ვულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 253.

ადგილობრივად თონეს არა მარტო კაცები ამზადებდნენ, არამედ ქალებიც. ქალებს უფრო ეხერხებოდათ თონის კეთება, ვიდრე კაცებს. თონეს, მაგალითად, დიღომში ამზადებდნენ „წმინდა“ თონისაგან. „მილიხევსა“ და „ბაღებისთავის“ თიხისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიღებდნენ წმინდათ გაცრილ თიხამიწას, მოზელავდნენ, მიწა იზილებოდა ფეხით. ტალახს ურევდნენ თხის ბალანს, ტალახს იქამდე ზელავდნენ, სანამ კარგად არ მოიქნებოდა, მთხრობელთა სიტყვით: „თიხა ტალახს, რამდენსაც მეტს მოზელავ, მით უფრო კარგი ჭურჭელი გამოვაო“. როცა მზელავი შეატყობდა, რომ ტალახი საკმაოდ მოიქნებოდა, დაიწყებდა თონის აშენებას. თონეს აშენებდნენ ჩრდილ ალაგას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მზისაგან დასკდებოდა და აღარ ივარგებდა. საერთოდ თონის გაკეთება, ძირითადად ზაფხულის თვეებში ხდებოდა, გაზაფხულისა და შემოდგომის თონეები მთხრობელთა გადმოცემით არ ვარგოდა; „პურს მიწა ყვებაო“.

როცა თონე კარგად გამოშრებოდა, გათხრიდნენ ორმოს, სადაც სათონე ალაგი იყო განსაზღვრული და ფრთხილად ჩასდგამდნენ. თონეს ორმოში ან მთლიანად „ჩააგდებდნენ“ ან ნახევრად, რომელსაც ნაპირების ამოშენება სჭირდებოდა. თონის ნაპირებს აშენებდნენ ქვით, აგურით ან ალიზით. გვხვდება თონე შემოწნული ლასტით, რომელიც მიწით არის დაფარული.

თონის ჩადგმის შემდეგ ჩაუკეთებდნენ ნედლ კუნძს, ან წივას, რათა ებოლა და თანდათანობით გამთბარიყო და გამოწვა დაეწყო. შებოლვის ასეთი წესით თონეს ორ-სამ დღეს სწვავდნენ, შემდეგ კი ჩაუკეთებდნენ ფიჩხს და გახურებით დაუწყებდნენ გამოწვას. თონე როცა გახურდებოდა და გათეთრდებოდა, მაშინ ტილოს, მარილწყალში ამოავლებდნენ და შიგ „ჩასცურავდნენ“, ე. ი. გარშემო მოავლებდნენ, რასაც „თონის მარილის ჭმევას“ უწოდებდნენ. მარილი თონეს ამაგრებს და „კარგ პურს აცხობს“, „მარილის ჭმევა“ სამჯერ იცოდნენ, რის შემდეგაც თონე „გამომდგარი“ იყო და იწყებდნენ პურის გამოცხობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოფ. დიღომში თონედ ხშირად ქვევრსაც იყენებდნენ. დაზიანებულ ქვევრს ხერხით მოაჭრიან თავს და მიწაში ჩააგდებენ რის შემდეგ პურს აცხობენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თონე ხშირად საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შედიოდა ან დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც სათონე ეწოდებოდა. სათონე სამი ან ორი კედლისაგან შედგებოდა, რომელიც გადახურული იყო ფიცრით ან კრამიტით.

იყო მეორენაირი სათონეც, რომელიც მებაღის ქოხს ემსგავსებოდა. კერძოდ, ოთხ ბოძზე შემდგარი ფიჩხის სახურავით გადაფარებული, ფანჩატურის მსგავსი, რომლის კედლებიც ფიჩხით ან ლასტით იყო შემოკავებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღმის ხეობის მთის სოფლებში, სადაც ჩამოსახლებული მთიელები ცხოვრობენ, თონესთან ერთად ღუმლებს იყენებენ პურის გამოსაცხობად, რომელსაც „ფურნე“ ეწოდება (იხ. სურ. 13).



სურ. 13.

საფიჩხე და საშეშე. სათონის გვერდით იყო საფიჩხე, სადაც ფიჩხი კონებად იყო დალაგებული, ხოლო საფიჩხის გვერდით ალაგი, საშეშედ იყო განკუთვნილი.

მარანი. საცხოვრებელი სახლის გვერდით ნაგებობას დიღმის ხეობის სოფლებში, კერძოდ, დიღომში, ვეძისში, წოდორეთში, მარანი წარმოადგენდა, მაგალითად, შოშიტაშვილების საცხოვრებელი სახ-

ლის დერეფნის მარცხენა მხარე მარანს ეკავა (იხ. გეგმა, სურ. 12), რომელიც დარბაზთან ერთად ერთ მთლიან ნაგებობას წარმოადგენდა. მარანში მოთავსებული იყო საწნახელი, დიღმის ხეობის მევენახეობისათვის, დამახასიათებელია სამნაირი სახის საწნახელის გამოყენება. პირველი ხის საწნახელი, რომელიც ოთხკუთხა ფორმის მოყვანილობისა იყო. საწნახელს ამზადებდნენ ადგილობრივ ტყეებში, მზადდებოდა ცაცხვისაგან და დათვთხილასაგან, რომლებსაც ამზადებდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ვისაც საწნახლის დამზადება არ შეეძლო, იძენდა ხელოსნებისაგან, რომლებიც ადგილობრივი ან მოსულები იყვნენ. მეორე სახის საწნახელი, ერთი მთლიანი ქვისაგან მზადდებოდა, რომელსაც ადგილობრივ მთებში სჭრიდნენ, ქვის საწნახელს ამზადებდნენ „მჭადაქვის“ ჯიშისაგან. ქვის საწნახლების კეთება მთხრობელთა გადმოცემით ქვის ოსტატებს უკეთებიათ, კერძოდ, ქვისმჭრელებს.

მესამე სახის საწნახელი იყო ქვიტკირის. ის შენდებოდა რიყის ქვისა და ქვიშაშერეული კირისაგან, ასეთი სახის საწნახლები მრავლად მოიპოვება სოფ. დიღმის ძველ ნამარნალებში. საწნახელის გვერდით იდგა საქაჯავი, სოფ. დიღომში საქაჯავი გოგორებითაც იყო, რომელსაც სოფელში ატარებდნენ და ქაჯავდნენ ჭაჭას.

მარანში ჩაყრილი იყო სხვადასხვა ზომის ქვევრები, ქვევრის სიმრავლე დამოკიდებული იყო მარნის სიდიდეზე, რომელიც ოჯახის ეკონომიური სიმძლავრის განმსაზღვრელიც იყო.

საწნახელთან იყო „დიდი, დედაქვევრი“, რომელიც 40-საპალნიან ჭურჭლად განისაზღვრებოდა. შემდეგ იყო მომდევნო ქვევრები. „უფროს-უმცროსობით“, სხვადასხვა ზომისა, სულ პატარა ქვევრებს „ქოცო“ ეწოდებოდა. მარანში სამი ზედაშნის ქვევრი იყო შემდეგი სახელწოდებისა: „დიდგორის“, „წმინდა გიორგის“ და „ხვთისმშობლის“, ან „სვეტიცხოვლის“, ზოგჯერ საკვლევ რაიონში, ზედაშნის ქვევრი, ვენახში ღია ცის ქვეშ გვხვდება.

ქვევრებს ყრიდნენ შემდეგი წესით, — ამოსთხრიდნენ ქვევრისაოვის საჭირო ზომის ორმოს ამოუშენებდნენ ფეხის დასაყრდენს და ქვევრს შიგ „ჩაასვენებდნენ“ შემდეგ გარშემო, ქვიტკირითა და კლდის ქვით ერთპირ კედელს ამოუშენებდნენ, რომელიც საიმედო დუღაბად ითვლებოდა.

მარნის შიდა მოწყობილობის შესახებ ისტორიულ წყაროებშიაც გვაქვს ცნობები დაცული, მაგალითად, ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში ნათქვამია რომ: „...ზნაკუას შევქმენ სასაწნეხლო ქვითკირი:

ა: და შიგან ყურძნისა საწნეხი„:ბ: და შეშისა საწნეხელი :ა:[99] ხოლო 1400 წ. არგვისის ტყავის პარაკლიტონში ნათქვამია: „...ავაგე მარანი და ჩავდგი ორი ოცი ჭურიო“[100].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარანში იყო დაცული ღვინის ტიკები, რუმბები და საარაყე ქვაბი. აგრეთვე მარანში ინახავდნენ ზამთრის მარაგს; ხახვს, ლობიოს, კარტოფილს, წიწაკის ჯაგნებს, მწნილეულს, გამხმარი მწვანილის, ნივრისა და მწვანე ლობიოს გალებს, ყურძნისა და კომშის ჯაგნებს, მარანშივე მარხავდნენ დომხლის ქილებს, რომელიც თავდაყირა იდგმოდა მიწაში. დომხლის ქილებს თავზე სარქველს აფარებდნენ და თავს ცომით ულესავდნენ. მარანში ინახავდნენ აგრეთვე არაყს, დამარილებულ ღორის ხორცს, ქილებში ჩალაგებულ მუქუქს, ყაურმის, ღორის ქონისა და ერბოს ქილებს, მარილის ქვებსა და სხვას. აქვე ინახავდნენ ზოგიერთ სამეურნეო იარაღებს, ჭაპანს, ღვედს, გუთნის ჯაჭვს, ცულებს, თოხებს, ბარებს, სახნისს, კევრებს, ფიწლებს, ნიჩბებს, არნადს და სხვას. აქვე ინახავდნენ ვენახის ასაკრავ წნელს — კაპიჭის კონებს, ბოსტნეულის „თესლეულს“, რომელიც საგანგებოდ დაცული იყო თიხის ჭურჭლის „ნატეხებში“.

დიღმის ხეობის ძველი მარნების შესწავლამ დაგვანახვა, რომ მარნების უმეტეს ნაწილს ჰქონდა თავისი საკუთარი „მაცივარი“. ზოგჯერ მას უწოდებენ „ჭას“, ამ მაცივრების უმეტესობაში წყალი გამოდიოდა, რაშიაც აცივებდნენ სასმელებსა და სანოვაგეს. ასევე აქ ზაფხულის ცხელ დღეებში ინახავდნენ საჭმელ-სასმელს.

მაგალითად, მამუჩაშვილების საცხოვრებელ სახლს (დარბაზს) სოფ. დიღომში უკანა მხარეს ჰქონდა მარანი, რომელსაც ორი შესასვლელი კარი ჰქონდა, ერთი კარი დარბაზიდან გადიოდა, მეორე უკანა ეზოს მხრიდან. ამ მარანს ჰქონდა მაცივარი, რომელიც ახლაც დაცულია ნანგრევის სახით, რომელშიც წყალი ამოდის. ანალოგიური ამბავია მოცემული ივ. სონღულაშვილის მარანში.

საქათმე. საცხოვრებელი სახლის გვერდით ან წინა მხარეს, აშენებული იყო საქათმე, ცალპირი ქვის კედლით, რომლის სიმაღლე მეტრნახევარს არ აღემატებოდა. საქათმეს ჭერად გადაფარებული ჰქონდა ფიცრები, ხოლო ზემოდან დატალახებული იყო თიხამიწით. ზოგჯერ კი ღარიანი კრამიტით იყო დაფარებული. საქათმეს პირი ხშირ შემთხვევაში სახლისკენ ჰქონდა დატანებული. საქათმე გაწყობილი იყო ქანდარებით, რომელზედაც ისხდნენ ქათმები. საქათმეში

99თ. ჟორდანია, ქრონიკები ტ. II, გვ. 41.

100 იქვე. გვ. 205.

ინდაურებსაც ინახავდნენ, ბატებისათვის ცალკე ნაგებობას აშენებდნენ.

ბოსელი. დიღმის ხეობის სოფლების მცხოვრებთა ეზოებს ხვნილს სამეურნეო ნაგებობები, კერძოდ: ბოსელი, საბძელი, კალო, ბეღელი ან პურის ორმო, სათივე საცხოვრებელი სახლისაგან დამოუკიდებელ ნაგებობებს წარმოადგენდნენ. მაგ., სოფ. დიღომში სამეურნეო დანიშნულების ეს ნაგებობები ეზოს წინ იყო მოთავსებული, ან როგორც ეს XIX ს-ის მიწურულს მოხდა, ასეთი სახის ნაგებობები, სოფლის ან უბნის, გარეთ ექცევა. ასეთი იყო კოტორიანთ გომურები, ქეთსუკანში, მურკუანთ.გომურები, ღვთისმშობელთან, ბოგველიან გომურები, გილაურიანთ ფარეხი, ფეიქრიანთ ფარეხი და სხვა მრავალი. ასეთი სამეურნეო ნაგებობა, კალო-საბძელი, სათივე, ბაკი, ბოსელი ერთ მთლიან კომპლექსურ ნაგებობას ქმნიან.

დიღმის ხეობაში, ბოსელს ხშირად „გომად" და „გომურად" მოიხსენიებენ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ბოსელი—სახლი საძროხე"-ო, ხოლო „გომური — სახლი გლეხური"-ო[101]. ბოსელი, დიღმის, ხეობის სოფლებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ძირითადად საცხოვრებელი სახლის წინ ან გვერდით ეზოში იყო მოთავსებული, ბოსლის სიდიდე ოჯახის ეკონომიურ სიძლიერეზე იყო დამოკიდებული, „რამდენადაც ოჯახი ძლიერი იყო, მით უფრო მეტი საქონელი ჰყავდათ", აღნიშნავენ მთხრობლები.

ბოსელიც იმავე წესით შენდება როგორც საცხოვრებელი სახლი. ბოსლისათვის ასწორებენ მიწას, თხრიან საძირკველს, შემდეგ იწყება საძირკვლისა და ფუძის დადება და კედლის მშენებლობა. გადაფარებაც იმავე მეთოდით წარმოებს, როგორც საცხოვრებელი სახლის. ოღონდ ბოსელს გვირგვინი არა აქვს, მას ბანის სანათური სცვლის. სახლისგან განსხვავებით დედაბოძების მაგიერ შუაში ორპირი ბოძებია ჩალაგებული, რომლებზეც ბალიში და თავხეებია დალაგებული. თავხეზე ბანის კოჭები და ჭერია გაწყობილი, რაზედაც ნაფოტს აყრიდნენ და ატალახებდნენ, ხოლო „ლაბიერის" შემოვლების შემდეგ მიწას აყრიდნენ და საგანგებოდ ტკეპნიდნენ.

ჩვენ სოფ. დიღომში ავგეგმეთ რამდენიმე გომური. მაგალითად, აღვწერთ სანდრო გილაურის გომურს. გომური აშენებულია მოფერდო-ვაკე ალაგას, კედლები კლდის ქვისა და მიწის ზემოდან დგას, ბოსლის სიგრძე 11 მ, სიგანე 8 მ და 22 სმ. დერეფნის კედლის სიგრძე 2,45 სმ-ია, დერეფანი სამბოძზეა შეყენებული. ბოსელს წინ დერეფნის მხრიდან ორი ფანჯარა აქვს დატანებული, რომლის სიგანე —

---

101 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

72 სმ, სიმაღლე 90 სმ უდრის. შუაში შესასვლელი კარი აქვს, რომლის სიგანე უდრის 108 სმ, სიმაღლე—190 სმ. შიგნით ბოსლის ბოლოს, მარცხენა მხარეს საბძელში გასასვლელი კარი აქვს დატანებული, რომლის სიგანე 68 სმ-ია, ხოლო მარჯვენა კედლის თავში (105სმ) აშოშენებული კარი მოჩანს, რომელიც სათივესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ხოლო მარცხენა კედლის მხარეს, ორი თახჩა და ბუხარი აქვს დატანებული. დერეფნის კედელს კი ბუხარი და პატარა თახჩა აქვს დაყოლებული (იხ. სურ. 14).



სურ. 14.

გომურის ბანი გადაფარებულია „მგლისზურგულის“ წესით. ბოსელს სიგრძეზე ორმწკრივად გასდევს სამ-სამი ბოძი, სიგანეზე, ბალიში ორ-ორ ბოძს აერთიანებს, რომელზედაც თავხეა გადებული, ხოლო ერთ წყვილ ბოძზე, თავხე წარმოდგენილია სიგრძით, რომელიც თავის მხრივ განით თავხეს ეყრდნობა გრძივი თავხეები გადაბმულია 13—13 ადგილას (იხ. გილაური სანდროს გომური სოფ. დიღომში. ტაბულა, XVIII, XIX). ბოსლის მთელი ფართობი საქონლის საბმურად გაყოფილი იყო ორად. ერთ ნაწილზე მუშა საქონელი ება, მეორე ნაწილზე ძოცადი და ძროხები. რომელთა შუაში საწმენდურის ალაგია მოთავსებული. საქონლის სადგომის თითოეული მხარის სიგანე 250 სმ-ია. საქონლის სადგომი დაზღვეულია ხით, რასაც „ზღვე“ ეწოდება. აქვე იყო ხის ბაგა, სადაც საქონელს საჭმელს უყრიდნენ.

საქონლის ჭუჭყის ჩასასვლელს „სანერწყული“ ეწოდებოდა. ამ

გომურში საწმენდური დაზღვეულია ქვის დიდრონი ფილებით. ბუხრის ალაგი, ძველად გამოყენებული ყოფილა „ოდად“, რომელიც ფიცრით ყოფილა აფიცრული და შიგ „მეგომე მდგარა“. სოფ. დიღომში ავგეგმეთ კიდევ სუთიაშვილების გომური (სურ. 15).

სოფ. დიღომში საქონლის სადგომი გომურები ყველა ერთი და იგივე ტიპისაა, განსხვავება მხოლოდ ფართობშია. მთხრობელთა გადმოცემით ძველად მუშა საქონელი, ცალკე ბმულა. მეწველი და მოცადი კი ცალკე, ბოსელში ყოფილა მოთავსებული. საქონლის დასაბმელი ადგილი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: „ბაგა“, სადაც საქონლის საჭმელს ყრიდნენ; „პალო“, რაზედაც გამოდებული იყო საქონლის საბმური თოკი, საბმურზე კი რკალი იყო მობმული, რითაც აბამდნენ საქონელს. რკალი შედგებოდა ნაწილებისაგან, „რკალისაგან“ თავიანი „ჭდისაგან“ და „ზეგარდისაგან“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქონლის სადგომ საწოლ ადგილს ეწოდებოდა „ზღვე“, ზღვედ ძირითადად ხმარობდნენ ფიცარს და ბრტყელ დიდრონ ქვებს. ზღვებს აგებდნენ ოდნავ დაქანებულად, რათა სისველე და ჭუჭყი დაწურულიყო „სანერწყულში“, რომელიც დაბალზე კეთდებოდა. სანერწყული კეთდებოდა ბრტყელი ქვებისაგან.

ხშირად ბოსელს „სანათური“ ბანიდან აქვს დატანებული, რაც გვირგვინის იმიტაციას მოგვაგონებს. გვხვდება აგრეთვე სანათურები ბოსლის კედლებშიც, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდანაა დატანებული. ბოსლიდან საქონლის ჭუჭყი გამოჰქონდათ ჯინებით და აგროვებდნენ ეზოს მივარდნილ ადგილას, რომელსაც „სანეხვეს“ უწოდებდნენ.

დიღმის ხეობის სოფლებში, ყველა ბოსელში იყო პატარა ფიცრული სახლი, რასაც „ოდა“ ეწოდებოდა, „ოდას“ ჰქონდა თავისი შესასვლელი კარი, ოდაში იდგა ერთი ტახტი, რაზედაც მეგომეს ეძინა. „მეგომე“ იყო ოჯახის წევრი, ან მოჯამაგირე, რომელსაც საქონლის მოვლა და ყურისგდება ევალებოდა. ოდაში იდგა ჭრაქი, აქვე იყო დატანებული ბუხარი.

საბძელი. ბოსელი საბძელთან დაკავშირებული იყო კარებით, საიდანაც შეჰქონდათ საქონლის საჭმელი „ბზე“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საბძელი საბზეე (საბზე) სახლს“ ნიშნავს.

საბძელი შენდებოდა ქვისაგან, რის ასაშენებლად თიხის ხსნარს ხმარობდნენ, საერთოდ საბძელი შენდებოდა ფერდობზე, მშენებლობის დროს აძლევდნენ იმ სიღრმეს სანამ მის მეზობელ ნაგებობას ბოსელს არ დაუკავშირდებოდნენ. საბძელი კეთდებოდა 30—40 კვადრატული მეტრის სიფართის, სიმაღლე 3—4 მეტრის უნდა ყოფილიყო







სურ. 15.

(იხ. სუთიაშვილების კარ-მიდამოს გეგმა სურ. 15) ამოთხრილ მიწას ყრიდნენ ერთ მხარეს, საითაც კალო იყო გათვალისწინებული, რომელსაც ხშირად ხელოვნურად ამაღლებდნენ. საბძლის სახურავი მიწის პირიდან ერთი მეტრით იყო აცდენილი, ამოთხრილი საბძლის ადგილზე ამოჰყავდათ ოთხპირი კედელი, კედლის ერთი მხარე, რომელიც კალოს მხარეს იყო მოქცეული მაღალი უნდა ყოფილიყო, სადაც სათვალურს ატანდნენ. მისი მოპირდაპირე კედელი დაბალია, ხოლო მარცხენა და მარჯვენა მკლავი თანდათანობით ქანდებოდა სიმაღლიდან სიდაბლისაკენ, რომელიც დაბალ კედელს უთანასწორდებოდა.

ამოყვანილ კედლებზე კეთდებოდა „ცალკალთა“ სახურავი, რაზედაც ალაგებდნენ გრძელ ლატნებსა და ფიცრებს, შემდეგ სახურავად ჩალის კონებს აწყობდნენ.

კალო დიღმის ხეობის სოფლებში ეწყობოდა კარ-მიდამოს მაღალ ალაგას, სადაც ნიავი თავისუფლად მოძრაობდა. საკალოე ადგილს, მოასწორებდნენ სუფთად და მისცემდნენ მრგვალ ფორმას, რომელსაც გარშემო შემოურიგებდნენ დიდრონ ბრტყელ ქვებს, რასაც ქარსაცავის მნიშვნელობას ანიჭებდნენ. კალოს გვერდზე ეწყობოდა გასალეწი ძნები, რომელსაც „საძნე ალაგი“ ეწოდებოდა.

სათივე. დიღმელი გლეხის „კარ-მიდამოზე“ სათივედ ბოსლისა და საბძლის გვერდით მდებარე ალაგი იყო განკუთვნილი, რომელიც შემოღობილი იყო ფიჩხის ან ძეძვის ღობით. ღობეს ლასტის კარებს უკეთებდნენ. თივას დგამდნენ „ბულულად“ ან „ძირად“. „ბულული“ პატარა იყო მრგვლად დადგმული, „ძირი“ კი დიდი და ოთხკუთხა მოკვანილობის, ერთ ძირ თივაში შედის 10—12 ბულული თივა. ხშირად თივის „ძირს“ ზვინსაც უწოდებენ.

ბაკი. საცხოვრებელი სახლის კარ-მიდამოს ერთი ნაწილი ეკავა „ბაკს“, რომელიც საქონლის საზაფხულო სადგომი იყო. ბაკი შეღობილი იყო მრგვლად ძეძვით ან ლასტით.

ქიზიყური ლექსიკონის მიხედვითაც „ბაკი საქონლის საზაფხულო სადგომი ირგვლივ წნელით შემოღობილი“-ა[102]. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ბაკი მოზღუდვილი“ და მიუთითებს „ზღუდე“-ზე და „ქარაბაკ“-ზე, სადაც „მოზღუდული—ზღუდემოვლებულ“-ს ნიშნავს, ხოლო „ქარაბაკი — ნაყოფის ბაკი (ბაკი ნაკაფთაგან), „ზღუდე“-ს განმარტებისას კი საბა აღნიშნავს რომ: „ზღუდე ესე არს ყოველი სიმირგვლით შემოვლებული, რაც რაჲთვე იყოს გარმონავლები ქალაქთა, დაბათა, სახლთა, წალკოტთა, სათვალეთა, გინა თვალთა პატიოსანთა... ბაკი არს ზღუდე ხვასტაგთათჳს რაჲსაგანცა მოვლებული

---

102 სტეფანე მენთეშაშვილი, დასახელებული ნაშრომი.

იყოს; გისსოი (გისონი b) არს ზღუდე სიმაღლით სამი წყრთა; დრუსო-
არს ზღუდე ქვისა მაღალი კედლად (კედელზე ნაგები კოშკ-კოშკოვანი;
ხიმი არს ლერწმითა და ლელითა მობაკული: ღობე არს ჯალეთა და
ძეძუთ მომტკიცებული: ყორე არს ქვით უკიროთ ალ-
ნაგები ზღუდე, გინა კედელი; ყურო არს სხვლი ძელი აღმა და-
სობით მოვლებული: ხირხალი (ჭირჭალი) არს სხვლის ძელით სამ-ოთხ
რიგად სიგრძედ შემოვლებული; მასარი არს წურილის ძელით ყეროს
მსგავსად შემოვლებული) კაწანი არს ძეძუ პირაღმა მოვლებით მდგარი
ბაკივით, ძელყორე არს ძელითა და ქვთა ბაკი მოვლებული"[103].

პურის ორმო. დიღმის ხეობის მცხოვრებთა ერთ-ერთ საგან-
გებო ნაგებობას წარმოადგენდა „პურის ორმო" და „ბეღელი", სა-
კვლევი რაიონის სოფლებისათვის, ორივე ნაგებობა დამახასიათებელი
იყო. მთხრობელთა გადმოცემით პურის ორმო „დიდი ითხრებოდა, სა-
დაც 200—300 ფუთი პური ინახებოდა" თურმე ამჟამად აღარც ერთი
პურის ორმო არ არის შემონახული.

ბეღელი. ფიცრის ნაგებობას წარმოადგენდა, რომელიც იდგა
ქვის კედელზე. ბეღელს სახურავიც ჰქონდა. მთხრობელთა გადმოცემით
ბეღელში 300—400 ფუთი ინახებოდა. ახლაც შემორჩა სოფ. დიღომში
„პურის ბეღელი", მაგრამ ეს ნაგებობა ძველთან შედარებით ძალიან
პატარაა. ტერმინი ბეღელი ისტორიულ ხელნაწერებშიაც მოგვეპოვება,
ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში ნათქვამია: „ზნაკუას შევქმენ...
ქვითკირის ბოსელი:ა: და ზედა ხერხული ბეღელია:ა:"[104] „ხერხული
ბეღელი" ფიცრით ნაკეთებს უნდა ნიშნავდეს, როგორც ეს ეთნოგრა-
ფიულმა სინამდვილემ შემოგვინახა, მაგრამ ამ სიგელში, საყურადღებო
ის არის, რომ ბეღელი, ქვიტკირის ბოსლის თავზე ყოფილა აგებული,
ხოლო ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კი ბეღელს ქვის კედლის სად-
გარზე დგამდნენ, რომლის სიმაღლე 150 სმ არ აღემატებოდა. ასევე
სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ბეღელი — ფქვლისა და
ხორბლის დასამარხავი; უმცროს ეწოდება ხალამბარი და მის უმცროს
ჯიროლა"[105].

საცხოვრებელი სახლის „კარ-მიდამოს" ერთი ნაწილი, ხეობის სოფ-
ლებში, ეკავა გლეხის სახელოსნოს, სადაც სთლიდა სხვადასხვა საოჯა-
ხო და სამეურნეო იარაღებს, აქვე იყო ურმების, გუთნისა და ფარც-
ხის დასაბინავებელი ალაგი.

---

103 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.
104 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 46.
105 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

საცხოვრებელი სახლის ეზოს პატარა ნაწილი, ხშირად ბაგ., სოფ. დილომში დათმობილი ჰქონდა „ბაღჩას“, რომელსაც ბოსტანსაც ეძახდნენ. ბაღჩა შემოღობილი იყო ძეძვის ღობით, ბაღჩაში მოჰყავდათ ყოველდღიური სახმარი მწვანილი, ხახვი, ნიორი, ქინძი, კამა, რეჰანი, მაღდანოსი ანუ ოხრახუში, პიტნა, ნიახური, ქონდარი და სხვა მრავალი საჭირო ბოსტნეული.

ასეთი სახით წარმოგვიდგებოდა გლეხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დილმის ხეობის სოფლებში XX ს-ის 30-იან წლებამდე, შემდეგისათვის, როდესაც აღნიშნულ ხეობაში საფუძველი ჩაეყარა კოლექტივიზაციას გლეხის საცხოვრებელმა სახლმა და კარმიდამომ ძირფესვიანად იცვალა სახე.

დარბაზიანი სახლი. ზემოთ განხილული საკითხებიდან ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ბინის შესწავლა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, საიდანაც მოსჩანს საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი სოციალური და სულიერი კულტურის ელემენტები.

სოციალური თვალსაზრისით საცხოვრებელი ბინის შესწავლა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია, დილმის ხეობაში ფიქსირებული მასალის საფუძველზე XIX ს-ში შემდეგი საცხოვრებელი ბინის ტიპები გვხვდება — „დარბაზიანი სახლი“, დარბაზი, ბანიანი სახლი, გომური და მოქალაქის სახლი.

დარბაზი და დარბაზიანი სახლი, განკუთვნილი იყო გაერთიანებული ოჯახისათვის, სადაც ცხოვრობდნენ რამდენიმე ძმის „სახლობა“ და ამ სახლს ეწოდებოდა „ერთობის სახლი“ ასეთ სახლში ძირითადად შეძლებული „ლიტრიანი“ გლეხები ცხოვრობდნენ. დარბაზები ჰქონდათ „ნახევარლიტრიან“ ხალხსაც.

ახალი ბანიანი სახლი განკუთვნილი იყო ერთი მამის „სახლობისათვის“. ასეთი სახლი ძირითადად, წარმოშობილი იყო „ერთობის სახლიდან“ ცალკე გამოყოფილი ოჯახისათვის. ამ სახლს, მოუხატავი დედაბოძები ჰქონდა და ნაკლები ქონების პატრონები ცხოვრობდნენ, რომლებიც ქონებრივ დანაწილებაში „ჩარექიანებად“ იწოდებოდნენ.

საცხოვრებელი ბინა „გომური“ განკუთვნილი იყო როგორც ადამიანთა საცხოვრებლად, ისე საქონლის სადგომად (ფართო ნაწილი ოჯახს ეკავა, ნაწილი კი საქონელს) ასეთ სახლში ძირითადად ღარიბი ხალხი ცხოვრობდა და მათ დილმის ხეობაში „ნახევარჩარექიანები“ ეწოდებოდათ.

დილმის ხეობის მოსახლეობა ქონების მიხედვით ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფოდა. შეძლებულ გლეხს ეწოდებოდა „ლიტრიანი“, სა-

შუალო გლეხს „ნახევარლიტრიანი“, ღარიბ გლეხს „ჩარექიანი“ ხოლო მთლად ღარიბს, ეულს (ხიზანს) „ნახევარჩარექიანი“[106].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტრა-ჩარექებად სოფლის დიფერენციაცია ძველ ახალგაურ ტრადიციას ემყარება და ეს ამბავი XIX ს. მემკვიდრეობით მიიღო ადრინდელი ეპოქიდან[107].

ამრიგად, ეს მოვლენა საცხოვრებელ ბინებზე განსაკუთრებით შეიმჩნევა, რადგან დარბაზული ტიპის სახლის მშენებლობა ითვლებოდა მეტად შრომატევად საქმედ და კარგ შეძლებასაც მოითხოვდა. მთხრობელთა გადმოცემით „დარბაზზე 100 ურემი ქვა, 100—150 ურემი მიწა და ბევრი ხე-ტყე იყო საჭირო (სოფ. დიღომი ს. გილაური 92 წ. 1957 წ.). ასეთი საქმის წარმართვა შეეძლო მხოლოდ ეკონომიურად ძლიერ ოჯახს, რადგან ამ მასალის დამზადებაზე მრავალი მუშახელი და გამწევი მუშასაქონელი უნდა დასაქმებულიყო, რასაც ვერ შეძლებდა პატარა და ღარიბი ოჯახი.

ამ მხრივ საინტერესოა დიღომში მცხოვრები ქობულაშვილების გაყრილობის ქონების სია, რომელთა ქონება ოთხ ნაწილად გაყოფილა და „ლიტრიან“ ხალხად ითვლებოდნენ, გაყოფამდე. აი ეს საბუთიც, სადაც სახლის ასაშენებელი მასალაცაა დასახელებული:

„სია რომელიც ერგო ქობულაშვილს გაბრიელის ობოლს შიოს მოძრავი ქონება, რომელიც მიიღო იმის აპეკუნმა გლახა მაზუვაშვილმა იგივე მამადალაშვილმა 1872 წელსა თებერვლის 16-სა დღესა;

ქ. სამი უღელი ხარი,
ქ. უღელი კამეჩი,
ქ. ორი ცხენი,
ქ. ათი სული ძროხა და მოცადი,
ქ. ორას სამოცდაცამეტი ცხვარი,
ქ. პური ერგო ორმოცდაცამეტი კოდი,
ქ. ქერი ერგო ათკოდ ნახევარი,
ქ. ერგო კიდევ სამი მარილის ქვა,
ქ. ორი ცული, ერთი ნაჯახი და მეორე გატეხილი,
ქ. ერთი ურემი გამართული და ერთი ცალი თვალი,
ქ. სარყე ქვაბი თავისი გამართულობით,

---

106 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, წიგნი II, 1957, გვ. 201; მისივე, მემინდვრეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX—B, 1959, გვ. 293.

107 იხ. ჯ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრომი, წიგნი II, გვ. 203; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX—B, გვ. 295.

ქ. ორი ჭაპანი,
ქ. ორი ყველის ქილები,
ქ. ერთი წინა ღვედი,
ქ. ერთი ხარის ჩული ფარდაგისა და ერთი ქვეშსაგები ფარდაგი,
ქ. სახლის მასალა ერგო შვიდი ხე, ოცდახუთმეტი კოჭი და ოცი ურემი ქვა,
ქ. ნავი ერთი გახეთქილი და ერთი ქვევრი სამსაპალნიანი გატეხილი და ერთი ქვევრი პატარა,
ქ. ერთი წყვილი კევრი,
ქ. შვიდი საქსონის თეფში და მათლაბა, ექვსი საღვინე, ორი მურაბის ქილა,
ქ. ოცდაოთხი თეფში და ჯამი, ექვსი სტაქანი, სამი ჩაის ლამბაქი, ორი შამფური, ერთი ზედადგარი.
ქ. ორი ცხავი, ერთი თაბახი და ხონჩა, სამი ძველი ტომარა ერთი საცხვრე ხურჯინი,
ქ. ორი ძველი შალთა, ერთი ძველი ბარი და ერთი თოხი.
ქ. სასახლოდ მიეცა რვა მანეთი ნაღდი, გარდა ამისა გასესხებული რომელიც არის სოსიკა 16p. აღნიაშვილზე ცხრა მანეთი, შვიდი მანეთი მცხეთელ კაცზედ თეოფინე შვილზედ შიოზედ, 84p—60k. ქ. პური და ქერი გაიყიდა რვა თუმანი ოთხი მანეთი და სამი აბაზი).
19p 40 k ქ. ყველი გაიყიდა ცხრამეტი მანეთი და ორი აბაზი.
123p. ქ. ჯარი გაიყიდა სამი უღელი, თორმეტი თუმანი და სამი მანეთისა,
90p. ქ. უღელი კამეჩი გაიყიდა ცხრა თუმნათ,
74p. ქ. მოცადი საქონელი გაიყიდა რვა შვიდ თუმნათ და ოთხმანეთათ.
39p. ქ. ცხენები გაიყიდა ორივე სამ თუმნათ და ცხრა მანეთათ,
80p ქ. ბზე გაიყიდა რვა თუმნისა,
60p ქ. მარანი შეისყიდა შალვამ ობლის წილი ექვს თუმნათ,
15p ქ. შალიკოზე არის კიდევ ხუთმეტი მანეთი.
21p 40k ქ. კიდევ პური გაიყიდა ორი თუმანი და შვიდი აბაზისა,
3p. ქ. ძროხის ტყავი გაიყიდა სამი მანეთი,
6 p. ქ. ექვსი მანეთისა ძველი სარი გაიყიდა,
60p ქ. კიკოლამ შეისყიდა მარანი ობლის წილი ექვს თუმნათ,
15p ქ. თხუთმეტი მანეთი სამკვდრო უნდა მისცეს
11p. 50 ქ. კიდევ კიკოლამ უნდა მისცეს თერთმეტი მანეთი და ათი შაური.

355p.—67k. ცხვარი გაიყიდა ასსამოცდა სამი სული, ფული შედგა ოცდათხუთმეტ თუმან ნახევარი, სამი აბაზი და შვიდი კაპიკი

50p ქ. მატყლი გაიყიდა ხუთი თუმნისა.

53p. 30k. ქ. რვათუმნიდან საერთო რომ მიეცა აქედან შეხდა ხუთ-ოცდა-ექვსი თუმანი სამი მანეთი და ექვსი შაური კიკოლასა და შალვას ჯამი არის ჩვიდმეტი თუმანი და ექვსი მანეთი 176p.

10p. ქ. კიდევ გაიყიდა ბზე ერთ თუმნის.

ზემოხსენებული სიის ფულისა შესდგა ჯამი ას თვრამეტი თუმანი და ექვსი მანეთი 1186p.

ამ ზემო ხსენებულის სიის ფული და ვეჯი ჩამბარდა მე ჩემი დისწულის მის აპეკუნს გლახა მამადალაშვილს, რადგან ამან წერა არ იცოდა ამის თხოვნითა და ხელჩამორთმევით ხელს ვაწერ ანტონ ფომინი"[108].

დიღმის ხეობის სოფლებში, საცხოვრებელი ნაგებობა დარბაზი, როგორც აღვნიშნეთ გავრცელებული იყო, მაგრამ ბოლო დრომდის მხოლოდ სოფ. დიღომში შემორჩა. ამ დარბაზებიდან 1922 წ. სევეროვის მიერ აგეგმილ იქნა ხუთი დარბაზი[109]. ხოლო ჩვენ 1960 წ. მივაკვლიეთ შვიდ დარბაზულ ნაგებობას, რომელიც საქართველოს სახ. მუზეუმის მოწვევით აგეგმა არქიტექტორმა ლონგო სუმბაძემ.

გ. ჩუბინაშვილის აღწერით დარბაზი სოფ. დიღომში „თავისი არქიტექტურული ფორმით წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ სამყოფო სახლის ძირითად ტიპს. ეს არის ტრადიციული ფორმა და იგი დაკავშირებული უნდა იყოს ხალხურ სარწმუნოებრივ შეხედულებასთან. ეს კავშირი რამდენადმე ახლაც ცხადია... ხუთივე დარბაზი დიღომში დაახლოებით ერთსა და იმავე ზომისაა, ყველა ნახევრად მიწაშია ამოყვანილი და შესავალი აღმოსავლეთის მხრით აქვთ, შიგნითაც ყველა ერთი გეგმით არის აშენებული. შუაგულში კვადრატია, რომელსაც გვირგვინი ახურავს, გვირგვინი დაყრდნობილია ორ დედაბოძზე. დედაბოძზედაც—ორი კოჭია დაწყობილი ამათზე კიდევ ორი კოჭი და ასე შემდეგ, მაგრამ ისე რომ კოჭები უფრო და უფრო მოკლდება ზემოთკენ, ამიტომ სულ თავში ვიწრო ღია კვადრატიღა რჩება, რომელსაც შიგნიდან გარეთ კვამლი გაჰყავს და გარედან შიგნით სინათლე ჩამოჰყავს ამ სარკმელ-საკომურს დიღომში ჰქვიან სანათური ანუ ბანი. დირეები სწორია ან ოდნავ ახრილი შუა წელში. მათ თითოთითო ბოძი აქვს შეყენებული შუაზე (წინა დირეს შეიძლება ერთის მაგივრად ორი ბოძი ჰქონდეს). დედაბოძის წინ მოთავსებული იყო კე-

---

108 საბუთი ინახება ჩემს მასალებში.

109 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, გლეხის სახლი დიღომში, 1922.

რა, რომლის ზემოთ ქვაბს შემოჰკიდებდნენ ხოლმე. ჯაჭვზე დასავლეთის კედელში, ე. ი. შესავალი კარის პირდაპირ ძირს გაკეთებულია თაღები ჭურჭლეულისათვის, მის ზემოთ თარო, ხოლო [illegible] ზემოთ თახჩები — ქვემო თაღებში მრგვალ-მრგვალი ბუდეებია — [illegible] რამე-რუმის შესანახავად. გვერდის კედლებში კი დატანებულია დიდი წალოები, რომელშიაც ლოგინი ინახება, ხოლო წალოებქვეშ ფართე ტახტებია გამართული"[110]. ასეთია ის აღწერილობითი ცნობები დიღმურ დარბაზებზე, რომელიც ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება (იხ. ტაბ. XXVI).

დარბაზი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „სამეფო დიდი სახლია" და მიუთითებს „ვდარბაზობდი" რომელსაც „დარბაზს ვიყავის" მნიშვნელობა ჰქონია. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით „დარბაზი სპარსული სიტყვაა, სპარსულად სულ სხვას ნიშნავს, ვიდრე ქართულად. სპარსულად დარბაზი კარს აღნიშნავს და არა სასახლეს. სპარსულში არ მოიპოვება არც ერთი ტექსტი, არც ერთი ნაწარმოები, სადაც დარბაზი სასახლის აღმნიშვნელი იყოს. სპარსულიდან ქართულად ნათარგმნ ძეგლებში დარბაზია ნახმარი, დედანში არასდროს დარბაზი არ არის. სპარსული დარბაზი, დერვაზ, ქართულად ნახმარია როგორც კარი, ამგვარად, დარბაზი სპარსულში მხოლოდ კარს ნიშნავდა და ქართულად ასეთი თითქოსდა უცნაური მნიშვნელობა მინიჭებული უნდა ჰქონოდეს იმის გამო, რომ თავდაპირველად ეს დარბაზი კარის აღმნიშვნელად იხმარებოდა, ქართული გამონათქვამის — სამეფო კარის სინონიმად, რადგან კარი სპარსულად დარბაზი იყო, სამეფო კარს დაერქვა სამეფო დარბაზი, შემდეგ „სამეფო" ჩამოსცილდა და დარჩა დარბაზი, რომელმაც სასახლის მნიშვნელობა მიიღო. იგი გაქართულებული იყო იმდენად, რომ აღარავის ახსოვდა ამ სიტყვის სპარსულობა. მნიშვნელობაც ისე განსხვავდებოდა, რომ ადამიანი ძნელად თუ მიხვდებოდა, რომ ეს შესაძლებელია უცხო სიტყვა ყოფილიყო"[111]. ტერმინი დარბაზი ჩვენ ძველ ძეგლებში (V, VI, VII და VIII სს-ში) არსად არ გვხვდება. როგორც ეტყობა, IX ს-ის მეორე ნახევარში გაჩენილა. მეათე საუკუნეში ის უკვე მოიპოვება ძეგლებში და შემდეგში ჩვეულებრივი სიტყვაა[112]. დიღმის ხეობის მასალების მიხედვით დარბაზი ისეთ ნაგებობას ეწოდება, რომელსაც დედაბოძები და გვირგვინი აქვს, ხოლო „მოდარბაზებული" სახლი, უგვირგვინო დედაბოძიან სახლს ეწოდებოდა. ასეთი „მოდარბაზებული" სახლი.

---

110 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. გლეხის სახლი დიღომში, 1922.

111 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

112 ი ქ ვ ე, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიღმის ხეობაში სამი საცხოვრებელი იქნა ფიქსირებული. ამავე დროს ღიღმელი გლეხის მეტყველებაში, ისეთ დარბაზს, რომელსაც ოთახები გააჩნია „დარბაზიანი სახლი“ ეწოდება. ღიღმის ხეობაში გლეხთა საცხოვრებელი სახლი, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ნაგებობით „დარბაზით“ არის წარმოდგენილი, რომელსაც გვერდით სამეურნეო ნაგებობები ახლავს. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ იყო ისეთი დარბაზები, რომელთაც ოთახები გააჩნდა, რომელსაც როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ: „დარბაზიანი სახლი“ ეწოდებოდა. „დარბაზიანი სახლის“ პროტოტიპი ისტორიულ დოკუმენტებშიაც მოგვეპოვება, კერძოდ, 1711 წლის სახლ-კარის ნასყიდობის წიგნში პეტრე ღარიბაშვილისა, სადაც ნათქვამია რომ „...ყოვლისა კაცისაგან უცილობელი და მოუდევარი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცით მე, გულინაშვილმა არუთინამა, შვილმა ჩემმა პაპამა და მოსესამა შენ, ღარიბაშვილს მგალობელს პეტრესა და მომავალთა შვილთა შენთა ასე და ამ პირსაზედა, ოდეს დაგვეჭირა, მოვეღით ჩვენების ნებაწადილით, ქართლის გამგეს, ბატონიშვილს ვახტანგის დასტურის ბოძებით მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი სახლ-კარი ერთი დარბაზი და ორი ოთახი ზედაკრავს: ორთავ ოთახისა და დარბაზის სიგრძე ათი ადლი, განი ექუსი ადლი და სამი ჩარექი დერეფანი, ხუთი ადლი და ერთი ჩარექი სიგრძე აქუს. განი სამი ადლი და ერთი ჩარექი. ეზოს სიგრძე ცხრა ადლი და ნახევარი მისი საფერის განითა. ამ სახლების ერთი გვერდი იარაზიზანთკენ კედელია, ერთი გვერდი ჯამბიანთკენ კედელია, ერთი გვერდი ჩვენის განაყოფის სოლოღასკენ კედელია და წინ შარა მახარაშვილის ქორისროს სახლისაკენ თავისის კარითა და გზითა, მისის სამართლიანის საქმითა მოგყიდეთ და მოგეცით და ავიღეთ ფასი სრული და უკლები, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, ჩვენსა და შენს შუა აღარა დარჩა რა სალაპარაკო ძმობისა და სალამის მეტი“[113]. ზემოთ მოყვანილ ნასყიდობის საბუთიდან ჩანს რომ გაყიდულ სახლს, დარბაზთან ერთად ორი ოთახიც ჰქონია, ასეთ სახლს ეთნოგრაფიულ ყოფაში „დარბაზიანი სახლი“ ეწოდებოდა. დარბაზიანი სახლი, სოფელ ღიღომში, ღღევანდლამდის შემორჩა, კერძოდ შოშიტაშვილების სახლი, სადაც დარბაზთან ერთად—ერთკომპლექსში ორი ოთახი და მარანია წარმოდგენილი, (სურ. 12. ტაბ. VI, სურ. 2). შოშიტაშვილები თავიანთ სახლს „ერთობის“ სახლს უწოდებენ, სადაც მათი გადმოცემით: „ამ ჭერქვეშ უცხოვრიათ 30 სულს, ხუთ მაზლსა და ხუთ მაზლისცოლს თავიანთი შვილებით“.

---

113 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 449.

ზემოთ აღნიშნული შოშიტაშვილების დარბაზიანი საცხოვრებელი სახლი, აღწერილობის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ერთ მთლიან ნაგებობათა კომპლექსში შედის დარბაზი, ორი ოთახი, მარანი და დერეფანი, ამ შენობის ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენს დარბაზი, რომელშიაც დერეფნიდან შევდივართ, დარბაზის კარები და ფანჯარა ჩვეულებრივად დამუშავებული ქვის თაღითაა გადაყვანილი. ხოლო დარბაზის ფასადი ნაშენია სუფთად დამუშავებული დაკუთხულ მჭადა ქვით (ქვა ადგილობრივი ჯიშისაა), კედელი თიხის ხსნარითაა ნაშენი. კედლის სიგანე 125 სმ-ია. კარები მუხის მასალისაგან ყოფილა დამზადებული, რომელიც შიგნით იღებოდა. კარები იდგა ზღურბლზე ამოჭრილი ქუსლით, რომელიც იკეტებოდა ურდულით. საურდულე ხვრელები კედლებს შუაა დატანებული, დარბაზის გვირგვინი ორ დედაბოძზე იყო დამყარებული, რომელიც დღეისათვის უკვე აღარ არის. რადგანაც ეს უკანასკნელი, გადაკეთდა დღევანდელი მოთხოვნილებისდაგვარად. დედაბოძები დამუშავებულია ხერხით. დედაბოძის სიგანე 45 სმ-ია, ხოლო სიმაღლე 2,45 სმ. (იხ. ტაბ. XXI). დედაბოძზე მოთავსებულია ბალიში. ბალიშზე თავხის შუაწელია დამყარებული, რომლის ბოლოები საუბეურის ბოძებზე და კედლებზე გადადის, თავხეზე გაწყობილია ბანის კოჭები, რომლის ბოლოები კედლებზე განლაგებულ ბალიშებს ეყრდნობა.

საგვერდულის ბოძები შოშიტაშვილების დარბაზს არა აქვს, მიუხედავად იმისა რომ ეს დარბაზი, სხვა დიდმის ხეობაში გავრცელებული დარბაზების მსგავსად თახჩებითა და წალოებითაა მოწყობილი. აქვე, დარბაზის ბოლოს თაროა აშენებული, რომლის კედლებში, თახჩებსშუა ექვსი პატარა ქილაა დატანებული, სხვადასხვა საოჯახო წვრილმანისათვის (იხ. ტაბ. VI. განივი ჭრილი). თაროები ამოყვანილია ბრტყელი ქართული აგურით, რომელშიაც ხუთი თახჩაა დატანებული, ხოლო დარბაზის კედლებზე. ე. ი. თაროს თავზე ხუთი თაღიანი თახჩაა ამოყვანილი, თაროს კედლის სიმაღლე 130 სმ-ია, თაროს თავიდან კოჭამდე სიმაღლე 110 სმ-ია, ხოლო კოჭიდან ჭერამდე 15 სმ, ე. ი. შოშიტაშვილების დარბაზის ბოლო ნაწილის სიმაღლე უდრის 255 სმ. დარბაზის გვერდით კედლებში მოთავსებულია განჯინები და წალოები, აქვე ბუხარიცაა დატანებული. დარბაზის შიგნით კედლის სიგრძე 8,65 სმ-ია, სიგანე 670 სმ. დარბაზის მთლიანი ბანი დამყარებულია დედაბოძებსა და კედლებზე.

მთხრობელთა გადმოცემით, დარბაზში იმართებოდა საუბარი ოჯახის საერთო საქმეებზე, აქვე იღებდნენ სტუმარს პურის საჭმელად. აქ დარბაზში იმართებოდა დღესასწაულის დროს „სოვადობა“, სოვადობა კი ქეიფსა და დროსტარებას ნიშნავდა.

დარბაზის პარალელურ გვერდით ნაგებობას წარმოადგენს დიდი ოთახი, რომელშიც დარბაზის შუა კედელში დატანებული კარებიდან ... დივართ. ამ ოთახს, დარბაზის კედლის პარალელურად ... აქვს დატანებული, ხოლო ფანჯრებს შუა ეზოში გასასვლელი კარი აქვს, საერთოდ ამ ოთახში სამი დამაკავშირებელი კარია, გადმოცემით ოთახს ძველად სანათურიც ჰქონია შუა ბანზე, ახლა კი გაუქმებულია, რადგან ოთახის ეს ნაწილი, გადაკეთებულია და ბანს ცალკალთიანი სახურავი აქვს გადადგმული. ოთახის ბანი ორ მთავარ ბოძზეა დამკვიდრებული (სურ. 12).

ამ ოთახში ყოფილა გაწყობილი დიდი „საჯალაბო" ტახტი, სადაც ძირითადად ოჯახის წევრებს ეძინათ, თუმცა დარბაზშიაც ყოფილა ორი დიდი ტახტი, ერთი სასტუმრო, მეორე კი საოჯახო.

ოთახის სიგრძე 8,65 სმ-ია, სიგანე 7,20 სმ. „შიგნითა ოთახიდან" გავდივართ პატარა „გარეთა ოთახში", რომელიც დარბაზისა და შიგნითა ოთახის დერეფნის ერთ ნაწილს წარმოადგენს და გვერდითი, ანუ „შიგნითა ოთახის" გაგრძელებაა. ამ ოთახის კედლის სიგანე დერეფნის საზღვრებს სცდება, 105 სმ-ია და უპრისპირდება მარნის კედელს, რომელსაც დერეფნის მეორე მხარე უჭირავს. გარეთა ოთახი ორ ბოძზე დგას, რაზედაც ერთი თავხეა გადებული, რომელზედაც გაწყობილია კოჭები. ამ ოთახს გამოსასვლელი კარი და ორი ფანჯარა დერეფნის მხარეს აქვს. შიგნით დასავლეთის მხარის კარით გავდივართ დიდ ოთახში. პატარა „გარეთა ოთახს" სამხრეთის კედელზე ორი თახჩა და ბუხარი აქვს დატანებული.

შოშიტაშვილების, მოხუცების ნაამბობის მიხედვით ირკვევა, რომ „გარეთა ოთახი" განკუთვნილი ყოფილა ახლად დაქორწინებულთა სადგომად. „ამ ოთახში ვაწვენდით ნეფესა და დედოფალსა", სადაც ახლად შეუღლებულები კარგა ხანს რჩებოდნენ, მერე კი საერთო „ერთობის სახლში" გადადიოდნენ და იქ წვებოდნენ. გარეთა ოთახის სიგრძე 5 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე 6,20 სმ. გარეთა ოთახი ისე როგორც დარბაზი და გვერდითი ოთახის ბანი, გადაფარებულია მგლისზურგულის წესით.

გარეთა ოთახის მოპირდაპირე მხარე როგორც აღვნიშნეთ, მარანს ეკავა, რომლის ბანი კედლებზეა დამყარებული. მარნის უკანა კედელს ორი თახჩა და ბუხარი აქვს დაყოლებული. ამავე მარანში თონეც ყოფილა, მაგრამ შემდეგ ეზოში გადაუტანიათ, მარანში ამჟამად კიდევ სამი ქვევრია ჩაფლული. გარეთა ოთახთან შედარებით მარანი, პატარაა მისი სიგრძე 5 მეტრს უდრის, სიგანე 4,45 სმ; დარბაზის დერეფანს 5,50 სმ სიგრძის ფართობი უკავია, რომლის სიგანე 235 სმ-ია, დერე-

ფანი სამ ბოძზეა დამყარებული. ამრიგად, შოშიტაშვილების დარბაზიანი სახლი, ჰორიზონტალურ სიბრტყეში ერთ მთლიან საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენს, სადაც დარბაზთან ერთად ორი ოთახი ერთ-ერთია წარმოდგენილი, რომლის მთლიანი ნაგებობის სიგრძე—10,5 სმ-ია, ხოლო სიგანე 16,15 სმ. ამ ნაგებობაზე გამოყენებული ხის მასალა, მუხისაა, რომელიც დამუშავებულია დიღმის ხეობაში გავრცელებული მგლისზურგულის წესით, ასეთი „დარბაზიანი სახლები", მთხრობელთა გადმოცემით სოფ. დიღომში ბევრი ყოფილა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არის აღნიშნული და ცნობილი ქართლის ბარისათვის, და თვით დიღმის ხეობისათვის. დარბაზთან ერთად სხვა საცხოვრებელი ოთახები ჯერ კიდევ 1922 წ. არქიტექტორ ნ. სევეროვსა და გ. ჩუბინაშვილს აუგეგმიათ სოფ. დიღომში ხუთი დარბაზული ნაგებობა. როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, „...სხვა ნაწილები მაგალითად, სასტუმრო ოთახი დიღომში არ არის"[114].

ეს ცნობა არ გამართლდა, რადგან როგორც შოშიტაშვილების დღემდის შემორჩენილი დარბაზიანი სახლის შესწავლამ გვიჩვენა, დიღმის ხეობაში გავრცელებული იყო არა მარტო საცხოვრებელი სახლი „დარბაზი", არამედ მასთან ერთად არსებობდა „დარბაზიანი სახლიც", სადაც ერთ ჰორიზონტალურ სიბრტყეში მოთავსებული იყო დარბაზი და სხვა საცხოვრებელი ოთახებიც, რომლებსაც სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებდნენ. ასეთი „დარბაზიანი სახლი", ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით XIX ს-ის ნახევრისათვის მრავალი ყოფილა „მაგ., ასეთი სახლი ჰქონიათ გილაურებს, ღვინიაშვილებს, სონღულაშვილებს და სხვას. ასეთი რთული ნაგებობა, პროფ. გ. ჩიტაიას დაუფიქსირებია ქვაბლიანის ხეობაში და აღნიშნავს რომ: „ქვაბლიანის „დარბაზი" შენობათა მთელი სისტემაა, რომელსაც შეადგენს საცხოვრებელი ბინის გარდა აქვე მოთავსებული ბაკი, საკუჭნაო, ბოსელი, საბძელი და საფურნე"[115]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიღმის ხეობის საცხოვრებელ დარბაზთა უმეტესი ნაწილი დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენდა (სუთიაშვილების დარბაზის გეგმა და კარ-მიდამოს სქემა სურ. 15, 16, 17), მაგრამ ამასთან ერთად იყო ისეთი დარბაზები, რომლებიც ქვაბლიანის ხეობაში ფიქსირებულ ნაგებობათა პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს. კერძოდ, დიღმის ხეობაში იყო ისეთი დარბაზები რომლის სისტემაში სხვა სამეურნეო ნაგებობებიც შედიოდა. ბოსელი, სათონე, მარანი, პურის ოთახი და სხვა მაგალითისათვის მო-

---

114 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, გლეხის სახლი დიღომში, 1922.

115 გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლეხის სახლი ქვაბლიანში, „მიმომხილველი", I, 1926, გვ. 141.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1:150

ნახაზი ს. ფოფხაძე
ყველაფერი ისაზღვრა ეროვნული
1963 წ.

სურ. 16

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიყვანთ პეტრე ქობელაშვილისა და ისაკა კენჭაშვილის დარბაზებს. (სურ. 6, 18. ტაბ. XI, XII, XIII). ქობელაშვილების დარბაზის [illegible] მიხედვით ირკვევა, რომ დარბაზს მარცხენა გვერდით, [illegible] ძეზე გასდევდა დიდი ბოსელი, დღეისათვის ბოსლის მხოლოდ კედლები და დარჩენილი; ხოლო მარჯვენა კედლისკენ მოთავსებულია პატარა შენობა, რომელიც გვიან უნდა იყოს გადაკეთებული ბოსლად, ადრე სამზარეულოდ და მარნად ჰქონიათ გამოყენებული, ხოლო დარბაზის დერეფნის მარცხენა მხარეს, სადაც სამი კედელია ამოყვანილი მოთავსებულია სათონე. სათონე გაწყობილია თახჩებითა და ბუხრით. კენჭიაშვილის დარბაზს, უკანა მხრიდან მიდგმული აქვს ბოსელი, რომელიც ერთ მთლიან ნაგებობადაა წარმოდგენილი. დარბაზის პატრონს საცხოვრებელი ნაგებობა ახლებურად გადაუკეთებია, უკეთ რომ ვთქვათ, შეუმცირებია და წინა დედაბოძთან კედელი ამოუყვანია. დარ-



სურ. 18.

ბაზის შიდა კედლებზე მოთავსებულია თახჩები და წალოები, სადაც დერეფნის საძირკველიდა მოსჩანს. გეგმა აღდგენილ იქნა A—A კედლის ბოძებისა და b—c წერტილების საშუალებით, საეჭვოა მხოლოდ 2,70 (დერეფნის სიღრმე) (გეგმა და ჭრილი, სურ. 18, ტაბ. XVI). დე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეფნის ბოძები მოხუცების ნაამბობის მიხედვითაა აღდგენილი. დეოფნის კედლების სისქე=68 სმ, დარბაზისა კი 108—111 სმ-ია. დარბაზის კედლის სიგრძე 11,80 სმ-ია, ხოლო დარბაზის სიგანე კედლების სისქის გამოკლებით 6,40 სმ. დარბაზის კედლებში მრავლად არის დაყოლებული თახჩები, განჯინები და წალოები, აქვეა ბუხარიც; მთხრობლების გადმოცემით დარბაზი დიღმელ ხელოსნებს აუშენებიათ, დედაბოძებიც მათ მოუხატნიათ. ხსენებული დარბაზის ნაწილი, 1960 წლამდის კიდევ იყო დარჩენილი, ამჟამად სახლის პატრონმა დარბაზი დაანგრია და მის ადგილას სახურავიანი სახლი ჩადგა. ხოლო ამ დარბაზის დედაბოძები საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული (ტაბ. XXV).

სუთიაშვილების დარბაზი სოფ. დიღომში. დარბაზი წარმოადგენს ნახევრად მიწაში ჩამჯდარ შენობას, რომლის პირი მიმართულია აღმოსავლეთით. ბოლო დროისათვის შენობა წარმოადგენდა დამოუკიდებელ ნაგებობას. პეტრე სუთიაშვილის გადმოცემით დარბაზს ადრე ორივე მხრიდან ნაგებობები ჰქონია როგორც სამეურნეო სათავსოები, ისე საცხოვრებელი ოთახები, მისი გადმოცემით დარბაზს ჩრდილოეთით მიდგმული ჰქონია მარანი და საუფროსო ოთახი, სადაც ოჯახის უფროსის, სვიმონ სუთიაშვილისა და მისი მეუღლის საწოლი მდგარა, ხოლო სამხრეთით დიდი თავლა ყოფილა. დარბაზის დედაბოძის წარწერა აშენების დროს გვაუწყებს „ჩყნ წელსა ავაშენე სვიმონ სუთიაშვილმა“, ე. ი. დარბაზი სვიმონ სუთიაშვილს აუშენებია 1850 წ. რომელმაც გაძლო 1960 წლამდის. დარბაზის დათარიღებული დედაბოძი თავისი ბალიშითა და თავხით შევიძინეთ და დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხის საცავში (დედაბოძი (ტაბ. XXIII). ხოლო მისი ცალი, წინა დედაბოძი პატრონს გიგო სუთიაშვილს დაუხერხია და ნივნივებად გამოუყენებია ახალი სახლის სხვენზე. სუთიაშვილების დარბაზი სხვა დიღმის დარბაზებთან ერთად სეევროვს აუგეგმია (1921 წ. სექტემბერში და 1922 წ. ივლისში)[116]. ხოლო გამოუქვეყნებია ორჯერ ალბომის სახით. აკად. გ. ჩუბინაშვილს. იგი აღწერს რა სუთიაშვილების დარბაზს აღნიშნავს, რომ „დიღმის დარბაზები შემდეგში გადაკეთებული იყო ახალი დროის მოთხოვნილებისდა მიხედვით, თუმცა ნახაზები ასახავენ ერთს განსაზღვრულ დარბაზს, რომელიც ეკუთვნოდა სუთიაშვილს. მაგრამ აქ მოშორებულია ყველა ჩვენს დროში შეტანილი ცვლილებანი, რომელნიც გამოწვეული იყო სურვილით — სამი მხრიდან მიწაში ჩამჯდარი დარბაზი დაეახლოვებინათ ახალი ტიპის სახლებისათვის“[117]. როგორც დარ-

---

116 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის დარბაზი, 1927.

117 ი ქ ვ ე, გვ. 11.

ბაზის აღწერილობა გვიჩვენებს. აქ ლაპარაკია სუთიაშვილების დარ-
ბაზზე. ხოლო ალბომში აგეგმილ ნახაზებში სხვა დარბაზია მოცემული
(შეადარეთ ჩვენ მიერ აგეგმილი სუთიაშვილებისა და „ქართლის დარ-
ბაზში“ მოთავსებული ნახაზები—დავინახავთ რომ ხსენებულ ალბომში
სულ სხვა დარბაზთან გვაქვს საქმე[118]. ოთხი ტაბულა:1. სიგრძეზე გა-
ნაკვეთი და გეგმა, 2. სიგანეზე განაკვეთი, დედაბოძისა და თავხის ჩუ-
ქურთმითურთ, 3. ფასადი, 4. ჭერის პერსპექტივა ალბომში სუთიაშვი-
ლების დარბაზს მიეკუთვნება (იხ. და შეადარეთ ჩვენ მიერ აგეგმილი
სუთიაშვილის დარბაზის გეგმა და ჭრილი, ფასადი (სურ. 17. ტაბ. II,
III, IV) და იქვე წარმოდგენილი სეევროვის აგეგმილი სუთიაშვილების
დარბაზი (სურ. 18; ტაბ. I, VII, VIII), რაც არ არის სწორი, და უნებ-
ლიე შეცდომასთან გვაქვს საქმე, ეს დარბაზი ეკუთვნოდა შაქრო გი-
ლაურს, დარბაზი დაანგრიეს და ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვა-
ლეს 1957 წ. მკვლევარი ირ. სონღულაშვილის გადმოცემით, გილაუ-
რების დარბაზი აუშენებია და მოუხატავს დიღმელ ხელოსანს, კაკოლა
კოლოტაურს[119], რომლის ნამუშევარზედაც შემდეგში გვექნება საუ-
ბარი.

საერთოდ ყველა ის დარბაზი, რომელიც სეევროვმა აგეგმა დი-
ღომში აკად. გ. ჩუბინაშვილმა შემდეგნაირად აღწერა: „დიღმის დარბა-
ზები ყველაზე უფრო მარტივია: ისინი დაახლოებით ერთი ზომისაა.
ნახევრად მიწაშია აშენებული, შესავალი აღმოსავლეთით აქვთ დე-
რეფნიდან, რომელშიაც ერთ მხარეს გამართულია ბუხარი. შიგნიდან
დარბაზი ბოძებით გაყოფილია სამ ნაწილად, საშუალო ნაწილში ჭერი
გამოყოფს „გვირგვინის“ სახით ცენტრალურ კვადრატს, რომელიც
მაღლისაკენ კიბე-კიბე მიდის და თანდათანობით ვიწროვდება, რომელ-
საც ბოლისა და სინათლისათვის მაღლა ცენტრში „ბანი“ აქვს, გვერ-
დის ნაწილებს აქვთ ჰორიზონტალური ჭერი: უკანა ნაწილის კედლის
წინ შესავლის პირდაპირ ქვემოთ გამართულია თაროები მსხვილი ჭურ-
ჭლის დასადგმელად და სხვა“[120]. თაღის თავებზე ხშირად პატარ-პა-
ტარა ქილებია დაყოლებული, წვრილმანი ნივთების შესანახად, ხოლო
თაროს ზემოთ კედელში, თაღგადაყვანილი თაღჩებია, მათ შუა კი ქი-
ლებია დატანებული (იხ. გილაურებისა და სუთიაშვილების დარბაზის

---

118 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის დარბაზი, 1927, გვ. IV. (იხ. ტაბულების ახსნა და აღწერილობა).

119 ირ. სონღულაშვილს ამ დარბაზისა და მხატვრობის შესახებ მოუთხრო გილაურების სახლის ერთ-ერთმა უხუცესმა წევრმა, რომელსაც ხშირად იგონებდა განსვენებული მკვლევარი, როგორც კარგ მთხრობელსა და ძველი ამბების მცოდნეს.

120 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

განივი ჭრილი, ტაბ. III, VII). სუთიაშვილების დარბაზს, თაროც ჰქონდა, სადაც ქილებიც იყო დატანებული, მაგრამ ანაჯიმ ჭიანელი აღარ მოხვდა, რადგან დარბაზის პატრონმა თარო ადგილ-ადგილ [illegible] დარბაზის გვერდით კედლების გასწვრივ დატანებულია წალოები, ლოგინის შესანახად, რომლის ძირშიაც გამართული იყო დიდი განიერი ტახტები, დარბაზის შუაში, თავხეების ქვეშ ოთხკუთხა ქვებზე იდგა ორი დედაბოძი, ერთი მათგანი კარებიდან პირველი, მთხრობელთა გადმოცემით პატარა და ვიწრო იყო. ხოლო უკანა დედაბოძი განიერი უნდა ყოფილიყო. ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე სუთიაშვილების დარბაზშიაც. დარბაზის დედაბოძები მოხატული ორნამენტით პირით ერთმანეთს უყურებდნენ. მასალების მიხედვით ნამდვილ დედაბოძად, უკანა დედაბოძი ითვლებოდა. მთხრობელთა გადმოცემით ძველ დარბაზებს, დიღმის ხეობის სოფლებში, სამი დედაბოძიც ჰქონია, ორი ბოძი წინ და ერთი უკან, შუაში როგორც უკვე ზემოთ აღვწერეთ, ეწყობოდა კერა, რაზედაც აყარიდან ჩამოშვებული ჯაჭვი ეკიდა, რომლის საკიდურზედაც ქვაბს კიდებდნენ.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ძველისძველ დარბაზებსა და ბანიან საცხოვრებელ სახლებს, დიღმის ხეობაში, სამალავებიც ჰქონიათ, რომლებიც გვირაბის საშუალებით მიწის ქვეშ სხვა სათავსოში გადიოდა, ან მოფარებულ, გარეთ მდებარე ხრამებსა და ბუჩქნარებში გადიოდა. დიმიტრი მელაშვილის (სოფელ დიღომში მცხოვრები) გადმოცემით, მათ საცხოვრებელ დარბაზულ სახლს, ბოლო დრომდის ჰქონია დარჩენილი სამალავი, რომელსაც „დარანს" უწოდებდნენ. მისივე გადმოცემით, ამ დარანში ლეკიანობის დროს ქალებსა და ბავშვებს მალავდნენ. ს. გილაურის გადმოცემით (მცხოვრები სოფ. დიღომში 90 წ.) „ძველად ისეთი სახლები სცოდნიათ, რომ მიწის ქვეშა გასასვლელებიც ჰქონია, მეზობლებთან გადიოდნენ შიშიანობაში და ერთმანეთს აფარებდნენ თავსა-ო". თვითონ დარბაზი ხშირად ციხის მაგივრობასაც სწევდა და თავდაცვითი ბრძოლა აქედან სწარმოებდა თავდამსხმელების წინააღმდეგ. ამას გვიმოწმებს მრავალი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალაც. „...ამ სიტყვის განძავლობაში, მოვიდა ყაზახთ ჯარია. ძირიდან ბევრი ისროლა, მაღლა აყარა ბანია"[121]. შოშიტაშვილების გადმოცემით როცა ერთობის სახლში უცხოვრიათ, თავს ყაჩაღები დასხმიან: „მაგარი სროლა იყო, მუხის კარი ვერ ამოაგდეს ანჯამებიდან, კარი ურდულით იყო დაკეტილი, შიგნიდან ჩვენი კაცები ისროდნენ, ბანიდანაც მოგვიარეს, იქიდან გვეს-

---

121 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები. წიგნი I. 1955, გვ. 130.

როდნენ. ჩვენები ძირიდან ისროდნენ მაგრამ ყაჩაღები ვერას გახდნენ. ერთი კაცი კი მოგვიკლეს, ახალი ნეფე იყო, იმის ბრალი იყო, რადგან გარეთა ოთახიდან კარში გავიდა, სახლში გამაგრებულიყო ვერას ოცდა-ოცდნენ" (სოფ. დიღომი, ოლა შოშიტაშვილი 76 წ.), ამიტომ იყო დარბაზულ ნაგებობათა სისტემაში გაერთიანებული სხვადასხვა სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობა, რათა გარკვეული შემთხვევის დროს, ოჯახისათვის ხელისმისაწვდომი ყოფილიყო ქონების დაცვა, ხოლო როდესაც ძველმა „შიშიანობამ" გადაიარა, მაგ., XIX ს-თვის, საცხოვრებელ დარბაზს ემჩნევა სამეურნეო ნაგებობის ცალკე გამოყოფა. ე. ი. იმ დროს როცა გარკვეული საფრთხის დროს, ოჯახი განიცდიდა საშიშროებას, საცხოვრებელ დარბაზთან ერთად ერთ ჰორიზონტალურ სიბრტყეში ვხვდებოდით სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობას — ბოსელს, საბძელს, მარანს, პურის ოთახს, სათონეს, საქათმეს და ა. შ. მაგრამ როდესაც ქვეყანა დამშვიდდა, გარეშე მტრისაგან საცხოვრებელ დარბაზს გამოეყო პირველ რიგში, ბოსელი, საბძელი, საღორე და საქათმე, რაც კარგად ჩანს დიღმის ხეობის სოფლებსა და ჩვენ მიერ ფიქსირებულ მასალაშიც.

დარბაზული ტიპის სახლი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „დარბაზული, ანუ დარბაზიანი სახლი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული"[122], რომელიც ისეთი მიწური შენობაა, რომელსაც „მოდარბაზებულ"—მოგვირგვინებული სახურავი აქვს[123]. იგი გადახურულია რამდენიმესაფეხურიანი ხის ნიყურებით შემდგარი გვირგვინით და ნათდება ზემოდან, გვირგვინის დასასრულს მოწყობილი ბოლის გასასვლელი და სინათლის შემოსასვლელი სარკმლით, ერდოთი, დარბაზული სახლის განსაზღვრულ ნაწილს მისი გვირგვინი წარმოადგენს[124], როგორც მასალები გვიჩვენებს დარბაზი და დარბაზიანი სახლი ფასადის მიხედვით სხვა ტიპის მიწურებისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ გადახურვითა და შიგნითა მოწყობილობით აშკარა განსხვავებაა, როგორც ზემოთ აღწერილობაში ვნახეთ მიწური სახლისა და დარბაზის სამი კედელი სანახევროდ მიწაში ზის, მხოლოდ განსხვავება ძირითადში ბანის გადახურვაშია, მაგალითად, დარბაზის ბანი მრგვალი მოგუმბათებულია, ხოლო მიწურისა ოდნავ ამობურცული, რომელსაც ბანში სინათლის საშუქი უგვირგვინო

---

122 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1941, გვ. 144.

123 გ. ჩუბინაშვილი, ქართლის დარბაზი, ნაკვ. 1, 2, 1927.

124 ლ. სუმბაძე, კოლხური სახლი ვიტრუვის მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", ტ. VI, № 6, თბილისი, 1945, გვ. 453.

მრგვალი „სანათური“ აქვს დაყოლებული რომელსაც ხშირად „ერ-
დოს“ უწოდებენ.

XIX ს-ში ცხოვრების აღმავლობამ შეცვალა არა მარტო სოციალური ყოფა-ცხოვრება, არამედ მატერიალური კულტურაც. მაგალითად, ქართლელი გლეხის საცხოვრებელ დარბაზში ბუხრის გაჩენამ თანდათანობით გამოიწვია კერის მოშლა, ხოლო შემდეგში კერის გაუქმებამ გამოიწვია გვირგვინის გაუქმება, რაც დარბაზიდან ბოლის გასვლასთან დაკავშირებით გარკვეულ როლს ასრულებდა. გვირგვინის გაუქმების შემდეგ დარბაზში შიდამოწყობილობა და ფართი, ისევ ძველებური ტრადიციების მატარებელი იყო. ასეთი საცხოვრებელი ნაგებობები დიღმის ხეობაში მრავლად იქნა ფიქსირებული და ასეთ ნაგებობას ჩვენ პირობითად ვუწოდებთ „დარბაზულ“ ნაგებობას, რადგან ტიპოლოგიურად იგივე პრინციპია დაცული ნაგებობის ამ ახალ სახეობაში, როგორც ადრე ძველ დარბაზში იყო, ოღონდ განსხვავება როგორც ზევით აღვნიშნეთ გვირგვინსა და კერაშია. ეს სახლებიც ერთობის სახლად იყო გათვალისწინებული. მაგალითად, აღვწეროთ რამდენიმე ნაგებობა: ასეთი დარბაზული ტიპის სახლია იოსებ ხოსიტაშვილის სახლი სოფ. დიღომში. სახლის ორი კედელი ნახევრად მიწაში ზის, ხოლო უკანა კედელი მთლიანად მიწაშია ამოყვანილი. სახლს პირი ჩრდილო-აღმოსავლეთით აქვს, რომლის დერეფანს ორი საქარე კედელი გასდევს, აქვე დერეფანი მარნად ჰქონიათ გამოყენებული, სადაც 13-საპალნიანი ქვევრი დღესაცაა დარჩენილი. სახლის შიდა ფართი, ისე როგორც დარბაზში სამ ნაწილადაა გაყოფილი, რომლის ბანი დამყარებულია ორ დედაბოძზე. დედაბოძები ლამაზადაა მოხატული სხვადასხვა სახის ორნამენტებით, სახლს დატანებული აქვს კედლებში თარო, თაღიანი თახჩები, წალოები და განჯინები. სახლის შუა ნაწილს, კედელში ბუხარი აქვს დატანებული (იხ. ტაბ. V, XV). სახლს ჭერზე, იქ სადაც წინათ გვირგვინი იდგა, ეტყობა მშენებლებს გვირგვინის დადგმა გაუთვალისწინებიათ დახურვის დროს, რასაც მოწმობს, საგვირგვინე ნაწილში კოჭების გარდიგარდმო დალაგება და ჭდეები, მაგრამ მუშაობის დროს პროექტი შეუცვლიათ, რაც ბუხრისა და ფანჯრების „დაყოლებას“ ანუ „ჩამენებას“ უნდა გამოეწვია (სურ. 7, 8).

იოსებ ხოსიტაშვილის დარბაზული ტიპის სახლი ამჟამად გადატიხრულია, ძმების გაყრის შემდეგ დარბაზი შუაზე გაიყო. ოჯახის უფროსის მონათხრობით სახლის დახურვაში: „3 ოსტატს უმუშავნია. რომელსაც 12 დღეში გაუთავებია სამუშაო და 28 მანეთი მიუღია სამუშაოში, „ნალი“ — კედლის კოჭი, კედლის ზემოთ, ჩუქურთმა ოსტატმა ამოჭრა, ოსტატები ერთაწმინდიდან ყოფილან: მუხის მასალა საქმე-

ში ნედლი მიდიოდა, ადვილი დასამუშავებელია (წიფელი ხეშ არ არის, გაშრობა რო უნდოდეს) (სოფ. დიღომი, მთხრობელი, იოსებ ხოსიტაშვილი 78 წ. 1959 წ.) ხოსიტაშვილი იოსების დარბაზული სახლი ნალესია გაჯით (იხ. ხოსიტაშვილების დარბაზის დედაბოძები XXVII, XXVIII).

ამავე დარბაზული სახლის პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს ანდრია ხოსიტაშვილისა და გაბრიელ მძევაშვილის სახლი[125] და შეიძლება ეს ნაგებობა ჩავთვალოთ დარბაზულიდან ახალბანიან სახლისაკენ გარდამავლად. ჩვენ „ბანიან“ სახლს პირობითად გამოვყოფთ, რადგან მთხრობლები ასეთ სახლს ბანიან სახლს უწოდებენ და გათვალისწინებულია „ერთი მამის“ საცხოვრებლად, რადგან ძველებურად ასეთ სახლში ვეღარ მოთავსდებოდნენ 5 მაზლი თავიანთი ცოლშვილით, ე. ი. „ერთობის სახლი“ იცვლება უფრო პატარა დარბაზული ნაგებობით. თუ ძველი დარბაზი ორი ან სამი დედაბოძით გამოიყოფოდა ამ სახლის ბანი დამყარებულია ერთ ან ორ დედაბოძზე, თუ დარბაზის ჭერი სამი ნაწილისაგან შედგებოდა, ე. ი. წინა და უკანა „მალებისაგან“ და შუაში გვირგვინისაგან, ასეთი ახალი ნაგებობა ორი ნაწილისაგან წარმოგვიდგება, დედაბოძითა და წინ ჭერში გაწყობილი ერდოთი ანუ „სანათურით“. თუ ძველ დარბაზებსა და დარბაზულ ნაგებობას, თაროები ახასიათებდა, ასეთ ნაგებობას თაროები აღარა აქვს, ხოლო თახჩები, წალოები და განჯინები ძალიან ნაკლებად გვხვდება.

ანდრია ხოსიტაშვილის სახლი აშენებულია ლამაზად, დამუშავებული თლილი ქვით, რომლის უკანა კედელი მიწაში ზის, სახლს პირი ჩრდილოეთისაკენ აქვს, ისე როგორც იოსებ ხოსიტაშვილის დარბაზულ სახლს, რომლის დერეფანს ორი საქარის კედელი ფარავს. დერეფნის დასავლეთ კედელს ლამაზი ბუხარი აქვს დატანებული, ხოლო შიგნით სახლის ბანი ორ ნაწილადაა გაყოფილი, რომელიც ორ სიგრძით მდგარ ბოძზე და ერთ თავხეზეა დამყარებული, ერთი მთლიანი ბალიში მოხატულია ლამაზი ორნამენტით, ხოლო სახლის კედლებში ძველებურ სტილზე დაყენებულია განჯინები, თახჩები და წალოები. აქვე უკანა კედელში ბუხარიცაა. სახლი ნალესია გაჯით (იხ. სურ. 5. ტაბ. IX, X, XX). სახლის პატრონს, გვერდზე ერთი ამ ფართის მქონე ოთახიც მიუდგამს, რომელსაც პირი აღმოსავლეთით აქვს, ამ ოთახსაც ორი ფანჯარა და ორი კარი აქვს, ერთი აღმოსავლეთით, მეორე ჩრდილოეთით, დერეფანში და სხვა სათავსოებში გასასვლელი.

---

125 ნახაზებში სახლი გაბრიელ მძევაშვილის სახელითაა აღნიშნული, რაც სწორი არ არის, სახლი ეკუთვნის ივანე ნიკოლოზის ძე მძევაშვილს.

კედლის სისქე 82 სმ უდრის. დიდი ოთახის შიდა ფართი სიგრძით 633 სმ, სიგანით 5,53 სმ; მეორე ოთახის სიგრძე=580 სმ, სიგანე 493 სმ.

მეორე ასეთივე ტიპის საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენს მძევაშვილ გაბრიელას (ივანეს) სახლი, რომლის ბანი დაყარებულია ერთ ლამაზად მოხატულ დედაბოძზე (იხ. სურ. 19, 20. ტაბ. XIII, XIV, XXV). საცხოვრებელი სახლი სამი საფეხურით ძირს არის ჩასასვლელი. ბინის სამ კედელზე მოთავსებულია თახჩები, წალოები და განჯინები, ოთახსა და დერეფანს დატანებული აქვს ბუხარი, დერეფნის



სურ. 19.

ერთ ნაწილში ადრე ქვევრებიც ყოფილა ჩაყრილი, რომლებიც მარნის მაგივრობას ასრულებდნენ, ძველი ქვევრებიდან ერთი ახლაც გვხვდება ადგილზე... მძევაშვილების საცხოვრებელ სახლს გვერდზე ბოსელი აქვს მოდგმული ეს სახლი გათვალისწინებული იყო ერთი მამისათვის. აქ, ასეთ ბინაში აღარ გვხვდება „ძმები“ და „მაზლისცოლები“ თავიანთი შვილიშვილებით, და თუ გვხვდება იშვიათობას წარმოადგენს და დროებითი მოვლენაა, ასეთი სახლიდან მამას, დაცოლშვილებული უფროსი შვილი გამოეყოფა, მიაქვს საუფროსო და ცალკე სახლდება.

გომური. დიღმის ხეობის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობიდან გამოიყოფა ერთი ტიპის ნაგებობა გომური. გომურს ორი დანიშნულებისათვის იყენებდნენ, საცხოვრებლად და საქონლის სადგო-

მად, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „გომური სახლი გოეხურიაო“. ასეთი გომურები ბევრი დავადგინეთ დიღმის ხეობაში, გომურიც ერთი მამის საცხოვრებელ ბინას წარმოადგენს. ერთ ეზოში ოთხ კედელში ფართი განაწილებულია, საცხოვრებლად და საქონლის საბმურად, იყო ლასტით გადატიხრული გომურებიც.



სურ. 20.

ასეთი სახლის ბანი, დამყარებულია ერთ ან ორ დედაბოძზე და საგვერდულის ბოძებზე. ვხვდებით თავსა და ბოლო კედლებში, კოჭების დასაყრდენ საყბეურის ბოძებსაც. დედაბოძებს შუა ბანში მოთავსებულია „სანათური“, ანუ „ერდო“. ასეთ საცხოვრებელ სახლში დედაბოძი მოუხატავია, იშვიათად თუ შევხვდებით მოხატულ ბალიშს. კედლებში გვხვდება, თახჩები, წალოები, განჯინები და ბუხარი.

1959 წ. დიღომში საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების შესწავლისას, ჩვენ პროფ. ლონგო სუმბაძესთან ერთად, ვნახეთ ქუცნიაშვილების საცხოვრებელი ბინა „გომური“, რომელიც დაბალჭერიან ნაგებობას წარმოადგენდა, ბინაში შესვლის დროს უნდა შესულიყავით ჯერ სათონეში, რომელიც ფიჩხით იყო გადახურული, ხოლო კედლების ნაწილი წნელით იყო მოწნული, და ტალახით შელესილი. სათონიდან შევდიოდით გომურში, გომურის ფართი პატარა ბანიანი სახლის ოდენა იყო, რომლის ნაწილი, საცხოვრებლად იყო გამოყენებული, ნაწილი კი საქონლის საბმურად. ბინას ჰქონდა თახჩები, წალო-

ები და ბუხარი, სახლი გამურული და შემჭვარტლული იყო. სამწუხაროდ, იმ დროს ამ ნაგებობის აგეგმვა ვერ მოვახერხეთ, მეორედ, როცა მივედით პატრონს უკვე დაენგრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ სახლში ცხოვრობდნენ ღარიბები. რომლებსაც დიღომში „ხახევარჩარექიანებს“ უწოდებდნენ, ან კიდევ „ერთობის“ სახლიდან ცალკე გამოყოფილი ოჯახის წევრები. სწორედ ამ მდგომარეობის ამსახველი უნდა იყოს ერთი ხალხური ლექსი, სადაც ნათქვამია:

„ძმა რომ ძმასა გაეყრება,
ველარ დადგამს დიდსა ძნასა.
წავა, დადგება გომურში,
გვერდზე გამაიღებს კარსა.
მამაძაღლი იმის ცოლი
კოხტად დაიხურავს თავსა.
გავა და ბანზე დადგება
ბიჭებს გადაავლებს თვალსა“[126].

მიწის ზემოთ მოთავსებული ბანიანი სახლები. დიღმის ხეობაში საცხოვრებელი სახლებიდან გამოიყოფა კიდევ ერთი ახალი ტიპის ბანიანი სახლი, რომლის ოთხივე კედელი მიწის ზემოთაა მოთავსებული, აქამდე აღწერილი სახლების ნაწილი თუ მიწაში იჯდა, ახალი ბანიანი სახლის ოთხივე კედელი, საძირკველზე დაყრდნობით, მიწის ზემოთაა აყვანილი, რომლის ბანი დამყარებულია ერთ ბოძსა და კედლებზე. ასეთი სახლებიც ერთი მამის ოჯახის საცხოვრებლადაა გათვალისწინებული და ფართით მეტად მცირეა. ძველ ნაგებობებთან შედარებით ასეთ სახლსაც ახასიათებთ თახჩები, წალოები და ბუხრები. წინ თაღიანი კარები და ფანჯრები, გადახურვაც ძველებურია „მგლისზურგულად“.

დიღომში ავზომეთ ასეთი ტიპის სახლი, რომელიც წიკლაურებს ეკუთვნით (იხ. სურ. 21, ტაბ. XVII), შემდეგისათვის ასეთი ტიპის სახლები ზემოდან ერთკალთიან სახურავს იდგამენ. რასაც „გადადგმული“ ანუ სახურავგადადგმული სახლი ეწოდება. მაგალითად, უკანა კედელი 2 მეტრის სიმაღლემდის აჰყავთ, რომელზედაც აწყობენ კოჭებს და დერეფნისაკენ დაქანებას აძლევენ, შემდეგ ამ სახურავზე ღარიან ან ქარ-

---

126 ჯ. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, წიგნი I, 1955, გვ. 149.

თულ კრამიტს ახურავენ. ეს პროცესი ზემოთ ხსენებულმი მიწის ზედა ბანიანმა სახლმა გაიარა, რომლისგანაც განვითარდა ორკალთიანი და ოთხკალთიანი სახურავები, რომელთა ნაწილმა პარაპეტის ხელ-ლება დაიმკვიდრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 21.

სახურავიანი ანუ „მოქალაქეთა სახლი. დიღომში და მის ხეობაში გლეხური ბანიანი სახლების გვერდით იდგა კრამიტით გადახურული სახურავიანი სახლები, რომლებსაც ადგილობრივი მკვიდრნი ხშირად „მოქალაქეთა სახლის“ სახელით მოიხსენიებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. სუთიაშვილის დარბაზის ფასადი (სევეროვის მიხედვით).
ტაბ. II. სვიმონ სუთიაშვილის დარბაზის ფასადი.
ტაბ. III. სვიმონ სუთიაშვილის დარბაზის განივი ჭრილი.
ტაბ. IV. სვიმონ სუთიაშვილის დარბაზის გრძივი ჭრილი.
ტაბ. V. იოსებ ხოსიტაშვილის სახლის ფასადი.
ტაბ. VI. შოშიტაშვილის დარბაზის განივი ჭრილი.
ტაბ. VII. სუთიაშვილის დარბაზის განივი ჭრილი (სევეროვის ნახაზის მიხედვით).
ტაბ. VIII. სუთიაშვილის დარბაზის გრძივი ჭრილი (სევეროვის ნახაზის მიხედვით).
ტაბ. IX. ანდრია ხოსიტაშვილის სახლის ჭრილი.
ტაბ. X. ანდრია ხოსიტაშვილის სახლის ჭრილი.
ტაბ. XI. პეტრე ქობელაშვილის დარბაზის ჭრილი.
ტაბ. XII. პეტრე ქობელაშვილის დარბაზის ჭრილი.
ტაბ. XIII. გაბრიელ (ივანე) მძევაშვილის სახლის განივი ჭრილ
ტაბ. XIV. გაბრიელ (ივანე) მძევაშვილის სახლის გრძივი ჭრილ
ტაბ. XV. იოსებ ხოსიტაშვილის სახლის ჭრილი.
ტაბ. XVI. კენჭიაშვილის დარბაზის განივი ჭრილი.
ტაბ. XVII. წიკლაურის სახლის ფასადი.
ტაბ. XVIII. სანდრო გილაურის ბოსელის ფასადი და ჭრილი.
ტაბ. XIX. სანდრო გილაურის ბოსლის ჭრილი.
ტაბ. XX. ანდრია ხოსიტაშვილის სახლის ფასადი.
ტაბ. XXI. შოშიტაშვილების დარბაზის დედაბოძი.
ტაბ. XXII. პეტრე ქობელაშვილის დარბაზის ფასადი.
ტაბ. XXIII. სვიმონ სუთიაშვილის დარბაზის დედაბოძი.
ტაბ. XXIV. მძევაშვილის დარბაზის დედაბოძი.
ტაბ. XXV. ისაკა კენჭიაშვილის დარბაზის დედაბოძი.
ტაბ. XXVI. კოტორაშვილების დარბაზის შიდა ხედი.
ტაბ. XXVII. იოსებ ხოსიტაშვილის დარბაზის დედაბოძი.
ტაბ. XXVIII. იოსებ ხოსიტაშვილის დარბაზის დედაბოძი.
ტაბ. XXIX. ბერიძეების დარბაზის დედაბოძი.
ტაბ. XXX. ჯანიაშვილების დარბაზის დედაბოძი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიგურა 2-2

ნახ. 10 C

ნახ. 10 B

ნახ. 10 A

ფიგურა

ანდრეა ხანცოფელის
ხანური

ხეთის ოთახის ნაგები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბულა XXI
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძარი
სოფ. ოსკოლეთის სამლოცველო
ტეტეანონი (ბ.ნ.)
1 : 15



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3
დიღმის ხეობის მიმოხილვა 6
დიღმის ხეობის სოფლები და მოსახლეობა 45
ეკვარები, რომლებიც დიღომში ცხოვრობდნენ ძველი დროიდან XX საუკუნის
დამდეგამდე 122
ადამიანის ზედმეტი სახელები დამოწმებული სოფელ დიღომში . . . 134
საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები დიღმის ხეობაში . . . 135
ტაბულების აღწერილობა 229
ტაბულები 229

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Джуаншер Михайлович Сонгулашвили

К ИСТОРИИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

(Дигомское ущелье)

Книга I

*

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი გ. ჩ ი ტ ა ი ა
გამომცემლობის რედაქტორი ე ლ. ქ ა ჯ ა ი ა
მხატვარი გ. ნ ა ღ ი რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
კორექტორი ლ. ჩ ხ ა ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 22.5.1968; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.2.1969;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 16.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბ.ხი 14,22; უე 01228; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 1395
ფასი 1 მან. 38 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ. 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

7-8754

ეროვნული
ბიბლიოთეკა